




K 252.334
3

საქართველოს საბავშვო ლიბრერია



საქართველოს
საბავშვო ლიბრერია

საქართველოს
საბავშვო ლიბრერია

საქართველოს
საბავშვო ლიბრერია



იოსებ მეგრელიძე

სიძველეები ლიახვის ხეობაში



თბილისის
ქობულაძის
სახლი
საბჭოთა
საქართველო

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი 1984

902.7(C41)

63.5(2Γ)

[902.7+021](47.922)

3.478

1 ქართული ნათესავები
2 ქართულნიკების განვითარება

შრომში აღწერილი და შესწავლილია ლიახვის აუზის IX—XIX საუკუნეების წარწერები. მოცემულია ცნობები მატერიალური კულტურის ძეგლებისა და საფლავის ქვების წარწერების შესახებ, აღწუსებულია ზოგიერთი ლეგენდა და მითოლოგიური თქმულება, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა სახის მასალა.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პეიოხველისათვის.

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. თოგოშვილი,
მწერალი-ფოლკლორისტი ი. კავკაზაგი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. ლოლაშვილი.

252.334
3
K

სსკპ-2000
შეიქმნა

10602—111

M _____ 44—84

M.601(08).84

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
ბიბლიოთეკა

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
 უფროსი მეგობრის
 ექვთიმე თაყაიშვილის
 ნათელ ხსოვნას
 ა ვ ტ ო რ ი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მდინარე დიდი ლიახვის ხეობა და მისი შენაკადების ხეობები (ლიახვის აუზი) მდებარეობს საქართველოს სსრ გორის რაიონისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მიდამოებში.

როგორც საქართველოს სხვა მხარეების, ისე ლიახვის აუზის ტერიტორიაზე გვხვდება ისტორიული მნიშვნელობის საცხოვრებელი მღვიმეები, სახლები, თავდაცვითი (ციხეები, კოშკები) და საკულტო (ეკლესია-მონასტრები) ნაგებობანი, სასაფლაოები და ჩუქურთმიან-წარწერებიანი საფლავის ქვები, სხვადასხვა დანიშნულების არქეოლოგიური საგნები. რიგ მათგანზე ძველი და შედარებით ახალი ქართული წარწერებიცაა შემორჩენილი. აქა-იქ ვპოულობთ ქართული მხედრული ასოებით შესრულებულ შედარებით გვიანდელ ოსურ წარწერებსაც. როგორადაც ახალი და ფრაგმენტული არ უნდა იყოს, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ს. ხვწეში საფლავის ქვებზე ქართული ასოებით შესრულებული ოსური წარწერები არსებობს; სოფელ სბაში ვერცხლის ჯვარზე ქართული ასოებითვე იკითხება ოსური სიტყვები „სიღზარინ ძუარ“, რაც ოქროს ჯვარად ითარგმნება (იხ. ქვემოთ სბა)¹. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ვლაპარაკობთ არა მხოლოდ სიძველეებზე, არამედ მათ შემქმნელ ადამიანებზე, ადგილობრივ თანამედროვე მცხოვრებლებზე, მათ ყოფასა და გარემოზეც.

დიდი ლიახვის ხეობის ბარის სოფლებში უმთავრესად ქართველები ცხოვრობენ, მთის სოფლებში კი — ოსები.

დავიწყეთ იმით, რომ ქართველები ერთი იმ უძველეს ხალხთაგანია, რომლებიც ოდითგანვე მეგობრობდნენ მეზობელ და შედარებით დაშორებულ ხალხებთან. ეს ნათლად ჩანს ჩვენი ისტორიის


¹ ჩვენი სათანადო პუბლიკაცია (1959 წ.) გამოიყენა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა და დაუმატა, რომ ასეთივე ოსური წარწერები გვხვდება არა მხოლოდ სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ ოსეთშიც. იხ. მისი „Полиглотизм в эпиграфике Кавказа“. — „Эпиграфика Востока“, ტ. XVI, მოსკოვ-ლენინგრადი, 1963, გვ. 101.

პირველი სახელმძღვანელოს — „ქართლის ცხოვრების“ — ავტორების და უცხოელი მწერლების მიერ ნაანდერძევი იმ აღწერა-დახასიათებებიდან, რომლებიც იბერიის მეფის ფარნავაზის (ძვ. წ. III ს.), ვახტანგ გორგასალის (ახ. წ. V ს.), ეგრის-ლაზიკის მეფეების — წათესა და გუბაზის (VI ს. პირველი ნახევარი) და შემდეგ არსებულ მწართველთა ეპოქებს შეეხება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიული ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა (1089—1125 წ.) კანონით განამტკიცა „ხალხთა ძმობა განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა“. მის დროს მომხდარი ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანება კიდევ უფრო განვითარდა მომდევნო ხანებში. დიდი შოთა რუსთაველის ეპოქაში უკვე ამ გაერთიანებაში არა მხოლოდ კავკასია, არამედ მის გარეთაც საკმაოდ დიდი ტერიტორია, — შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ტრაპიზონიდან ყაზვინ-რამტურამდე (ჩრდილოეთ სპარსეთი), ტერიტორია, დასახლებული სრულიად სხვადასხვა მოდგმისა და რწმენის ხალხებითა და ტომებით (ივ. ჯავახიშვილი). ასეთი დიდი ქვეყანა ხალხთა მეგობრობის მტკიცედ დაცვის გარეშე ვერ იარსებებდა. ურთიერთისადმი მტრობა რომ თითოეული მათგანისათვის საზიანო იყო, ეს ყოველ მათგანს ესმოდა, მაგრამ ვნებათა ღელვითა თუ სხვა ცთუნებათა გამო ზოგჯერ ესეც ვლინდებოდა.

მოწინავე ადამიანები ასეთ დროსაც თავიანთ ხალხებს და ურებს ურთიერთმხარდაჭერისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებდნენ. დიდი ილია ჭავჭავაძე გამოხატავდა ქართველი ხალხის მეზობელი და საქართველოში მცხოვრები არაქართველი ხალხების ძველადვე დამკვიდრებულ კარგი დამოკიდებულების ტრადიციას, როდესაც წერდა: „ერთა შორის განხეთქილების შთამოთესეა, ორი ერის ერთმანეთზე გადაკიდების უკადრისი სურვილი“ მუდამ დასაგმობიაო. აკაკი წერეთელი აღნიშნავდა: „იმას არ ეთქმის ადამიანი, ვინც აღიარებს მარტო თავის ერს“. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტი ისაა, „ვინც სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ძმობის მაღალი მცნების განხორციელებას“. მართლაცდა, თავისი ხალხის მტერი უნდა იყოს კაცი, რომ მან მეზობელი ხალხისა და ხალხების დამცირება სცადოს და ისინი ერთმანეთს წაჰკიდოს.

ყოველ ხალხს თავისი უნდა მიეკუთვნოს, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ფაქტიც კი თავისი სიდიდით უნდა დავინა-



ლიასვის ხეობის სქემა

* ვაწისწყალი — უნდა იყოს ფაწისწყალი.

შოთ ყოველგვარი განდიდება-გადაჭარბებისა და დაპატარავება-დამცირების გარეშე.

მდინარე ლიახვის ხეობა ქართლის ნაწილია ძველთაგან, მაგრამ მასში ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ქართველები: აქ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ასახელებენ, მაგალითად, ცხინვალსა და თამარაშენში მცხოვრებ ქართველთა შორის ებრაელებსა და სომხებს (იხ. ქვემოთ, — ცხინვალი, თამარაშენი); შემდეგ კი ოსებიც ჩანან. მათი ჩრდილო ოსეთში ცხოვრების შესახებ არსებობს სათანადო ნაშრომები: „История Северо-Осетинской АССР“ (მოსკოვი, 1959), ბ. ა. ქალოვის მონოგრაფია „Осетины“ (მოსკოვი, 1971), კრებული „Происхождение осетинского народа“ (ვ. აბაევის წინასიტყვაობით, ორჯონიკიძე, 1967), ი. ს. გაგლოითის „Аланы и вопросы этногенезиса осетин“ (ცხინვალი, 1966), ზ. ვ. ვანეევის „Народное предание о происхождении осетин“ (ცხინვალი, 1956) და სხვა, რომლებშიც საკითხები ვრცლადაა განხილული.

ჩვენ აქ მკითხველს მხოლოდ ზოგ დასკვნას გავაცნობთ.

ოსური ენისა და ისტორიის მკვლევარნი: ვს. მილერი, ა. შეგრენი, ჰ. ჰუფშმანი, გ. ახვლედიანი და სხვები აღიარებენ, რომ ოსები ირანული მოდგმის ხალხია. პროფესორი ვ. ი. აბაევი, რომელმაც შეაჯამა მეცნიერების მონაცემები ამ საკითხზე და საბჭოთა სხვა მეცნიერებთან ერთად ოსთმცოდნეობა საგრძნობლად წინ წაწია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსები ინდოევროპული ოჯახის ირანული განშტოების ხალხი კია, მაგრამ ისინი პირდაპირ ირანიდან არ მოსულან. მათ ურალში და როსტოვ-დონის მხარეებშიც უცხოვრიათ, შემდეგ დასავლეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ბოლოს სამხრეთ კავკასიაშიც დამკვიდრებულან².

III—V საუკუნეების შემდეგაც ჩანს ოსთა ნაწილი აზოვის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და მდინარე დონის (შდრ. ოსური სიტყვა დონი — წყალი, მდინარე საერთოდ), ახლანდელი კრასნოდარისა და როსტოვის მიდამოებში.

ოსები რომ ძველად ბალყარეთსა და ყარაჩაეთშიც ყოფილან, ამის ფაქტად ის მიაჩნიათ, რომ მეგრელები ას-ს (ანუ ოს-ს) უწოდებენ ბალყარებს, ალანებსა და ყარაჩაელებს.

ძველი რუსული და სომხური წყაროებით ი ა ს ე ბ ი და ა ლ ა

² В. И. Аббаев, Осетинский язык и фольклор, I, მოსკოვ-ლენინგრადი, 1949 წ., 31, შდრ. გვ. 36; აგრეთვე—История Северо-Осетинской АССР, 1959, с. 11.

ნები ერთი და იგივე ტომია, მაგრამ პირველმა უფრო მაინც იასი (შდრ. ოსი) იცის და მეორემ — ალანი (შდრ. ირონ). ქართველები კი ორივე ტომს იცნობდნენ და ამიტომ ძველ ქართულ წყაროებში ჩვეულებრივ არა ერთ-ერთი სახელი, არამედ ორივე ერთად — **ოვსნი და ალანი** — იხსენიებიან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ **ოსი და ალანი** ერთი და იმავე ტომის ორი სახელი კი არაა, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ **ერთი ხალხის ორი ტომია**, რომელთაგან იასები უფრო სამხრეთ რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ, მაშასადამე რუსებს მეზობლობდნენ და სწორედ ამიტომ იცნობდნენ რუსები ოსებს უმთავრესად იასის სახელით, ხოლო ალანები მათგან აღმოსავლეთით (შდრ. დარ-ი-ალან — ალანების ანუ ოსების კარი) სახლობდნენ და ამიტომ მათ ამ სახელით იცნობდნენ სომხები.

ოსების დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, მასობრივად დაძვრის ძირითად მიზეზად მათზე ჰუნებისა და მათგან შევიწროებული ადგილობრივი ტომების თავდასხმები ითვლება.

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოსების მოძრაობა გააძლიერა აგრეთვე ჯერ სამხრეთი რუსეთისა და შემდეგ დასავლეთისა და ჩრდილოეთი კავკასიის ადგილობრივი ტომების ექსპანსიამ. და უეჭველად საგულისხმოა აზრია ის, რომლითაც ოსებს კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კავკასიელ **ხალხებს შორის ეძებნება** თავისი ისტორიული **ადგილი** და ისინი აქ ახალ **კავკასიურ ტიპად ჩამოყალიბდნენ**. სახელდობრ, ძველ მკვლევართაგან განსხვავებით, ჯერ ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ოსები რომელიღაც მოსული ირანული ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან; მათ დამხვდური მცხოვრებნი არც გაუქულებიათ და არც გაწყვეტილან, არამედ შეხამებიან, მოხდა ასიმილაცია და ამის შედეგად წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი.

ვ. აბაევი ასკვნის: „**ოსურში ჩვენ საქმე გვაქვს კავკასიურის არა მარტო გავლენებთან, არამედ სუბსტრატთან... ოსების ეთნო-ლინგვისტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც მხოლოდ გარეგანი, უცხოური ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორიც**“³.

ქართველების შეხვედრები ოსებთან ჯერ კიდევ ფარნაოზ მეფის

³ ვ. აბაევი, იქვე, გვ. 80 (ხაზი ჩვენია ი. მ.).



დროს ჩანს. ამაზასპის შემდეგ გორგასალამდე კი ასფაგური⁴ აგრო-
ვებს ოსთა ჯარს დარიალის გადაღმით (იხ. ქვემოთ — ცხინვალი).

„ქართლის ცხოვრება“ გაცაკასიელებული ოსების საქართვე-
ლოში პირველშემოსვლის თარიღად ქართლის მეფერამეტე მეფის,
ფარსმან III-ის ძის ამაზასპის (182—186 წ.) დროს ასახელებს.
ამისა მეფობასა „გარდამოვიდენ ოვსნი,“ სპანი დიდნი, „გზასა დვა-
ლეთისასა“ და რვა დღე დარჩენენ აქაო...

ვახტანგ გორგასალსა და ოს-ბალათარს შორის შეჯახების დროს
ვახტანგმა გაიმარჯვა; ქართველებმა და ოსებმა ზავი შეკრეს, იგი
დადვეს სომხებთანაც და „მიერთგან იქმნეს მოყუარენი სომეხნი და
ქართუელნი და ოვსნი და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“⁵
ე. ი. მაშინდელი საერთო მტრის — სპარსელების წინააღმდეგო,
იუწყება მემატინაჲ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობაა.

ოსები საქართველოში პირველად ჯერ დვალეთის მხრიდან
ჩნდებიან, შემდეგ კი დარიალის კარის მისადგომებიდანაც შემოდის.
დვალეთის გზით ოსთა გადმოსახლება, აკად. გ. ახვლედიანის აზრით,
VII საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს
მოძრაობა გააძლიერა არაბების შემოსევამ და საქართველოს დასუს-
ტებამ (VIII ს.), ქართველებსა და ოსებს შორის გადაჭიმული მთა-
ვარი კავკასიონი თანდათან გადმოილახა. ამას ისიც დაემატა, რომ
არაბობის შემდეგ აღდგენილმა საქართველომ ჩრდილო კავკასიის
ხალხები გაიხადა თანამებრძოლებად საერთო მტრის წინააღმდეგ.
„ქართული კულტურული გავლენა ოსებზე“ განსაკუთრებით გაძლიე-
რდა უკანასკნელთა მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღების დროი-
დან (X ს.)“

ზოგი თვლის, რომ ადრე ბიზანტიამ გააქრისტიანა ოსები და
მისი იდეოლოგიური გავლენა ოსებზე X საუკუნიდან — „საქართვე-
ლოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან, — წარ-
მატებით იცვლება ქართული გავლენით“⁷.

4 „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის
მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 56.

5 იქვე, გვ. 67—68. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის
შესავალი, წიგ. I, თბ., 1950 წ., გვ. 32, (ხაზი ჩვენია, ი. შ.)

6 З. Н. Ванеев, К вопросу о времени заселения Юго-Осетии.—Изве-
стия Юго-Осетинск. Научно-исследоват. ин-та, т. III, 1936, с. 276.

7 გ. დ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან
(უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), თბ., 1958, გვ. 247.

დიდი როლი ითამაშა დავით აღმაშენებლის მიერ ოვს-ყივ-ჩალთა შერიგებამ; ის იყო ჩრდილოეთიდან საქართველოს ზურგის გამაგრების მნიშვნელოვანი აქტი⁸.

მეზობლობა და მეგობრობა დინასტიურ ქორწინებაში გადაიზარდა, რასაც, უეჭველია, პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა. XI—XII საუკუნეებში ამგვარი სურათია: ქართველი მეფის გიორგი პირველის (1014—1027) მეორე მეუღლე იყო ოვსთა (ოსების) მეფის ასული, დედა ბატონიშვილ დემეტრესი; ბორენა (შორენა) გახლდათ ისევ ოვსთა მეფის ასული, მეუღლე ქართველი მეფის — ბაგრატ მეოთხისა (1027—1072); დავით აღმაშენებლის (1089—1125) ასული რუსუდანი ოვსთა მეფის ცოლი და ოვსთა დიდი დედოფალი იყო; ისევ ოვსთა მეფის ხუდდანის ასული ბურდუხანი არის მეუღლე გიორგი მესამისა (1156—1184) და დედა მეფეთ მეფე თამარისა. ბურდუხანს მემატრიანე უწოდებს—„მზე-მზეთას შუენებითა⁹. თამარ მეფას მეორე ქმარი — დავით სოსლანი (1189—1207) გახლდათ „ორთავე კერძთა გვართავან სახელმწიფოთა“ შთამომავალი, — „დედით ბაგრატიონიანი; მამით ოსთა მეფეთა ძე“, „ნაკუთად კარგი, ზეჴბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი“, შეუპოვარი, საქართველოს მხედართმთავარი¹⁰.

ეს ნათესაური კავშირები მყარდებოდა არა მხოლოდ უმაღლეს, არამედ საშუალოსა და დაბალ ფენებშიც. ტრადიციები გრძელდებოდა და მსგავსი შეუღლებები ჩვენს დროში ხომ კიდევ უფრო ხშირია. ოსების გადმოსახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთით შემდგომში გააძლიერა მონღოლების შემოსევამ. ცნობილია, რომ „მონღოლები მხარს უჭერდნენ ოსებს, რათა ქართველ ფეოდალთადმი მათი დაპირისპირებით საქართველოში თავიანთი ბატონობა განემტკიცებინათ“¹¹. ოსებს კარგად ესმოდათ, რომ მონღოლები მათი და ქართველების საერთო მტერნი იყვნენ — ორივე ეს ხალხი ერთად ებრძოდა მათ და სხვა თავდამსხმელებს.

საქართველო-ოსეთის „პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა XIII—XIV საუკუნეებში“ შეიქმნა საფუძველი „შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა დასახლებისა“¹².

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 199.

⁹ „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, წ. II, თბ., 1959, გვ. 4.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 259.

¹¹ გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

¹² იქვე.



კავკასიის მთიანეთიდან ოსთა მოძრაობა ქართლის ბარისაკენ „დასტურდება საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ისტორიის მთელ მანძილზე“, რაც შედეგი იყო მთური მეურნეობის სიძნელისა და ჩრდილოეთიდან სხვა ხალხების მოწოლისა¹³.

საქართველოში წინათ დასახლებულ ოსებს ემატებოდა ახალ-ახალი ნაკადები, XVI—XVIII საუკუნეებში შემოსულნი უმთავრესად საქართველოს მთიან ნაწილებში, ლიხვის, ქსნის და არავის სათავეებში სახლდებიან¹⁴.

ოსებს კარგად ეპყრობოდა და კულტურულ საქმიანობაში ხელს უწყობდა არჩილ მეფე (1647—1713 წ.), იცავდა მეფე ვახტანგ VI (1703—1716), ოსების დიდი მოამაგე იყო ერეკლე მეორე, მისი დავალებით შეისწავლა ანტონ კათალიკოსმა ოსური ენა. იგივე ანტონი იყო შემდეგ ოსეთის საქრისტიანო კომისიის მეთაური; თელავის სემინარიის (ოსებიც სწავლობდნენ) რექტორის გაიოზ ნაცვლიშვილის მეშვეობით 1770 წელს მოზდოკში და შემდეგ ყიზლარშიც ოსური კერძო სტამბა გაუმართავთ. მეფე ერეკლე მეორის აღზრდილად ითვლება ოსთა განმანათლებელი ივანე იალღუშიძე (გაბარაშვილი, გაბრავეი, გაბარათი).

ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრელი ოსების ერთიან წარმომავლობას. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: დვალებს „ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უზნობენ ოსურსა“¹⁵. ვ. გამრეკელი¹⁶ განმარტავს: ვახუშტის აზრით, დვალური უფრო ჩერქეზულს უახლოვდებაო.

ოსოლოგი ვასილ აბაევი კატეგორიულად უარყოფს ამ აზრს. იგი წერს: სამხრელი ოსობა რომ ჩრდილოელი ოსობის გაგრძელებაა, ეს ანთროპოლოგიურად და ეთნოგრაფიულ-ლინგვისტურად არავითარ ეჭვს არ იწვევსო.

აღრევე იაკობ გოგებაშვილიც „ბუნების კარში“ აღნიშნავს:

13 ვ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა. 1801—1821 წწ., თბ., 1969, გვ. 59; შდრ. მიჩიგე, „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XVIII სს.), თბ., 1969.

14 ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 71.

15 დასახ. გეოგრაფია, გვ. 110.

16 В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тб., 1961 г. с. 38—40. შდრ. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის — კრებ. „მომომხილველი“, 1949, გვ. 113—114, იხ. აგრეთვე ვ. ახვლედიანის წერილი სამხრეთ ოსეთის საკვლევი ინსტიტუტის „იზვესტიაში“ ტ. XXII, I, 1960, გვ. 28—40.



ოსებს „უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა... ზოგნი მათგანი ცხოვრობენ ქედს იქით, ქედის ჩრდილო კალთებზედ; ზოგნი — აქეთ, სამხრეთის კალთებზედ. ამის გამო ოსეთი ორ ნაწილად განიყოფება — ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად. ოსებს მთლიანად „ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან“. აქეთა ოსები ჩვეულებებით ქართველებს უახლოვდებიან, იქეთა — რუსებს¹⁷.

6. მარიც დიდი ოქტომბრის რევოლუციამდელ ოსებზე წერს: ჩრდილო ოსების კულტურული ორიენტაცია, რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსულია; სამხრეთ ოსებისა კი — კვლავ ქართულია.

ენობრივი მონაცემებით ვ. აბაევი თვლის, რომ ჩრდილო ოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ზოლო სამხრეთ ოსური — ქართული ენისა. ეს იმის შედეგია, რომ აქეთა ოსეთი უმეტეს ნაწილად „საქართველოს მეფეებს ეკუთვნოდათ, ჩრდილო ოსეთი ცალკე სამთავროს შეადგენდა¹⁸. ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული კავშირები ქმნიდნენ ამის საფუძვლებს¹⁹.

1801 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და მისი გუბერნიებად და მაზრებად დაყოფის შემდეგ დიდი ლიახვის ხეობა მთლიანად გორის მაზრაში შედიოდა. ამ მაზრის ნაწილს ჯავიდან დაწყებული როკა-ერმანის გადასასვლელამდე ოსების უბანი (Осетинский участок) ეწოდებოდა (იხ. ქვემოთ: გუფთა, ჯავა). მაგრამ ოსები ფაწისა და პატარა ლიახვის ხეობებსა და საქართველოს სხვა მიდამოებშიც სახლობდნენ.

საქართველოში მენშევიკების გამგებლობის დროს 1917—1920 წლებში ოსები უალრესად შევიწროებულნი იყვნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ტერიტორია 3800 კვ. მ., მოსახლეობა 1939 წ. 60350 სული, 1981 წ. კი — 97400) და ოსებს მიეცათ განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა.

17 ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 6, თბ., 1956, გვ. 655

18 ი. გოგებაშვილი, იქვე.

19. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XVII სს.), თბ 1969. აგრეთვე Г. Д. Тогошвили, Взаимоотношения грузинского и осетинского народов в XV — в начале XX вв. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1971 г., стр. 10; Б. Калоев, Осетины, 1971 г., стр. 283, 296.

ოსების აღრინდელ წინაპრებსაც საქართველოში უშენებიათ საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობანი.

ყურადღებას იქცევს ის სამწუხარო გარემოება, რომ მთელს ლიახვის აუზში უძველეს წარწერებსა და უახლესს შორის დიდი ხარვეზია. VIII—XIII საუკუნეების ისტორიული ნაგებობანი ერთბაშად და ერთდროულად დანგრეულად გვეჩვენება უმთავრესად XIV—XV საუკუნეებში. გვექმნება შთაბეჭდილება: მიწისძვრა, მტრის ხელი და მოსახლეობის სამეურნეო ინტერესები თითქოს ერთდროულად დატრიალებულიყოს...

შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებო ძეგლი აღარც კი ჩანს XVII საუკუნემდე, და უკვე არა საკულტო, არამედ საცხოვრებელი და თავდაცვითი სიმაგრეები იგება: წარწერებიც ძირითადად ახალქართული ასოებით გვხვდება.

რევოლუციის პირველ წლებში გაძლიერებული ანტირელიგიური პროპაგანდის გამო საკულტო ნაგებობები კვლავ ზიანდებოდა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში, ვ. ი. ლენინის სპეციალური ბრძანებითა და ა. ვ. ლუნაჩარსკის უშუალო ხელმძღვანელობით, დაიწყო ისტორიული მნიშვნელობის სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვა.

* საქართველოში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 4 ივნისის ბრძანებით (№ 59), დაარსდა განათლების სახალხო კომისარიატის სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება (გამგე ს. კაკაბაძე). ამავე წლის შემოდგომიდან დაიწყო სიძველეთა აღრიცხვა და მათთვის მეთვალყურეთა მიჩენა. მაზრებში საქმე შედარებით ნელა წარიმართა, მაგრამ მაინც წინ წაიწია.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების უმრავლესობა 1925 წელს აღირიცხა თარიღების გარეშე²⁰.

შემდეგ სიძველეთა დაცვის ეს განყოფილება საქართველოს მუზეუმს დაექვემდებარა და მასშივე მოთავსდა. მისი საპატიო თავმჯდომარე იყო მთავრობის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, გამგე კი — ისევ ს. კაკაბაძე.

მათი დავალებით 1928—1931 წლებში შევავაროვეთ სხვადასხვა მასალები. ს. კაკაბაძეს, გ. ბოჭორიძეს, შ. ამირანაშვილს, დ. გორ-

²⁰ სიძველეთა დაცვის განყოფილების „ბიულეტენი“, 1926, № 2, გვ. 24—26.

დევესა და სხვებსაც ვახლდით და ვათვალისწინებდით სიძველეებს. ჩამოგვექონდა თბილისში არაერთი წერილობითი დოკუმენტი და ნივთიერი სიძველეც²¹.

ლიახვის ხეობაში არსებულ ისტორიულ ძეგლებს, ადგილობრივ ქართველთა კილოური მეტყველების შესწავლასთან ერთად, ჯერ კიდევ 1940 წლიდან ვაქცევდით ყურადღებას. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ (განსაკუთრებით 1948 წლიდან) მაშინ დოც. ალ. ლლონტა და წინამდებარე სტრიქონების ავტორმა, რომლებიც, როგორც ჩამსვლელი ლექტორები, ვკითხულობდით ლექციებს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში²², მივმართეთ ოლქის ხელმძღვანელებს, რათა სიძველეთა დაცვას მეტი ყურადღება მიქცეოდა. ხელმძღვანელებმა ზოგი ღონისძიება ფრიად ოპერატიულად განახორციელეს.

ადგილობრივი სიძველეების მნიშვნელობისა და დაცვის შესახებ მოხსენებით გამოვდიოდით ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონებში. სტუდენტების, პედაგოგებისა და სხვათა მონაწილეობით ვაწყობდით ექსკურსიებს, რის შესახებ გაზეთებშიც იბეჭდებოდა. ერთ-ერთი ამგვარი კორესპონდენციის ტექსტს (მასში ცხინვალის სახელწოდების აღდგენით) აქვე ვიმეორებთ იმიტომაც, რომ მასში ექსკურსიის ხასიათისა და გათხრების შესახებაცაა ცნობები.

21 ასე მაგალითად, 1929—1930 წლებში ჩამოვიტანეთ და საქართველოს მუზეუმს ვუძღვეინთ: ლიხაურის მხედარულწარწერიანი ზარი, შემოქმედის ტაძარში დაცული ზარზმის ეკლესიის ვერცხლის მოოქრული ასომთავრული წარწერიანი წმინდა გიორგის ხატი, ვანისქედიდან ხატი ქრისტეს ჯვარცმისა, მეწიეთის ეკლესიის ნანგრევებიდან ფრესკებიანი კედლის ფიკრები (7 ცალი), ხილისთავიდან რკინის გუმბური (ჯოხი), ქვის ჩიბუხები და სხვა, აცანის ოქონის ეკლესიიდან ვერცხლის ბეჭედი ქარაგმიანი წარწერით (გახსნილ — მიტროპოლიტი), ვახტანგ გურიელის ოჯახიდან (ს. სულსა) ვახტანგის ქვრივის ჯახანა დადიან-გურიელის სპილენძის რაზტი (ქალის უნაგირი). რომელიც მისთვის დედამთილს ეძღვნა და სხვა. ზნეხედიანი გურიელის ოჯახისა ყოფილა ადრე ის ძვირფასი უნაგირი, რომელიც შემდეგ ინგლისში შერეაშიძისაგან შეუძენია პროფ. უილიამ ალენს და 1967 წელს საქართველოს მუზეუმს უსახსოვრა. იხ. ჩვენი წერილი „უილიამ ალენი“. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ. 28 დეკემბერი, გვ. 2.

22 Ю. С. Гаглойти, Л. А. Чибиров, Юго-Осетинский государственный педагогический институт, Цхинвали, 1980, с. 97, 117—118, 121—123. აგრეთვე — რ. ჩ ე თ ი, ოსური კულტურის კერა თბილისში. XVII—XIX ს. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის კრებული „მ ე გ ო ბ ა“, თბ., 1983, გვ. 162.

არქეოლოგიური გათხრები ცხინვალში

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ლექტორებმა და სტუდენტებმა დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ცხინვალის კაჯავეის სახელობის ხე-ტყის კომბინატის მიდამოებში მიმდინარეობს.

მათ ნახეს სამი სამარხი, რომელშიც ადამიანები დასაფლავებულიანი აღმოჩნდნენ მოკუნტულად; გარდიგარდმო უწყვიათ შავი კერამიკის (თიხის) ჭურჭელი: პირველში — 13, მეორეში — 7 და მესამეში — 8. სამარხებში აღმოჩენილია აგრეთვე მძივები, ჭიქა-ბარძიმი (ვულკანური შუშა) და სხვა ნივთები. ადამიანთა ჩონჩხებთან ერთად აღმოჩენილია ცხოველთა ძვლები, რაც მიცვალებულებთან ერთად სააღაპო (შესაწირავი) ცხოველების ჩამარხვის წესზე მიგვითითებს.

აღნიშნულ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბორის კუფტინი, მისი თანამშრომელი სერგო ნადიმაშვილი და მხატვარი-რესტავრატორი ოლღა კიროვა.

მეცნიერთა შეხედულებით, ამ სამარხებში აღმოჩენილი ძვლები 22—25 საუკუნის წინანდელ იმ ადამიანთა ჩონჩხებია, რომელთაც ამ ტერიტორიაზე უცხოვრიათ²³.

ეს გარემოებაც აძლიერებდა ინტერესს ადგილობრივი სიძველეებისადმი, ხსენებულის მსგავსი ექსკურსიები ჩვენი ცხინვალში მუშაობის დროს 1949—1954 წლებშიც მეორდებოდა²⁴. ქვეყნდებოდა სათანადო ცნობებიც და დავებქდეთ სპეციალური ვრცელი მიმართვაც „დავიცვათ ისტორიული ძეგლები“, რომელშიც ჩამოთვლილი და ძირითადად დათარიღებულიც იყო ადგილობრივი სიძველეები²⁵.

კიდევ უფრო არსებითია ის, რომ ისევ ლიახვის აუზში დაცულ სიძველეთა შესახებ, საერთო სათაურით „დიდი ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები“, 1950—1928 წლებში გამოვაქვეყნეთ ნაშრომი 17 ნაკვეთად (სია იხ. ქვემოთ რუსულ რეზიუმეში)²⁶.

²³ ვახ. „საბჭოთა ოსეთი“, 1949., 4 დეკემბერი, № 237 (შდრ. ქვემოთ — ცხინვალი).

²⁴ იგივე გაზეთი 1953. 30 მაისი, № 105.

²⁵ იგივე გაზეთი, 1954. 28 მაისი, № 104.

²⁶ იხ. ი. მეგრელიძის ნაბეჭდ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (1930—72). — კრებული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთაველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973; ცალკე გამოცემა ახალი პაგინაციით — 1973 წ., 62 გვ. აქ სათანადო ნაშრომის ქვეშ დასახელებულია, თუ მის შესახებ სად რა დაიბეჭდა.

ნაშრომის გამოქვეყნებულმა თავებმა დიდი გამოხმაურება პოვა ქართულად, რუსულად და ზოგიერთ სხვა ენებზე²⁷. ყურადღება მი-
ექცა იმ გარემოებასაც, რომ წინამდებარე წიგნში აღწერილი რამდე-
ნიმე ძეგლი უკვე აღარ არსებობს, შემოგვრჩა მხოლოდ ცნობები და
ზოგის ფოტოსურათი, რაც ზრდის ნაშრომის მნიშვნელობას.

რიგი ახალი დამატებებით ქვეყნდება წინამდებარე ნაშრომი,
ოლონდ. აქ წარმოდგენილია მხოლოდ მდინარე დიდი ლიახვის ხეო-
ბის მიდამოებში (გორი-ცხინვალი-როკა-ერმანი) შესწავლილი სიძვე-
ლეები ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ზოგი მასალითა და ცნობე-
ბითურთ.

ანალოგიური ნაშრომი პატარა ლიახვის, ფრონისა და ფაწა-ჭე-
ჯორის ხეობათა სიძველეების შესახებ ცალკე გამოიცემა.

აქ აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რაგვარ სიძნელებს
აწყდება მკვლევარი ეპიგრაფიკული ძეგლების მოპოვებისა და
გაშიფრვისას. თავ-თავის ადგილზე აღნიშნული გვაქვს, რა განსხვავე-
ბებია ჩვენსა და სხვათა წაკითხვებში. ჩვენი ნაშრომის I—XII ნა-
კვეთთა გამოქვეყნების შემდეგ გამოიცა რ. მეფისაშვილისა და
ვ. ცინცაძის შესანიშნავი ნაშრომი „Архитектура нагорной части—
исторической провинции Грузии — Шида-Картли (თბილისი,
1975), რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი წაკითხვებიც, მაგ-
რამ, რატომღაც, წყაროები დასახელებულია მხოლოდ ლიტერატურის
სიაში, განსხვავებათა აღნიშვნისა და გვერდების დასახელების გა-
რეშე, რაც არაა მართებული.

სასტამბო პირობების გამო, იძულებული ვართ ძველქართული
ასოები ახალქართული ასოებით შევცვალოთ. ანაწყობში წარწერათა
მოხაზულობა მაინც არა ჩანს და ასოთა ასეთი შეცვლა დასაშვებია
ისევე, როგორც ეს ხელნაწერთა გამოქვეყნებისასაც ხდება.

აქ წარმოდგენილია სხვა სამუშაოების პარალელურად სხვადა-
სხვა დროს 35-ზე მეტი წლის განმავლობაში მიმდინარე კვლევა-ძიე-
ბისა და ნაფიქრ-ნააზრევთა ნაწილი, რაც კერძო ინიციატივითაა შეს-
რულებული და არა სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯზე.

დაბოლოს, მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებულნი:
ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი,
ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გიორგი ლეონიძე, სარგის კაკაბაძე; აგრეთვე

²⁷ მაგ., იხ. სსრკ მეცნ. აკადემიის ორგანო „Эпиграфика Востока“ (რედა-
ქტორი პ.ო.ფ. ვ. ა. კ რ ა ჩ კ о в ს კ ა ი ა) ჩვენი ნაშრომების I—X ნაკვეთებს გა-
მოხმაურა. იხ. ჟურნ. ტ. XII (1958, გვ. 128—129; ტ. XV, 1971) და სხვა.

ალექსანდრე ბარამიძე და შოთა ძიძიგური, რომლებიც დიდი თანა-
გრძნობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს. არქეოლოგმა ალექსანდრე კალან-
დაძემ და ისტორიკოსმა გიორგი თოგოშვილმა კი ჭაერთიანებული ნა-
შრომი წაიკითხეს და აზრები გაგვიზიარეს. გულთბილი გრძნობით ვი-
გონებთ ზემოთ დასახელებული ხეობების მცხოვრებ იმ ქართველ და
ოს ადამიანებს, განსაკუთრებით — ლიახვის ხეობის ზედა ნაწილისა
და ფაწა-ჯეჯორის მიდამოებში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ადგილ-
ებზე უანგაროდ გვიწყობდნენ ხელს სახიფათო ტექნიკური სამუ-
შაოების შესრულებისასაც კი.

გამოცემის ღირსება-ნაკლოვანებებზე სიტყვა ისევ ობიექტურ
მკითხველს ეკუთვნის.



K 252-334
3

თ ა ვ ი I

მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირი

(გორი — ზალდა)

ზოგიერთი ცნობა დიდი ლიახვის ხეობის შესახებ¹

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შემავალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ერთ ნაწილს მდ. დიდი ლიახვის ხეობა წარმოადგენს.

მდინარე დიდი ლიახვი იწყება კავკასიონის ქედის ერთ-ერთ განშტოებათაგანის — ყაღასანის უღელტეხილის — მყინვარებიდან, — 2500—3000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს მდინარე გაივლის 85 კმ-ს და ერთვის მდ. მტკვარს მარცხნიდან ქ. გორთან. დიდი ლიახვის აუზი 1500 კვ კმ-მდე ფართობს შეიცავს².

ამ ხეობის ბუნება ლამაზი და ნაირფეროვანია. იგი იწყება მაღალი ალპური მთების სათავეებში, გრძელდება წიწვოვანი და ფოთლოვანი ფლორით ხეობის შუა წელში (სადაც კურორტი ჯავა მდებარეობს) და მთავრდება მინდვრებით ბარში. მდ. დიდ ლიახვს წვერთვის რამდენიმე ათეული მინერალური წყარო. ამიტომ მდ. დიდი ლიახვის წყალი „სასმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივია“, ხეობის მიწა ნაყოფიერია. „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი“³.

¹ მოხსენა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას 20. IV. 1955. (იხ. სესიის თეზისები, ცხინვალი, 1955., გვ. 39—41).

² Н. З. Пирадашвили, Курорт Джау, ცხინვალი, 1954, გვ. 11.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941., გვ. 75. (ქვემოთ ამ ნაშრომს აღვნიშნავთ შემოკლებით — ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია).


ეს გეოგრაფია უკვე გამოქვეყნებულია ავტორისეული მთლიანი დედნის მიხედვით—„ქართლის ცხოვრების“ IV წიგნში—ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (თბილ. ი. მეგრელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო ვ ნ ე უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა

ეს ხეობა უძველესი დროიდანვე ყოფილა დასახლებული მის მა-
ღალ ნაწილშიც კი. აქ ზილდეს პლატოზე მდებარეობს ისტორიულად
მნიშვნელოვანი და სათანადო ლიტერატურაში უკვე აღწერილი მე-
გალითური, ანუ ციკლოპური, ნაგებობა ზილდე მასივ (ანუ მა-
შიგ)⁴.

გორი

გორის ტერიტორია წარმოადგენს ერთგვარ ნახევარკუნძულს
მდ. ლიახვს, მდ. მეჯუდასა (ვახუშტით — მეჯვდა) და მდ. მტკვარს
შორის. მისი ზედაპირი ქვაბურია, რომელსაც აკრავს მთები: კვერ-



სურ. 1. გორის ციხე. ჩრდილოეთი მხარე

ლისი, 1973). ჩვენი ნაშრომი უფრო ადრეა დაწერილი და მიეუთითებთ. თ. ლო-
მიურისა და ნ. ბერძენიშვილის 1941 წლის გამოცემას, მაგრამ დაინტერესებულ
პირს სათანადო ადგილები ადვილად შეუძლია იპოვოს ახალ გამოცემაშიც მასზე
დართულ „საკუთარ სახელთა საძიებლის“ მიხედვით (გვ. 971—1100).

⁴ ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ.,
1938, გვ. 10—11.

ნაქის, რუისისა და ბურეთისა გორიჯვრითურთ. ქვაბურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია **ბორცვი**, რომლის გამოც, როგორც შენიშნულია, ჰქვია ამ ადგილს **გორი**, და რომელზეც **გორის ციხეა** დაშენებული⁵.

ძველი გორი ითვლებოდა შიდა ქართლის გულად. იგი მდებარეობდა იმ დროისათვის დიდ გზაჯვარედინზე და ამასთანავე ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ პუნქტთა შორის, როგორნიც იყვნენ: გამოკვეთილი ძველი ქალაქი კლდეში **უფლისციხე**, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მის პირისპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე **ქვახვრელი** (მიწის ქვეშა მღვიმე-დარბაზები), ს. ხიდისთავი, შემდეგ — ატენის ხეობა (ციხე, ატენის სიონი VII—IX სს. და სხვა), წრომი (VII ს.), ურბნისი, ტყვიავი (ნაჰარმაგვეითურთ) და სხვა.

სარწმუნოა, რომ გორის ციხის ბორცვი კიდევ უფრო ადრე იყო გამაგრებული. ციხის არსებითი რეკონსტრუქცია ჩაუტარებიათ XVII ს. როსტომ მეფეს. 1744 წელს — ერეკლე მეორეს (ამას კედლებისათვის ქვედა ზოლი შემოუვლია და ციხეში დარბაზი და ზარბაზნები დაუდგამს). ციხე და შიგ აღმართული ეკლესია ძალიან დაზიანებულია 1920 წლის მიწისძვრისაგან.

ციხესიმაგრე ბორცვიდან 55—60 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს: შიგა ფართობი დაახლოებით 170×30 მ-ია; ციხეს ჰქონია მიწისქვეშა გვირაბი, ე. წ. ცხრაკარიანის ჩრდილოეთიდან 30—40 მ. სიგრძისა (კ. მელითაური).

გორის ისტორიის შესახებ ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ, რადგან არსებობს გ. ბუხნიკაშვილის პოპულარული ხასიათის მოზრდილი წიგნი „გორი“ (ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე ოცდაათიანი წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ გამოიცა), აგრეთვე **სპეციალური მონოგრაფია** დ. გერიტიშვილისა „გორის ისტორია“⁶. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ უკანასკნელის თქმით: „პირველი ცნობა, სადაც გორი იხსენიება, შემოუწინახავს მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ჯუან-

⁵ ვადგენთ ჩვენი კუთხით მიმოხილული სიძველეების მხოლოდ რამდენიმე ძეგლის ფოტოილუსტრაციას და უმთავრეს წარწერათა მონახაზებს.

ფოტოსურათთა უმრავლესობა გადაღებულია წიგნის ავტორის მიერ; ნიქოზ-ციხეხალის სურათების ნაწილი გადაიღო ბ. ბაგაევი (1931 წ.), ხოლო ფულთა ჩანახატები კ. კვეციას ეკუთვნის. წარწერათა მონახაზთაგან №№ 7, 35, 38 იმეორებს რ. მეფისაშვილის მონახაზებს. №№ 54, 55, 57 — ნ. ანდლულაძის, ხოლო № 50 — ლ. რჩეულიშვილისას (იხ. სურათების სია).

⁶ თბილისი. 1954.

შერს“. ნამდვილად კი გორი მოხსენიებული აქვს უფრო ადრინდელ ავტორს — მეათე საუკუნის სომეხ ისტორიკოსს შაპუჰ ბაგრატიუნს (ს. კაკაბაძე) და შეიძლება კიდევ უფრო ადრეც იხსენიებოდეს.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ მიხედვით გორი „არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ, გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო [რომელი არს ოქროს მთა] და ჰყო საფლველად საგანძურთა“. არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა“ (გვ. 73—74).

თქმულება, რომელიც გორის აღმშენებელს მიაწერს⁷, სწორი არაა. ცხადია კი, რომ დავით აღმაშენებელმა გორი განაახლა და გააფართოვა. ცნობილია, რომ მან გორს ახალი მოსახლეობა შეჰმავა. საქართველოზე გაწეული დიდი ამავის გამო მშობელმა ერმა ამ დავითს აღმაშენებელი უწოდა, ხოლო ქართულმა ეკლესიამ იგი წმიდანად აღიარა და მას 26 იანვარს (ძვ. სტ.) მოიხსენიებს.

არც იმ გადმოცემის ცნობაა სწორი, რომლითაც გორის შექმნა და გორის ციხის აგება თამარ მეფეს მიეწერება. ხალხმა მიაკუთვნა ამ მეფეს ბევრი ისეთი საქმეც, რომელიც მას არ შეუხსრულებია (თუმცა ზოგჯერ ისეთიცაა დავიწყებული, რომელიც სწორედ მას ეკუთვნის). თამარ მეფის შესახებ ბევრი ფანტასტიკური გადმოცემაც შეიქმნა. თამარ მეფე ქართულმა ეკლესიამ ნეტარად აღიარა და 1 მაისი (ძვ. სტ.) თამარის დღედ დააწესა.

აღნიშნული გადმოცემები თუმცა სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ, როგორც გადმოცემები, მაინც საინტერესონია და მათ ტექსტებს (ცალკეულ სიტყვათა ორთოგრაფიის გასწორებით) აქვე ვათავსებთ.

ერთ-ერთი ასეთი გადმოცემათაგანი გვაუწყებს:

„თამარ მეფის დროს გორის ბორცი შეადგენდა ნახევარკუნძულს მტკვრის, ლიახვის და მეჯულის წყლებს შორის. აქ იყო საშინელი მორევი, გარეშემო მხარე უღრან ტყეებით იყო შემოსილი. ჯერ ისევ გასათხოვარი თამარ მეფე მობრძანდა სანადიროდ, ბინად აირჩია მთა გორისა. მონადირეები შევიდნენ ტყეებში სანადიროდ, და მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდნენ დიდძალ ნანადირევით. მრავალი იყო

⁷ ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943 გვ. 48.

მოკლული ღორი, ირემი, ხოხობი და სხვა. მხოლოდ არ ჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. აათვალ-ჩაათვალიერეს და დაინახეს, რომ მიმინო იჯდა გორის ბორცვის კლდის გამოშვებრილ ჭიუხზე. თამარმა ბრძანა: „ვინც მოშგვრის მიმინოს, აეუსრულებ რასაც მთხოვს“.

დედოფლის დავალების აღმსრულებელი არ ჩანდა. ამალიდან უტბად გამოვიდა მშვენიერი ჭაბუკი. ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორისიდან⁸, გადახტა აბობოქრებულ მორევში, მძლავრი მკლავები და ფეხები შეათამაშა, მარდად გასცურა, მიმინო ხელთ იგდო და ცურვითვე მხნედ მოდის; მოაღწია აქეთ ნაპირამდე, ცოტადა უკლია, ხმელეთს დაადგას ფეხი...

თამარმა გაიფიქრა: „პირობა დავუდე, რასაც მთხოვ, აგისრულებო; ხელი რომ მთხოვოს!“

თამარს შეაყრჟოლა, გულში შეევედრა ღმერთს: „თუ აგეთი განზრახვით მოყავს მიმინო, ღმერთო, ჭაბუკი მორევს მიეცი“.

ეს გაიფიქრა და წყალმა ჩაძირა გმირი. შეწუხდა თამარი და ცოდვის მოსანანიებლად ეს კეთილი საქმე ქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დაწრიტა, თვით ბორცვზე კი აავო მაგარი გორისციხე⁹.

ამავე თქმულებას შეიცავს ძირითადში ის მესტირული ლექსი, რომელიც პროფ ალ. ხახანაშვილს აქვს შეტანილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“¹⁰.

ცნობილია ამავე სიუჟეტზე აგებული ლექსი ვ. ლ. ველიჩკოსი „გორის კოშკი“, რომელიც შეტანილია ვ. ველიჩკოს „აღმოსავლური მოტივების“ I ტომში.

ალ. ხახანაშვილის აზრით, ეს ხალხური ლეგენდა შემდეგ გამოყენებულია გორიჯვრის ეკლესიისა და მისი გალავნის აგების შესახებ არსებულ თქმულებაში¹¹.

არქეოლოგიური გათხრებითა და ისედაც ნაპოვნი ნივთების მი-

⁸ ეს შიგ გორში უნდა ყოფილიყო და ის გორისა არ უნდა იყოს, რომელზეც (გორიჯვრის მახლობლად, გორის რკინიგზის სადგურიდან დასავლეთით) ეკლესია მდებარეობს (იხ. ქვემოთ).

⁹ მ. გ. ჯანაშვილი, თმარ მეფე, თბ. 1917, გვ. 102—103.

¹⁰ ტომი I. მოსკოვი, 1895, გვ. 62—62 (რუსულად).

¹¹ ალ. ხახანაშვილი იქვე ასახელებს გაზ. „კავკაზის“ №№ 117, 118, 134, და 139-ს 1887 წლისა, რომლებშიც დაბეჭდილია წერილი „გორი და მისი მიდამოები“.

ხედვით გორი ძვ. წ. III—II საუკუნეებში უკვე მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა¹². იგი არც განმარტოებული დაბა ყოფილა, — მას ირგვლივ სოფლები რტყმაია. კიდეც მეტიც, — გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოდგენილია ტყვიავის გათხრებისა და ლიახვის, ფრონისა და მეჯუდის ხეობების არქეოლოგიური დაზვერვების დროს შეკრებილი მასალა (ს. მაკალათიას, ბ. კუფტინის, ს. ნადიმაშვილისა და სხვათა მიერ შეკრებილი კოლექციები). ამ მასალის უძველესი ნაწილი განეკუთვნება ენეოლითის პერიოდს, — III ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე¹³.

აღნიშნულ კოლექციებში წარმოდგენილია, მაგალითად, დასახლებული ეპოქის ხელსაფქვავეი, კაყის ნამგლის პირები, ჭურჭლის ფრაგმენტები (ჯამი, საჭრაქე, თავის ქალას მსგავსი ჭურჭელი, კაყის ისრის წვერები...) და სხვა.

გორისა და მის მიდამოებში ნაპოვნი ან აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, მაგ., ყობანურ-კოლხური ცულები ბრინჯაოს ზოდები, 1939 წ. აღმოჩენილი ნარეკავისა და წეროვანის ინვენტარი¹⁴ და სხვაც XII—VIII საუკუნეებით თარიღდებიან, ხოლო დვანის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი VII—VI საუკუნეების აქეთ არ მოდის.

გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის წინ, ადმინისტრაციული სახლის მშენებლობისათვის გათხრილ მიწაში, აღმოჩნდა ძვ. წ. აღ. II—I და I—II საუკუნეების არქეოლოგიური ნივთები.

1939 წ. ივნისში გორის ციხის რესტავრაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების დროსაც აღმოჩნდა ძვ. წ. აღ. III—I და I—II საუკუნეთა კულტურული ფენები.

არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც სოფ. ახრისში (მდ. ხაჩაწყლის ნაპირზე) აღმოჩნდა, I—III საუკუნეებით თარიღდებიან. ამ ნივთებს პარალელები მცხეთას, კოლხიდასა და მახარაძის რაიონში აღმოუჩნდათ.

12. დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1955, გვ. 15.

13. Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 15—64.

14. С. И. М а к а л а т и а, Археологические находки в селении Ахриси (Картли). — «Вестник древней истории», № 3, М., 1951, стр. 185.

კვერნაყის (გორაკი) სარკოფაგი ჩვენი დროის V საუკუნეს განეკუთვნება. გორის ციხის ხსენებულ სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებისას აღმოჩნდა შ. რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი კულტურული ფენაც. შემდეგ, რაც აქეთ მოვიწევთ, კიდევ უფრო და უფრო მეტი გვაქვს ისტორიული წყაროები და გორის ისტორიაც უფრო ნათლად წარმოგვიდგება.

მაგ., XI ს. დამლევიდან გორი ქალაქია. იგი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრია. XIII—XVIII სს. თავდასხმებისაგან თავდაცვის ორგანიზაციის ადგილი იყო. XV საუკუნიდან გორი ზემო ქართლის სადროშოს ცენტრს წარმოადგენდა, რომლის ამილახვრობა ზედგინიძემ მიიღო და მის საქმეებს განაგებდა სარდალი ამილახვარი¹⁵.

გორი საქარაენო გზაჯვარედინზე მდებარეობდა და XIX საუკუნეში ვაჭრობის გაძლიერების გამო გორში ხელოსნობა შემცირდა¹⁶.

მართალია, ახალია, მაგრამ მაინც ისტორიული მნიშვნელობისაა ზოგიერთი ის წარწერაც, რომელიც გორის მუზეუმში ინახება და ლიხახვის ხეობის მიდამოებშია აღმოჩენილი.

მაგ., აქ ინახება ქვა¹⁷ (ვნახეთ 10.VII.1954 წ.), რომელიც ს. მაკალათიასა და ს. ნადიმაშვილს ჩამოუტანიათ ბურეთის მთიდან (გორის სამხრეთით მდებარეობს) 1938 წ. 25 დეკემბერს. ქვაზე ქართული მხედრული ასოებით შესრულებული წარწერაა და ეხება გორიჯვარში (იხ. ქვემოთ) წყლის გაყვანას.

წარწერის ტექსტია:

„ქ. ...ევს ვახტანგის მეუღლემან ჩერქეზ(-)

ს ბატონის ასულმან დედოფალმან რუსუდან

მოვიტანეთ წყარო ესე წ(მიდ)ის გ(იორგ)ის წ(ინაშ)ე

პატრონისა ჩვენისა გამოსახსნელად(.) ცოდვათა ჩვენთა

შესანდობელად და ძეთა ჩვენთა ბაქარისა და გიო(-)

რგის აღსაზრდელად ქ(რონი)კ(ონ)ს უ(-)

წ(მიდაო) გ(იორგი)ი (,) შ(ეიწყალ)ე...“.

ქრონიკონი უ—400 = 1712 წელს.

ცხადია, რომ წარწერაში მოხსენიებული ვახტანგი არის მეფე

15 იხ. შ. ხანთაძის რეც. დ. გვრიტიშვილის მონოგრაფიის—„გორის ისტორიის“ შესახებ. — ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“ № 10, 1954, გვ. 86—89.

16 იქვე.

17 მუზეუმის ინვენტარის წიგნში № 1964. ამ ქვის შესახებ ცნობები მუზეუმის თანამშრომელმა მარეხ გიორგის ასულმა ხუციშვილმა მოგვაწოდა.

ვახტანგ VI (1703—1712), რომელსაც მართლაცდა ჰყავდა მეუღლე ლევანტო ბატონის ასული რუსუდან, და მისგან ჰყავდა ჩვენს წარწერაში მოხსენიებული ბაქარ (შემდეგ — ქართლის მეფე 1717—1719 წლებში) და შვილი გიორგიც¹⁸.

საყურადღებოა, რომ 1848 წელს გორიჯვარში ხსენებული წყლის გაყვანილობის შესახებ მეორე წარწერა არსებულა (მისი ტექსტი, რომელიც მ. ბროსემ გამოაქვეყნა, ასეთი ყოფილა:

„ქ. მეფობასა ირაკლი მეორისა, ჩვენ ქართლის სასაღარმან სარდალ ამილახვარმა ბატონმა ოთარ, მეორეთ, უამთა ვითარებისაგან წამქდარი იყო, წყალი სათავიდამ განვაახლე, მილით გამოვიყვანე წყალი, ხარჯითა ჩემითა. დიდო მოწამეო გიორგი, მიიღე მცირე სამუშაო, და მეოხ^მ მეყავ მე. მაის, ქკსა. უა“¹⁹.

ქრონიკონი უა უდრის 1713 წელს. რუსუდან დედოფალი კი ამბობს, რომ გორიჯვარის წყალი მან გააყვანინა 1712 წელს! ცხადია, რომ ერთ წელიწადში ეს გაყვანილობა ისე ვერ მოიშლებოდა, რომ ის „უამთა ვითარებისაგან წამქდარი“ ყოფილიყო და ო. ამილახვარს მისი უკვე განახლება დასჭირებოდა.

თანაც, რადგან ო. ამილახვარი წერს, რომ წყლის გაყვანილობა განვაახლე ერეკლე II დროსო, ეს ფაქტი 1713 წელს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 1762 წლის შემდეგ და მხოლოდ 1798 წლამდე, ე. ი. ერეკლე II-ის მეფობაში. ამ დროისათვის კი შეიძლებოდა რუსუდანის მიერ 1712 წ. შესრულებული წყლის გაყვანილობა მოშლილი ყოფილიყო, და, მართლაც, იგი ო. ამილახვარს განუახლებია, როგორც ქვემოხსენებული ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, 1782 წელს.

მაშასადამე, უეჭველია, სწორი იყო მ. ბროსე, რომელმაც მის მიერ გამოქვეყნებული წარწერის თარიღი — 1713 წ. — საეჭვოდ მიიჩნია და გამოთქვა აზრი, რომ აქ ქრონიკონში უნდა იყოს შეცდომა. მართლაცდა, ამაში უფრო ადვილად შეიძლებოდა შეცდომა, ვიდრე ერეკლე II ხსენებაში, უდავოა, რომ რიცხვის აღმნიშვნელ უ

¹⁸ იმავე ვახტანგ VI-ის ძის როსტომის შესახებ იხ. ჩვენი დასახელებული ნაშრომი ცხინვალის პედინსტიტუტის „შრომებში“, ტ. I, ცხინვალი, 1952, გვ. 309. ცალკე გამოცემა, გვ. 69.

¹⁹ *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en 1847—1848 ...par M. Brosset, რვეული VI, საბ.. 1851, გვ. 27—28.*

და ა ასოებს შორის, როგორც ეს მ. ბროსემაც შენიშნა²⁰, ა (60) ან ო (70) ან ბ (80), ან კიდეც უ (90) უნდა წერებულყო. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აქ ო წერებულა (1782 წ.). ეს შესწორება ახლა კიდეც უფრო სარწმუნოა, რადგან უკვე გამოქვეყნებულ ისტორიულ დოკუმენტში იხსენიება ჩვენს წარწერაში დასახელებული სამხედრო პირი ოთარ ამილახვარი. იგი სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იხსენიება და არა პირველში. მაგ., ერთ-ერთი სიგელი 1799 წელს (რომელსაც ხელს აწერს ერეკლე II მეუღლე დარეჯანი) ახსენებს სარდალ ოთარ ამილახვარს²¹; მეორე სიგელი 1792 წელს (რომელსაც ხელს თვით ერეკლე II აწერს) ასახელებს ბატონ ოთარ ამილახვარს²² და ა. შ. ეს ოთარი 1813 წელს „გენერალ-მაიორ კავალერად“ იწოდება²³.

წყლის გაყვანა მაღალ გორიჯვარზე მიღებით 2—3 კმ მანძილიდან იმ დროისათვის მნიშვნელოვანი და, უეჭველია, ხარჯებთან დაკავშირებული საქმე იყო. ამიტომ, ვინც ეს შეასრულა, თავის დამსახურება წარწერით აღნიშნა.

ო. ამილახვრის მიერ ამ საქმეზე ხარჯის გაწევა სრულიად ნორმალურია იმის გამოც, რომ გორიჯვრის ეკლესია, მისი არემარე და მეტიც, — მდ. მტკვრის ხეობის მარცხენა ნაპირი სურამიდან კასპამდე ამილახვრებს ეკუთვნოდათ.

წინათ გორიჯვრის ეკლესიაში ყოფილა კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელსაც ფეხზე ჰქონია წარწერა, და მასში ყოფილა აღნიშნული, რომ ეს ჯვარი მოვაკედინეთო:

„გივის ამილახორის ძემ გიორგიმ,
 რ(ა)თ(ა) და(გ)ვიფარო საფარველით(ა) შენითა
 დღეთა(ა) ცხოვრებისა ჩემისათა ამინ.
 ქ(რონი)კ(ონ)ს ტუე სეკდენბერს“²⁴

ტუე 1707 წელს.

გივის ამილახორის ძე გიორგიც ცნობილი პირია²⁵.

²⁰ დასახ. „მოგზაურობანი“. რვეული VI. გვ. 28. შწმ. 1.

²¹ დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან. II, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ., თბ., 1953, გვ. 198.

²² იქვე, გვ. 168.

²³ იქვე, გვ. 24, აქ წერია ქორონიკონი ფა-1813.

²⁴ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი. — თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIV, თბ., 1948, გვ. 385.

²⁵ დასახ. „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან“, II, გვ. 113.

გორის მუზეუმშივე ინახება ტყვიავის ღვთისმშობლის ეკლესიის (იხ. ქვემოთ) კედლის ერთ-ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც უფრო ადრე, საფლავის ქვა უნდა ყოფილიყო. იგი უპოვია შალვა მარადაშვილს ტყვიავშივე, ქარელების ეზოში (ციხიდან სამხრეთით) და მასვე ჩამოუტანია გორის მუზეუმში 1954 წ. დასაწყისში²⁶.

წარწერა მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილი (მუზეუმის ინვენტარის წიგნით № 7320). დასაწყისში ანგელოზია გამოსატული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით და შემდეგ მხედრულად წერია:

„ჩუბ²⁷ ლაქა შთაიბნა შესა (-)

წყალი მტუჭრი ხურსიძე დე(-)

კანოზ ივანეს ასული სალომე(,) შობით(-)

გან ლდ²⁸ წლისა(,) საღმობიერად

დამტევებული შეუღლისა

სასურველთა ორთა ძეთა

და სამთა ასულთა(,) აღმომკითხ(-)

ველნო ამის ეპიტაფიისან(,)

წინაშე ღ(ვთ)ისა მაგე ოხა(-)

ნი თქვენი!“

ისევ ბუნებრივი მარმარილოს ქვა გულის ფორმისა (იტალიური, ძვირფასი: მუხ. ინვენტ. წიგნით № 7245) ტინისხიდის მინდორშია ნაპოვნი მიწის ხვნის დროს, შეიცავს ზემოხსენებული მარმარილოს ქვის ანგელოზის მაგიერ ჯვარს (მკლავებზე და დასადგამზე შტოებით, ირგვლივ ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტებით) ქართული მხედრული წარწერით:

„ჩუღდ²⁹ წელსა(,) დეკემბრის კ³⁰.

ეპა(,) თქვენ(,) ესრეთ ბუნე(-)

ბითისა ვალსა ქვეშე შეცუღნო(,)

განსჭვრიტეთ სტიხიონსა ამას(,)

რომელსა ქუეშე უხანოჲან სოფელ(-)

მა მიმცა შთასაბნეველად და განმაშო(-)

რა საყუარელსა ჩემსა მეუღლეს და ექვსთა

26 ცნობა მუზეუმის თანამშრომელმა, ზემოხსენებულმა მ. ხუციშვილმა მოგვაწოდა.

27 1812 წ.

28 1834 წ.

29 1834 წელი.

30 უღრის 20-ს.

მცირეწლოვანთა შვილთა ჩემთა(,) ასული
 საქართველოს თავადის პაატა აბაშიძისა და მე(-)
 (უ)ლლე თავადი გიორგი ოთარის ძის ამილახვრისა
 სოფიო(?) აღმომკვითხ(ვ)ელნო(,) გთხოვთ შენდობასა(!)“

წარწერებიანი ქვები სხვებიცაა ვორის მუზეუმში, რომლებიც ლიახვის ხეობის მიდამოებიდან არაა მოტანილი, მათ არ ვეხებით.

შედარებით ახალი, მაგრამ გარკვეული საჭირო ცნობის შემცველი წარწერები ვორის ძველ ხიდზეცაა.

სადგურიდან რომ ძველ ხიდს გადავივლით, მარცხენა ბურჯის ბოძის დაფაზე ვკითხულობთ.

«1908
 Мостъ
 въ три пролета
 отверст. 41—50—41 метр.
 Изъ железо-бетона
 По системе «Геннебикъ»
 строиъ концессию.
 Неръ системы инженеръ
 Александръ Георгиевичъ
 Ротиновъ».

მცირე ბურჯის ბოძზე ისევ დაფაა წარწერით:

«Горный мостъ

пролетами — 41 - 50 - 41 метров закончен сооружением в 1908 г. ...

(4 სტრიქონი ამოფხეკილია)

... выстроен на земския
 средства за 1825 г. Р. подъ
 наблюдениемъ Губернскаго инженера
 Антонова и Заведующаго ра-
 ботами Инженера Михайлова».

გორიჯვარი

ამ სახელწოდების ქვის პატარა ეკლესია მდებარეობს ციხის გა-
 ლავანში, მაღალ, ქ. ვორის მხრიდან რომ შეხედავთ, ბოძივით აღმარ-
 თულ გორაკის მწვერვალზე. გორაკი დგას ქ. ვორის ძველი ნაწილის
 სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ოდნავ დასა-
 ვლეთით იქედან, სადაც მდ. ლიახვი შეერთვის მდ. მტკვარს. გორაკზე
 ეკლესიის მდებარეობის გამო ამ ადგილს გორიჯვარი შერქმევია.

გორიჯვრის ეკლესია ჯერ გაუძარცვავთ, დაუწვავთ და შემდეგ კი ის და ციხე კიდევ უფრო დაუნგრევია იმ ცნობილ მიწისძვრას, რომელმაც თვით ქალაქი გორიც გაანადგურა 1920 წელს³¹.

ქვემოთ ვნახავთ, რომ გორიჯვრის ეკლესიის აშენებას გადმოცემა მიაწერს თამარ მეფეს. ზუსტად არაა ცნობილი, თუ როდის აშენდა ეს ეკლესია. კახეთის მეფის — ალექსანდრე II-ის (1574—1605) დროს რომ ეკლესია კარგად ცნობილი და სახელოვანი ყოფილა, ამას ის ამტკიცებს, რომ ხსენებულ მეფეს მისთვის დიდი, ვერცხლის ფირფიტებით შემკული და წარწერებიანი, ძვირფასი ჯვარი მიუღრთმევია („...დაგისვენეთ გორის ჯვარს, ტაძარსა შინა შენსა...“)³². ამ მეფეს ცოლად ჰყოლია გორიჯვრისა და საერთოდ ქართლის გარკვეული ნაწილის მფლობელის ბარძიმ ამილახვრის ასული და ამის გამო, ალექსანდრე II-ს პატივი უცია გორიჯვრისათვის.

გორიჯვრის ქვის პატარა ეკლესია და მისი ციხე (გალავანი) სხვა სიძველეებითურთ მოკლედ აქვს აღწერილი მ. ბროსეს, რომელიც აქ იყო 1848 წლის 30 მარტს, მის მეგზურ-თანაშემწე დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილთან ერთად. შემდეგ იგი აღწერეს პ. უვაროვამ, დ. ბაქრაძემ და ბოლოს ზემოხსენებული წერილი — „გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი“ — გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ექვთ. თაყაიშვილმა, რომელსაც სათანადო ლიტერატურაც აქვს მიითებულ³³.

გორიდან გორიჯვრისაკენ მიმავლებმა — მე და ილია ბერძენი-შვილმა — გზაზე, სოფ. გორიჯვრის დაწყებითი სკოლის შენობის წინ ვნახეთ (11.VII.1954 წ.) ზარი (სიმაღლე — 42 სმ, განი — 32 სმ), მას აქვს ქართული (მხედრული) წარწერა:

- (1) „შემოგწირე მე(,) ხიდისთაველმა კატაპარიაშვილმა ქიტესამა(,) შესაკრებელი მგზავსი საყვირისა მის მეორეთ მოსვლისა ეგ სახედ სულიერთა ცხვართა მიმწოდებელი.
(2) წმიდასა ეკლესიასა შინა ესე ზარი შემოგვძღვენ წმიდის გიორ-

31 ე. თაყაიშვილი, გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, თბ., 1948., გვ. 365;

32 იქვე, გვ. 385. მეფე ალექსანდრე შორეულ გლეხებსაც უგზავნიდა საჩუქრებს. მაგ., მასვე მიუღრთმევია ზარები სვანეთის ეკლესიებისათვის (ე. თაყაიშვილი, იქვე).

33 ე. თაყაიშვილის წერილში (კორექტურული შეცდომის გამო) მ. ბროსეს ნაშრომის IV ნაკვეთია დასახელებული, ნაცვლად VI-სა (გვ. 363).

გის გორიჯვრის ეკლესიას სულთა მშობელთა და ძმათა ჩემთა საოხად და გრძელ დღეოსნობისა ჩემისა,

(3) და ძეთა ჩემთათვის სადღეგრძელოდ და(,) რომელნიც აღმოიკითხევდეთ(,) კეთილ დღეოსნობით მოგვიხსენებდეთ(,)

(4) ჩყლა წელსა(,) გიორგობისთვის თ-ს დღესა“.
ქრონიკონი ჩყლა 1831 წელს თ-9 (ნოემბერს).

ზარს მცენარეთა ფოთლოვანი ორნამენტები აქვს თავსა და ბოლოში.

სკოლის მახლობლად ბრტყელი ქვაა, მიწაში ნახევრად ჩაფლული. იგი ერთგან გახვრეტილია; ამბობენ, ცხენის მისაბმელიაო.

სოფლის სამხრეთით ქვის ეკლესიის ნანგრევია; ეს ე. წ. ჩალაზანდის საყდარია. კედელში ქვაზეა გამოკვეთილი ხატოვანი ჯვარი. ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, მიწიდან მე-5 მთლიან ქვაზე. სომხური წარწერაა:

- (1) [ჩ] ღხ: რჳჩ[ს]
- (2) ხუ ღაღაღუ ხჩხხვჩ
- (3) ღხხხღხვჩხ ხჩხღაღაღ ღჩ
- (4) ღჩჩ ხჩჩჩ ხჩ ხჩჩღაღაღ
- (5) ხჩ ხღჩჩჩჩჩ ხჩ [ჩჩ]:

ეს ტექსტი და მისი ფოტოსურათი ვუჩვენეთ თბილისში პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს, რომელმაც იგი გაშიფრა, დაათარიღა და თარგმნა:

*ჩ ღხ ჩქჩჩჩ ჩ ხა, ღაღაღაღ, ღჩხხხჩჩ ჩ ღხხხღხხხჩ ხჩხაათაღ
ღაღაღაღ ჩჩჩჩ ჩ ხა ბჩჩჩღაღაღ ჩ ხა ხღჩჩჩჩჩ ჩჩჩჩ:*

„წელსა 940 [= 1491] მე, ჯალაბმა, აღვაშენე ეკლესია ესე სახსენებლად სულისა ჩემისა და მშობელთა და ძმათა ჩემთა“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხალხურ მესხიერებას მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულის ამ ეკლესიის სახელწოდება დღემდე შემოუნახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა მას **ჩალაზანდის საყდარს** უწოდებენ. წარწერაშიც აღმშენებლად **ჯალაბ** იხსენიება. **ჩალაბ(ანდ)** რომ **ჯალაბ-ის**, **ან კიდევ ჯალაბ-ის** სახენაცვალია. ეს საეჭვო არ უნდა იყოს. **ჯალაბ**, როგორც ეს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოარკვია და სათანადო გენეალოგიური ტაბულაც გამოაქვეყნა³⁴, იხსენიება თბილისის ვანქის ტაძრის აღმშენებელ თბილელ სო-

³⁴ ლეონ მელიქსეთ-ბეგის თბილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1924., გვ. 86.

მეხთა შორის (1319—1351/2 წლებში). შესაძლებელია, ჩვენი წარწერის **ჯალაბ** თბილელი **ჯალაბ-ის** თაობათა გამგრძელებელიც იყოს, ან იმ სომეხებისა, რომლებიც გორში დავით აღმაშენებელმა ჩაასახლა. ამ ეკლესიის ირგვლივ გვიანდელი საფლავის ქვებიცაა ქართული წარწერებით.

თვით გორიჯვრის ეკლესიის,³⁵ სამხრეთ დასავლეთით — საფლავის ქვაა წარწერით:

„**განველ უმანკო ასუ (-)**

ლი ზაქარია ინდუა(-)

შვილისა ანიკო(.) ჩუპი“ (= 1890 წელს).

ერთი მამაკაცის საფლავის ქვას აწერია:

„**მომხსენენ(.) უფალო(!) საფლავსა ამასა შინა მდებარე ვარ თედო ფოცხვერაშვილი(.) გარდავიცვალე) ჩუოა წელსა ე თვის ა დღესა(.) კიკოლა ფოცხვერაშვილი“.**

ქრონიკონი ჩუოა, 1871 წლის (ე) 5 მაისის (ა) 1-ს, გორიჯვრის ეკლესიის ერთი საფლავი 1865 წლითაა დათარიღებული.

მეორე დიდი ქვა დათარიღებულია ჩუოვ (= 1876 წ.) მარტის... ერთ-ერთ უფრო საინტერესო ქვათაგანს აწერია:

„**აქ განისვენებს არქიმანდრიტი ამბროსი(.) მღვდელი, აღექსანდრე კავკასიძე(.) გარდაიცვალა 1896 წელს(.) მაისის 15 დღესა(.) შობიღგან 47 წლისა“**

სხვა ქვაზე იკითხება:

„**მომხსენენ(.) უფალო(.) საფლავსა შინა**

მდებარე სტეფან შოშიევის მეუღლე

სოფიო(.) აღმომკითველო(.) შენდობა მიბრძანეთ(!) ჩუპი.

ჩუპი = 1890 წ. (ო ხელნაწერის მოხაზულობისაა, ე. ი. კუთხოვანია).

ამ ხელის აქ ბევრი წარწერაა.

იქვე სხვა ქვაზე წერია:

„**საფლავსა ქვეშე განისვენებს გვამი**

³⁵ გადარჩენილია გალავნის ნაწილი და ეკლესიის ნანგრევები. უკანასკნელს ჩვენ დროსაც კი ძაღს ავლებდნენ გოგონები, ვაჟები ვერძს ჰრიდნენ ყურს, სისხლს ღვინოში ურევდნენ და სვამდნენ, ღმერთი თხოვნას აგვისრულებსო. ახსოვთ, რომ აქ დედაბრები ოთხფუთიან ჯაჭვს იხვევდნენ წელზე და ეკლესიას შემოივლიდნენ, ღმერთო, თხოვნა შემიბრულო. „დროება“, 1874 წ. № 451; შდრ. დ. ბაქრაძე. *Кавказ в древних памятниках христианства*, 1875, с. 54.

სტეფან გოდერძიშ შოშიაშვილისა(.) დაიბადა
დიდს ხორველობასა 1830 წ. გარდ. 1904 წელი(.)
აღმომკითხველნო(.) შენდობა მითხარით (!) გლეხის
შრომის შვილი ვიყავ(.) მიხაროდა ჩემი ბედი(.) ცხო(-)
ვრების მიზნად მიმაჩნდა ხარები და კამეჩებ(ი)“.

ეს წარწერა გვატყობინებს, რომ 1830 წ. ქართლში შავი ჭირი („ხორველობა“) მძვინვარებდა.

ბევრჯერ გავვიგონია თბილისში მოხუცი ქალის მიერ მეზობელი ქალის (ან აბეზარი ბავშვთა) დაწყევლა: ოცდაათი წლის ხოლერამ წაგილოსო (Чтоб тебя забрала холера тридцатого года) ან გამხდარი და სუსტი ადამიანის მიმართ ამბობდნენ: ოცდაათი წლის ხოლერას ჰვავსო.

მაშასადამე, იმ წლის ხოლერას დიდი ზიანი მიუყენებია თბილისის მოსახლეობისათვისაც და იგი ისე აღბეჭდილა ხალხურ მეხსიერებაში, რომ მას ერთ საუკუნეზე მეტი დროის შემდეგაც კი იგონებენ.

გორიჯვრის ეკლესიის სამხრეთით წყლის გაყვანილობის ქვის თაღისებური ნაგებობის ნანგრევია შემორჩენილი. მისი მარჯვენა მკლავის საყრდენ დიდ ქვაზე ყოფილა წარწერა, რომელიც ასე იწყება: „ჩყფი წელსა აშენებ“... (=1870 წ.) წარწერის შვიდი სტრიქონი აღარ იკითხება (ქვა ატყვეცილია), მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ წყლის გაყვანილობა 1870 წ. განუახლებიათ.

გორიჯვრის სამხრეთით, ტყის პირად, ადგილს გორისა ჰქვია. იქვე კარგი წყაროა. აქაც ეკლესიაა და მისი დღეობა 2 მაისს აღინიშნებოდა. ეს უსწრებდა გორიჯვრობას, რომელც 4—5 მაისს სრულდებოდა.

პირველ ეკლესიას მეორის უმცროს ძმას უწოდებენ. ვინც ზევით (გორიჯვარზე) ვერ აღიოდა, აქ ილოცებდათ.

ზემოხსენებულმა ილ. ბერძენიშვილმა და მე ვნახეთ წალკიდან ჩამოსული ბერძენი, გვარად ლაზარაშვილი, ცოლშვილითურთ.

ცხვარი მოეყვანა (11.VII.1954 წ.), საყდარში სანთლები აენთო, უცდიდა დილას, ხვალ ამ საყდრის დღეობაა და ხატს ცხვარი უნდა დაუჟკლა, იქნებ ამ ჩემ ყრუ-მუნჯ გოგონას (რომელიც თან ახლდა) ენა აებასო... ძველი რწმენის ამ გადმონაშთმა „ქაჯანა“ მოგვაგონა.

ამ საყდართან შესანიშნავი ცივი წყაროა.

ზემოხსენებული ხალხური გადმოცემის იმ ვარიანტი, რომელ-

საც შემოკლებით გადმოვცემთ, გორიჯვრის ეკლესიის აგება თამარ მეფეს მიეწერება. მასში ნათქვამია:

„იქ, სადაც მდ. ლიახვი ერთვის მდ. მტკვარს, აღმართულია წვეტიანი მთა გორიჯვარი. ამ მთის აღმოსავლეთით, ლიახვის მარცხნივ, იქ, სადაც ახლა ქ. გორია, ერთხელ შემოვიდნენ მხედრები სანადიროდ, რომლებიც შესანიშნავად იყვნენ შემოსილნი და შეიარაღებულნი. მდიდრული მორთულობით ბრწყინავდნენ ცხენებიც. მხედრებად იყვნენ: ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები, სვანები და სხვანი. ისინი გარს ეკვროდნენ ულამაზეს ქალწულს, რომელიც იჯდა თვალ-მარგალიტით შემკულ წმინდა სისხლის არაბულ ცხენზე.“

შეუდგნენ ნადირობას, ქალი, რომელსაც რაინდები თავს ევლებოდნენ, თამარ მეფე იყო. იგი ახალგამეფებული ბრძანდებოდა და ახალგაზრდული გონება ვერ უშლიდა ხელს ნადირობის ხელოვნებაც გაედრმავებინა.

ყოველი რაინდი თავის გამოჩენას ცდილობდა, უთვალავი ნადირევი ლაგდებოდა მეფის ფერხთან. მხეცებზე ნადირობით გულმოჭერებულმა ხოხბებზე მიუშვეს შავარდენი და მიიმინო. თამარმაც თავისი უსაყვარლესი, გაწვრთნილი შავარდენი აუშვა, მაგრამ იგი ხოხობს არ დაედევნა, გადაფრინდა მტკვარზე და ზემოხსენებულ მთის მწვერვალზე დაჯდა.

ამოიჭრა ქარი, წამოვიდა ნიაღვარი, მტკვრის ტალღები ბობოქრობს, თამარ მეფე წუხს, შავარდენი დამედუბებაო.

რაინდებმა ცხენი მტკვარზე მიაგდეს, რათა გადასცურონ და მეფეს შავარდენი მოჰგვარონ, მაგრამ ამაოდ, ცხენები წინ ვერ იძვრიან!

— მომგვარეთ ჩემი შავარდენი, — ამბობს მეფე, — და რასაც მთხოვთ, აგისრულებთო!

უკანა რიგიდან აღფრთოვანებული, უწვერულვანო ერთი ახალგაზრდა სვანი გამოხტა და მდინარეში ისკუბა. შეუბოვარმა ყმაწვილმა მდინარე გადალახა, აი, უკვე მთის სველ კლდოვან ფერდზე მიცოცავს, მეფე და მისი ამაღა სულგანაბულნი უცქერიან, ეშინათ, — ყმაწვილს, რომ ფეხი დაუცდეს, დაიღუპებაო, მაგრამ იგი გადარჩა, სველ შავარდენს არც კი შეუშინევია, ისე მიეპარა მას ყმაწვილი, დაიჭირა შავარდენი და დაიძახა მხოლოდ ერთი სიტყვა, „მეფე!“.

ამ სიტყვით თამარი მიხვდა, ყმაწვილი ცოლობას სთხოვდა!

მეფე სიტყვას ვერ გატეხდა, შევიდა კარავში, მუხლებზე დაეშვა და დაიწყო ლოცვა.

— ღმერთო, დამიფარე, მიხსენი იმ განსაცდელისაგან, რომელშიც თავი გავიბი, შემინარჩუნე ძეგური სიტყვა და სახელი ქალწულისა!

ღმერთმა ჭეჭით უპასუხა. შეშინებული თამარი კარავიდან ძლივს გამოვიდა და იკითხა, რა მოხდაო.

ხედავს, რომ სვანი გმირულად მოაპობს ტალღებს და შავარდენიც თან მოყავს. აი, ეს-ეს არის, ყრმა ხმელეთზე უნდა გამოვიდეს, მაგრამ კვლავ იჭექა, ყრმას მეხი დაეცა და ტალღებმა შთანთქმეს. მეფემ სული მოითქვა, მაგრამ ძალიან შეწუხდა, ღმერთს შეჰფიცა, რომ ის ამის შემდეგ მთელ მის ენერგიას ხალხს და სახელმწიფოს მოახმარდა, და არა ნადირობასა და გართობას...

თამარმა ცოდვის გამოსასყიდად მთის მწვერვალზე მონასტერი ააგებინა და შიგ მისი მსხვერპლის, — ახალგაზრდა სვანის სულისთვის ლოცულობდაო. შენობის ნანგრევები შორიდან ჩანს ახლაც, მას გორიჯვარი ეწოდება³⁶ (შდრ. ზემოთ.)

კარალეთი

„გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგვისა წყალნი. ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“³⁷. იგი გორიდან პირველი დიდი სოფელია ცხინვალისაკენ მიმავალ გზაზე. თვით კარალეთი, დიდი გარეჯვარი და პატარა გარეჯვარი შეადგენენ ერთ სასოფლო საბჭოს, რომელშიც 1000 კომლი ცხოვრობს (ცნობა 12.VII, 1954 წლისა).

სოფელში მდ. ჭარებულა ჩამოდის. აქვს შენაკადი, რომელსაც ფშანს უწოდებენ. სოფლის დასავლეთით (მდ. დიდი ლიახვისაკენ) არის ნაჭარმაგევი.

კარალეთში გორაკზე, ერისთავის სასახლის ნანგრევების გარდა, ორი საყდრის ნანგრევია სოფლის სასაფლაოზე. პირველი გზასთანაა

³⁶ შდრ. Гу л б а т, Сборник грузинских легенд, Москва, 1899, გვ. 353—363. გადაბეჭდილია წიგნში «Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России (1801 — 1901)», თბ. 1901, განყ. II, გვ. 29 — 32; შდრ. ჩ ვ ე ნ ი «Предания о Руставели», სტალინირი 1954, გვ. 66.

³⁷ ე ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 75.

და სომხური ღვთისმშობლის ეკლესია ყოფილა. მისგან ჩრდილოეთით მეორე ქართული ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევია. საფლავის ქვათა წარწერები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისაა.

ქართული ეკლესიის ნაგებობის შიგნით ქვაზე იკითხება:

„აქა განისვენებს თედო
თედიაშვილის ძე მიხელ(,)
ღ: წლისა(,) ჩყო(?)თ-სა“.

ე. ი. ის 1870 წ. 9(თვე?)-ს 4 წლის გარდაცვლილა.

ეკლესიის შესავალს ქვაზე წერია:

„მღვდლის(,) გიორგი ფეიქრიშვილის
ძე კონსტანტინე გარდაიცვალა
1887 თიბათვის 15“.

ეკლესიის სამხრეთი კედლის გარედან ძვეს ქვა წარწერით:

„მოვწყდი წუთი სოფელსა(,) ვი(-)
თარცა ახალნერგი ჴეთის(-)
ხილისა გარემოს ტკბილისა
მამიჩემისა(,) მეორე სკოლაში
მყოფი(,) რაჟდენ სოლომან(-)
ის ძე ოქროპირიძე(,)... ჩყად“ (= 1864 წელს).

ჩრდილოეთით ძვეს საფლავის ქვა თარიღით „ჩყნა“ (1851 წ.).

პირველი ეკლესიის ნანგრევისაკენ საფლავის ქვაზე წერია:

(1) მომიხსენიე(,) უფალო(,) საფლავსა ამასა შინა

მდებარე ჭეჭელაშვილი კიკოლას მეულ(-)

(2) ლე მარიამა(,) აღმომკითხველნო, შენდობა

მიბრძანეთ(!) ჩყნ წელსა“ (= 1850 წ.).

ერთ-ერთ წარწერიან ქვაზე —

„ხარიბეგანთ დავითას მეულლე

ხანფერვანა... ჩყლა“ (= 1831 წ.).

ამ გვარისანი აქ ახლაც ცხოვრობენ.

სხვა ქვაზე წერია:

„ქ. ესე საფლავი ხარიბეგიშვილი

არუთინას ას(ულისა) ვინც წაიკითხოთ(,)

შენდობა ბრძანეთ(,) ქკს უპა“ (= 1793 წ.).

სხვა ქვაზე „ჩყნა“ (= 1851 წ.).

იქვე, უფრო გვიანდელი წარწერებიანი სხვა საფლავის ქვებიცაა.

ნაჭარმაგვენი

ნაჭარმაგვენი ან, როგორც ხალხური ეტიმოლოგიით ადგილობრივები ააზრიანებებს და წარმოთქვავენ, **ნაჭარმაგვენი** კარალეთის ნაწილს წარმოადგენს და მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

ხალხური ეტიმოლოგიის თანახმად, ნაჭარმაგვეს ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ აქ თამარ მეფეს ამოუვლია ცხენით, რომელსაც **ნაჭარმაკი** რქმევია, თამარი აქედან ცხინვალს უნდა წასულიყო, მაგრამ **აქ მოუკვდა ცხენი ნაჭარმაკი და ადგილს ნაჭარმაკევი დაერქვაო**. ამ სახელს ზოგი **ნაჭარმაგად** — **ნაშრომ ადგილად** — ააზრიანებს.

ერთ-ერთი გადმოცემა, რომელიც ჩვენ 12.VII.1954 წელს ჩავიწერეთ ადგილზე, ამბობს, რომ თამარ მეფემ აქ არა მარტო გზად გაიარა, არამედ ის აქვე ცხოვრობდა კიდევ, მაგრამ ციება შეეყარა და წავიდა აქედანაო.

სხვა თქმულების თანახმად, ის აქედან წავიდა იმის გამო, რომ „რადაც დედობრივი სენი გამოაჩნდა თამარს მამინ, როდესაც დასასვენებლად ბრძანდებოდა ნაჭარმაგვეის სასახლეში. თან **ჰყვანდა** დიდებულებიც, სატკივარს დიდხანს ჰჭარავდა მორცხვობის გამო, მაგრამ სატკივარმა თავი არ დამალა. შეიქმნა დიდი მწუხარება. **იწვიეს** სამეფოს ყველა გამოჩენილი ექიმი, მაგრამ მათმა ხელოვნებამაც ვერა არგო-რა. ჩააწვინეს დიდებული ავადმყოფი კუბოში, ე. ი. მოაბაში (სატარებელ ტანტში), ასწიეს და მოიყვანეს ტფილისში...“³⁸.

ესა და ასეთი გადმოცემები ნამდვილ ამბავს ემყარება იმ მხრივ, რომ თამარ მეფე მართლაც ატარებდა აქ ზაფხულს, რადგან აქ იყო ქართულ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია („სადგური მეფეთა“), ისტორიულადაც ცნობილია, რომ ნაჭარმაგვეში „დგომისა შინა“³⁹ იჩინა თავი ავადმყოფობამ, რომელმაც თამარ მეფე იმსხვერპლა.

შემდეგ თვით გადმოცემებმა ითამაშეს როლი იმაში, რომ ერთ-ერთი ლექსი, რომელშიც მეფის ღვაწლზეა ლაპარაკი და ნაჭარმაგვენი იხსენიება, შეცდომით, თამარის ეპიტაფიად გამოცხადდა. შემდეგ. ამ გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთმა ჩამწერმა ტექსტს მიაწერა:

38 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფე, თბ., 1917, გვ. 72.

39 „ქართლის ცხოვრება“ მ. ბ რ ო ს ე ს გამოცემა. ს.-პეტერბურგი 1849, გვ.

„თქმული რუსთაველისა, თამარ მეფის ქვასა ზედა დაწერილი“. სხვა-თა მიერ, აგრეთვე მცდარი ცნობით, აღნიშნული ლექსი „თამარ მეფის თქმულად“ იწოდება. უკანასკნელის ადრე გამოქვეყნებული ტექსტი ასეთია⁴⁰:

როს ნაჭარმაგვეს მეფენი
შვიდნივე პურად დამესხნეს⁴¹,
ყიზილბაშ-ოსმალ-არაბნი
საზღვართა გარეთ გამესხნეს⁴²,
ხაზართა თევზნი ბევრ რიგნი
ივერთა წყალში შთამესხნეს,
ამა საქმისა ხელმქნელსა
აჲ მკლავნი გულსა დამესხნეს.

ამ ლექსის მრავალი ვარიანტი არსებობს; ასეთები თავმოყრილი და ერთმანეთთანაა შედარებული⁴³. ამიტომ მათზე აღარ შევიჩერდებით. ოღონდ შევნიშნავთ კი, რომ აღნიშნული ლექსი თამარს არ უთქვამს, არც რუსთაველს დაუწერია თამარის ეპიტაფიად, არამედ ის ეკუთვნის ცნობილ მეცნიერ არსენ იყალთოელს (გარდაიცვალა დაახლოებით 1125 წ.) და მიძღვნილია დავით აღმაშენებლისადმი (მეფობდა 1089—1125 წწ.), თუმცა არც დავითის ქვას აწერია ის ეპიტაფიად⁴⁴.

მაშასადამე, ა. იყალთოელის ლექსის მიხედვით, ნაჭარმაგევში ყოფილა დავით აღმაშენებელი და იქ არსებული ძველი ეკლესიაც იმ დროის უნდა იყოს.

ნაჭარმაგვეის ეკლესიის ნანგრევებს, ისევე როგორც მრავალ სხვა ეკლესიას დიდი ღიახვის ხეობაში, გარშემოვლებული აქვთ ზამბის ძაფები. ეს ზოგიერთი ისეთი მოხუცი ქალის ნახელავია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი სარწმუნოებრივი წარმოდგენისაგან, — და ამ ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციის გავლენით ავლებს ძაფს ეკლესიის კედლებს და შესთხოვს ღმერთს ან იმ წმინდანს, ვისი სახელობისაც ეკლესიაა, მეო (ან ასახელებს იმას, ვინც ავადაა) მიხსენი ამა და ამ ავადმყოფობისაგან,

40 მ. ჯანაშვილი, იქვე, გვ. 109.

41 იქვე — დამესხნეს.

42 გამესხნეს.

43 იხ. ჩვენი „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“, ცხინვალი 1954, გვ. 107—

111 (რუსულად და ქართულად).

44 იქვე, გვ. 109—111, 112—113.

და ჩემი თითებით დაერთავ ბამბას, შემოგწირავ და თავად შეწოგე-
ლებიო“. სამჯერ (ან თუ მეტჯერ დაუთქვა, იმდენჯერვე) გარშემოუ-
ვლის ნაგებობას და მას ძაფს ავლებს.

ძაფის შემოვლებას ძველად რიტუალური მნიშვნელობა ჰქონ-
და, — ვითომცდა გზას უკრავდნენ ავსულებს. უფრო ძველად ამას
სათვალავის მნიშვნელობაც ჰქონდა, — მლოცველი ეკლესიას რამ-
დენჯერმე შემოვლას შეჰპირდებოდა, რომ არ შემცდარიყო, ძაფს ავ-
ლებდა და შემდეგ ითვლიდა, — ამოწმებდა პირობის შესრულებას.
ეს ერთგვარი „წერაც“ იყო უფრო ძველად.

აქვე, და სხვაგანაც, მრავალი მძივი ძევს. მძივებად სანთელია
ასხმული. ეს ძველი რიტუალური, სარწმუნოებრივი მოქმედების
გადმონაშთია: ასეთებს სწირავდნენ ღმერთს, წმინდა გიორგის ან
წმინდანს, ვისი სახელობისაც ეკლესია იყო, თვალთ ავადმყოფს
მიშველე, მომიოხეო ან ჩემს ამა და ამ ავადმყოფს (ასხენებდნენ
ავადმყოფის სახელს) მოუოხეო. ასეთ მძივებს „თვალის კაკლებს“
უწოდებენ...

აქაურები გვარწმუნებენ, რომ ნაჭარმაგევის ეკლესიას ქართულ
წარწერიანი ზარი ჰქონდა და შინდისში წაიღესო. ჩვენ ვიყავით
შინდისშიც, მაგრამ ასეთი ზარი იქ ვერ ვნახეთ.

ნაჭარმაგევის ეკლესიას გალავანი ჰქონია და მის კედლებზე
შიგნიდან რამდენიმე სახლი ყოფილა მიშენებული. უფრო გვიანდ-
ელი ზოგიერთი სახლის კედლის წარწერიანი ქვა ახლაც ძევს იქ.

ერთ-ერთ მათგანზე, რომლის დასაწყისში ჯვრის გამოსახულებაა
გამოკვეთილი, ვკითხულობთ:

„ეს ოთახი შევწირე ჩემს მფარველს წმინდა
გიორგის ეკლესიას მოსახმარათ ეკლესიის მრევლისათვის(,)
ჩემს სახსოვრად იოსებ თათუაძე სომხიევმა 1903 მაისის
25 დ(ღეს)“.

მეორე ქვაზე წერია:
„ეს ოთახი შევწირეთ
ბერო ხარიბეგა(-)
შვილის ძებმა⁴⁵ გორა(-)
მა და ჩემთა ძმათა(.)
1909 წ“.

მესამე ქვაზე ვკითხულობთ:

45 ასე ცალკე წერია და ამ ფორმით.

„ეს ოთახი შევწირე

ჩემს მფარველს წმინდა გიორ(-)

გის მოსახმარათ(,) ჩემს სანახსოვროთ(,) გიგა მელ(-)ქოს ძე
აღუაშვილმა(.)

1912“.

სხვათა შორის აქვე შევნიშნავთ, რომ ელენე ბესარიონის ასუ-
ლმა წიქარიძე-ბიბილაშვილისამ (მცხ. კარალეთისა) გვიამბო ბიბლიუ-
რი ადამ და ევას სამოთხიდან განდევნის შესახებ თქმულების ისეთი
ვარიანტი, რომელშიც სამოთხის (ედემის) ვაშლი ყურძნითაა შეც-
ვლილი.

ის აღნიშნავს, რომ ღმერთმა ადამს წიბო გამოუღო და ცოლი
შეუქმნაო. ცოლ-ქმარი ედემის ბაღში გაუშვა და გააფრთხილა, ყურ-
ძენი არ ჭამოთო. ეშმაკმა შეაცდინა ევა — შეაჭამა ყურძენი. ევამ
შეაცდინა ადამი — აჭამა ყურძენი... ამ დრომდე ეს ცოლ-ქმარი ნა-
თელში⁴⁶ დადიოდნენ, ახლა იგრძნეს სირცხვილი და ამის შემდეგ
დაიწყეს ტანსაცმლის ხმარებაო.

ნაჭარმაგევში მყოფი კეკე წყალობის ასული ხუსიტაშვილი-
შავიშვილისა (ს. კარალეთიდან) გვიამბობს ეთნოგრაფიულად საინ-
ტერესო ამბავს: „გვალვიანობის დროს ელიაზე (ე. ი. ელიას სალო-
ცავად) დაედიოდით. ჩამოვივლიდით სოფელს, აკრეფდით, ვინც
რას მოგვცემდა (ზოგი ფულს, ზოგი ჭირნახულს). ამით ჩვენ წამე-
ბას⁴⁷ დავუნთებდით სანთლებს, ლოცვით შევსთხოვდით, ღმერთო,
მოგვე ნამიო...“

ასეც ხდებოდა, რომ კაცები უღელს გააწყობდნენ, შიგ 10-12
ქალი შევებმებოდით, ავხნავ-ჩავხნავდით მდინარის წყალს და თან
ელიას შევსთხოვდით:

ელიაო, ელიაო,
რაზე მოგიწყენიაო,
თეთრი თიკან-ბატკანიო
შენთვის მოგვირთმევიო.
შენ მოგვიყვან წვიმასაო,
შენთვის დავკლავთ ციკანსაო...
ლაზარ მიღვა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო...

46 ე. ი. ტიტულად, ი. შ.

47 არ გეგონოთ სა მ ე ბ ა! სწორედ ასე ამბობს ნაჭარმაგევის ეკლესიის შე-
სახებ, ი. შ.

ამ სიტყვების შემდეგ სხვებსაც წყლით გავწუწავდით, ბევრსაც ვიცინებდით, წვიმასაც ველოდით“.

წარმოდგენილი ვარიანტის მსგავსი მასალები გურია-აჭარაშიც მოვიპოვეთ, პირველიდან ჩანს, რომ ელიას გვალვისას შესთხოვდნენ წვიმას. ივ. ჯავახიშვილი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ მოჭარბებული წვიმისას იმავე ღვთაებას დარს შესთხოვდნენ⁴⁹.

ელია ებრაული სახელია. ბერძნები მას ილიას უწოდებდნენ და ტაროსის ღვთაებად სწამდათ, მაგრამ იქ ამ რიტუალს, რამდენადაც ვიცით, ხენის იმიტაცია არ ახლდა.

საქართველოში კი ესეც იყო. ივ. ჯავახიშვილი ამ წესს აგრე აღწერს: ამინდის (ტაროსის) წარმართული ღვთაების ელიას საშუალებით გვალვისას წვიმის, თუ ავდრობისას „მზის თვალის“ (დარის) შესათხოვრად კახეთში გოგოები იკრიბებოდნენ, ლაზარეს „გააკეთებდნენ“ ხოლმე და სოფელ-სოფელ დადიოდნენ. ოჯახის პატრონი მათ კვერცხითა და ფქვილით ასაჩუქრებდა, ხოლო ლაზარესა და გოგოებსაც წუწავდა. ქართლში კი ლაზარეს არ აკეთებდნენ. ერთ-ერთ ქალს უწოდებდნენ ლაზარეს და ჩამოვლის დროს მას წუწავდნენ. შეგროვილ დოვლათს გაჰყიდნენ ან პირდაპირ ბატკანზე გადასცვლიდნენ, დაკლავდნენ და ლაზარობას იხდიდნენ (შდრ. ქვემოთ).

იმავე მეცნიერის სიტყვებით, ლაზარეს ორეულეები არიან: ხევსურული „ცა-ღრუბლისა“ და „სეტყვა-ხორხომელას“ ღვთაება „პირიმზე“, სვანური ვობი, იგივე — ვები, ვოუ, აფხაზური ავებ, ავე, (შდრ. სვან. ვებ, აფხ. ა-ვებ), აფე,⁵⁰ ძივოუ (ძი ვოუ?) და ასკვნის „ვობ“-ი იქნებ ხეთური „თეშუბი“-ის მეორე ნაწილს წარმოადგენდეს.

ვერა ბარდაველიძე ლაზარობის ხევსურულ ორეულად გონჯაო-

48 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1951, გვ. 77—80. ერთ-ერთი ცნობათაგანი აჭარიდან იხ. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950., გვ. 202.

49 აქ უკვე უახლოეს გამოცემას ვასახელებთ — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960., გვ. 76—77, 79—80.

50 შდრ. ნ. მარი — აფე აფე — громовержец, абхазский языческий бог, იხ მისი «Абхазско-русский словарь», ლენინგრადი, 1926, გვ. 77.

ბას თვლის. მკვლევარი სათანადო რიტუალსაც აღწერს⁵¹ და ჩანს, რომ გონჯობა იგივე ლაზარობაა. მესხეთ-ჯავახეთშიც გაიგონებთ: „ლაზარ მოდგა კარსა“... ან ამავე რიტუალს „კოტი-კოტის უწოდებენ.“⁵²

ოსებიც მოკრძალებით ეპყრობიან ღვთაება ელიას. ვახუშტი ბაგრატიონმა იცის, რომ ოსები, რომლებიც ჭამენ ღორის ხორცსა, არიან „ქრისტიანენი, და რომელი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მოკმადიანნი. გარნა ყოველივე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას. რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა. რათა არა მოუვლინოსთ ელიაჲ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყნისანი“⁵³.

ეს არის უტოლო ცნობა ქრისტიან და მაკმადიან, ე. ი. ორივე ოსთაგან ვაჩილას (უაცილას) კერპის ღვთაებად მიჩნევის თაობაზე.

აქედან ცხადია, რომ ილია ტაროსის მმართველია. ამას ადასტურებს ვაჩილა სახელის — ამინდის, კერძოდ, სეტყვის, ღვთაების სახელის ეტიმოლოგია. იგი კომპოზიტია—უაც+ილია ნიშნავს წმინდა ილიას. ბ. ქალოევი მას ძველ ირანულ უაც-ილდია-ს (ელიას) უწოდებს, მაგრამ ოსებში მათი გაქრისტიანების შემდეგ თვლის დამკვიდრებულად. ოსური ილია-ელია წარმართულ-ქრისტიანული ღვთაებაა. ამ ილიაობა-ელიაობას ოსურადვე ხორი-ბონიც ეწოდება, რაც მოსავლის დღეს ნიშნავს⁵⁴.

ოსებმა იციან ქრისტიანული ღმერთი — ხუცავ, ჩირისტი ან კირისტი — ქრისტე, თარაჯელ მიქალ-გაბირ — მთავარანგელოზნი მიქელი და გაბრიელი, ძუარ-ჟუარ-ჟვარ-ჯვარი და სხვა, სწამთ ალარდი — ყვავილ-ბატონების წარმართული ღვთაება (ვ. აბაევი მას ითანე ალავერდელს უთანაბრებს), აფსათი (შდრ. სვან. აპსათი) — ნადირობის ღვთაება, უასტირჯი — უასჯერჯი (— ვასტერჯი) — უას — წმინდა+გიორგი — ვაჟკაცთა ღვთაება, უაჩილ — ახალწლის (ვასილ, ქართ. ბასილე) დღეობა, თუთიარ-თოთიარ მგელთა (მტაცე-

⁵¹ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования. თბ., 1957. გვ. 153—154; შდრ. მისივე. „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941., გვ. 55—58.

⁵² ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; გვ. 110; ქართლური ვარიანტი — ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლიხვის ხეობა, თბ., 1970.

⁵³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 110, ხაზი ჩვენია. ი. მ.

⁵⁴ შდრ. ბ. ქ ა ლ ო ე ვ ი, „ოსები“, გვ. 242—243.

ბელთა) ღვთაება (წმ. თეოდორე — ცხოველთა მფარველი, შდრ. ქართ. თეოდორობა), **დონბეთიორ** — წყლის ღვთაება (პეტრეს წყალი; წმ. პეტრე), **საფა** — მჭედლისა და იარაღთა მფარველი, **ფარნ** — მშვიდობის ძალა, **ახსარ** — მეომრის მფარველი, და სხვა. სამხრელმა ოსებმა, ქართლებთან მეზობლობის გამო, ზოგადად მაინც, იციან ლაზარეც.

XIV—XV საუკუნეებიდან ოსებს ნიშნად ვინაობისა თავადს—**მზე**, **აზნაურს** — **მთვარე**, **მეომარს** **ვარსკვლავი ეხატა** **სატევარზე**; ნიშნად ქრისტიანობისა ღარიბ ოჯახში **ხატის ნაცვლად ბამბას ნახავდით** ჯოხზე (1780 წელს 20 000 ქრისტიან ოსს ასახელებენ; მაჰმადიანს — 10 000). ახლა კი ყველგან წიგნია ოჯახში და მეურნეობასა და მეცნიერებას ეწაფებიან.

ვებრუნდებით ლაზარობას. ზემოთ წარმოდგენილ მასალათა მიხედვით, იგი აღმოსავლურ ქართულ რიტუალად ისახება, მაგრამ არა, არ შემცდარა ივ. ჯავახიშვილი, რომ ზოგადად მაინც იმერეთიც ასხენა.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ ლაზარობის ლექსთა ვარიანტები და ლაზარობისავე გადმონაშთები აჭარა-გურიის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაშიც აღვრიცხეთ („ლაზარიკო“, „ლაზო!..“)55; იმაზეც მივუთითეთ, რომ სათანადო ჩანაწერები ჯემალ ნოლაიდელის მასალებშიცა და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ჯ. ფრეზერის ნაშრომშიც მოიპოვება.

ჯ. ფრეზერი, სპეციალურად აჭარულ წესზე მითითებით, წერს: აჭარლებს ახლაც გააჩნიათ „Обряд купания куклы во время засухи“, რათა გაწვიმდეს56. დედოფალს გაწუწვის გარდა, ჯ. ფრეზერს ისიც აქვს დასახელებული, რომ ფშაველი და ხევსური ქალები ხვნის ცერემონიასაც ასრულებენ, ვითომც „წვიმას ხნავენო“57.

ამავე დროს გამოიჩვენა, რომ ლაზარობა ქართველ ფერეიდნელებსაც არ დავიწყებიათ, მათ „საგალობელი“ ტექსტიც კი შემოუნახავთ58.

55 ი. მეგრელიძე, ლაზარობა აჭარაში. — ქურნ. „ქობი“, 1970, № 4, გვ. 90—92. მისივე ჩანაწერები იხ. აგრეთვე წიგნში „ჯემალ ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971, გვ. 234—235.

56 Д. Ж. Фрезер, Золотая ветвь, I, Москва-Ленинград, 1931, с. 88.

57 იქვე.

58 ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ. თბ., 1969., გვ. 3.

გაირკვა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლაზარეს თუ ბატკანს უკლავდნენ, იმერეთ-გურია-აჭარასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში ასეთი ზვარაკი თიკანი (ციკანი) ყოფილა, ოსეთში კი — თხა.

ივ. ჯავახიშვილს ერთი თქმულებით შეუნიშნავს: ე ლ ი ა ბ რ მ ა ა, მას წმინდა გიორგი მეთვალთვალებს და არ ანებებს, თორემ რომ ჩადის, იმაზე მეტ ცოდვას ჩაიდენდაო; და მაინც ელია ზოგჯერ უდანაშაულო ოჯახს ან ოჯახებსაც აზარალებს ქუხილითა და წვიმით, ვინაიდან ვერ ხედავს, სად ავლენს ცის რისხვასაო.

დასავლური ქართული თქმულებებით, უდანაშაულო ოჯახის ან მწყემსის დაზარალების შემთხვევებში ელიას ეშმაკი აცდენს, ან დამნაშავეს ბედი ელიას საშუალებით სჯისო... ჭოლა ლომთათიძის ნაწერებში ბურმა (ბრმა) ანგელოზი ელიაზე ხალხის წარმოდგენას ასახავს⁵⁹. გურიაში ელიობა კუდიანების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური რიტუალია (ამის შესახებ — ცალკე).

ყოველივე ამან, ჩვენ მოგვცა საფუძველი დაგვესკვნა: „რაკი ლაზარობის კვალი აჭარაშიც აღმოჩნდა, ცხადია, რომ იგი არა მხოლოდ ქართლ-კახური, არამედ საერთო ქართული რიტუალი ყოფილა“... „მოსალოდნელია, რომ ლაზარობის კვალი ჭანურ (ლაზურ) ზნეჩვეულებებსა და ფოლკლორშიც აღმოჩნდეს“. ლაზარობა მთელ საქართველოში — ჭანეთიდან ჰერეთის (საინგილოს) ჩათვლით და ტაო-კლარჯეთიდან სამეგრელო-სვანეთსა და მთელს ჩვენს მთიანეთში ყოფილა გავრცელებული⁶⁰.

მეტიც, იგი ქართველებისაგან სამხრელ ოსებსა და სომხებსაც გაუტყვნიათ, თორემ ბუდით ინდოევროპელი ხალხები ასეთ ლაზარეს არ იცნობენ.

ჯ. ფრეზერი დასახელებულ ნაშრომშივე წერს: სომხები გვალვისას დედაბერს ან ხუცის (ტერტერას) ცოლს შეაბამენ ხოლმე უღელში, მას სხვა ქალებიც აედევნებიან და გამდინარე წყალს საწინააღმდეგო მიმართულებით ხნავენ⁶¹.

ზღვისპირეთის მცხოვრებნი, როგორც მაგალითად, ლაზები (ჭანები) და მეგრელები, მათთან ისედაც მოჭარბებული წვიმების გამო, უმთავრესად გამოდარებას შესთხოვენ ამინდის ღვთაებას; სადაც მეტი გვალვა იცის, იქ კი — წვიმას.

⁵⁹ ცნობილია დარის სხვა ანგელოზიც. იხ. ნ. რ ე ხ ე ი ა შ ვ ი ლ ი ს წერილი საქ. მუზეუმის მოამბეში XXIV — B., — 1963, გვ. 190.

⁶⁰ ჭოროხი, 1970, № 4, გვ. 92.

⁶¹ იქვე, გვ. 89.

წვიმის გამოწვევის სხვა რიტუალებიცაა ცნობილი (იხ. თუნდაც ჯ. ფრეზერის იგივე ნაშრომი).

მოხსენიებული მასალები და დასკვნები არაა გამოყენებული ერთ-ერთ ახალ ნაშრომში⁶², მაგრამ იგი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ნარკვევის მიხედვით, გვალვა-წვიმის შესახებ ლექსები საქართველო-კავკასიის გარეთაც არის გავრცელებული (ი. სნეგოროვის ჩანაწერები)⁶³.

ჯ. ფრეზერი ასეთ რიტუალზეც მიუთითებს: ინგუშები (ქისტები), ჩეჩნები და აფხაზები გაწვიმებისათვის დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა ძვლებს თხრიან და ასველებენ⁶⁴. ასევე იქცევიან ოსებიც, რაც ჩვენ აღვწერეთ კიდევ სამხრელ ოსებშიც⁶⁵.

ამგვარად, ლაზარობის წესის მიხედვით, სამხრეთელი ოსები და სომხებიც ეხმაურებიან ქართულ რიტუალს: ძვალთა დასველების მიხედვით კი იგივე სამხრეთელი ოსები უერთდებიან ჩრდილოეთელ ოსებსა და მათ მეზობელ ხალხებს (ქისტებს, ჩეჩენებს, აფხაზებს).

როგორც შესავალშიც ითქვა, ჯერ ნ. მარი და შემდეგ ვ. აბაევი ავითარებენ დებულებას — ბუდიით ინდოევროპულ სომხებს და ირანულ ოსებს აბორიგენი კავკასიელებისაგან იმდენი რამ შეუსისხლხორცებიან, რომ მეორეთაგან პირველთა მოწყვეტა უკვე აღარ შეიძლება, — სომხებისა და ოსების ენასა და უოფაში კავკასიური სუბსტრატი არა მხოლოდ დანაფენი, არამედ შინაგანად შერწყმული მოვლენაა. ჩვენი ზემოაღნიშნული გამოთქმით, ბუდიით ირანელი ოსები გაკავკასიელებული ხალხია და კავკასიის კულტურული ცხოვრების მონაწილენი არიან.

ნ. მარისა და ვ. აბაევის დასკვნებით, ოსურ ეთნიკურ სახელებსაც კი — ირონ, დიგორ, თუალ-ს არაფერი აქვთ საერთო ირანთან⁶⁶, და წარმოდგენენ ადგილობრივ (კავკასიურ) ძველ ეთნიკურ სახელებს⁶⁷.

62 ქს. სიხარულიძე, ამინდის რიტუალი და პოეტური შემოქმედება. — ძურნ. „მაცნე“. ენ. ლიტ. სერია, 1974 წ. № 1, გვ. 43—56.

63 იქვე, გვ. 50.

64 იქვე, გვ. 89.

65 ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, ცხინვალი — თბილისი, 1959, გვ. 115.

66 Н. Я. Марр, Ossetica-Iaphetica. — Известия АН, 1918, с. 2077.

67 В. И. Асеев, Осетинский язык и фольклор, I, 1949 г., с. 368; შდრ. ბ. ქალოევი, Осетины, გვ. 19.

კვლავ ვეხებით ზემოთწარმოდგენილ ლექსებში არსებულ სიტყვა **მზისთვალს**⁶⁸:

„ღმერთო, მოგვე მზისთვალი,
ალარ გვინდა ცისნამი“... (ან ტალახი),

და პირიქით — გვალვიანობის „ლოცვაში“ ამბობდნენ:

„ღმერთო, მოგვე ცისნამი... (ან ტალახი),
ალარ გვინდა მზისთვალი“⁶⁹

გასაგებია, **ცისნამში წვიმა და მზისთვალში** (აჭარული — მზის-თვალი, ზისთვალი ან ზითვალი) **მზე იგულისხმება** (შდრ. ზემოხსენებული ხევსურული პირიმზე).

ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველქართული **მზისთვალი** სომხური **არეგ-აკან, არეგ-აკან (არეგ-მზე აკან-თვალი)** სიტყვის წარმოქმნის ტიპისააო. ჩვენ ნაწარმოები სიტყვა დაღესტნურ დიდოურ ენაშიც შეგვხვდა (**ბეხესოზური** — დიდ. ბუხ — მზე, ნათეს ბრ. **ბეხეს ოზური** — თვალი—მზისა (მზის თვალი), და, მაშასადამე, ესეც ამ ენების საერთო ნორმით (და არა მხოლოდ — სომხური ენის) წარმოქმნილი კომპოზიტია.

ამიტომ დავასკვნით: „მზის თვალი, სომხ. არეგ-აკან ან არეგ-აკან, დიდ **ბეხესოზური** ერთნაირად ნაწარმოები სიტყვებია“. ესეთი კომპოზიტი ქართულისათვისაც ჩვეულებრივია: მზის-თვალი, წყაროს-თვალი, ურმის-თვალი, მუხლის-თვალი, წისქვილის-თვალი, ბეჭდის-თვალი და სხვა.

ქართულ გამოთქმებში: „გამოჩნდა მზისთვალი“ ან „მზისთვალი არ ჩანს“, **მზისთვალი მზეს ნიშნავს** (შდრ. **მზე და მზერა**). ეს არის ცნების სახეობითი წარმოდგენა. სახეობითი აზროვნება დამახასიათებელია ქართველი ხალხისათვის.

ძ ი ვ ი რ ა

სიძველეთაგან სოფელში ყურადღებას იქცევს (13.VII.1954 წ.) ეკლესია (გორიდან გზის შესავალს), რომელსაც მეღქუაშვილების ღვთისმშობელს უწოდებენ.

⁶⁸ იხ. ჩვენი წერილი ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“-ში, 1969 № 3, გვ. 67, აგრეთვე „ჟორჯში“, 1970 № 4, გვ. 92.

⁶⁹ შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 77.

ქართველების წმიდა გიორგის ეკლესიის (სოფლის ზემო უბან-შია) სამხრეთის კარის თავზე, ჯერ ჯვარია გამოსახული, შემდეგ მთლიან ღვინისფერ ქვაზე ჩაჭრილი წარწერაა:

„ქ. მოიხსენიე(,) უფალო(,) საკას ძე მელქუა
და მისი მეუღლე ქეთევან და ძენი მის(-)
ნი(;) გიორგი(,) გაბარეილა(,) თევდორე და
სარქისა(!) აღვაშენეთ ესე ეკლესია
ჟ(ოვლა)დ წმინდის სულთა ჩვენთა მოსა(-)
ხსენებელად(,) დაიდვა მათის ა ქ(ქრონი)კ(ონ)ს
უჟჳ“ (= 1808 წ.).

საყდრის სამხრეთით დიდი ქვა ძევს, რომელზეც თავში ჯვარი და მის მკლავებთან ანგელოზებია გამოსახული. შემდეგ წარწერაა:

„ეს მუხანათი სოფელი რა ძნელი საქმის მქნელია(,)
მოვშორდი წვრილს შვილებს(,) ტოლი ვჟავ ცრემლთა
მღვრელია(,)
თქვენთან ლხინსა და სიხარულს(,) ძმებო(,) მე აღარ
ველია(!)
გთხოვთ(,) წამკითხველნო(,) შეგბრალდეთ(,)
შენდობის იყო(თ) მთქმელ(ნ)ია(!)
ჩუნდ-სა წელსა(,) თიბათვის იგ დღესა(,) გარდავი-
ცვალე აზნაური(ი) ევთვიმე
სოლომონის ძე ჯავახოვი(,) დამდო საფლავსა ამას
გულმტკივნეულმა
საყვარელმან ძმამან ჩემმან მიხეილ(,) დამბეჭდა ლო-
დითა ამით“.
ჩუნდ = 1854 წელს, თიბათვის იგ = 13 ივნისს.

მ ე ლ ვ რ ე კ ი ს ი

გორის რაიონის უკანასკნელი სასოფლო საბჭოა. იგი ცენტრიდან 32 კმ-ზე მდებარეობს, ცხინვალიდან კი — 4 კმ-ზე.

მელვრეკისში 186 კომლი ცხოვრობს, მასში შემავალ ერგნეთში — 129. ამგვარად, მელვრეკისის კოლმეურნეობა 315 კომლს აერთიანებს (16.VII.1954 წ.).

მელვრეკისი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. იგი ამბობს: „შერთულს ზეით, დიდ-ლიახვზედ, არს მელვრეკისს მონას-

ტერი უგუმბათო, უზის წინამძღვარი⁷⁰. ი. კ. ამ მონასტერს ეკლესიად იხსენიებს და პალესტინის ქართულ მონასტერს უკავშირებს⁷¹. ნაგებობას ხალხი თვის ვახტანგ გორგასალის დროისად. აქვე მცხოვრები სოფიო სიმონის ასული კენჭაძე-მაჭარაშვილისა (დაბ. 1883 წ.), რომლის მამა მღვდელი ყოფილა, ამბობს, რომ მას უხდებოდა საეკლესიო დავთრების გადაწერა, რომელშიც იყო აღნიშნული, რომ ეს ეკლესია ვახტანგ გორგასალმა ააგო. დავთრებშივეო, — დასძენს ს. კენჭაძე-მაჭარაშვილისა, — იყო აღნიშნული, რომელი ეპისკოპოსის დროს ვინ განაახლა და შეაკეთა ეს ეკლესიაო.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან (მიწის სამუშაოების შესრულების დროს) აღმოჩენილა ქვაყუთი (კუბო), შიგ და მის ირგვლივ უნახავთ ათამდე შიცვალეზულის ჩონჩხი. ძველი ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენის თანახმად, ამბობენ, რომ ამ ძვლებს ალბათ ეწერათ ზეცა ეხილათო და, წესისამებრ, ისევ დავმარხეთო, ერთი თავის ქალას გამოკლებით, რომელიც მასწავლებელმა სკოლაში წაიღო. ქვაკუბოს სარქველი (დიდი ბრტყელი ქვა) იქვეა გადებული რუზე ხიდად.

მეღვრეკისშივე, ძველი პატარა ციხის ნანგრევების გალავნის მიდამოებში, კატო მაისურაძის სახლისათვის საძირკვლის გათხრისას აღმოჩენილა ქალის საფლავი, რომელშიც კოკა, მძივები და სხვა ნივთები უპოვიათ.

ეკლესიის სამრეკლოში ზარი კიდებულა, რომელიც, ადგილობრივების თქმით, წაუღიათ 1942 თუ 1943 წელს.

მეღვრეკისის ქებაანთ უბანში ერთ ადგილს საჯვარეს უწოდებენ. მას წმიდან ადგილად თვლიდნენ; წინათ იქ ღამის სათევდაც მიდიოდნენ გარკვეული დღესასწაულის დროსო. ზოგიერთი ძველი ნივთი იქაც უპოვიათ.

საჯვარესთან პატარა მრგვალი კოშკის ნაშთიცაა.⁷²

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინ მეღვრეკისი დიციის სამამასახლისოში შედიოდა. 1905 წელს ს. მეღვრეკისის თავს დასხმია ცხინვალის ბოქაული და ჩაფრები, წითელი რაზმელების ოჯახებიდან იარაღები წაუღიათ და იასონ დედანაშვილი, გიგუცა კახნიაშვილი, ნიკა ედიშერაშვილი და სხვები აუოხრებიათ.

70 ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 76.

71 И. К. Обозрение карталинских церквей, с. 78.

72 იხ. აგრეთვე ბ. კუფტიჩის დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII—XIII.

მეღვრეკისის სასაფლაოზე რამდენიმე ძველი საფლავის ქვაც
ძეგს. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ:

„მომიხსენიე მე(,) უფალო(,) საფლავსა შინა მდებარე
ივანე (კ)ახნიაშვილის მეუღლე (.) გარდავიცვა(-)
ლე(.) ვითხოვ შენდობასა(,) ჩუოდ წ(.)
ივლისის ე-ს“ (=1874 წ. 5 ივლისი).

ქალის სახელი არ ჩანს წარწერაში.

სხვა ქვაზე წერია:

„საფლავსა შინა მდებარე ვარ გიორგი
იოსების ძე ნადირაშვილი(.)

(გარდავიცვალე) ჩუპა-სა წელსა(,) ქრისტეშობისთვის
ი-სა დღესა(.) შენდობა მიბრძანეთ!“ (=1881 წ.)

კიდევ სხვა ქვაზე წერია:

„მომიხსენიე მე(,) უფალო(,)

მოსიაშვილი სოსიას ქალი

კეკელა(!) აღმომკითხველნო(,) შენ(-)
დობა მიბრძანეთ(!) ჩუა“ (=1860 წ.).

ან კიდევ:

„მომიხსენიე მე(,) უფალო(,) საფ(-)

ლავსა შინა მდებარე გაიანე

კახასშვილი მოსეს

ასული(,) წელსა ჩუობ“ (=1872 წ.).

იქვე პავლია ქებაძის საფლავს ჩუო (1870 წ.) აწერია, ხოლო
იობა ილარიონის ძის (გვარი არ ჩანს) ქვას უკვე ციფრით აწერია
1878 წ. 27 თიბათვე.

მ რ ბ ნ ე თ ი

ს. ერგნეთიდან (ტირქინისის სას. საბჭო) ცხინვალამდე 3 კმ-ია.

სოფლის სამხრეთ ნაწილში, როგორც აქ უწოდებენ, მაჩაბლის
კარის მთავარანგელოზის (თუ ნათლისმცემლის) სახელობის ქვის
პატარა ეკლესიაა. მისი სამხრეთი კარის ზემოთ ქართული პატარა
ჯვარია გამოსახული.

დასახელებულ ეკლესიასთან რამდენიმე საფლავიცაა.

ქვებზე თარიღებია:

ჩუო, ჩუპე (1870, 1885) ციფრით — 1898 წ. და სხვა.

ერთ-ერთ საფლავის ქვაზე აღნიშნულია:

**„საფლავსა შინა მდებარე ვარ სოფიო
სოლომან დობროშვილის მეუღლე ()
და სოსე დოიჯაშვილისა (.) ჩუპგ“ (1888 წ.).**

იქვე, სხვა ქვაზე, **სოლომან დობრაშვილად** იხსენიება.

ს. ერგნეთის დოიჯანთ უბანში ძირითადად დოიჯაშვილები ცხოვრობენ. აქვე ჩლაჩიძის, წერეთლის, კასრაძის, დარბუაშვილისა და სხვა გვარისანიც არიან. უბანში ღვთისმშობლის ეკლესიის გრძელი (ნავისებრი) უგუმბათო ნაგებობაა; მას სამხრეთიდან მეორე ნაგებობა აქვს მიდგმული. ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმელში შემორჩენილია სარკმლის ქვის ჩრდილო და ქვემო ნაწილი, რომელიც დაღარულია და უძველესია ამ ნაგებობაში. ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ჯვარია გამოსახული. აღმოსავლეთი კედლის ჯვარი უფრო პატარაა, თორემ ჰგავს ცხინვალის ღვთისმშობლისა და ტირძნისის ეკლესიების ზემოხსენებულ ჯვრებს.

ეკლესიის ნაგებობის აღმოსავლეთის საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

**„საფლავსა ამასა შინა მდებარე ვარ სოსია გოგიას
ძე დოიჯაშვილი (.) ვიუავ
ასის წლისა (.) წამკითხველ-
ნო (.) შენდობა ბრძანეთ (!) ჩუო-სა“ (1870 წ.).**

კოლმეურნე კოტე გრიგოლის ძე დოიჯაშვილი (1954 წელს 68 წლისა), გვეუბნება, რომ ეს იყო მისი პაპის (სოლომანის) მამა, — სახელმწიფო გლეხი.

ამ საფლავის ქვაზე გამოსახული ჯვრის მხრების ქვეშ ორი მრგვალედია ჩაჭრილი (ჩაის ჭიქა მესამედამდის ჩაიდგმება შიგ), კ. დოიჯაშვილი აღნიშნავს, რომ აღდგომის მეორე დღეს ამ ორ ჭრილში ღვინოს ასხამდნენ, გვარის რომელიმე წევრი მას ამოხვრებდა და იტყოდაო: შენზედ ვართ მოშენებული, ცხოვდიო.

იქვე, სხვა ქვის წარწერიდან ვგებულობთ, რომ **იოვანე ზაქარიას ძე დოიჯაშვილი** 1864 წელს გარდაცვლილა, ხოლო — „ელისაბედ (.) გიორგი დვალისშვილის მეუღლე (.) და სიმონა კაპანაძისა — ჩუპე“-ს (=1885 წ.).

დვალა შვილი ორ სიტყვად წერია. ადრე კიდევ უფრო ჩვეულებრივი იყო გვარის ასეთი დაბოლოების — შვილის — ცალკე წერა. ამავე წარწერაში საყურადღებოა **უ-სა** და სამკბილა **ლ-ს** მხატვრული გადაბმა (პირველს მეორე უერთდება უკანა ხაზით ქვედა

ფეხზე და ლ-ს ზედა ნაწილი უ-ს აზის თავზე). ვარ ფორმაშიც ა ვ-ს აზის თავზე.

სხვა წარწერიდან ვიგებთ, რომ „...უზნადის ასული მარიამ“ ჩყბ (1880) წელს გარდაცვლილა. ვილაც ჩლაჩიძე — ჩყო (1870 წ.) და სხვა.

ხერხეულიძის (ადგილობრივების ჩვეულებრივი გამოთქმით — ხერხაულიძე) საფლავთან (იხ. ქვემოთ) გატეხილ ქვაზე იკითხება: „ბერო წერთლის ძე სანო“.

აქვე, წერთელი სხვა ქვაზეც იკითხება. ეს წერთელი იგივე წერთელია, რომელი გვარისანიც ახლაც ცხოვრობენ ს. ერგნეთის შუა ნაწილში და ამის გამო უკანასკნელს წერთელიანთ (ზოგის გამოთქმაში — წერთლიანთ) უბანი ეწოდება.

აქაური წერეთლები თავადები არ ყოფილან. აზნაურობდნენ კიო, მაგრამ მათი ოჯახის წევრთაგანი მოახლედაც კი ყოფილა. მაგ., კ. დოიჯაშვილის განმარტებით, ხერხეულიძის (იხ. ქვემოთ) საფლავთან მდებარე კიდევ სხვა ორი ქვა „ხერხაულიანთ მოახლე წერთლების საფლავებისა“.

ერგნეთის წერეთლებს ტირძნისელი წერეთლების განშტოებად თვლიან.

ეკლესიის აღმოსავლეთით ძვეს საფლავის ქვა, სიგრძით — 2,40 მ., განით — 0,80 მ. ამბობენ, თვით ის კაცი, — სანდრო ხერხეულიძე, — რომელიც აქ ასაფლავია, 2 მ სიმაღლის იყოო და ეს სოფელი მას ეკუთვნოდაო.

სანდრო 66 წლის გარდაცვლილა, მისი შვილი — ლენკო ხერხეულიძე — გაბედული კაცი ყოფილა. მას 1905 წ. ჟანდარმისათვის ბომბი ჩაუგდია ეტლში, ჟანდარში მოუკლავს, მაგრამ ლენკოც მოკლესო. მაშინ ერგნეთში კაზაკთა ეგზეკუცია ჩაუყენებიათ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე (ცხინვალის ქვემოთ) ხერხეულიძეების ვენახები იყო სამაჩაბლომდეო. აქედან დამორებული ყორნისიც (ზნაურის რაიონში) ხერხეულიძეებს ეკუთვნოდათ.

სხვათა შორის აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი მასალებით, ყორნისიდან იყვნენ ის ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი, რომლებმაც იხსნეს გიორგი სააკაძე ლუარსაბ მეფისა და შადიმან ბარათაშვილის შეთქმულებით დაღუპვისაგან. ეს ცხრა ძმანი ხერხეულიძენი სამას არაგველთან ერთად გმირულად დაიხოცნენ მარაბდის ომში შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქ. ცხინვალის აღმოსავლეთი ნაწილი (მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე) XVIII—XIX საუკუნეებში თითქმის დაუსახლებელი ყოფილა, მაგრამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებთ სსაფლაოები აღმოსავლეთი ნაწილის გორაკ ზღუდერზეც ჰქონიათ და ახლაც აქვთ.

არქეოლოგმა ს. ნადიმაშვილმა აღნიშნა (1944 წ.), რომ ზღუდერი ანუ ზღუდრის გვერდი (გვერდა) ნეოლითის ეპოქაში ყოფილა დასახლებული⁷³.

როგორც სახელწოდება **ზღუდერი** გვიჩვენებს, ეს ძველი ცხინვალისათვის **ზღუდე**, **სიმაგრე** იყო (შდრ. ზმნა **შეზღუდა**). ძველი იბერიაში (ქართლში) ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ეწოდებოდა **ქალაქი**. მას გარს ერტყა გალავანი და აი, ამ „შეზღუდულ“ ნაწილს **ზღუდე** ეწოდებოდა, განსხვავებით იმისგან, რომელიც მის გარეთ იყო (უკანასკნელს **უბანი** ერქვა)⁷⁴. შემდეგ ზღუდეს უფრო ზოგადი მნიშვნელობა მიეცა, — საბა ორბელიანი ზღუდეს სიმაგრით გარშემოვლებულ ყოველგვარ არეს უწოდებს; მაგ., „ქალაქთა დაბათა, სახლთა, წაღკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთა პატიოსანთა“⁷⁵.

ცხინვალის ზღუდერი ქალაქისათვის ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა. ამ გორაკის ფერდი გზისაკენ ისეთ ფლატეებიან კლდეს (გურული სიტყვით **ნაკადს**)⁷⁶ წარმოადგენს, რომ გამოუტყდელი თვალი მას ციხე-სიმაგრის ნანგრევებად ჩათვლის.

საქართველოში რამდენიმე ზღუდერია ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი ქარელის რაიონში ყინწვისის ეკლესიასთანაა, მეორე — ძამის ხეობაში⁷⁷ და სხვაც.

საქართველოს ეკლესიის კალენდარი **ზღუდერობას** აღნიშნავს ხალხურ დღესასწაულებში; ზღუდერობა იმართებოდა „გარღვეუ-

73 Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949 г., с. 17.

74 იხ. პროფ. ს. ტ. ერემიანის (Еремян) წერილი „Вестник древней истории“-ს № 3-ში, 1953., გვ. 17, შენიშვნა.


75 „ქართული ლექსიკონი“, იხ. სიტყვა ზღუდე.

76 იხ. გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი. — ქართველურ ენათა ლექსიკონი, თბ., 1938.

77 მის შესახებ არსებობს ლ. რჩეულიშვილის სპეციალური მოხსენების დაბეჭდილი თეზისები, თბ., 1942 წლის 20—22 ივნისი.

ლის (აღდგომიდან მეოთხე) კვირის ორშაბათს კოტეხში, გურჯაანის მახლობლად, ხოლო ქართლში სამარიტელის (აღდგომიდან მეხუთე) კვირის ორშაბათს⁷⁸, ზღუდრის გიორგობა კი აღინიშნება აღდგომიდან მეოთხე შაბათს⁷⁹.

ცხინვალის ზღუდერზე ცალ-ცალკე დგანან ქართული და სომხური წმინდა გიორგის ეკლესიები, რომელთა ირგვლივ აგრეთვე ცალ-ცალკე არის ქართველების და სომხების სასაფლაოები.



სურ. 2. ზღუდერი, ქართველების ეკლესია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ქართველების წმინდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულ ქვაზე ნუსხურით, რომელშიც ყოველი სიტყვის შემდეგ სამწერტილია (...) დასმული, ვკითხულობთ:

(1) „წ ლ-წლისა მძლეო მ-წმთა შ-ს წ-რჩნბლო წ-ო გ-ი ზღოდ-რი

⁷⁸ „ქართული საეკლესიო კალენდარი“, თბ., 1948, გვ. 67; 1951. გამოც. გვ. 67, 1954, გვ. 87.

⁷⁹ იქვე, 1954, გვ. 88.

- (2) სო.. (მწე)⁸⁰ და მ-ფრველ ექმ-ნ ტ-ძრისა მ-ს ზ-ა მ-დგლ...
 მ-ქლ⁸¹
 (3) ...ის ძეს ი-ეს ცოდვ-ნ მი..."

ქ ტ ლ უ რ :: ბ დ რ ხ ი ე რ :: ყ ს
 ბ ი ე რ :: რ ზ გ ა დ :: რ ა :: ე ლ :: ნ
 გ ფ ა რ უ ბ :: ლ რ ა რ :: დ ა მ რ :: ყ ე რ
 უ რ ხ ს :: ბ ფ ზ ბ :: ბ ფ ს ე :: რ ზ ხ რ ფ ს ტ ბ ა რ უ რ ::
 გ ა მ ს ბ ა რ ა რ უ ბ ლ რ ა რ :: გ რ უ ბ ტ ფ რ ა რ -
 ყ რ გ რ :: ტ რ მ რ ბ რ ლ რ ხ რ უ რ ს ს რ ყ რ -

სურ. 3. ზღუდერი. ეკლესიის კარის თაღზე არსებული წარწერების მონახაზი

შემოკლებათა გახსნით:

„წმინდაო ღვაწლისა მძლეო(,) მოწამეთა შორის წარჩინებულ-
 ლო (,) წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მწე და მფარველ ექმენ
 ტაძრისა ამისა ზედამდგომელსა მიქაელს, მის ძეს ი[ოან]ეს ცოდ-
 ვანი მიქსნი შეუნდენ, ამინ“].

საყდრის სამხრეთი კარის ზემოდან მთლიან ქვაზე მოთავსებულ
 დაზიანებულ წარწერაში ირჩევა:

- (ა 1) „წ. მ ახვ-ნ მოწ-მთაც შ-ს...
 (2) მთავ-რ მწამეო წ-ო გ-ი ზ...
 (3) მფ-რველ გვქმ-ნ ორთავ შ-ა ცხოვ...“

80 სიტყვის აღდგენა თ. ბ ა რ ა ვ ე ლ ს ე კუ თ ე ნ ის.

81 ან მფლ (?)

(4) ბელსა დ-ფლო დ-ფლსა კ-ლმწიფის დადიან [ის ასულსა]

(5) მ-რის და ნაცვ-ლ გვაგე მ-დლი და ფარვა

შ-ნ მ-რი დლსა მ-ს დიდსა გ-ნ

კთხვისსა, ა-ნ⁸².

შემოკლებათა გახსნით ასე წაიკითხება:

„წ ჰოა ახოვანო, მოწამეთა შორის მთავარმოწამეო, წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მფარველ გვექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა⁸³ [მადიდე]⁸⁴ ბელსა დედოფალთ დედოფალსა კელმწიფის დადია [ნის ასულსა] მარიამს და ნაცვალ გვაგე მადლი და ფარვა შენმიერი დღესა მას დიდსა განკითხვისასა შინა ამინ!“]

ორივე წარწერა ეკლესიის კედელთა იმ ნაწილშია, რომლებიც შემდეგაა დაშენებული. ჩანს, რომ წარწერები კედლებზე სიმაღლის მომატების დროს გაუკეთებიათ.

ეს წარწერები უთარიღოა, მაგრამ ნაგებობის ტიპისა და მეორე წარწერაში მოხსენიებული ცნობილი პირის — დედოფალი მარიამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესია მეჩვიდმეტე საუკუნის შუა რიცხვებშია განახლებული. ეს მარიამი იყო მანუჩარ დადიანის ასული, ლევან II დადიანის დაი, მარიამ დედოფალი, — პირველად სვიმონ გურიელის მეუღლე, შემდეგ — ქართლის მეფის (1632—1658) როსტომისა (იქორწინეს 1634 წელს) და ბოლოს ვახტანგ V (შაჰნავაზის, 1658—1675) ცოლი. როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს შენიშნული, თვით როსტომ მეფე „მარიამ დედოფლის გავლენით ქართული ეკლესიების განახლებასაც კი მისდევდა“⁸⁵. მარიამს ხარჯი გაუწევია იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის განახლებაში და ამიტომ იგი ამ მონასტრის კედელზეა გამოსახული მავეღრებლის სახით ქრისტეს წინაშე; მარიამის ფრესკული სურათი არის აგრეთვე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშიც⁸⁶.

82 შ6 კარგად ირჩევა; უფრო მოსალოდნელი იყო ან (ამინ); შ6-ს წინ „განკითხვისსა!“

83 შდრ. ვ. ცისკარიშვილი, განძანის წარწერების შესახებ. — საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, თბ., 1954, გვ. 466, 468.

84 სიტყვის ან ნაწილის აღდგენა თ. ბარნაველს ეკუთვნის.

85 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. V, თბ., 1953., გვ. 53.

86 Ал. Цагарели, Памятники грузинской старины.—Палестинский сб., IV ს.-პეტერბურგი, 1888, გვ. 105—107; ავტორი მარიამს დაახლოებით 1680 წლისათვის ასახელებს, და დასძენს: იგი ცნობილი იყო როგორც ქველმოქმედებით,

ზღუდრის წმიდა გიორგის ქართული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან ჯერ კიდევ მდებარე (26.VI.1953 წ.) ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„ლოდსა ამას ქვეშე განისვენებს გვამი გარდა(-)
ცვალებულის ნიკოლოზ ფუტურძისა(.) შობი(-)
დგან ვიყავ 40(-)ის წლისა და აღვსრულდი 1892(-)ს წე(-)
ლსა(.) ივნისის 20(-)სა დღესა(.) წამკითხველნო, შენდობა
ბრძარეთ(!)“.

სხვა ქვას აწერია:

„ამა ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ ეკატერინე⁸⁷ და(-)
ვითის ასული ჩრდილელისა(.) დავიბადე 1842
წ. მარტის 11(.) და გთხოვთ(.) წამკითხველ(-)
ნო(.) შენდობა ბრძანეთ (I)“.

სხვა ქვაზე:

(“) დავითისა ვარ(.) სოსიაშვილის მეუღლე(.)
ეკატერინე(.) მივიცვალე 1879 წ.(.)“

იქვე, ერთ უთარილო ლოდს ზევიდან აწერია:

(“) ახ(.) უწყალო სიკვდილო (,) რა უდროვით მომდე⁸⁸ მახე (,)
მამაშორე ტკბილ ოჯახს (და) ავკარგი ვერა ვნახე.(,)“

იმავე ზღუდრის სომხების ეკლესიის ჩრდილოეთით ძვეს დიდი, ბრტყელი, ზემოდან შესანიშნავად მოჩუქურთმებული საფლავის ქვა, რომელსაც თავში, ჯვარს ქვემოთ, აქვს წარწერა:

„ცრუ და მუხთალო სოფელო(.) მიკოდამ ხორცსა და სულსა(.)
რვა თუსა გვრგუნოსანსა სიყრმით ოცი წლის მოსულსა(.)
არ მადძღვე ჩემად სახსოვრათ არცა ძეს(.) არცა ასულსა(.)
სწრაფად მაშორებ საყვარელს უდრო(ო)თა მყოფ წასულსა(.)“

ისე სილაშხითო. შდრ., M. Brossel, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. 1847—1848 წ., VI, ს.-პეტერბურგი, 1851., გვ. 17. აგრეთვე იხ. ბ. კანდელაკის პუბლიკაცია (მარიამის სურათი) და ს. კაკაბაძის წერილი. — „საბჭოთა ხელოვნება“, 1958 წ. № 5-ში დამატებით მარიამ დედოფლის შესახებ. იხ., გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 197.

როსტომსა და მარიამს მცხეთის სვეტიცხოვლის გუმბათივ განუახლებიათ.

⁸⁷ ნამდვილად „ეკატერინე“ წერია.

⁸⁸ იკითხება „მოვდე“ (ი. შ.).

მე ივან ოპან(ო)ვის მეუღლეს სალომეთ წოდებულსა
 უფალს მავედრეთ(,) ყოველნო(,) მართალთან ჰყოფდეს ჩემ
 სულსა(.)

აღვესრულე ჩემთ წელსა
 8(?) დეკემბრისას“.
 (ჩემთ = 1849 წ.).

ოპანოვები ახლაც ცხოვრობენ ცხინვალში. მიუხედავად ლექსის
 შიგადაშიგ გაუმართაობისა, ეს წარწერა ჩუქურთმითა და პალეოგ-
 რაფიულად (მხედრული) აქაურ ეპიტაფიებში ყველაზე მეტ ყურად-
 ლებას იმსახურებს.

იქვე, სხვა ლოდს სამხრეთიდან აწერია:

„(“) მომიხსენე მე (,) უფალო (,) ოდეს მობრძანდე
 სუფევითა თქვენითა⁸⁹(,) ლოდსა ამა ქვეშე
 მდებარე ნატალია სოლომან ოვანოვის
 მეუღლე (,) წამკითხველო (,) ვითხოვ შენდობას(!)“
 (ქვის ჩრდილოეთ გვერდზე წერია)
 შობიდან 40 წლისა გარდავიცვალე,
 1879 წ. მარტის 8 (,)“

იქვე, სხვა ქვის სამხრეთ გვერდზე წერია:

„მომიხსენე (,) უფალო (,) ოდეს მობრძანდე
 სუფევითა თქვენითა(,) ლოდსა ამა ქვეშე მდებ(-)
 არე სოლომან ოვანოვი(,) წამკითხველო(,)
 ვითხოვ შენდობას (,)“⁹⁰

(ჩრდილოეთიდან)

შობიდან 65 წლისა გარდავიცვალე
 1886 წ. ენკენ. 23 დ(ღესა).

იქვე, ქვის ზემოდან იკითხება:

„დაუზოგელმან მახვილმან სიკვდილისამან შეცრა(-)
 თ კვერთხ ოც(ნება)სა ჩემსა და მოგცა მიწა(,)“⁹¹ აუჩტრია(-)

89 ღმერთს შენობით მიმართავდნენ, მაგრამ აქ თქვენიობით წერია.

90 სომხური ასოები სო = სოლომან (სოლომონ) ოვანოვ-ს.

91 ორი ასო არ იკითხება.

ნთ(!) ქალი სალომე(,) მეუღლე ღთის წყალობ...
 ოვანოვისა(,) აღმომ(-)
 კითხავნო(,) შენდობას გიბრძანებდეთ, ჩუნბ
 წელსა(,) კათათვის ვ(“.)
 (ჩუნბ = 1852 წ. ივლისის 6-ს).

იქვე, სხვა ქვაზე შემოდან:

„ში(,) უფალო(,) მომიხსენე მე
 ამას შინა მდებარე სოლომან...
 ჩუნგ წელსა(,) მარტის ე დღესა(,)“.
 (ჩუნგ = 1853 წ. მარტის ე = 5-ს).

იქვე სხვა ქვაზე შემოდან:

„საფლავსა შიგა მდებარე ჩემი ქმარ(-)
 შვილის მარად მდებარე(!) იოსებ მელქოვისა მეუღლე
 დარეჯან(,) შენდობა მიბრძანეთ(!) ჩემ(,)“
 (1840 წ.).

ამავე ზღუდრის სომხების ეკლესიის სამხრეთ კართან ძეგს ლოდ-
 დი წარწერით შემოდან:

„საფლავსა ამას მდებარე ვარ მე(,)
 მხევალი ქალია უზბაშოვისა(,) შობილი
 მაკა ხახანოვისა(,) მხილველნო(,) (გთხოვთ)
 შენდობა მიბრძანოთ(!) ჩუა წელსა(,)“.

თუ აქ ქრონიკონში შეცდომა არაა, ჩუა = 1801 წელს.

იქნებ ჩემ = 1840 სურდათ დაეწერათ?

1952.

P. S.

შემოთ წარმოდგენილი წერილის კორექტურის დროს წავიკი-
 თხეთ ორი-სამი თვის წინათ გამოქვეყნებული ნაშრომი—„მ. ცოტ-
 ნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, სტალინირი, 1961 წ.“. ავტო-
 რი აქვეყნებს ზღუდრის ეკლესიის ჩვენთვის საინტერესო ორივე
 წარწერის თ. ბარნაველის წაკითხვას. იმასა და ჩვენს წაკითხვას
 შორის ზოგიერთი განსხვავებაა, მაგ., სადაც თ. ბარნაველი კითხუ-
 ლობს „იოანეს“, ჩვენ ახლაც დავცქერით წარწერის 1952 წ. გადა-

ღებულ ფოტოსურათს, რომელსაც, სამწუხაროდ, აქ ვერ ვბეჭდავთ, და იქ მაინც „ი-ეს“ (ივანეს) ვხედავთ.

ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, მ. ცოტნიაშვილი რამდენად ზუსტად ბეჭდავს სხვის წაკითხვას, თ. ბარნაველს ვერ გამოვედავებით. ეს კი უდავოა, რომ წარწერაში მოხსენიებული მარიამ დადიანის ასულის „საქართველოს მეფის გიორგი X (1601—1606 წწ.)“ მეუღლედ გამოცხადება⁹² შეცდომაა. ეს მარიამი 1634 წელს მისთხოვდა ქართლის მეფეს როსტომს (1632—1658 წ.) და წარწერაც 1634 წლის შემდეგაა შესრულებული. სწორედ ეს წყვილი ეწეოდა ქართლის ეკლესიების აღდგენას⁹³.

წიგნაკში სხვა შეუსაბამოებებიცაა⁹⁴. მაგრამ მათ არ განვიხილავთ. შევნიშნავთ მხოლოდ: მ. ცოტნიაშვილი ჩვენს ნაშრომს (1952 წ.) მხოლოდ მაშინ ასახელებს, როდესაც ფიქრობს, რომ შეუძლია შემოგვედავოს წარწერის თუნდაც რომელიმე სიტყვის ორთოგრაფიაში, და ზოგჯერ არ ასახელებს მაშინ, როდესაც მისგან ცნობებს ან სწორ დასკვნებს იღებს. მაგ., ჩვენ გვიწერია ძველი ცხინვალის გალანის, დარბაზის და 16 ეკლესიის შესახებ. უკანასკნელთაგან მ. ცოტნიაშვილი წერს 14 ეკლესიის შესახებ და იწყებს წინადადებით: „როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა...“ (!): ხერხეულიძეებისა და ზოგიერთ სხვათა შესახებ არ ასახელებს წერილობით წყაროს და ეყრდნობა ვ. კასრაძის არაზუსტ ზეპირ ცნობას... წარწერები: გვ. 41⁹⁵, გვ. 43, 1806 წ. წარწერა⁹⁶ და ზოგიერთი სხვაც თითქოს პირველად ქვეყნდებოდეს! III ს. ლიახვის ხეობის ოსეთად ჩათვლა⁹⁷ ანაქრონიზმია; ავტორი გვერდს უვლის 1917 წლის წინანდელი ცხინვალის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ჩვენგან ცნობილი ფაქტის ზუსტად გადმოცემას და სხვა.

ჩვენ აქ მ. ცოტნიაშვილის წიგნაკის რეცენზიას არ ვიძლევი, მაგრამ შევნიშნავთ, რომ მასში, სადავო ადგილებს გარდა, რამდენიმე სასარგებლო ფაქტი, ზოგიერთი ცნობის დაზუსტება, მსჯე-

92 მ. ცოტნიაშვილი, დასახ. წიგნაკი, გვ. 51.

93 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, გვ. 35—36, 53; მ. ბროსე. Histoire de la Géorgie, II, სპ., 1856, 647; მისივე — საქართველოს ისტორია, მეორე ნაწილი, თბ., 1900, გვ. 105;

94 ნ. შოშიაშვილის წერილი, „ცისკარი“, 1958, № 4, გვ. 131—146.

95 შდრ. ჩვენი დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

96 იქვე. გვ. 19.

97 იქვე.

ლობები და დასკვნებიცაა და ამიტომ მის გამოცემას ვესალმებით. გვანარებს, რომ ახალგაზრდა ავტორი დაინტერესებულია მშობლიური კუთხის სიძველეთა შესწავლით.

ს ა ბ ა წ მ ი ნ დ ა

ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4 კმ დაშორებით, ქემერტის სასოფლო საბჭოში, სოფ. ხეითის აღმოსავლეთით მდებარეობს პატარა სოფელი საბაწმინდა. იგი ცნობილია ქართულ ისტორიულ-არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხეით-საბაწმინდის ეკლესიით (X ს.), დედათა სავანითა, ციხე-კოშკებით (XVII ს.) მღვიმეებითა და საყინულით.

აკად. მ. ბროსე იხსენიებს, რომ აქ მე დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესიშვილმა, 1848 წლის ზაფხულის ერთ-ერთ ძალიან ცხელ დღეს, ბუნებრივი ყინული მომართვაო.⁹⁸

აქ მართლაც არის ასეთი საყინულე. როცა ჰაერზე ძალიან ცხელა, მთის ძირში ლოდებს ქვეშ წყაროები გამოდის და იყინება. თუ ძალიან ცხელი დღე არ არის, ეს წყაროები არ იყინება, — პირიქით, ზოგჯერ მოთბოდაც გვეჩვენება. 1953 წლის 29 აგვისტოს ცხელ დღეში ამ ყინულით ჩვენც ვისარგებლეთ; სხვა უფრო გრილ დღეს აქ ყინული არ იყო.

ნ. ლიხაჩევს ამ საყინულისადმი აქვს მიძღვნილი სპეციალური წერილი,⁹⁹ რომელშიც აღნიშნავს, რომ აქ, 2.700 ფ სიმაღლეზე ზღვის დონიდან 1877 წლის 8 ივნისს ვიყავი დილითო, საბას ციხე და მონასტერი ნახევრად დანგრეულია, აქაურ დედათა მონასტერში ქართველ დიდებულთა ქალები მოდიოდნენ მონაზვნებად, ახლაც აქ 4 მონაზონია. ოცი წლის წინათ კი 20 ყოფილაო. იგივე დასძენს იმასაც, რომ აქ იღვა ცხედარი 40 წლის წინათ გარდაცვლილი მონაზვნისა.

ნ. ლიხაჩევი იხსენიებს აქ 7 საყინულეს და გვაუწყებს, რომ ყინულოვან ლოდთა ქვემოდან ცივი ქარი მოჭრის.

საბაწმინდის სიძველეებსა და ბუნებრივ თავისებურებებს იხსე-

⁹⁸ მ. ბროსე, არქ. მოგზაურობანი, ს.-პ., 1851, VI, გვ. 63 (ფრანგულად).

⁹⁹ Н. Лихачев, Поездка к Сабацминдским ледниковым ямам (сагк-кәнули), близ с. Цхинвала. — Известия Кавказского общества любителей, естествознания и Альпийского клуба, т. I, кн., 1879, гв. 61—63.

წიებენ აგრეთვე ვახუშტი, დ. ბაქრაძე, პ. უვაროვა, ს. ბეზსონოვი, პუფაფი (1871) და სხვები.

ვახუშტი მის შესახებ წერს: „ერედვის ჩდილოთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგ ადგილსა და მშენიერსა, **საბაწმინდა**, დიდნაშენი, და აწ ხუცის სამარ. მის ზეით, ამავე მთაში, არს, აღმოსავლისკენ, **უდაბნო**, მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი. ეკლესიით; ძეს მოწესე მკუდარი, დღემდე დაუშლელი, კუბოსა შინა კლდისასა, ანაფორითა. აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფსულს ჰყინავს და ხმარობენ ზაფხულ ყინულად“.¹⁰⁰

ეს საყინულე ვულკანური „ლოდების ზღვაშია“. 1962 წელს, როცა ჰაერზე 31 გრადუსი ტემპერატურა ყოფილა. აქ უნახავთ ყინული, სიგრძით 40 სმ, სიგანით 22, ხოლო სისქით 16 სმ. მაშინ მღვიმეში — 1 გრადუსი ყოფილა. როცა იქვე თედო ბეგიაშვილი, აკაკი თოფურია, ალ. ღლონტი და მე ვიყავით, ჰაერზე 40 გრადუსამდე ცხელოდა. საყინულეში კი ყინულის ლოდები ეწყო. გაყინვის მიზეზი ყოფილა ის, რომ „ვულკანური ლოდები ცუდად ატარებენ სითბოს და ძლიერ ჰიგროსკოპული არიან“, თანაც გაყინვას ხელს უწყობს შიგა ცირკულიაცია. როცა ჰაერში ნისლია, საყინულიდან წყალი დის.¹⁰¹

ცნობილია, რომ მეფე ვახტანგ VI, კახეთის მეფე კონსტანტინეს მიერ შევიწროებული და დევნილი, თბილისიდან გაიქცა და ცხინვალს, საბაწმინდას და თირის მონასტერში ცხოვრობდა. მან საბაწმინდაში შემოიკრიბა 1200 მოწინავე ქართველი და აქედან წავიდნენ რუსეთს.

საბაწმინდის მნიშვნელოვანი სიძველეები აღწერილი აქვს ს. ბეზსონოვს.

მონასტერი, რომელიც თლილი ქვისა და გუმბათიანი ყოფილა, ახლა ნანგრევებადაა ქცეული, და არც ზოგიერთი ის წარწერა ჩანს, რომელიც მ. ბროსეს დროს ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი. საბაწმინდის ტაძარს პირვანდელი ნავისებური ფორმა გარედან შეცვლილი აქვს იმ ნაგებობებით, რომლებიც მას სამხრეთით, ჩრდილო-

¹⁰⁰ დასახ. გეოგრაფია, 1941, გვ. 76.

¹⁰¹ რ. კვეციანიძე, საყინულე ლოდებში. — გაზ. „თბილისი“, 5.XI.1962, № 262, გვ. 3.

ეთითა და დასავლეთიდან აქვს შემდეგ მიდგმული და რომლებიც მის ჯვრის ფორმას უქმნიან.




სურ. 4. საბაწმინდა, სამხრეთი ფასალი

ნაგებობების სიგრძე შიგნიდან 4 მ (საკურთხეველი) + 10 მ (აღსავლის კარებიდან დასავლეთ კედლამდე), განი — სამხრეთი კარიდან ჩრდილო კარამდე — 5,5 (კედლის სისქე 1,15—1,20 მ). მინაღვამი სამხრეთიდან განით 2 მ, სიგრძით 5 მ-მდე, ასევე ჩრდილოეთიდან. მინაღვამი აქვს დასავლეთიდანაც მთელ სიგრძეზე. ტაძრის სიმაღლე 12—14 მ-მდე ყოფილა. დასავლეთი კედელი თირის მონასტრის კედელს მოგვაგონებს.

ტაძარს ვალავანიც ჰქონია, მის მახლობლადვე მრგვალი კოშკიცაა და მოშორებით, კლდეში, გამოქვაბულიც ყოფილა. საბაწმინდა მთლიანად არქიტექტურულ ანსამბლს წარმოგვიდგენს.


ტაძართან მშვენიერი წყაროა, რომელსაც სვეტიცხოვლის წყაროს უწოდებენ და რომლითაც სარგებლობენ მახლობლად მცხოვ-



სურ. 5. საბაწმინდა. სამხრეთი კარის ბოძის კაპიტელი



სურ. 6. საბაწმინდა. წარწერა დასავლეთის კართან



სურ. 7. საბაწმინდა. მედალიონი ტაძრის კედელში

რეზნი. ტაძრის ნანგრევები კაკლისა და ძველი ცაცხვის ხეებშია ჩაფლული.

ტაძრის დასავლეთ კედელზე მინადგამი ნაგებობის (დასავლეთი კარის მარჯვნივ) მეოთხე ქვაზე (მიწიდან) ირჩევა ნუსხური ასოები: „მჩლი. გ უღე“ (მაჩაბელი გიორგი შეიწყაღე).

იქვე, კარის წირთხლში.

ჩელწ(ღ)ს“... (ჩვენ კელმწიფეს...), მაგრამ ზემოხსენებული მაჩაბელი ის გიორგი არ უნდა იყოს, რომლის მეუღლის საფლავია ამ ეკლესიაში. პირველი წარწერა ძველია. მეორე მხედრულითაა დაწერილი და ახალია.

ხსენებულ საფლავის ქვაზე ირჩევა:

„ქ. ჩვენ მაჩაბელმა გიორგიმ... ქ(-)

უასა ამას მდებარეს მეცხედრესა ჩემსა ამილახვარსა იოთამის ასულს ელენესა(,) უფალმან...

(გთხოვთ) წამკითხველთ შენდობას(,) ქკს უღგ“.

აქედან ჩანს, რომ ეს ელენე იოთამ ამილახვრის ასული 1733 წელს გარდაცვლილა. გიორგი მაჩაბელი ცნობილი პირია. იგი იხსენიება 1760 წელს, 1780 წელს კიდევ ცოცხალია.¹⁰²

¹⁰² დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 110—111.

იოთამ ამილახვარი გივი ამილახვრის ძმისწულად იხსენიება 1715 წელს¹⁰³.

მ. ბროსეს მიერ ხსენებულ 1795 წლის 15 ნოემბერს გარდაცვალებულისა და ამ ტაძარში დასაფლავებული ზაალ მაჩაბლის საფლავს ველარ ვხედავთ.

საბაწმინდის ტაძრის სამხრეთი გარე კედლის მესამე ქვაზე (სარკმლის ქვეშ) ნუსხური შერწყმული ასოებით ვკითხულობთ:

„მსა“ საბწმდა ო [=საბაწმიდა]

ლგი“ [მაჩაბელი გიორგი].

ტაძრის სამხრეთით მდებარე საფლავის ქვაზე წერია:

„მუხთალო სიკვდილო(,) რა უდროვოდ მიგდე

მახე(,) მომაშორე მზეს და მთვარეს(,) დღე ნათელი

(ქვის სამხრეთ მხარეზე)

დამიბნელე(,) სახლი დამრჩა ცრემლით სამსე მოხუ(-)

ცი მშობლები ავატირე(,) ორი წლის...

(ჩრდილოეთ მხარეზე)

„...1873 წ-სა თებერვლის 25-სა“ (ციფრით).

შემდეგი წარწერა კილოურადაა საინტერესო:

„მომიხსენე მე(,) უფალო(,) საფლავსა ამასა შინა მდებარე || ალექსი ხიდაშლის მეუღლე ელიშია(,) სტეფანე ბ(ა)ბუ||ციძის ასული(,) გარდავიცვალე 1892 წელსა დეკემბრის სამსა||ოცდაოთხის წლისა(,) გთხოვთ(,) წამკითხველო შენდობა || მიბრძანეთ!“

ტაძრის დასავლეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვარჩევთ:


„...მეუღლე ხიდაშ(ლისა)... (გარდავიც)ვალე ჩუჟ-ს წ“(=1890).

თვით ტაძრის ნანგრევი, სამწუხაროდ, კიდევ უფრო ზიანდება, როგორც გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, ცხინვალის რაიონის „სოფელ ხეთის საბაწმინდას ტაძრის გალავანზე უნებართვოდ მიშენებულია კოლმეურნეობის ბოსელი“¹⁰⁴.


საბაწმინდის ტაძრიდან უდაბნო, ანუ **სამონაზვნო**, ანუ კიდევ სავანე, რომელსაც ადგილობრივები **სამებასაც** უწოდებენ, კარგად ჩანს და ამ ტაძარს აღმოსავლეთიდან დასცქერის, ვინაიდან სავანე მაღალ კლდეზე აღმართული კოშკია. მისი პირველი, მეორე და მესამე სართულები ბოძისებრ კლდეში შეჭრილ მღვიმეებს წარმოად-

¹⁰³ დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, თბ., 1953 წ., გვ. 19.

¹⁰⁴ იხ. „კომუნისტი“, № 238, 1953, შდრ. ჩვენი წერილი „დავიცვათ ისტორიული ძეგლები“. — გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, № 104, 1954.



სურ. 8. საბაწმინდა. მრგვალი კოშკი



სურ. 9. ზემო ხეითი. მაცხოვრის ეკლესია და ღოკაანთ კოშკი



სურ. 10 ხეითი. დედათა სავანე

გენს. კლდეს თავზე ციხე აქვს დაშენებული და ეს სავანის მეოთხე სართულია. მესამე სართულის სამხრეთ კედელში პატარა ეკლესიაა კლდეში გამოკვეთილი. მას შესავალი შიგნიდან აქვს; გარედან კი მხოლოდ სარკმელი ჩანს.

გადმოგვემენ, რომ აქაურ მონაზონთა უკანასკნელი ილუმენია ნინო (ამილახვარი) ყოფილა, რომელიც მცხეთაში გარდაცვლილა და იქვეა დასაფლავებული.

ჩვენ მივაკვლიეთ ამ საფლავს მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში. აქ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„აქა განისვენებს
ილუმენია ნინო(,)
თ(ავა)დ ამილახვრის ასული(,)
1815—1904 წ. დეკ. 29(.)“

5. ი. მეგრელიძე

იღუმენიად დაპყო

ამ მონასტერში 39 წ.

Здесь покойтся прах

Игуменьи Нины (,) почив. (.) на 89 г.,“.

1925—26 წლებში კიდევ ყოფილა საბაწმინდაში ბზის ყუთში ჩადებული იმ მონაზვნის ფეხი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. თვით მონაზვნის შესახებ არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ამ ქალს თავს დაესხნენ. მან ღმერთს შესთხოვა, რომ სანამ შეურაცხ-მყოფდნენ, მანამ დამფერფლე, ოღონდ ჩემგან რაიმე ნიშანი დატო-ვეო. ასეც მოხდა და ეს ფეხი დარჩაო.

ამავე ლეგენდის ერთ ვარიანტს გვიამბობს შოთა ედიშერა-შვილი, რომელიც მას დედისაგან — ნინო ედიშერაშვილისაგან გა-უგონია.

ლეგენდის თანახმად, საყინულის ერთ-ერთ ორმოში ცხოვრობ-და ღვთის მსახური ქალი, რომელიც ორმოში ჩასვლისას თან ჩაი-ტანდა ქილა წყალს და ერთ თონის პურსა. ის მხოლოდ ხუთშაბათს (საღამოობით) ამოდიოდა იქედან და ჩატანილი საჭმელ-სასმლის ნა-ხევარი ისევ უკან ამოჰქონდა. ერთხელაც ამოვიდა, მაგრამ მას წყა-ლი და პური აღარ ამოჰყვა. ზემოთ კი ნახა კაცი; ქალმა აღარ იცო-და, რით გამასპინძლებოდა სტუმარს, ძლიერ შეწუხდა და ღმერთს შესთხოვა: თუ მართლა რაიმე ძალა არსებობს, გასკდეს ეს კლდე, — მიუთითა სავანის სამხრეთ-აღმოსავლეთ კლდეზე, — წამოვიდეს წყალი და გამოჰყვეს თევზიო; და მე თუნდაც დავინაცრო, ოღონდ ჩემი ნასახის რაიმე დარჩესო.

ასეც მოხდა, მისი ფეხი დარჩა სავანეში; ის მეც მინახავსო, — უთქვამს ნინო ივანეს ასულ ედიშერაშვილს (53 წ. მცხ. ცხინვალში, 24.V.1953 წ.) ამის შემდეგაა, რომ სავანის ხევში რუ ჩამოდის (ე. ი. ხეითში რომ ხევის წყალი ჩადის), ამ გზით აღმოცენდაო და საყინუ-ლევ შემდეგ გაჩნდაო.

სხვა ვარიანტი ზემოთქმულს აგრძელებს: მონაზონი რომ სტუმარს თევზით გაუმასპინძლდა, სტუმარს მოეწონა მონაზო-ნი და სთხოვა მას, ცოლად გამოემყვიო. ქალს ეს ეწყინა და ღმერთს შესთხოვა, ცოლვაში ნუ შემიყვან და თუ გინდა, ახლავე დავნაცრდე, ოღონდ ჩემი რაიმე დარჩესო. ასეც მოხდა, მისი ფეხის მტევანი დარჩა და იყო ამ სამებაშიო. წყალი კი დის შემდეგ და ისაა სვეტის წყაროო.

ეს ფეხი მცხეთობას თურმე მცხეთას მიჰქონდათ, ერედვობას ერედვში და ლოცვის შემდეგ ისევ უკან მოჰქონდათ.

მოსხუცი ლევან ზაქარიას ძე რომელაშვილის (საბაწმინდელი, 65 წლისა, 1953 წ.) თქმით, სვეტის წყარო ეწოდება აგრეთვე თვით საბაწმინდის მახლობლად მდებარე სხვა დარბაზის (კლდეში მღვიმეა) წყაროს, რომელიც 100—150 მეტრის დაშორებით სათავიდან ქვემოთ ქმნიდა პატარა ტბას, და რომელსაც ანტონის ტბა ეწოდებოდა. გადმოცემით, ამ ტბაში მარხილიანი კამეჩები შევიდნენ და დაინახნენ. ამ ტბას 1 ჰექტარი არე ეჭირაო. 1947 წ. აქედან წყარო ს. ფრისში გაიყვანეს და ტბა მაშინ დაშრაო.

საბაწმინდიდან ჭალისაკენ (მდ. ლიხვისაკენ) ჩავლისას გვხვდება გზაზე მაცხოვრის ეკლესია და დოკაანთ ოთხკუთხოვანი კოშკი, აქედან ცოტათი ზევით (ზემო ხეითისაკენ) არის პატარა ეკლესია, რომელსაც ბუგიაანთ ღვთისმშობელს უწოდებენ.

ბუგიანიშვილების ეკლესიის სასაფლაოზე ძვეს საფლავის ქვა წარწერით შემოდან:

„შენ აჰყავდი დედამისთვის(,) ვითა ვარდი მშვენიერი(,) (სამხრეთიდან) ლულუნებდა ვითა მტრედი(,) უმანკო და გონიერი(,) ვარ ლევან ბუგიაანაშვილის (ჩრდილოეთით) ძე ალექსანდრე(,) ჩუპა-სა წელსა მარიაშობისთვის კი-სა დღესა“(,) (= 1881, კი=30).

იქვე, ერთი ქვა ჩუმ(=1840) წელს დაუწერიათ, მაგრამ არ ირჩევა, ვისია.

საბაწმინდის ზემოთ წარმოდგენილი აღწერილობის (1954) შემდეგ გამოქვეყნდა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი:

1. ვ. ცინცაძე. საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფელ ხეითში)¹⁰⁵.
2. რ. მეფისაშვილი. სოფელ ხეითის ძეგლი — საბა-წმინდა¹⁰⁶.

105 იხ. „ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომები“, 4, თბ., 1955, გვ. 233—254.

106 „მაცნე“, ისტ. მეცნ. სერია, 1971, № 3, 49—63.

მთლიანად აღებული ორივე ჰეშმარიტად მეცნიერული ნაშრომის ავტორები ერთგვარ შეუსაბამობას იჩენენ, როდესაც ს. ხეითზე ლაპარაკობენ და ს. საბაწმინდას გულისხმობენ. გაუგებრობა შეუძლია გამოიწვიოს იმანაც, რომ ჩვენ ვწერდით: საბაწმინდა ცხინვალიდან 4 კმ-ით არის დაშორებული (და ეს სწორია); რ. მეფისაშვილი აღნიშნავს, 5 კმ-ითო (გვ. 49), ვ. ცინცაძე კი ლაპარაკობს აქაურსავე „დაბალ, ფართო ორსართულიან, მრგვალ საცხოვრებელ კოშკზე“, რომელიც მდებარეობსო „ცხინვალიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით მთის ფერდობზე ხეითის“ მაღლა უბანზე (გვ. 233).

ჩვენ რომ ნაშრომში ხსენებული კოშკის ფოტოსურათი არ გვეჩვენა, გავვიჭირდებოდა მივმხვდარიყავით, რომ სიტყვა საბაწმინდის ამ კოშკს ეხებოდა.

ხეითი და საბაწმინდა არ არის ერთი და იგივე სოფელი. „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ რეზიუმეში გამოცემაც არ უნდა ავიღოთ ქართულად (მაგ., 1949 წ., გვ. 150) თუ რუსულად (მაგ., 1960, გვ. 147—148), — „ქემერტის სასოფლო საბჭოს“ სოფლები აგრეა ჩამოთვლილი: „ქემერტი, ანძისი, ძარწემი, ზალდა, ხეითი, ქიწინა, საბაწმინდა, სვერი, ჭალისუბანი, მინდიანთუბანი, მაღალდაანი, მამითა“.

ზემოთ აღნიშნული გვაქვს: ცნობილია, რომ ვახტანგ VI საბაწმინდიდან წავიდა თავისი ამალითურთ რუსეთს (1724 წ. 15 ივლისი) და მითითებული გვაქვს ცხინვალის ჩვენივე, 1952 წ. გამოქვეყნებული, აღწერილობა, რომელიც ეყრდნობა მ. ბროსეს 1851 წლის გამოცემას.

ვ. ცინცაძე სწორად მოიქცა, რომ მ. ბროსეს ეს აზრი შემდეგი ციტატით წარმოადგინა — „მ. ბროსემ საბაწმინდა 1848 წელს დაათვალიერა“ და აღნიშნა: „ვახტანგ VI-მ ეს ადგილი შეარჩია თავის შესაფარებლად, როდესაც კახთა გამაჰმადიანებული მეფის კონსტანტინესგან თბილისიდან გამოძევებული (! ი. მ.) 1724 წლის 15 ივლისს ემზადებოდა რუსეთს წასასვლელად“.¹⁰⁷

ვ. ცინცაძე იქვე ეჭვქვეშ აყენებს ამ ცნობას, რადგან ამბობს: „თუ ბროსე არ ცდებოდა, როდესაც ამბობს, რომ ვახტანგ VI-მ რუსეთში გამგზავრების წინა დღეებში საბაწმინდას შეაფარა თავი

¹⁰⁷ მ. ბროსე, არქეოლოგ. მოგზაურობის VI რვეული, ს.-პეტერბურგი, 1851, 62; ვ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

(გვ. 63), შემცდარი არ უნდა ვიყოთ ჩვენც, თუ ვიფიქრებთ, რომ სწორედ ეს კოში უნდა ყოფილიყო მაშინ მეფისათვის დროებით საცხოვრებლად განკუთვნილი“ (ცინცაძე, გვ. 234).

მ. ბროსეს წერილობითი აზრის გარდა, ეს ცნობა ზეპირსიტყვიერებაშიც მეორდება. ს. ხეთის უწიგნური კოლმეურნეებიც კი, მაგ., ხიდაშელი და რომელაშვილი 1953 წელს გვიამბობდნენ ვახტანგ VI-ის აქედან გამგზავრების შესახებ. ხალხი ახლაც ცხინვალის მთაყვარელები მთელ ზედა მიდამოებს სავახტანგოს უწოდებს.

თვით მრგვალი კოშკის თარიღის შესახებ შევნიშნავთ: 1952 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის ძეგლთა სია“-ში (გვ. 63), აღვნიშნავთ „ბიულეტენსა“ (1925, გვ. 24) და სათანადო მეცნიერულ ნაშრომებში ხეით-საბაწმინდის ისტორიული ძეგლები დათარიღებული არ არის. ჩვენ საბაწმინდის ეკლესია X ს. და მრგვალი კოშკი XVII ს. დავათარიღეთ.

ვ. ცინცაძე იმოწმებს ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომლითაც კოშკები ჩვენს მთიანეთში საცხოვრებელი სახლები იქნებოდა¹⁰⁸ (ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი); მათში, გ. ჩუბინაშვილის შენიშვნით, „საცხოვრებელი ბინისათვის აუცილებელი ატრიბუტებია შემორჩენილი (კერა)“, „სვანური კოშკი ხევსურულის განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს“, ასეთი კოშკის ძველი სახელია მურყვამი (V—VII ს.), გოდოლი (IX), შემდეგ — კოშკი (ჯიხური, ი. შ.), სახელწოდება კიოშკ-კოშკ გავრცელებულია მთელ შუა აზიაში და სხვა,¹⁰⁹ მაგრამ საბაწმინდის მრგვალი კოშკის მათთან გაიგივება ანაქრონიზმი იქნებოდა.

ამიტომ სწორედ იქცევა ვ. ცინცაძე, როცა ამ კოშკს ნინოწმინდის (XVI ს.), ანჩისხატის (1675 წ.) პაპუა მალალაძის ციხე-კოშკებს (1679) უპირისპირებს და შენიშნავს: „რამდენადმე სხვა სურათს იძლევა ხეთის საცხოვრებელი კოშკი“.¹¹⁰

შემდეგ ავტორი კვლავ რამდენიმე კოშკს ადარებს ხეთის კოშკს და ფრთხილად ასკვნის:

„ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ შემცდარი არ უნდა ვიქნეთ.

¹⁰⁸ შდრ. ქვემოთ — ყორნისი. აქაურ კოშკებში საცხოვრებელი სახლის ყველა პირობა წარმოდგენილი.

¹⁰⁹ ვ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 240.

¹¹⁰ იქვე, გვ. 251.

თუ ვიფიქრებთ, რომ ხეთის საცხოვრებელი კოშკი XVII—XVIII სს. მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ეს თუ ასეა, მაშინ მისი აშენება ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას უკავშირდება¹¹¹.

XVIII საუკუნისად იხსენიებს მას რ. მეფისაშვილიც¹¹². ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს კოშკი XVIII ს. არ გადმოვა. იგი XVII ს. ბოლოსი უნდა იყოს ისევე, როგორც კუსირეთის კოშკი; ვახტანგს მშენებლობა თვით ცხინვალში ჰქონდა, ხეთის კოშკს იგი ვერ ააგებინებდა მცირე დროში და მით უფრო — საქართველოდან გარდახვეწის წინა წლებში. სწორი უნდა იყოს სახელწოდება, რომ მას მაჩაბლის კოშკად იხსენიებენ (იხ. სურ. 11).

ახლა თვით საბაწმინდის ტაძრის საკითხს შევიხილოთ. როგორც აღვნიშნეთ და ამჟამად ზუსტად გადმოსცემს რ. მეფისაშვილიც, ჩვენ ეს ტაძარი X ს.-ით დავათარიღეთ, ერედვისა — 906 წ.-ით, ტბეთისა და დოდოთის ცხრაკარას ეკლესიების წარწერებთან შედარებითა და ერედვისა და საბაწმინდის ტაძრების რიგ ქვათა გათლა-წყობის ტექნიკის მიხედვით. გავითვალისწინეთ მ. ბროსეს (1848 წ.), დ. ბაქრაძის (1875 წ.), უვაროვას (1894 წ.) შენიშვნებიც, დისევის X ს. დასაწყისის წარწერიანი ეკლესია და სხვა.

რ. მეფისაშვილი უეჭველად სწორია, რომ შენიშნავს: ხეთის, დოდოთის, ერედვის ზემოხსენებული ნაგებობების ქვის წყობა ადგილ-ადგილ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ამასთანავე დოდოთში ის ორ ფენას განასხვავებს: — ეკლესია X ს., სამხრეთის მინაშენი X — XI ს.¹¹³

ჩვენ საბოლოო თარიღად ვერ ვაღიარებთ, რომ რ. მეფისაშვილი საბაწმინდის ტაძარს IX—X ს. ან ერედვისებრ X ს. დასაწყისიდან ცნობს¹¹⁴; ამას იგი რეზიუმეებშიც იძეორებს: „Церковь св. Саввы в сел. Хенти» характерно для эпохи VIII—IX вв и начала X в.,¹¹⁵.

მეორე მხრივ, ავტორი ამას XIII—XIV ს. ხეობის ტაძარს ადარებს. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, საბაწმინდის ეს ტაძარი არ უნდა უსწრებდეს წინ ერედვის დიდ ტაძარს, იგი ამის დასრულების შემდეგაა აგებული.

111 ვ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ. 253, შდრ. 254.

112 რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 54.

113 იქვე, გვ. 58, შდრ. გვ. 63.

114 იქვე, გვ. 54, 61.

115 იქვე, გვ. 63.

რ. მეფისაშვილი იუწყება, რომ საბაწმინდის ტაძრის წარწერები თ. ბარნაველმა წაიკითხაო. ქარაგმინი წარწერა „გიორგი მაჩაბელი“, როგორც ამაზე რ. მეფისაშვილიც წერს, ჩვენ გავხსენით. სხვა რომელი წარწერა იბოვა იქ სხვამ და გაშიფრა, საჭირო იყო დასახელებულიყო და აღნიშნულიყო, სად დაიბეჭდა?!¹¹⁶

ჩვენს მოსაზრებას, რომ საბაწმინდის ტაძარს ჯვრის ფორმას მინაშენი მკლავები უქმნის, რ. მეფისაშვილი უარყოფს!

1945 წელს აზომა ეს ტაძარი ვახტანგ ცინცაძემ, ნაგებობა „თავდაპირველი სახითაა მოღწეული ჩვენს დრომდე“,¹¹⁷ საბაწმინდის ძეგლმა „შემოგვინახა თავდაპირველ ხუროთმოძღვრულ ფორმათა საერთო აგებულება“¹¹⁸. ჩვენ ეს ნაგებობა 1973 წელსაც დავათვალიერეთ და მაინც ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: ჯერ ტაძრის ნავისებური ტანია აგებული, მკლავების ასაგებად კი დატოვებულია კაშალები და ნაგებობისათვის ჯვრის ფორმის მიმცემი ეს მკლავები შემდეგაა მიშენებული. არ ჩანს, რომ ამ მკლავების კედლები თავიდანვე ტანის კედლების გაგრძელება ყოფილიყო, მით უფრო, რომ მთავარი ეკლესიის დროინდელი არაა ნაგებობის დასავლეთი, დაბალი ნაწილი, რომელსაც გუმბათიც უნდა ჰქონოდა.

და მაინც, საგნის ცნობილ სპეციალისტებს — ვ. ცინცაძესა და რ. მეფისაშვილს — ამ სპეციალურ საკითხში ჩვენ დავას ვერ დავუწყებთ, ამაზე დე, თვით ხელოვნებათმცოდნეებმა იმსჯელონ.

ჭ ა ლ ის უ ბ ა ნ ი

ქემერტის სასოფლო საბჭოში შემავალ ჭალისუბანში (ცხინვალისა და ქემერტში მიმავალ გზაზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე) დგას გუმბათიანი დიდი ეკლესია, რომელსაც ჭალის მთავარანგელოზს ან გოჩაანთ (გოჩაშვილების), ან კიდევ ბუგიანიშვილების ეკლესიას უწოდებენ.

ეკლესიაში (სამხრეთი კარის მახლობლად) ძვეს საფლავის ქვა, რომელზეც ჯერ ჯვარია გამოსახული და შემდეგ ქვაში ჩადგმულ მარმარილოზე წერია:

116 მ. ბ რ ო ს ე, ციტ. VI რვეული, გვ. 62. 63.
 117 რ. მე ფ ის ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 50.
 118 ი ქ ვ ე, გვ. 54.

„აქ დასაფლავებულ არს თა¹¹⁹ დიდი ბარძიმ რევაზის ძის მაჩაბლისა მესამე მეუღლე კნენა მარინე(,) რომელმანცა დიდათ იგულისხმო(დ-) გინა აშენება წის¹²⁰ ამის ეკლესიისა(,) რადგან ძე მისი დიმიტრი და ასულნი მაია(,) ეკატერინა და მარიამ ეკლესიაში იყვნენ დასაფლავებულნი(,) მხილუჭლნო(,) შენდობა უბრძანეთ(,) გარდაიცვალა „ჩუნა [1851 წ.] წელსა(,) სამოცდა ჩუდმეტისა წლისა“.

ეკლესიის დასავლეთით თარიღიანი უძველესი ქვა ჩყათ (1869) წელს გვიჩვენებს. იქვე დგას ორი ბებერი მუხა.

ზ ე მ ო ხ ე ი ტ ი რ

ქალის უბნიდან აღმართია ასასვლელი. მისი პატარა ეკლესია, რომელიც ჩამოჰგავს ბუგიანიშვილების ეკლესიას, ნავისებურია, კედლის ყორექვას კუთხის ქვები თლილი აქვს (ესა და მაჩაბლის ე. წ. დოკანთ კოშკი).

სოფელში შესავალს, ეკლესიის დასავლეთით, კაკლის ხეებთან წყაროა, რომლის ნაგებობას 1,28 მ სიმაღლის და 0,70 მ განის ქვა უდგას. დავით ალექსის ძე ქულიჩიშვილის (1954 წ. 65 წლისა) თქმით, ეს ქვა აკლდამისაა, რომელიც ჯვარპატიოსანის (ზემო ხეთის) ეკლესიასთან არის ამოღებული მიწიდანო. აკლდამის სხვა ქვებიც გვხვდება აქ.

წყაროს ნაგებობის გამართვისათვის ერთი მამა-შვილისათვის სოფელს 60 მანეთი მიუცია 1905 წელს.

ქვაზე წერია: 1905.

დ. ქულიჩიშვილი მეუბნება, წყაროს პირის მომკეთებლის მამას კოსტა ერქვა და მის შვილს თედოო.

ეკლესია კარგ გადმოსახედ აღვილზე დგას. მისი დღეობა, ანუ ჯვარპატიოსნობა, აღდგომის ღამეს იმართებოდაო.

ეკლესიაში ძვეს ზარი, რომელსაც ერთ სტრიქონად ირგვლივ მხედრული ასოებით აქვს წარწერა:

„ქ. შემომიწირამს მე პეტრეს(,) ვაჟარ გივის შვილი ბედინიძეს

119 თავადისა.

120 წმინდის.

წმინდა გიორგის ზღუდერ(ი)სთვინ(.) ქკს ფია“ (= 1823 წ.). ცხადია, ცხინვალის ზღუდრიდანაა ეს ზარი.

ზარის სიმაღლეა 38 სმ, განი ზედაპირზე 33 სმ, შიგნით სიღრმე 32 სმ.

თვით ეკლესიის სიგრძე 8,20 მ-ა, განი — 5,60 მ.

ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ სარკმლებთან გარედან და შიგნიდან ჩრდილოეთ კედლის სარტყელზე არის მრგლოვანი და ნუსხური ასოებით შესრულებული წარწერა, რომლებიც ჩვენ გადმოვიწერეთ, მაგრამ შენობაში გადაღებული წარწერის ფოტოსურათი ვერ გამოვიყვანეთ, და რადგან მათი გადაღების კვლავ ცდა და წარწერის შემდეგ დაზუსტება არის საჭირო, ამიტომ აქ მხოლოდ წინასწარ, შენობაში სანთლის შუქზე გადმოწერილ ასოებს აღვნიშნავთ.

გარედან, აღმოსავლეთი კედლის სარკმლის ზედა ქვაზე ნუსხური ასოებით ირჩევა:

ქ-ე	შ-ე	დ-ს
კა	ქ(?)	სა.

იმავე სარკმლის ქვედა ქვაზე:

შნ ნ	ე პა(?)
კ:მ(?)	პა
<hr/>	
შა (?)	ა(?) და
პ (?)	ლ(?) (-ან ს) კა.

ეკლესიის სამხრეთი კედლის კარის თაღზე გამოსახულ ჯვრის მარჯვნივ ირჩევა ასოები:

ქე კა
კ(?) ხა(.)


ეკლესიაში, ჩრდილოეთი კედლის სარტყელზე მრგლოვანი (იშვიათად ნუსხურნარევი) ასოებით წერია ჯერ ქვემოდან ზემო მიმართულებით:

ქ ეშყასანბ
აელობღვრ
თხუელ ყ
ლითაქ

ამის ქვემოთ, ასოთა ნორმალური მდგომარეობით:

ა ბ გ დ ე ვ ზ
 ლ მ ნ ი თ რ ს
 თ ჟ ყ უ ქ ჯ
 ჩ ც ცხ ღ

სურ. 11. ზემო ხეითის საყდრის შიგა კედლის წარწერის მონახაზი



სურ. 12. ზემო ხეითის საყდრის შიგა კედლის წარწერა

მე დაჩი და ო-ლც
 კეპვა სბლს შლთა
 მკდ თა თს თს თსა
 გ იოგბს სა კვიცათ
 წოტვდს თნ ჰ-კთ
 ხს ღლსა მს სსჯლსა.¹²¹

ეს წარწერა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია და ამიტომ მასზე მსჯელობას აქ შევწყვეტთ.

ზემო ხეითის ქულიჩიანთ უბნის მცხოვრები გიორგი აბრამის ძე კეკიშვილი (1954 წელს 70 წლისა) ამბობს, რომ ჯვარპატიოსანი და ძელიცხოველიც პაპამისის მიერაა შეკეთებული და გადახურულიცაო. ჯვარპატიოსანი უფრო დიდი იყო და დააპატარავესო. თანაც დასძენს, რომ პაპამისი 150 წლის გარდაიცვალა, ამ ეკლესიას ძალიან უვლიდაო.

ეკლესიის ირგვლივ არსებულ საფლავის ქვებს შორის ერთ-ერთს აწერია:

„მომიხსენე(.) უფალო(.) ალექსი
 დავითის ძე
 ქულიჩიშვილი...(.) შობიღვან მ
 [40]წლისა
 აღვესრულე ჩყოთ იან-
 ვრის ი-სა...“
 (1879, 10 იანვარი).

ეკლესიიდან აღმოსავლეთით უზარმაზარი ქვა დგას კლდესავით, რომელზეც მცირე მოედანიცაა, და ნიადაგიც აღმოცენებულია. ამ ქვას მოდინახეს უწოდებენ (ამ სახელწოდების მრავალი ადგილია ცნობილი საქართველოში). მის ჩრდილოეთით მოზრდილი სასაფლაოა და ჩანს, რომ ერთ დროს იქაც ეკლესია ყოფილა, რომელსაც კვირაცხოველი ეწოდებოდა.

ქულიჩიანთ უბნის ჩრდილოეთით ზუბაანთ (ზუბაშვილების) უბანია. იგი არქეოლოგიურადაა საინტერესო. სოფელში შესავალს, ხევის მიერ ჩარეცხილ გზის პირზე, ქვის ყუთის (კუბოს) მესამედი ნა-

¹²¹ შლრ. მე ფისა შვილი, ცინცაძე, გვ. 133.

წილი ჩანდა გამოშვებული. ზურაბ ალექსის ძე ზუბაშვილმა აქვე მიგვითითა (15.VII.1954 წ.) ორმოზე, რომლიდანაც ამოუღიათ დიდი ქვევრი და რომელშიც გაშავებული ქერის მარცვლები აღმოჩენილიყო. იქვე 2 ცალი ხელადა (თითოეული ასე 3—4 ლიტრამდე მოცულობის) და შავი კერამიკის ნამტვრევები აღმოჩენილა. ხელადებს თუნგივით ყელი ჰქონდათ.

იქვე, სოლომონ ზუბაშვილის სახლიდან ჩრდილოეთით ნაფუზრებზე¹²² (სადაც კალოები დგას) გუთნები აკლდამებს დასჯახებით, შეშინებით, ქვაყუთებში ხარებს ფეხი არ ჩაუვარდეთო და ხენა შეუწყვეტიათ, გამოჩენილ აკლდამაზეც მიწა მიუყრიათ. შალვა (შალი) ზუბაშვილმა მიჩვენა იმ დიდი თიხის კუბოს ნამტვრევი, რომელიც მისი სახლის მაზლობლად უპოვია მიწაში და შიგ უნახავს ნიკაპის ყბა კბილებითურთ.

შ. ზუბაშვილი დასძენს, რომ „თიხის სასვენებელს [კუბო] სარქველი ისე ჰქონდა დახურული, როგორც საარყე ქვაბსა აქვს ხოლმე, — სარქველის პირში ჯდებოდა ქვევრისთავიო. კუბოს სწორი კედელი ჰქონდა და არა ნავისებური“.

ზუბაშვილების უბანში ეკლესია არაა; მაგრამ მცხოვრებთ ჰქონდათ აქვე მაზლობლად ჯვარპატიოსანი და სოფლიდან 1¹/₂ კმ-მთაზე, ტყეში — ძელიცხოვლის ეკლესია (თლილი ქვისა, სიგრძე — 9¹/₂, განი 5 მ), რომელსაც **გრძელიცხოველს** უწოდებენ. გრძელიცხოველი რომ იგივეა, რაც **ძელიცხოველი**, ისევე, როგორც — **გრძელიპატიოსანი**¹²³ და **ძელიპატიოსანი**, ეს უდავოა.

გადმოცემით, ძველად ეკლესია ყოფილა თათარში. ეკლესიის ქვები თავადებს დაუწყევიათ ურმებზე და ნიშა ხარებით წამოუღიათ, რადგან თავადებმა ურმის ტარება არ იცოდნენ, ურმიდან ქვა გზაში უვარდებოდათ, და ყველა ასეთ ადგილზე, სადაც ქვა დავარდებოდა. ეკლესიის ნიშს აგებდნენო.

უკანასკნელად ხარი იქ მისულა, სადაც ახლა ძელიცხოველი დგას, ხარი დატრიალდა, დაეცა და გასკდა; ამ ადგილზე ეს ეკლესია ააგესო.

¹²² ნ ა ფ უ ზ ა რ ი — სოფლის მაზლობლად მდებარე საყანე, რომელიც ნებვრთ (პატივით) ნაყოფიერდება.

¹²³ ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953. გვ. 141.

ადვილი შესამჩნევია, რომ ამ თქმულებას აქვს კავშირი სპარსეთის თუ პარსეთის ეკლესიის შესახებ თქმულებასთან.

ეს ეკლესია რადგან თათრიდან მოვიდაო, „ამ ეკლესიაზე მიმსკლელს, ორი კვირით ადრე მისვლისა, ღორის ხორცი არ უნდა ეჭამა, რადგან გრძელცხოველს ღორი არ უყვარს“.

წითელათი ავადმყოფის სახელზე აქ წითელი მამლები მოჰყავდათ და აფრენდნენ. წმიდა ბარბალეს შესთხოვდნენო: „ავადმყოფს წითელ კაბას შევუკერამთ, შემოგწირამთ წითელ მამალს“, და შემოუვლიდნენ დაჩოქილი ეკლესიასო.

ეკლესია მოხატულია რუსულ სტილზე.

სოლომონ რომანოზის ძე ზუბაშვილის (75 წლის) თქმით, აქ ფართოდ აღინიშნებოდა: 1. ბოსლობა, 2. ბზობა, 3. ამალღება.

საფლავის ქვაზე ეკლესიის სამხრეთით წერია:

„ჩუჯ [1866] წელსა(,) მარიამობის 3 დღესა(,)

გარდავიცვალე მე(,) მხევალი მხთის(,)

ზაქარია ყურდღელაშვილის მეუღლე(,)

ოდიშვილის ასული თინათინ(,) მო(-)

მიხსენე მე(,) უფალო(,) ოდეს მოხვიდე

სუფევითა შენითა(,) წამკითხველნო(,) შენდომა

გვიბრძანეთ!“

აქ იყო ეკლესიის მსახურად ყურდღელაშვილი; მისი მეუღლე უნდა იყოს ის, რომლის საფლავის წარწერა უკვე წარმოვადგინეთ.

ეკლესიაში სამხრეთიდან შესასვლელთან (10—15 მ-ზე) არის აღნიშნული ყურდღელაშვილის აკლდამა. მისი საფლავის ქვის წარწერიანი ნაწილი ეკლესიაში ძვეს. მასზე ვკითხულობთ:

„(ქ) ღვთი(თ)

(ვი)შრომე ძელის

(ცხ)ოვლის ეკლესი(-)

(ა)ზედ(,) მე(,) ზაქარი(ა)

კურდღელაშვ(-)

ილმა ვითავე და

აღვაშენე ხალხის

(შე)მწეობითა(,) დავახატ(-)

ვინე სამრეკლო“.

ს. ძარწემში ასი კომლი ცხოვრობს. სოფელი ორი უბნისაგან შედგება. პირველში (საკუთრივ ძარწემში) ქართველები ცხოვრობენ. მეორე უბანში, რომელსაც მამიანთი ან ყარაჯანთი ეწოდება, რამდენიმე კომლი ოსია დასახლებული.

სოფელში, გორაკზე წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას; მისგან ოდნავ დასავლეთით ნიში ყოფილა. ეკლესიის გვერდით საკირე გაუმართავთ მაშინ, როდესაც ძველი პატარა ეკლესიის ადგილზე უფრო დიდს აშენება დაუწყიათ. კირი მოზელილი ყოფილა, რომ მღვდელი გამხდარა ავად. ეს ძველი ეკლესიის გაფართოების ცდისათვის მიუწერიათ, — ხატია წინააღმდეგი შენობის გადიდებისო და ისევ იმ ზომის ეკლესია აუგიათ, როგორიც წინათ მდგარა (ახლა განი — 4 მ, სიგრძე — 6¹/₂ მ).

გორაკის ძირში წყარო გამოდის. უკანასკნელის კედელში საფლავის ქვაა, რომელზეც ჯერ ჯვარია გამოსახული და შემდეგ აწერია:

„შემიწყალე უფალო(!) გარდავიცვალე

კიკოლა ჭოვლიძის ძე ზა(ა)ლი ჩყო წელს“ (1870 წ.).

ეკლესიაში ჭალზე აწერია:

„შემოგწირე ბესარიონ გლურჯიძემ სპარსეთის წმინდა გიორგისა ჩყნა“ (1851 წ.).

გარეთ, საფლავის ქვაზე პატარა ესტატე მეტრეველის საფლავს ჩყო წ. (1870 წ.) აწერია, ხოლო იქვე ხახეო მეტრეველის საფლავზე 1876 წელია აღნიშნული. გოგძის საფლავზე აღნიშნულია ჩყა (1860) და სხვა საფლავები კიდევ უფრო ახლებია.

ძარწემის 8-წლიანი სკოლის აივანში ჩუქურთმიანი ზარი ეკიდა, რომელსაც გარედან ირგვლივ ერთ სტრიქონად აქვს წარწერა:

„ეს ზარი შემოგწირე წმინდა გიორგისა პარსეთისას თავისი ყმამ გაიანემ და ქმარმა ჩემ(მ)ა აღექსევის ერმალოვი ჩვენი სულის მეოხეთ“ (11.44.V).

ზარის დიამეტრი და სიმაღლე 30×30 სმ-ია.

ს პ ა რ ს ე თ ა

სპარსეთა ანუ პარსეთი მდებარეობს ს. ძარწემიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3—4 კმ დაშორებით.

გზაზე, ძარწემიდან პარსეთამდე, სოფლის სათიბებია ფერდო-

ბებზე. გზადაგზა გარეული მსხლისა და თხილის მრავალი მცენარე გვხვდება. შემდეგ შევდივართ ლამაზ ტყეში, რომელშიც ბებერი მუხის, წიფლის, იფნისა და სხვა ხეებია. ტყეში მრავალი ხმელი შუშაა, მაგრამ მოსახლეობა არ იყენებს, ვინაიდან „ჯვარის საკუთრებად“ მიაჩნიათ.

გორაზე, ტყეში თლილი ქვის ეკლესიაა, რომელსაც ლოდებისა და ყორე-ქვის გალავანი ჰქონია. გორაკიდან მშვენიერი ხედია.

ეკლესია სახელგანთქმული იყო მთელ შიდა ქართლში. ამ ეკლესიას ვახუშტი ბატონიშვილი სპარსის წმ. გიორგის უწოდებს¹²⁴

საქართველოში სპარსის სახელით არის ცნობილი აგრეთვე სპარს-ანგელოზი, სოფ. სნოსთან (ხევში). იგი მდებარეობს ძნელად ასასვლელ მაღალი მთის მწვერვალზე, რომელსაც წვერის სპარს-ანგელოზს უწოდებდნენ¹²⁵.

სახელის სპარს-ანგელოზის შესახებ ფიქრობს შოთა ძიძიგური, რომ ეს სპარს ანგელოზი კი არ უნდა იყოს, არამედ სპას (ჯარის, მეომრების) სახელობის უნდა იყოსო. იგი წერს: „უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა სპა-სიტყვამ მნიშვნელობა დაკარგა, გააზრიანების, ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის კანონის ძალით, სპა-ში გაჩნდა რ: სპარს-ანგელოზი ცნობილი სპარს სიტყვის ანალოგიით“¹²⁶.

ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ სიტყვა სპა ცნობილი მნიშვნელობის იყო ქართულში ძველთაგანვე; მაშასადამე, მას არ შეცვლიდნენ; მეორეც, რ კი არ ჩნდება ასეთ სიტყვებში ქართულში, არამედ იკარგება ხშირად. თუ საიდან არის სიტყვა სპარს აღნიშნული სალოცავების სახელწოდებებში, ეს კვლავ საძიებელია.

ლიახვის ხეობის სპარსეთას ანუ პარსეთის ეკლესიის შესახებ, როგორც ჩვენ ეს აღრინდელ ნაშრომში აღვნიშნეთ, ჭარმაგმა ვლად. ბურნაძემ (ს. თამარაშენის მცხოვრები, 1952 წელს 81 წლისა) გვიამბო, რომ „თათრებს ხატი მეეტაცნათ, დედოფლი მინდორზე წამოელოთ, მიწაში ჩაეფლოთ. შემდეგ ჩვენები იმ მინდორს რვა უღელი ხარით ხნამდნენ; გუთანი ხატს მიედო, ხარები გაჩერდნენ. ერთმა დაიჩოქა კიდეც; ამოიღეს ხატი და, ამ ხარს დააკრეს რქებზე, გაუშვეს. სადაც გაჩერდა, ყველგან ნიში ააგეს. ბევრი სირბილის შემდეგ

124 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 77.

125 იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, თბ., 1934.

126 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიუზანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954,

ხარი დაეცა, გასკდა. იქ პარსას ეკლესია ააგეს: ზედ ასკილი ამოვიდა; ეს მცენარე საერთოდ მცირეს იზრდება, მაგრამ აქ ზედ გაიზარდა. მისგან ჯვარი გააყეთეს და ის სპარსეთის ეკლესიაში არისო.“¹²⁷

მართლაც, აქ არის გუმბათიანი ქვის პატარა ეკლესია, რომელშიც დიდ ქვაშია ჩადგმული 2,10 მ. სიმაღლის 80 სმ მკლავებიანი სქელი ხის (მუხისას ჰგავს) ჯვარი, და აი, ამას უწოდებენ ასკილის ჯვარს.

ეკლესიას აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი მხრით სარკმლები აქვს. გარედან კედელში ჩუქურთმიანი ქვებიც ურევია. აღმოსავლეთ კედელზე (თაღის ქვეშ) ჯვარია გამოსახული.

ეკლესიას სამხრეთიდან კედლის მთელ სიგრძეზე აქვს მიდგმული ნაგებობა. ორივეს ხის რკინით შეჭედილი კარები აქვთ. თვით ეკლესიის (შიგა) კარის ხეზე თუნუქი (ყესტი) მსხვილი ლურსმნებითაა დაჭედილი. კარის შიგა ნაწილს ზემოთ თუნუქის, სპილენძის თუ ვერცხლის ფირები ყოფილა ჩაკრული. უკანასკნელი ვიდაცას ამოუკვეთია. ამ ფირებზე ჩაჭდობით ნუსხური ასოებით შესრულებული წარწერა ყოფილა. ასოები ფირის ქვეშ ხეზეც აღბეჭდილა და იკითხება:

„გ ყთ შე

გივი რაის

ძლი ფდ ცოდ

ვილი ამნ“

ვინ არის ეს „გივი რაის... ძლი(,) ფრიად ცოდვილი“, ამის თქმა ძნელია.

აქ ჩვენი მხლებელნი, ს. ძარწემის მოწაფეები: გივი პავლეს ძე მაისურაძე (დაბ., 1939 წ.) და ამირან პეტრეს ძე გუნდიშვილი (დაბ., 1939 წ.) გვიამბობენ, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობა მოსახლეობა ამ ეკლესიის არემარეს და იცავენ აქაურ ტყეს.

ქ ე მ ე რ ტ ი

ქემერტი, ანუ ქემერთი, ცხინვალიდან 12 კმ, საინტერესო სოფელია თავისი სილამაზითაც,¹²⁸ თავისი ძველი ეკლესიითა (სიგრძე—

¹²⁷ იხ. ქვემოთ — თირის ტაძარი. სპარსანგელოზი იხსენიება დ. ჭონქაძის „სურამის ციხეშიც“. — „ცოტა შორს უნდა გაგვეზავნა, უნდა გეთქოს სპარსანგელოზი ან ლომისა, ან ლაშარის ჯვარი ისე, რომ ასრულება გაძნელებულიყო“.

¹²⁸ შლრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ხმა ქემერტიდან — ეტიუდები, XIII, 1974 წ., გვ. 248—289. ავტორი წერს: „უნებლიედ გზიბლავთ ლამაზი, მოხდენილი მღებარეობა სოფლისა, რომელიც გაშენებულია ლიახვისაკენ დაშვებულ გორაკებზე და სამი მხრიდან ხშირფოთლოვანი ტყიანი მთებითაა შემორტყმული“.

10 მ, განი — 6 მ.) და კოშკებითურთ. უკანასკნელს ქვემოთას ეკლესიას უწოდებენ; აქვს გალავანი.

ნაგებობის სამხრეთსა და დასავლეთ კედლებში რამდენიმე ჩუქურთმოვანი და გამოსახულებიანი ქვაა მოქცეული, უძველესად ძველი ნაგებობიდან შემონახული.



სურ. 13. ქვემოთა. საყდრის სამხრეთი კედლის ჩუქურთმები

ეკლესიის სამხრეთით ხეზე კიდია ზარი, რომელსაც ერთსტრიქონიანი შემდეგი წარწრა აქვს:

„ქ. მისურაძე; და გოგია;. და ნიკოლას;. შაუწირამს წმინდა გიორგისათვის“. [18]ჰ8. 7/8“.

ეკლესიის აღმოსავლეთით საფლავის ქვის ზემოდან ეკითხულობთ:

„ჩუოვ [1876]

ივნისის

კ[20]დღესა“.

ქვის სამხრეთ მხარეზე: —

„მლუდელი ანტონი კასრაძე შევიქმენ აღსრულებელი თვით ყმაწვილი და ცოლ-შვილი დამშთენენ კნინ დაღონებული“.

ჩრდილოეთ მხარეზე:

„ძმანო(,) გვედრით, ნაწილში მყოთ მოგონებული და მეუღლემ ეპიტაფიით მკვიდრად მყო დავალებული“.

სხვა ქვაზე წერია:

„უფალო(!) მომიხსენე მე(,) მონა 'შენი საფლავსა შინა მდებარე ოთინა'შვილი პავლე(,) მხილველო(,) შენდობა მიბრძანეთ(,) ჩემი(=1850).

იქვე, სხვა ქვაზე — ჩყნე (=1855).

კიდევ სხვა ქვაზე:

„ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს გვაში პრიჩეტნიკი ფეოდორე გაბრიელის ძე კასრაძე(,) შობილგან ძგ წლ(-) ისა(,) აღვესრულე ჩლოვ“ (ძგ 63, 1876).

ბები ოთინაშვილის ძე ტეტი ჩყნდ (1854 წ.) გარდაიცვალა.

სოფელში დგას დიდი, სამსართულიანი კასრანთ კოშკის (გოდოლი) სახელწოდებით ცნობილი ნაგებობა, ოთინანთ ციხე და სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, სტრატეგიულ ადგილზე, აღმართულია ე. წ. ყაულაანთ ციხე, ნაგებობის სიგრძე — 30 მ., განი 12 მ-მდე, კედლის სიმაღლე 7—8-მდე; შიგ სართულები ჰქონია. გვარი ყაულაშვილი ს. კეხვიც გვხვდება.

გადმოცემით, ყაულაანთ ციხეში ჯაჭვი ეკიდა, რომელზეც, თუკი ასეთს შეიპყრობდნენ, დიდ დამნაშავე თავდამსხმელს ჰკიდებდნენ და ახრჩობდნენ.

ერთ ღამეს აქ 3 ასეთი ლეკი ჩამოახრჩვესო და უწინ სხვა ტომის თავდამსხმელიც.

ყაულაანთ ციხის მასლობლად მანქანას გზა ჩანგრევეია და მიწის გათხრისას იქ ქვის კუბო აღმოჩენილა, რომელშიც 6—7 თავის


ქალა და სხვა ძეგლები იყო. ქვის კუბო ისეთივე ყოფილა, როგორიც ს. კეზვის საბადურას ძირთან უნახავთ.



სურ. 14. ქემერტი. კასრაანთ გოდოლი

ქემერტი ლამაზი და წყნარი სოფელია. 7.VIII.1953 წელს აქ ვნახეთ აკად. კ. კეკელიძე, რომელიც თავის შვებულებას ატარებდა ოჯახითურთ. მას აქ მეუღლის კარმიდამო აქვს. პატივცემულმა მეცნიერმა მოგვაწოდა რამდენიმე საყურადღებო ცნობა ამ სოფლისა და საერთოდ დიდი ლიახვის ხეობის შესახებ. მან თქვა: ვახტანგ მეექვსის ვაჟის როსტომ ბატონიშვილის საფლავის ქვის წარწერა თირის მონასტერში (1689 წ., ი. მ.) წავიკითხე 1924 წელს, როდესაც აქვე

(ქემერტში) ვისვენებდით. დავაზუსტე ზოგი სიტყვა თედო ჟორდანას¹²⁹ წაკითხვაში. ეპიტაფია ეკუთვნის ვახტანგის კალამს და ამი-



სურ. 15. ქემერტი. ოთინანთ ციხე

თაც არის იგი მნიშვნელოვანი; ამიტომ გამოვაქვეყნე კიდევცაო.¹³⁰ თქვენი წაკითხვაც რომ ჩემსას დაემთხვა და ზოგი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური დაზუსტებაც შესძელით, ეს მე მომეწონაო...

აქვე იყვნენ კ. კეკელიძის მეუღლე მინალორა დიმიტრის ასული კასრაძე და ამისი დები: ტასო, ნინო და მანია (მარიამ). კ. კეკელიძემ მითხრა: ეს ჩემი სიდედრები არიანო, კიდევ მყავს ერთი სიდედრი ლიზა (პარიზში იმყოფება) და მოყვარე მიხეილი (მიშა)... მოსაუბრემ გაიცინა და მკითხა. არ გიკვირთ, ამდენი სიდედრი რომ მყავსო?!

მინალორამ განმარტა: სიდედრი თქვენთან (გურია-იმერეთში) მხოლოდ ცოლის დედაა, აქაური ქართულით (ლიახვის ხეობის ქართველთა მეტყველებით) კი სიდედრი ცოლის დასაც ნიშნავს...

¹²⁹ თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 509.
¹³⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 593. გამოვაქვეყნეთ 1952 წ., იხ. ზემოთ თირის მონასტერი.

ქ. კეკელიძემ დაუმატა: მოყვარე კი მოყვარესა და ცოლისძმა-საც ნიშნავს და ამიტომ აგრე გითხარითო...

ეს ქალბატონები, განათლებული მღვდლის ასულები, ეპარქიალურ სკოლადამთავრებულნი იყვნენ, რელიგიის საკითხებში კარგად ერკვეოდნენ. ქ. კეკელიძემ მათ ჰკითხა: რა გვარები იყვნენ ის სვერელი გლეხები, თივა რომ დაგვიდგეს?!.

— ერთს ვასო ერქვა, ვგონებ პაპელაშვილი იყო გვარად, მეორე კი — ხეთერელი, — უპასუხა მინდორამ.

ჰოდა, — განაგრძო ბატონმა კორნელიმ, — მე მათ მითხრეს: ქართველები ხომ ანდრიამ გაგვანათლაო (გაგვაქრისტიანა)?

მე კი ვუპასუხე და განვუმარტე: არა, ნინო კაბადოკიელი ითვლება ასეთად-მეთქი.

მიპასუხეს: — ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ პირველი განმანათლებელი კაცი იქნებოდა, ქალს ვინ დაუჯერებდაო!..

იმათ მინდორა წამოეშველაო, — თქვა მხცოვანმა მეცნიერმა, — მაგათ ოსების განმანათლებელი ანდრია ჰგონიათ ჩვენი განმანათლებელიცაო (მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“ ანდრია პირველწოდებული იხსენიება ოსთა განმანათლებლად. ი. შ.).

სიტყვა მეუღლემ ჩამოართვა და განაგრძო: ანდრია არა მარტო ოსების, არამედ მეგრელებისა და აფხაზების მომქცევადაც იხსენიება, მაგრამ ქართველთა გამაქრისტიანებელი მაინც წმინდა ნინოა...

ტასო შეესიტყვა სიძეს: ხეთერელი თქვენ ამაში არ გედავებოდათ. მან გითხრათ: განმანათლებელი ვერ იქნებოდა ქალი, ქალს არ დაუჯერებდნენო...

სიძემ დინჯად განმაოტა: მეც ეს მათცებს, საიდან იცის ეს ამ უწიგნურმა გლეხმა?!. ასეთ დავას ძველადვე ჰქონდა ადგილი. ჯერ კიდევ ნიკოლოზ გულაბერიძე (1150—1178) სვამს კითხვას: ღმერთმა თავისი წილხდომილი ქვეყანა ქართველებს უბოძა და კაცი ველარ იშოვა, აქ ქვეყნის განმანათლებლად ქალი (ნინო) რომ გამოგზავნაო?!.¹³¹

ქ. კეკელიძემ დაასკვნა: ქალი, როგორც უფრო სათნო არსება, უფრო იმოქმედებდა ქართველებზეო, მაცხოვარმა იმიტომ გამოგზავნა ქალი (ნინო), ასე პასუხობდნენ მაშინ ამ კითხვაზეო...

საუბარი სხვა საკითხებსაც ეხებოდა.

¹³¹ შტრ. ქ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 319 და სხვ.

აქვე ტასო კასრადემ და მისმა ასულმა გაიანე ნაკაიძემ მაჩვენეს წიგნი: „კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი მეორე, თბილისი, 1941“.

მის კონტრტიტულზე კ. კეკელიძის ხელითა და მელნით ნაწერი საინტერესო ცნობა იკითხება:

„ქემერტის ძვირფას ოჯახს, რომლის კაკლების ძირში მოფიქრებული და დაწერილია დიდი ნაწილი ამ ტომებისა.

1942.III.1. ავტორი“.

შემდეგაც თითქმის იგივე კ. კეკელიძემ პრესაშიც აღნიშნა. მან გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ 1948 წ. № 168-ში დაბეჭდა. ქემერტში „ვპოულობ ხალმე მე დასასვენებელ ადგილს. აქ მოფიქრებული და საბოლოოდ გაფორმებულია დიდი ნაწილი ჩემი კვლევა-ძიებითი: შრომებისა. უნდა შევნიშნო, რომ მეცნიერული მუშაობისათვის ერთგვარ სტიმულს იძლევა, სხვათა შორის, ის კულტურულ-ისტორიული გარემოც, რომელშიაც აქ იმყოფება ადამიანი“.¹³²

ქემერტში კ. კეკელიძესთან შეხვედრის ფაქტი ჩვენ მეცნიერის სიცოცხლეშივე დაგვბეჭდეთ (1957 წ.), ანაბეჭდი მასვე მივართვით და მოიწონა.

ს ვ მ რ ი

სოფელი სვერი ორია საქართველოში. ერთი მათგანი ციხე-კოშკით არსებობს ჭიათურის რაიონის სვერის სასოფლო საბჭოში.

მეორეა ჩვენთვის საინტერესო სვერი, რომელიც აგრეთვე კოშკითურთ არის ცნობილი და მდებარეობს ზემოხსენებული ქემერტიდან 2—3 კმ-ზე გუფთისაკენ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდელი დაყოფით, ეს სვერი თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ქემერტის საზოგადოების ოსთა უბანში (იხ. გუფთა) ირიცხება¹³³. მაშინდელი ამ საზოგადოების სოფლებია: ქემერტი (58 კომლი), ზარწემი (ძარწემი, 39 კომლით) და სვერი (12 კომლი). ახლა სვერში 31 კომლია და შედის ქემერტის 250-კომლიან კოლმეურნეობაში. ადგილობრივები სოფლებს — სვე-

¹³² იხ. კ. კეკელიძე, ნტიულები, VIII, თბ., 1974, გვ. 288.

¹³³ საქართველო ბურჟუაზიული რეფორმის პერიოდში, ნაწილი პირველი (1862—1866), თბ., 1954, გვ. 786; რუსულ ენაზე.

რი, ანძისი, ქი(რ)წინა სახელწოდებებით ასახელებენ, ხოლო დასახელებულ სხვა პუნქტებს უზნებად ახსენებენ: — ყაულანთი (აქ ციხეა, იხ. ქემერტის აღწერა), მინდიაანთი, კასრაანთი, ოთინაანთი, მალაღაანთი.

სოფელ სვერის მკვიდრთა გვარებია: ხეთერელი, პაპელიშვილი, ხეთაგაშვილი, კულუმბეგოვი, ჯიოევი.

აქვთ დაწყებითი სკოლა.

ამ სოფლის თაობაზე შედარებით ვრცლად იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იგი უკანასკნელი ქართული სოფელია დიდი ლიახვის ხეობის მარცხენა ნაპირის ზეგანზე (იხ. გუფთა).

ამავე დროს სვერი არის ერთი ისტორიულად ცნობილი სოფელთაგანი ამ ხეობაში. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „კეხვის აღმოსავლეთიდან ლიახვს ერთვის ხევი სვერსა და ქემერტს შუა; ჩამოვარდების ჩრდილოდამ. გამოსდის ამასა და გერის შორის მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა, და არს ხატი დიდი ოქროსი...“¹³⁴ (იხ. ზემოთ — სპარსეთა).

სვერის მდინარის (ხევის, მდ. დიდი ლიახვის მარცხენა შენაკადი) სათავედ სვერელები ზალდის მთისაკენ მიუთითებენ. მას გზადგზა შეერთვის წყაროები და პატარ-პატარა ხეხევი, მათ შორის კრიალას მთის (აღმოსავლეთ ზეგანზე) — ხეხევი.

კრიალას დასავლეთით ოსთა სოფელი გუფთაა. სვერის აღმოსავლეთით ზეგანს სასარებს ეძახიან: სვერის ჩრდილო-დასავლეთით ოსების სოფელი ქირწინა მდებარეობს; სახნავ-სათეს ზეგანს გვერდისთავს უწოდებენ.

შეენიშნავთ, რომ აქ ვაზი არ ხარობს (მალალი ადგილია), სასარე მაინც აქვთ. სოფლის მიდამოებში კაკლის ხეებია, მსხლები და ნასაყდრალის ბორცვზე (იგივეა სასაფლაო) — მუხნარი. სვერის მიდამო ძველ ვითარებათათვის სტრატეგიულია, — კეხვ-მსხლების მხრივ მას კლდიანი სიმაღლეები და მდ. დიდი ლიახვი აკრავს. სოფელი ქემერტისაკენ ყაულანთ ციხეს დაჰყურებს. სვერში ასავალზე, გზიდან ღელის მარჯვენა შემადლებულ ნაპირზე, ოღნავ ზღამუშავებული დიდი ქვა ძევს, რომელიც საყდრის ტრაპეზს მოგვაგონებს. სოფლის დასაწყისში კოშკის (9 X 13 მ., სიმაღლე 10 მ-მდე) ნანგრევი დგას. იგი კუთხეებში აქა-იქ თლილი და უმთავრესად რიყის ქვა-ლოდებითა და კირით (ღულაბით) არის აგებული. მის წინ

134 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 77.

ერთი ურემი გაქვავებული დუღაბი ძეგს. ამბობენ, კოშკის აგების დროინდელიაო.

ზემოხსენებულ სასაფლაოზე თლილი ქვითა და ლოდებით ნაგებია, პატარა სოფლისათვის მოზრდილი, ეკლესია მდგარა. იგი ჩანგრეულია. ქვათა ამოდებისას მოსალოდნელია წარწერის პოვნა. ნასაყდრალის სამხრეთ-დასავლეთით საცხოვრებელ ქვის სახლთა ნანგრევებია.

ყოფილი ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით მეორე ბორცვია. აქ 2.III.1974 წ. მეორედ (პირველად კ. კეკელიძესთან ქემერტში საუბრის დღეებში) ამოვედით (იხ. ქემერტი). ჩვენთან ერთად იყვნენ მიხ. ცოტნიაშვილი (იხ. რუსთავი) და ალბერტ ნიკორიშვილი. პირველი ამ ბორცვს ყორღანს უწოდებს და აღნიშნავს, გორაკის ჩამორეცხილ ფერდებზე ბრინჯაოს ნივთები ვიპოვე და ცხინვალის მუზეუმს ჩავაბარეო.

სოფელ სვერში საცხოვრებელი სახლის მაგვარი პატარა ეკლესიაა, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ ერთი მუხა მოჭრეს და მისი ფიცრებით, კავებითა და ყავრით აიგო და დაიხურა ეს საყდარიო. მას წმინდა გიორგის უწოდებენ; ქვის ძველი საყდარი კი **ზაქარიას სახელობის** ყოფილა! მოსალოდნელი იყო, რომ ახალ სალოცავს ძველის სახელით აღადგენდნენ, მაგრამ, ადგილობრივთა აზრით, — ზაქარწმინდა ძველს ჰქვია, ახალი არის გიორგიწმინდა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნიქოზის პატარა ეკლესია პირველმოწამე რაყდენის სახელობისაა (იხ. ნიქოზი), ცხინვალში — მარინესა და ნუკოლაოხის, კუსირეთში — თეკლას, თამარაშენში — გრიგოლწმინდას სახელთა ეკლესიები არსებობდა; არბოს საყდარს აბოწმინდასთან აკავშირებდნენ; ზეპირი თქმულებები და მარი ბროსე თვით ცხინვალში დგერისის ეკლესიის თაობაზე წმინდა ნინოს, სიდონიას, ელიოზისა და აბიათარ მღვდლის, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის ამბებს თვალითნახულივით გვიყვებოდნენ და აგერ — სვერში — ზაქარწმინდას სახელობის ეკლესიას გვისახელებენ!..

საერთოდ მართლმადიდებლურ და, კერძოდ, ქართული ეკლესიის ისტორიაში რამდენიმე ზაქარია არის ცნობილი. სინას მთის ქართულ ხელნაწერებშიც იხსენიება რამდენიმე **ზაქარია**. ქართული ეკლესია ძვ. სტ. 5(21) თებერვალს და 5 სექტემბერს მოიხსენიებს ზაქარია წინასწარმეტყველს; ცნობილია სოლომონთან მობაასე ზაქარია. ზაქარია ბერი — გიორგი მთაწმინდელის სახარებიდან, ზაქარია — პეტრე ქართველის „ცხოვრების“ ავტორი, ზაქარია ანჩელი

ეპისკოპოსი და რამდენიმე საერო და სამხედრო მოღვაწე ზაქარია, მაგრამ არც ერთი ამათავგანი სვერის ზაქარია არ უნდა იყოს. უფრო სარწმუნოა, რომ იგი არის მარტვილი ზაქარია, რომელიც ნაწარმოებ „წამებაი ზაქარიასის“ მოქმედი პირია¹³⁵.

როგორც კი პირველად სვერში ამოვედით, მოვნახეთ კ. კეკელიძის მიერ შემოხსენებული ჭარმაგი პაპელაშვილი, ხეთერელი (იხ. ქემერტი) და უფრო მოხუცი კოლმეურნეებიც. მათ ანდრია პირველწოდებულის შესახებ ჩვენც იგივე გავგიმეორეს, რაც კ. კეკელიძისათვის ეთქვათ. ისინი საქართველოს მოქცევაში ისევ ანდრიას პრიორიტეტის აზრს იცავდნენ, თუმცა არ დაფარეს კ. კეკელიძის აზრიც; სხვა გადმოცემა და ლეგენდებიც გვიამბეს, მაგრამ წარმოდგინეთ, მაშინ მათ ზაქარწმინდა არ უხსენებიათ!..

ახლა კი, როდესაც მეორედ ვართ ამავე სოფელში, ძველ ნაცნობ მოხუცთაგან არც ერთი ცოცხალი აღარ აღმოჩნდა. ამჯერად გვესაუბრნენ სერგო ალექსანდრეს ძე ხეთაგაშვილი (76 წლისა), მისი მოგვარე შალვა (50 წლისა) და სხვები. სწორედ სერგომ გვითხრა, რომ ქვის ეკლესიას ზაქარწმინდას ვეძახითო და დასძინა: მასში წირვა-ლოცვა ჩვენს მამა-პაპებსაც არ ახსოვდათო, ეკლესია დიდი ხნის წინათ დაუნგრევიათ თათრებსაო.

აქაური ხეთაგაშვილები ამბობენ: ნაოსარები ვართ. ჩვენი პაპები გაქართველებულან ბატონის ხელში (ბატონყმობის დროს), ნათესავები ხვითშიც გვეყვანანო, ზოგი ხეთაგაუროვებად იწერებიან, კოსტას (პოეტს) ენათესავებოდნენო.

სვერის კოშკი ლეკიანობის დროს მთელი სოფლის თავშესაფარი იყო, შიგ წყალიც შედიოდა მიხეილას წყაროდანაო (მიუთითებენ ამ წყაროზე). სერგო ხეთაგაშვილი აღნიშნავს: ციხის ერთი კედელი (ჩრდილოეთი) რომაა მაღალი და სხვები მოშლილი, ეს აგრე მახსოვს სულ, კოშკი ჩემს დაბადებამდეა დანგრეულიო.

მანვე ერთ პატარა საფლავის ქვაზე მიმითითა და მთხოვა: ჩემიანია, წამიკითხე, რა წერია მაგ ქვაზეო!..

გვითხულობ: მიხელა ტატოს ძე ხეთაგაშვილი 1905 წელსა 2 წლის „აეხრულდი“...

უკანასკნელი სიტყვის ფორმა აღვსრულდის ნაცვლად ავხსრულდი დიალექტიზმია.

135 შდრ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 503.

იქვე სხვა ქვას აწერია: „...პაპელაშვილი დაბადებიდან ვიყავი 76 წლის 1903 წელს“.

სხვა საფლავთა წარწერებიანი ქვები კიდევ უფრო ახლებია.

სვერის ხევის კალაპოტის მიხედვით ჩანს, რომ ეს ხევი ნამქრობის დროს საოცრად დიდდება და მის მახლობლად არ დასახლებულან.

ზ ა ლ დ ა

ამ საყურადღებო სოფელზე ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება. ამიტომ მასზე საგანგებოდ ვჩერდებით. იგი ცხინვალის რაიონის ქემერტის სსოფლო სბჭოში შედის. მდებარეობს ზემოალწერილ ქემერტს, გერსა და წიარას შორის. ს. ზალდა, მასში არსებულ სიძველეებს გარდა, ცნობილია იმითაც, რომ აქ დაბადებულა (1775 წ.) ოსთა დიდი განმანათლებელი, ქართულ ენაზე შექმნილი პოემის „აღლუზიანის“ ავტორი იოანე (ივანე) იაღლუზიძე¹³⁶ — გაბარაშვილი.

ი. გაბარაშვილის შემდგომი თაობები — გაბარაევი (ადგილობრივი გამოთქმით გაბარათები — გაბარაანთი) არიან. მათგან გაიგონებთ გადმოცემას: ზალდაში ერეკლე მეფე ჯარით ბრძანებულა, დღისით დაღესტნელი თავდამსხმელები რომ გაურეკავთ, გამარჯვებულებს ღამე აზნაურ იაღლუზიძის ოჯახში გაუტარებიათ ოსური ლუდის სმაში. მასპინძელს ერთ-ერთი შვილიშვილის შესახებ მეფისათვის უთქვამს: აზრიანი (ნიჭიერი) და მარჯვე ყმაწვილი არისო. იგი მეფესაც მოსწონებია, დილით თავის ცხენზე შემოუსვამს, წაუყვანია და გაუზრდია. ეს ივანე (იოანე) აღლუზათი¹³⁷ — აღლუზიძე (შდრ. „აღლუზიანი“) იყო.


ეს აღლუზიძე, იგივე იაღლუზიძე, ადრინდელ წიგნებში ჯაველად იხსენიება იმიტომ, რომ მაშინ ზალდა ადმინისტრაციულად ჯავის საზოგადოებაში შედიოდა. ზალდაში 1865 წელს დროებითვალდებული 67 გლეხი ირიცხება. ახლა აქ მისი ნახევარი თუ იქნება

¹³⁶ ივანე იაღლუზიძის შესახებ იხ. Н. Г. Дзасохов, Словарь (выборочный) к текстам И. Ялгузидзе, Цхинвали, 1971, с. 6—7.

¹³⁷ З. Н. Ванеев, Народное предание о происхождении осетин, Цхинвали, 1971, с. 6—7.



სურ. 16. ი. იაღლეზიძის (გაბარაშვილი) გვარის გამგრძელებელი რომან გაბარაშვილი შეილიშვილებითურთ (ს. ზალდა, 1978 წ.)



სურ. 17. ეკლესია ს. ზალდაში, აგებული ი. იაღლეზიძის ინიციატივით 1820 წელს

(დანარჩენი ბარისკენ დაწეულა). მათში 4 კომლი თიბილოვი და 1 ხაბალოვიც ცხოვრობს.

ზალდაში პირველად 1954 წელს რომ ვიყავით, ი. იალღუზიძის მამა-პაპეული სასახლის ნანგრევები და კოშკ-გალავნის კედლები ჯერ კიდევ არსებობდა. უბანს ადგილობრივები **გალვანს** (ქართ. გალავანი) უწოდებდნენ. აქ 1977 წლის ივლისსა და 1978 წლის ბოლოსაც ვიყავით. ხსენებულ სიძველეთა მხოლოდ საძირკვლებიღა შეიმჩნეოდა. იალღუზიძის მოდგმის გაბარათებად ითვლებიან: აბრამ, გერსამ, გიორგი, ელიოზ, ისონ, ილო, კოსტა, ჩენი (ცხინვალელი ექიმის ვიქტორ ჯუსიოთის, ოთარ ჯაფარიძისა და ჩემი) მასპინძელი, ყოფილი მასწავლებელი რომან (რამან) ექვთიმეს ძე გაბარათი (გაბარაევი) და სხვები. ესენი გვიამბობდნენ, რომ მათი შორეული წინაპრები აქ მზივის მთიდან და ყელის ტბიდან (წითელი ჯვრის მთიდან) ჩამოსახლებულან. ჩვენ მზივში ახლაც გვყავს ნათესავიო. ზალდის უფრო ძველი უბნები სოფლის გარეთ — სამხრეთ-აღმოსავლეთითა და სამხრეთით (ამას ღოღანთ უბანს ან პატარა ლალისას უწოდებენ) მდებარეობს. იქ შედარებით ძველი სასაფლაოები და ნანგრევებიც არის. საფლავის წარწერები ახლებია.

ახლანდელ ზალდაში გუმბათიანი ეკლესია 1820 წელსაა აგებული ი. იალღუზიძის ინიციატივით. მეორე კი 1870 წელს აუშენებიათ, როგორც მასზე აწერია, თურქეთ-ბულგარეთის ომიდან დაბრუნებული „სიმონ გაბარაევი-ბედიევიჩის“ თაოსნობით.

ამ მხარეში სახელგანთქმული **ლალისა ვასთირჯი — ლალისას ეკლესია** (წმინდა გიორგის), ანუ ლალისას ჯვარი, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულ მთის მწვერვალზე დგას საოცრად განარბებულ ბზის ტყეში. სარწმუნოა, მას ლალისა იმიტომ ეწოდება, რომ ამ ეკლესიაში ლალის თვლებით შემკული ხატი ექენა, ან ჯვარი იყო და საკუთარ სახელ ლარისა-ლალისასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. მის აგებას გაბარათები ი. იალღუზიძეს მი-აწერენ, მაგრამ ეს არაა სწორი. იგი მრავალსაუკუნოვანი ქვნილებაა. ეკლესია ნაცრისფერი (ს. ხვწის) გათლილი ქვებითაა აგებული (განი 5 მ, სიგრძე — 8.5 მ).

საკურთხევლის სარკმლის თავზე ნუსხური ასოებია ამოკვეთილი: „ქ გ-ი შე“, რაც ნიშნავს — „ქრისტე, გიორგი შეიწყალე!“ იგივე გიორგი, ისევე ნუსხური ჩაჭრილი ასოებითვე, საყდრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბალავარზე დადგმული ქვის წარწერაშიც

(35×75 სმ) იხსენიება. წარწერა რვა სტრიქონს შეიცავს (აქ სტრიქონებს ვერტიკალური ხაზებით გამოვყოფთ). იკითხება ასოები:




სურ. 18. ღვთისმშობლის ეკლესია ს. ზალდაში, აგებული 1870 წელს

„ქ-ე შ-წყე/გ-ი რ-პ/ /და იმ/სა და დევეს, საძირკველი/ ქრნ.
კ. სა—

„ქრისტე, შეიწყალე გიორგი რპ და იმ/სა დადევს საძირკველი
ქრონიკონ. სა“.

იმ = 18 + 780 = 798 ნაადრევია ამ წარწერისათვის. 18 + 1312 =
= 1330 კი გვიანია! საკითხი კვლავ საკვლევიან.

რბ ხსენებული გიორგის ზედწოდება უნდა იყოს, მაგრამ თუ იგი ციფრია, უდრის 180-ს, მას რომ მოქცევის 780 მივუმატებთ, გამოდის, ეკლესია 960 წელს აუგიათ. თუ „ქრონიკონ“ სიტყვის შემდეგ სა წერტილით იმიტომაა გამოყოფილი, რომ ციფრის აღმნიშვნელია, უდრის 201-ს. თუ მას მოქცევის ისევ 780 მივუმატებთ, გამოდის ამ ეკლესიის საძირკველი 981 წელს ჩაუყრიათ, ამ თარიღებს მხარს უჭერს წარწერის პალეოგრაფიაც. მაშასადამე, ლალისას ჯვარი 120—100 წლით შეიძლება უსწრებდეს ზემოხსენებული წიარის 1085 წ. აგებულ საყდარს.



სურ. 19. ზალდის ლალისის საყდრის სამშენებლო წარწერა

სურ. 20 ლალისის საყდრის მეორე წარწერა

ლალისას ჯვრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ერთ ქვაზე (ნუსხური ასოებითვე) წერია: „ქე შე/ჯბლ/ვლდღა“ — „ქრისტე, შეიწყალე ჯბლ ვლდღა(?)“.

ეს ასოები ქვაზე პირშებრუნებით (გვერდულად) არის წარმოდგენილი, განსხვავდება ამავე ნაგებობის სხვა წარწერათა ასოებისაგან და საფიქრებელია, რომ ეს ქვა ამ კედელში უფრო ძველი ნაგებობიდან არის მოხვედრილი.

ამავე ეკლესიის დასავლეთ კარის თავზე ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული. საყდრის სამხრეთ კედელშიც არის ქვები ჯვრის, მხეცი-სა და სხვა გამოსახულებებით და ზოგი მათგანი შეიძლება უფრო ძველი ნაგებობიდან იყოს გამოყენებული.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას გათლილი ოთხკუთხედი კოლონა. მის ჩაჭრილ ზედაპირში ჩასმულია დათვის თავის ქანდაკება პირით ეკლესიისაკენ, ე. ი. დასავლეთით. იქვე ადამიანის რამდენიმე თავის ქალაც ძევს. ამბობენ, აქვე კალასა და რკინას „ადნობდნენ“, ნადნობის ნარჩენები გვხვდებოა. აქვე დათვის თავის მეორე უფრო დიდი ქანდაკებაც იდგაო. ვილაცას ფერდის ტყეში გადაუგდია და ველარ ეპოულობთო.

აქვე მიწაში ღია ქვაკუბოც ჩანს (სიგრძე — 190 სმ, განი 75 სმ, ქვის სისქე — 10 სმ), ისეთივე, როგორიც მცხეთასა და ნიქოზშიც (იხ. II) გვხვდება.

გვიამბობენ: აქ ლალისას ვასთირჯის (წმინდა გიორგის) დღესასწაული პარასკევს იწყებოდა და მეორე პარასკევს მთავრდებოდა. ღრეობის დროს ფხიზელი მოხუცები იცავდნენ „დათვის თავს“ — ვინმე მთვრალი არ დაეჯახოს ან არ შეაბრუნოს, თორემ გაწვიმდება და დღეობაზე ხელი შეგვეშლებაო. უამინდობის ან გვალვის დროს კი სპეციალურად ამოდიოდნენ სოფლიდან, ლოცვით მიდიოდნენ „დათვის თავთან“, იქვე მდებარე ადამიანის თავის ქალას შეაბრუნ-შემოაბრუნებდნენ; თუ „დათვის“ სახეს აღმოსავლეთით მიაპყრობდნენ. წვიმას ელოდნენ, თუ იმავე თავს დასავლეთისაკენ „გაახედებდნენ“. გამოდარებას ელოდნენ¹³⁸. ორივე შემთხვევაში „დათვის თავის“ დაძვრის შემდეგ საყდარში ლოცულობდნენო. იმასაც დაცხენენ: ადამიანის თავის ძვლები მცველად უდგას ამ დათვის თავსო. დათვის თათის ან თავის გამოსახულება კი ძველად ტანსაცმელზე (მხარზე) ჰქონდა ზოგ ვაჟკაცს გამირობის ნიშნადო.

ცხადია, აქ „დათვი“ ამინდის ღვთაებად ყოფილა მიჩნეული. იგი ქართული ლაზარეს¹³⁹ ორეულია.

¹³⁸ შდრ. ჟურნ. „ფილიუაგი“, 1965, № 10. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 76—78; ი. მეგრელიძე, ლაზარობა აჰარაში. ჟურნ. „ჭოროხი“, 1970; № 4, გვ. 90—92; იქვე, 1976, № 2, გვ. 65—79.

¹³⁹ Л. А. Чибир'ов, Народный земледельческий календарь осетин, Цхинвали, 1976, с. 69.

„დათვის თავთან“ ადამიანის თავის ქალას დაწყობა შეიძლება მით აიხსნას, რომ ოსებმა და ჩვენი მთის ზოგიერთ ხალხს გვალვის დროს წესად ჰქონდათ ძველი საფლავიდან ძვლების ამოყრა (განსაკუთრებით თავისა) და წყლით დასველება (იხ. ზემოთ — ედისი).

მოვიხსენიებთ ეთნოგრაფიულად და ფოლკლორულად საინტერესო ზოგ გადმოცემას. მოხუცი იოსებ გაბარათის თქმით, მზე ან მთვარე რომ დაბნელდება, ვეშაპის ბრაღია. იგი ჩაყლაპავს მნათობს და, მუცელი რომ აეწვება (მთქმელის სიტყვებით — „მუცელს რომ დასწვავს“), უკან ამოაგდებს და ქვეყანა განათლდებაო. წარმოდგენა ვეშაპის მიერ მნათობთა ჩაყლაპვის შესახებ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებშიც არის ასახული.

როგორც სხვა სოფლების, ისე ზალდელ მოხუცებს სჯერათ, რომ ნართული სოსლანი¹⁴⁰ სოზრიყო ქვამ დაბადა. ოსების წარმოდგენითვე არსებობს „დევგმირი“ — ქვის მკამელი (მკვნეტელი) გოლიათებიც. თუ ასეთი ცაში იქნება და პირიდან ქვა გადმოუვარდება, მაშინაც იძვრება მიწა და „ყიამათ ზონ“ — „განკითხვის დღე“ დადგებაო.

აქვე მოვიხსენიებთ თქმულება თხის მოშინაურების შესახებ. თხა პირველად მხოლოდ ეშმაკებს ჰყავდათ. ისინი მას თავიანთ უფროს ძიკურს (ისმის — ძინკური და ძინკვერიც) სწირავდნენ და თვითონაც იყენებდნენ. ოსები დაინტერესდნენ ამ ცხოველით (იოლი შესანახია, მისი თმიდან თოკი და ქსოვილი კეთდება, ტყავი მოსასხამად და გულად ვარგა, რძესაც იძლევაო), მაგრამ ვერსად იშოვეს. ბოლოს ხერხს მიმართეს, ძიკურს კაცი მიუგზავნეს. მან უთხრა: თხების მწყემსად დაეუდგები შენს ეშმაკებს, ოღონდ ნამწყესური ნატურით ამინაზლაურონო. ძიკურმა გადახედა ეშმაკებს და უთხრა: ხი, ხი, ხი, მწყემსს რომ ვეძებდით, მისი ფეხით მოვიდაო!

მოტყუვდა ეშმაკთა თავი და ეშმაკებიც — ოსი მწყემსად აიყვანეს. დათქმული დრო რომ გავიდა, ოსმა ნამწყემსური მოითხოვა — ნამრავლ ყოველ ათ სულზე 1 სული. მისცეს მას კუთვნილი ნეზვები და ვაცებიც, ეს ცხოველი ოსეთში გავრცელდა და შემდეგ სხვა ხალხებმაც გაიჩინესო¹⁴¹.

140 შდრ. „ნართები“, ცხინვალი, 1947, გვ. 37.

141 შდრ. ჟურნ. „ფილიუავი“, ცხინვალი, 1965, № 10, გვ. 10; ვაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 31.VII.1982, გვ. 4.

თავის დროზე ვერ ჩავიწერეთ და ახლა გვაგონდება, მოხუცმა დავით ბეჯინათმა (ბეგიზოვი. იხ. ზემოთ — ს. ელისი) გვიამბო: თხა ეშმაკებს ჰყავდათ და ადამიანებმა ვერ ჩაიგდეს ხელში. ოსმა ეშმაკის მოტყუება დააპირა, ხოლო ეშმაკმა — ოსის. ოსი ეშმაკს მწყემსად დაუდგა, თხას გავიჩნო. ეშმაკმა დაიყენა: ნეზე თხებს მივცემ, ვაცი არ ეყოლება და ვერ გაამრავლებსო. ასეც მოხდა. ოსმა მიიღო ნამწყყესური და წამოვიდა. წუხდა, აღარ იცოდა, როგორ გაემრავლებინა თხა. დრო რომ დადგა, ნეზემა თხებმა თვითონ მონახეს ვაცი თხა და გამრავლდნენ. შემდეგ ეს ცხოველი ოსებისაგან სხვა ხალხებმაც გაიჩინესო¹⁴².

ზალდაშიც ცოლ-ქმრობის სიმტკიცისა და მათთვის ვაჟის გაჩენის მოწყალედ წმინდა მაირამი (მარიამი) მიაჩნდათ, ამიტომ უვაჟო ოჯახი მაირამს (ხატს) შესთხოვეს: ვაჟი გავვიჩინე და ყოველგვარი უბედურებისაგანაც გვიხსენით, მხეცთაგან ადამიანისა და ცხოველთა მფარველად მოგვევლინეო! (მარიამის კულტი)¹⁴³.

ზალდიდან ცხინვალში დაბრუნებისას ლალისას ჯვრის გადახურვისა და აქაური სიძველეების დაცვის საკითხი აღვძარი. ოლქის სიძველეთა დაცვის განყოფილებამ ეს ვერ შეძლო, მაგრამ აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ლილი გასიევამ ზალდელებს შიფერი შეაძენინა. სოფელმა ეკლესია საიმედოდ გადახურა. საქმეს ზემოხსენებული რომან გაბარათი ხელმძღვანელობდა. იგი აქაურ სიძველეთა დაცვის რწმუნებულადაც დაენიშნეთ. 1978 წელს კვლავ მოგემართეს ზალდელებმა: მასალა გამოგვიყონ, ფასი და შრომა ჩვენი იყოს, სხვა სიძველეებსაც შევაკეთებთ და გადავხურავთო.

ამგვარი ინიციატივა გამოიჩინეს ცხინვალშიც, — მოხუცმა შალვა ცოტნიაშვილმა და მისმა მეგობრებმა, აქაური ზღუდრის მე-17 საუკუნის წარწერებიანი ეკლესია (იხ. ზემოთ — ზღუდერი) თუთიით გადახურეს და კარი შეჰკიდეს. ეს მაგალითები მისაბაძია და ასეთ უანგარო ადამიანთა და მათთვის ხელისშემწყობთა (როგორც ლ. გასითი — გასიევა აღმოჩნდა), მხარდაჭერა და წახალისებაც სასარგებლო იქნება.

¹⁴² შდრ. ლ. ჩი ბ ი რ ო ვ ი, დასახ. წიგნი, გვ. 52; ი. მე გ რ ე ლ ი ძ ე, თხის მოშინაუბრება. ოსური [და მეგრული] თქმულება. — გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1982.VII.81, № 146, გვ. 4.

¹⁴³ ლ. ჩი ბ ი რ ო ვ ი, ი ქ ვ ე, გვ. 10 და შემდეგი.

თ ა ვ ი II

მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირი
(გორი — ნიქოზი)

ო თ ა რ უ მ ე ნ ი

მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირის სიძველეთა აღწერასაც ქ. გორიდან ვიწყებთ (გორი-ვარიანი — 27-28.VIII. 1957 წ., საქაშეთი-შინდისი-ფხვენისი — 19-20.VII. 1957 წ.).

გორის ჩრდილოეთი მხარე მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე (ჭალა) წინათ დაუსახლებელი ყოფილა. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აქ აშენდა საფეიქრო კომბინატი, ასფალტისა და გულრონის ქარხანა, ხორცის კომბინატი (მაცივარი) და საცხოვრებელი სახლები. ამის გამო ქ. გორს ახალი დიდი უბანი შეემატა.

ამ უბნის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრისაკენ პირშექცევით (და, მაშასადამე, მის ხეობაში, რის გამოც ამ სოფელზე აქ აღარ შეეჩერდებოდა), მდებარეობს 170-კომლიანი სოფელი, ტინისხიდი (ადგილობრივთა გამოთქმით — ტინისხიდი).

ხსენებული საფეიქრო კომბინატიდან ვარიანისაკენ გზაზე, თვით ლიახვის ხეობაში, პირველი სოფელია ოთარშენი (ზოგჯერ ისმის **ოართაშენი**). ოთარშენში 48 კომლი ცხოვრობს (1865 წელს 18 კომლი ყოფილა).

აქაური გვარებია: დიდებული, კოდოშვილი, ამირიძე, კაბულაშვილი, უკვე ცოგოვეცი, სარიევიც და სხვა.

ოთარშენში არის კოშკისა და ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია წმინდა გიორგის სახელობის ყოფილა. ოთარშენელი გიორგი იოსების ძე კოდოშვილი (1957 წ. 73 წლისა) იგონებს: „გიორგობას ვხტილობდით ძველით ათ ნოემბერს, ახლით ოფდასამში (23), აპრილშიც ვიხტილით გიორგობაჲ“.

კოშკთან დაკავშირებით იგივე გ. კოდოშვილი გვიამბობს:

„კოშკში ჩემ დროს ბატონი კოწია ამილახვარი ცსოვრობდა. აღდგომის წინ ხუთშაბათს სამმა მომღერალმა აქლემი ვაგაკეთევიტ, მიმგვანებული აქლემი (კაცი იჯდა ფარდაგშია). აქლემ(ს) ეითომ თათარი ათამაშებდა, — რო ვთქვით, ჭონა იყო, და აქაურ თავად ამილახვარს მი(ე)უ(ვ)ედით. ჩვენ რო ძირ(ს) ვთამაშობდით, ბატონი (კოშკის) აივანზე ათამაშოლა... ვერცხლის სამი მანეთი გადმოვვიგდო, თანაც ღვინო დაგვალე(ვ)ინა. ჩვენ კი გვეშინოდა, ვაი, თუ ზარტხა და ვაიუბედურება დაგვატყდეს თავზეო“.

ჭონას ზოგადი სახის აღწერა დაბეჭდილია ვაზ. „კავკასის“ 1854 წლის №№ 24, 50, 53 და 56-ში. მის კვალობაზე დ. ჩუბინაშვილი წერს: „ჭონა, (სახელი). აღდგომის წინა დღეს ყმაწვილები დადიან კარდაკარ კვერცხის მოსაგრო(ვ)ებლად, სიმღერით; ჭონა, როგორც რომ ქრისტეს შობის დღეს“¹.

აქ ეს გაზაფხულის დღესასწაული აღდგომის წინადღეს, ე. წ. დიდ შაბათს სრულდებოდა. ჩვენს ჩანაწერში კი დიდი ხუთშაბათია დასახელებული. თანაც ჭონა თეატრალურ სანახაობად არის ასახული (აქლემად შემოსილი კაცი, — აქლემის როლის შემსრულებელი). შემთხვევის გამო ჭონა დიდ ხუთშაბათსაც შეიძლება შესრულებულიყო. ოღონდ დ. ჩუბინაშვილი რომ წერს, ყმაწვილები ასრულებენ მასო, ეს გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. წინათ მას მამაკაცები ასრულებდნენ. სათანადო სიმღერა და საღამოს ჩამოვლა არა ყმაწვილების, არამედ კაცთა საქმე იყო. ჩვენს ვარიანტში აქლემის არსებობა ყვენობის და ბერიკაობის² გავლენის შედეგია და არა „ჭონის“ წესისა.

ზოგიერთი ურევს ერთმანეთში ჭონასა და ალილოს (ქრისტე-შობის ჰიმნის) სასიმღერო ტექსტს და ამის გამო —

„ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩაჰკარ კალათასა,
ამოილე გროშებო,
გაგეზრდება ბავშვებო“.

1 დ. ჩუბინოვი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პეტერბურგი, 1887.

2 ყვენობისა და ბერიკაობის აღწერა-დახასიათება იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 66—72; უფრო დაწვრილებით დ. ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 275—344, 345—431.

სრულიად უადგილოდ ისმის „ალილოში“.
ცხადია, რომ ეს შექმნილია ჭონას სასიმღერო ტექსტის —

„ალათასა, ბალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა,
ადეჲ, ქალო, კვერცხი ჩადე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“³, —

გავლენით; კვერცხი (და ისიც სასახუქრო, განსაკუთრებით — შეღებ-
ილი წითელი) აღდგომის ატრიბუტია და არა შობისა.

ზემოხსენებული მეორე ძირითადი ტექსტის მრავალი ვარიანტი და იმიტაციით შექმნილი ბევრი ლექსი არსებობს ქართულ ფოლკლორში⁴. უდავოა, რომ ეს სიმღერა დაკავშირებული იყო გაზაფხულთან და, შეიძლება წარმართობის დროინდელი⁵ მოვლენა შემდეგ ქრისტიანობამ გამოიყენა.

ანალოგიური შემთხვევები ცნობილია.

თ ე დ ო წ მ ი ნ დ ა

ამ სოფელში ახლა 50 კომლზე მეტს ასახელებენ. 1865 წელს კი 10 კომლი სახლებულა. ახლა აქ მცხოვრებთა გვარებია: კანიაშვილი, ბასილაშვილი, კოშორიძე, შერმადინი, ხაჩირაშვილი და სხვა.

თედოწმინდაში ერთი დანგრეული სამსართულიანი მრგვალი კოშკი და ერთიც ასეთივე ეკლესიაა. კოშკი გორის მიწისძვრას (1920 წ.) დაუზარევეია.

ეკლესიის ჩრდილოეთით, საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„აბა(,) მიბრძანა შემოქმედმა(,) მიწას რწრივი⁶
მივქეც⁷ მიწად(,) ცოლ(-)შვილნი დავტოვე ოხრად(.)
აზნაური დავით გარსევანოვი(.) შენდობას ველი.
გიორგობის იე-სა დღესა ჩუბა (1881) წელსა“.

ერთ-ერთ ქვაზე ვიღაც „გიო იჩქითის ასული“ (ქალის სახელი

³ თ. მამალაძე, ქართული ხალხური სიმღერა „ჭონა“. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XII—XIII, თბ., 1963, გვ. 235.

⁴ იქვეა დაბეჭდილი რიგი მასალა.

⁵ იქვე, გვ. 249.

⁶ ასეა.

⁷ ასეა.

არ ჩანს,) იხსენიება. მაშასადამე, იჩქითი აქ გიოს გვარის ადგილზე დგახ!⁸.

ამ საფლავის მახლობლად მდებარე ქვის თავზე ჯვარი ხატია და შემდეგ იკითხება:

„საფლავსა ვარ ესტატე კოშორიძის
მეუღლე მარიამი(.) ჩუპე(.) ვითხ(-)
ოვ შენდობას“.

ჩუპე 1885 წელს.

სხვა ქვის შუბლზე წერია „ღვინობის ივ“ (16), ჯვარია გამოხატული და შემდეგ წარწერა სტრიქონით წყობადაუცველი ასეთი ლექსით იწყება:

„მუხანათმა სიკვდილმა რა უდროვით
მიგდო მახე(,) მამაშორა საყვარელ ქმარსა

(ქვის სამხრეთ მხარეზე)

და შვილს(,) სახლი დამრჩა ცრემლიანი(.)
შავ მიწაში დავიმარხე(.) აქა მდებარე

(ქვის ჩრდ. მხარეზე)

ვარ ვანო კოშო(რ)იძის მეუღლე(.)
მაგრამ გოხოვთ შენდობას(.) ჩუპბ“(=1882 წ.).

ამავე ეპიტაფიის ლექსითი ნაწილის ერთ-ერთი ნარიანტი მეზობელ ქვაზე (ჯვარის შემდეგ) ასე იკითხება:

„მუხან(ა)თმა სიკვდილმა რა უდროვით
მიგო მახე(.) მამაშორა (ჩემსა ქმარ-შვილს); ავი(,) კარგი ვერა

(სამხრეთით)

ვნახე(.) სახლი დამრჩა ცრემლით სამსე(,)
დულარებით დავიმარხე(.) ვანო კოშორიძის)

⁸ ჩვეულებრივ საკუთარი სახელია. იხ. ნ. მარო, აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა. — Bibliotheca Armeno-Georgica, ს.-პეტერბურგი, 1914, გვ. 18 აღაპი, 76; ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 86, აღაპი 78 (აქ იხსენიება იჩქითი გურგენიძე).

(ჩრდილოეთით)

მეუღლე მარო აღვესრულე⁹ ჩუჟგ-ს [1893 წ.].
ვითხოვ(,) შენდობა გვბოძე“.

მეზობელ ქვაზე (ჯვარის შემდეგ) წერია:
„ავმოვარდი მნათობსა მზესა(,) სიკვდილმა
ხელთ მიგდო(,) ჩამავდო ბნელსა(,) ღმერთმან
დავიხსნათ უღრით.¹⁰ ამ განსაცდელსა(,)

(სამხრ.)

რა შესძლებია უბედურსა და შავს ღღესა(,)
ყრუ წუთ სოფელში გაუხარებელსა(,) აწ ყურ
ვინ უგდებს ჩემს ცოლს და შეიღსა და ვის
გთხოვთ შენდობა ბრძანოთ(,)

(ჩრდ.)

შეუშრობს თვალთან ცრემლსა(,) არ მოველო(-)
დი(,) გიგა ესტატეს ძე კოშირეშვილი გარდავიცვა(-)
ლე 1897 წლის აპრილის 23-ს ღღესა“.

ლექსში სტრიქონთა წყობის დარღვევის ასეთი შემთხვევები
ღშირია ეპიტაფიებში. ამისივე ერთ-ერთი ძალიან თვალსაჩინო მაგა-
ლითია აქვე მდებარე უბრალო ქვაში ჩასმულ მარმარილოს დაფაზე
შესრულებული წარწერა:

„შენი ძმა რეჩსა კითხულობს(,) პირველად
ვხდები პოეტი(,) წილათ ისა მხვდა(,) უბედურს(,)
ღღეს შენს საფლავზე მოვედი. ორი ღღე
განდა, მარუსა(,) აღარ გვ(ა)თხოვებ სმენასო(,)
მოკეთებები მოვიდნენ(,) შენზედ საუბრობს
ყველაო(,) მარო(,) შენს ბედს(,) უსამართლოს(,)
კიდევ ვუთვლი მე სამდურაგს(,) ოხრათ
დაგრჩა სამზადისი და მზითები

ცრემლში ცურავს“ (...)

და ასე შემდეგ, ბოლოს იკითხება:

„მარო რაუდენას ასული გახიტაშვილი(-)ხაჩირაშვილისა 1919
18.I“...

⁹ იკითხება აღვესრული.

¹⁰ ასე წერია.

უფრო გამართულ პირველ სტრიქონებს რომ თავიანთი ადგილი დაეუბრუნოთ, ისინი ასე დალაგდებიან:

„შენი ძმა რჩისა კითხულობს,
პირველად ვხდები პოეტი.
წილათ ისა მხვდა, უბედურს,
დღეს შენს საფლავზე მოვედი“...

ა ბ ა ლ დ ა ბ ა

ამ სახელწოდებით საქართველოში 9 სოფელია ცნობილი. ვარიანის სასოფლო საბჭოს ახალდაბაში ჯერ კიდევ 1865 წელს ყოფილა 38 კომლი. ახლა მასში 300-მდე კომლია. სოფელი მთის კალთაზეა გაშენებული.

სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ქვის უგუმბათო ეკლესიაა. ახალდაბელი მასწავლებელი დიმიტრი ალექსანდრეს ძე სენინიშვილის ცნობით, ამ ეკლესიას აგურის გუმბათი ჰქონდა. მაგრამ მოანგრის.

ეს მოზრდილი ბაზილიკა გადახურულია თაღისებური დუღაბით. უფრო ძველია ამავე სოფლის მეორე ეკლესია, რომელიც სოფლის სამხრეთით გაშენებულ მუხნარში მდებარეობს. ის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა და სოფელი გიორგობას დღესასწაულობდა.

კოშკიც ყოფილა სოფელში, მაგრამ დანგრეულა.

ა რ ა უ ე ნ დ ა

ესეც ვარიანის სასოფლო საბჭოში შედის. თქმულებით, თავადს (კახურ ვარიანტში — მეფეს) ციხეს უშენებდნენ. ციხე კი რამდენადაც ზევით ჩნდებოდა, იმდენადვე მიწაში იფლობოდა. გაჭირდა მშენებლობა. გამოივლიდა თუ არა თავადი, მშენებლებს შეეკითხებოდა ხოლმე: „არ აშენდა?“

ამიტომ დაერქვა ამ სოფელს არაშენდაო.

ახლაც იმეორებენ თქმულებით გადმოცემულს, არაშენდაში სამსართულიანი ციხე იყო, მისი იმდენივე ნაწილი მიწაში ყოფილიყო ჩაფლულიო.

პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა წერილი „არაშენდა (მცირე შენიშვნა)“, რომელშიც ნათქვამია, რომ მარტო ქართლსა და კახეთში შვიდი სოფელია ცნობილი არაშენდას სახელ-

წოდებით; ასახელებს ასეთებს ადგილმდებარეობის მიხედვით, აღწერს იმ უამთა სიავეს, რომლის გამო **აშენდას ეწოდა არაშენდა** ან კიდევ სხვა გზით წარმოიშვა ასეთი სახელი და ასკვნის:

„ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა დღეს საქართველოში არსებულ, უკვე აშენებულ „არაშენდებს“, ტრადიციულად, **ისევ აშენდა ეწოდოს**“¹¹.

ასეა თუ ისე, ჩვენთვის საინტერესო ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელს არაშენდა ჰქვია. მასში 1865 წელს 31 კომლი ყოფილა, ახლა კი 150-მდე კომლია. აქაური გვარებია: კობაძე, თქროპირიძე, ხუროშვილი, ბურნაძე და სხვა.

არაშენდელი კოლმეურნე პეტრე ზაქარიას ძე ხოსრუაშვილი (1895 წ. დაბ.) გვუწყობს, რომ წინათ სოფელი სამხრეთით გაჭიმულ გორაკზე ყოფილა გაშენებული და მცხოვრებთ შემდეგ დაუეკებიათ. ძველი ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით ახლაც დგას ქვის ძველი ბაზილიკური ეკლესია და მის ირგვლივ სასაფლაოა. ეს ბაზილიკა ჰგავს ახალდაბის საყდარს, შიგნიდან წელში ორივეს სარტყელი აქვს.

საყდარი არაშენდაში ფერიცვალების სახელობისაა. გარე ეკლესია კი მთავარანგელოზის სახელობის ყოფილა. სოფელმა რომ დაივაკა და ძველი ეკლესია მოშორებით დარჩა, უფრო დიდი საყდრის აგება გადაწყვიტეს შიგ სოფელში: იგი ცხინვალელმა ჩიტო კასრაძემ ააგო ჩვენს ხარჯზეო, — შენიშნავენ ადგილობრივები. ნაგებობა აგურისაა, დასავლეთიდან მიშენებული აქვს სამრეკლო.

საყდრის ჩრდილო-დასავლეთით დგას უზარმაზარი ტირიფი, ანუ, — როგორც აქ მას უწოდებენ. — **ნერგი**, იგივე — **თეთრი ხე**. მისი წრეწირი 7 მ-ს უდრის. ეს, ბუნების იშვიათი ძეგლი ადამიანის მახვილს იმის გამო გადარჩენია, რომ იგი ე. წ. ნაკურთხ მიწაზე იღვაღეთის სახლის მახლობლად. ასეთ ადგილზე ხის მოჭრას არამც თუ წინათ, ახლაც კი გაუბრძანებია. მაგ., მე ერთ ყმაწვილს სამგზავრო ჯოხი მოვაჭრევენი ვარიანის ძველი საყდრის მახლობლად მდებარე დიდი ხის ტოტიდან. საყდრის სასაფლაოზე ვატარე ეს ჯოხი, მაგრამ წამოსვლისას ერთმა მოხუცმა იქვე დამატოვებინა იგი, — აქედან რისამე გატანა არ შეიძლებაო, თქვენცა და ჩვენც გვავენბსო.

ამ ხეს ჩიტის ნერგს (ჯვარის ტირიფს) უწოდებენ. ხსენებული პეტრე ხოსრუაშვილი თვით არაშენდაში არსებულ საყდარს სამღვ-

¹¹ გან. „ლიტერატურული გაზეთი“, № 2, 11. I. 1957.

დლო ეკლესიას უწოდებს. აქ იყო მღვდელი, იგი ზოგჯერ მიდიოდა და ფერცვალეზაშიც წირავდაო.

„ე(გ) ხატი(ს) ნერგი წინათ კიდემ უფრო მაღალი იყო, მე რომ ბავშვი ვიყავ, ერთმა (კაცმა) გადაჩეხაო“.

არაშენდას ფერისცვალეზის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უფრო ძველი საფლავის ქვის ეპიტაფია ასეთია:

„მომიხსენიე(,) უფალო(,) საფლავსა შინა მდება(-)
რე ოთარა კოპას ძე სოსიკა(...) აღმომკითხველ(-)
ნო(,) შენდობა მიბრძანეთ(.) აღვესრულე
ჩუაჭ წელს ღვინობისთვისა დღესა“.

თარიღია 1868 წლის 1 ოქტომბერი.

მ ა რ ი ს ნ ი

ს. ვარიანი გორის რაიონს ეკუთვნის და ცენტრიდან 21 კმ-ზე მდებარეობს. სოფელში 258 კომლი ცხოვრობს, მათგან 245 კომლი მეურნის ოჯახია (1865 წ. აქ 61 კომლი ცხოვრობდა). ამ სასოფლო საბჭოს ყველა სოფლის და საერთოდაც პატარა ლიხვის სოფლების მეურნეობის წამყვანი დარგი მებაღეობა-მევენახეობაა.

ვარიანელ ნიკოლოზ ივანეს ძე ბერკაციშვილს ასეთი გადმოცემა გაუგონია: ვარიანი ორი უბნისაგან შედგებოდა. მთავარი სოფელი ახლანდელ ცენტრს ზემოთ, დედაღვთისის (იხ. ქვემოთ) სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მაშინდელი აქაური გვარებია: სტეფანიშვილი, ბუზალაძე და ხედიანელი. გადმოცემით, თურქებთან ბრძოლაში ერეკლე მეორეს ვარიანელებიც ახლდნენ, რომელთა მეთაური მაჩაბელი ყოფილა. მაჩაბელს უვაჟკაცნია. მისთვის უკითხავს ერეკლეს, რით დაგაჯილდოვო?

მაჩაბელს უთხოვნია, ვარიანი მიბოძეო. ერეკლეს უთქვამს თავის ამალისთვის: წავიდეთ, ვნახოთ მაინც, რას გვთხოვსო. წასულან. მეფეს ორასი სულა ახლდა; სტუმრებს ზემოხსენებული სამი ვარიანელი გვარი გამასპინძლებია, თითოეულს სამი დეკეული დაუქლავს და 18 კოკიანი ქვევრი მოუხდია. დიდი ნადიმი გამართულა.

ერეკლეს მაჩაბლისათვის ვარიანი და ამ სოფლიდან 10 კმ-ზე მდებარე (საქაშეთთან) ძლევის [ძელის] ჯვარიც უბოძებია. მას შემდეგ ეს არემარე (დედოფლის მინდორს აქეთ) სამაჩაბლო იყო (წამდვილად კი ხსენებული მიდამოს დიდი ნაწილი ერეკლემდეც სამაჩაბლო იყო).

სხვათა შორის, იმასაც შენიშნავენ, რომ ხსენებულ ნაღობზე ერეკლეს ღვინო მოსწონებია (ქართული მწვანე) და უბრძანებია, რომ ვაზის ეს ჯიში გაემრავლებინათ.

კოლა სიმონის ძე აღუაშვილი (1888 წ. დაბ.) ამბობს: ვარიანიდან დედოფლის (თამარის) მინდორი 6 კმ-ზე იქნება, იგი ორ ფრონეს (მდინარე) შუაა მოქცეული. იმ მინდორიდან აქეთ გზაზე რამდენიმე პუნქტს დედოფლის ჯარის საფლავებს ვეძახითო.

გზა ბორჯომიდან და ქ. ბათუმიდან ამ დედოფლის მინდორზე იღო, იგი ვარიანის გავლით ნაჰარმაგევზე (ახლანდელი კარალეთის ნაწილი, ვარიანიდან 4 კმ-ზე) გადიოდა და თბილისისაკენ მიემართებოდაო (იხ. კარალეთი).

დედოფლის მინდორებიდან ვარიანამდე სამ ნაცარგორას ასახელებენ. იმავე კ. აღუაშვილის განმარტებით, პირველი ნაცარგორა ვარიანის მეურნეობაში (საქაშეთთან), ლელითავი(ს) რუზე ციხე(ს)-თანაა (მისგან აღმოსავლეთით). იგი გუთნით გაასწორეს 1930-31 წლებშიო.

მეორე ნაცარგორა დიასამიძის ხევდაბუნში (საქაშეთის აღმოსავლეთით) არის; ქვის კედლის დაშლის დროს იქ ადამიანის ჩონჩხები აღმოჩნდა. თავის ქალები ვარიანის ძველ სკოლაში მოიტანეს, ს. საქაშელები გაუწყრნენ გამთხრელ რადენა (რაყდენ) მინდიაშვილს, ეს რა ჰქენიო და ვარიანელებმაც უკანვე წავაღებინეთ ძვლები და თავის ადგილს, — ძველს ძმათა სასაფლაოზე დავაფლავინეთო.

მესამე ნაცარგორა ს. ფრონიდან დასავლეთით 4 კმ-ზეა (მთავორად დგას წყაროს გაღმაო), იგი ტერიტორიულად ს. ფლავს ეკუთვნის.

ს. ვარიანიდან იყო დიდი ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი. ჩვენი პედაგოგიკის კლასიკოსი, საბავშვო მწერალი და პუბლიცისტი იაკობ გოგებაშვილი¹². მის სახლში სკოლა იყო მოთავსებული (ახლა ამ ნაგებობის კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობს). იქვეა ყოროთ შემოღობილი ეზო, რომელშიც იაკობის ძმისშვილის — ალექსანდრე ანდრის ძე გოგებაშვილის სახლი დგას.

¹² იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოდერნობის თაობაზე იხ. ი. მეგრელიძე, ი. გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები და გრამატიკის საკითხები (თბ., 1973); გოგებაშვილის ეპიტაფიები — იქვე, გვ. 75—76 (იხ. ქვემოთ — გვ. 111—112).

სოფელს შესანიშნავი ახალი ნაგებობა აქვს, რომელშიაც ი. გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლაა მოთავსებული. იქვე ცალკე დგას საავადმყოფოს ლამაზი შენობა. ეს საავადმყოფო ემსახურება მოსახლეობას თედოწმინდიდან ნიქოზამდე.

ვარიანის მცხოვრებთა გვარებია: აღუაშვილი, კერესელიძე, სტეფანიშვილი, ბერკაცაშვილი, კოკაური, ხიზანაშვილი, ქებაძე, ურჯუმელაშვილი, ჭირკველიშვილი, ყასუმაშვილი, ბუზალაძე, მეგრელიშვილი, ლომიძე, მაისურაძე, ზუბაშვილი და სხვა.

სოფლის ცენტრში სამი მრგვალი კოშკი ყოფილა, რომლებიც 25-30 წლის წინათ დაუნგრევიათ. მათი ბალავრების კვალი ახლაც შეიმჩნევა. მათგან ახლოს, დასავლეთის მხრივ, მდებარეობს ვარიანის დედაღვთისა, სიგრძე 12,20 მ, განი — 4,40 მ. (ეკლესია), რომლის სამხრეთ კარსა და მის ზემოთ გამოსახულ ჭვარს შუა ჩასმულ ქვაზე მხედრული ასოებია ამოკვეთილი:

„ჩუღე წე(-)
 ლსა
 აღუაშენეთ
 ეს ღვთის
 მშობლ(ი)ს ტ(ა)-
 ძ(ა)რი ერთო(-)
 ზ ვარიანში
 ცხოვრებთა“.

ჩუღე = 1835 წელს.

თვით ეკლესია ყორექვითა და აგურითაა აგებული, შელესილია. ორ პატარა გუმბათთაგან ერთი სამრეკლოდ ყოფილა გამოყენებული. ზარი 1942 წელს წაუღიათ გორში. საყდრის აღმოსავლეთ კედელში დიდი ჭვარია გამოკვეთილი. ნაგებობის დანგრევის საშიშროება შექმნილა და სამხრეთისა და ჩრდილო კედლებისათვის ყორექვის ბურჯები გაუკეთებიათ.

საყდრის მახლობლად ლამაზად მოპირკეთებული (1920 წ.) წყაროა.

როგორც სიძველე, ყველაზე უფრო საყურადღებოა ახლა უკვე სოფლის გარეთ მდებარე ვარიანის დედაღვთისას ეკლესიის ნანგრევები, რომლის ირგვლივ სასაფლაოცაა.

აქ ამბობენ: ეს ეკლესია წინ უსწრებდო ნიქოზის, წუნარის,



თიღვის და ატოცის მონასტრებს, რომლებიც ერთი კაცის გეგმით ააგესო.

ვარიანის ღვთისმშობლის, ანუ დედაღვთისას, საყდრის ნაგებობა, სტილითა და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ერთი საყურადღებო ძეგლთაგანია (მასზე შემონახულ წარწერაში ი ნაცვლად ა XII ს. მეორე ნახევრიდანაა უფრო ცნობილი).

ნაგებობის სიგრძე 12,40 მ-ა, განი 7,40 — მ, სიმაღლე ახლაცაა 9 მ (სახურავით მეტი იქნებოდა), ე. ი. სიგრძით იმ ზომისაა, როგორც ვარიანის 1835 წელს აგებული ეკლესია.

დედაღვთისას ეკლესიის კუთხის ქვები კარგადაა გათლილი (ზოგი მუქია, ზოგი — ღვინისფერი), სხვად ლიახვის ყორექვა გამოყენებული, მაგრამ გსიც შერჩეულია და შუბლით ისეა დაწყობილი, რომ კედლების პირი საკმაოდ სწორია. ქვები დულაბითაა შეკრული.

ვარიანის ღვთისმშობლის კარის დიდ ნახევარწრედ ქვაზე წარწერაა, რომლის პირველი სტრიქონი ნაკლებ ოსტატურადაა გამოკვეთილი. შემდეგი 5 სტრიქონი, ძველი ქართული მრგლოვანი ასოებითაა შესრულებული. სამწუხაროდ, სულ მცირე სამი სტრიქონი, გადასულია. ჯერ კიდევ ირჩევა შემდეგი:

„აქ. სახელითა ღმ(-)
 რთისათა(.) მამისა
 და ძისა ს(უ)ლისა წ(მიდ)ისაათა,
 თხზთა(?) წ(მი)და(ა)სა ღ(მრ)თის მშ(ო)ბელისაა(-)
 თა(,) შეწვენითა გამგებთა წ(მ)ი(დი)სა გი(ორგი)სითა
 ესე სიმტკიცე სამ გზისა წრ

ეკლესიიდან ოღნავ დაშორებით (სასაფლაოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) ისეთი კვალია, კაცს ნაგალავნევი ეგონება. ამისი სიგრძე 32 მ-ა, განი — 20 მ. გადმოცემას იმეორებენ: აქ მისრიელანთ (მისრიელაშვილების) სასახლე იდგაო. ახლა მას მისრიელანთ ნადარბაზვეს უწოდებენ.

ეკლესიასთან აღმართულ ბებერი კუნელის ხის ძირში დიდი ქვევრი ყოფილა დაფლული, საზედაშო ღვინოს ახსამდნენ შიგ და დღესასწაულებზე სვამდნენო.

კ. აღუაშვილი იმეორებს გავონილს. მთის მცხოვრებთ არ ჰქონ-

დღით ყურძენი, მათ იცოდნენ კუნელი. არც მაჭრობა იცოდნენ, რა იყო. ერთ-ერთ იქაურ კაცს ჩამოევლო აქ, მაჭრის დუღილის ხმა გაეგონა, გაქცეულიყო და მხლებელთათვის ეთქვა, იქ არ მიხვიდეთ, მკვდრები ბუტბუტებენო...

სასაფლაოზე დაცულ ეპიტაფიებს შორის შედარებით ძველები და საყურადღებო წარწერებიცაა.

ეკლესიის დასავლეთით საფლავის ქვაზე ზემოდან: —

„ქ. მომიხსენე მე(,) უფალო(,) ლოდსა ამასა

ქვეშე მდებარე ივანე სტეფ(-)

ანაშვილი(,) გარდავიცვალე ქ(?)

შენდობა გვიბრძანეთ(,) ჩუჲე“(=1865 წელს).

იქვეა უთარილო წარწერა „სტეფანიშვილის დავითის მეუღლე ანა“-სი.

ეკლესიის ჩრდილოეთ კართან მდებარე ქვაზე თავისაკენ ჰვარია გამოკვეთილი და წერია:

„მომიხსენიე მე(,) უფალო(,) საფლავსა ამასა შინა

მდებარე ღვთის მონა ვასილ ქებაძე(,) გარდავი(-)

ცვალე სოფლიდამ წლისა პ(,) აღმომკითხველნო,

შენდობა მიბრძანეთ! წელსა ჩუღგ(,) ენკენისთ(-)

ვის კ დღესა“.

წარწერაში სტრიქონი გადასმულია, მაგრამ გასაგებია, რომ ვასილ ქებაძე 80 წლის გარდაცვლილა 1833 წლის 20 სექტემბერს.

საყდრის სამხრეთით ქვაზე გამოქანდაკებულია ქალი და აწერია: მაგდანა გიგუასძე(!) ბუზალაძე“.

ასეთივე ქვა ადგას იქვე 1875 წელს დასაფლავებულ ვანო კერესელიძეს. საყურადღებოა ისიც, რომ იქვე, ქვაზე 1872 წელი უკვე ციფრით წერია: —

„მომიხსენიე(,) უფალო(,)

სუბაშვილის¹³ მეუღლე(,)

ვითხოვ შენდობას(,) 1872“.

ეკლესიის აღმოსავლეთით დიდ ქვაზე გადაბმული მხედრული ასოებით ვკითხულობთ:

¹³ ასეა: ახლა ზ უ ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ა დ ი წ ე რ ე ბ ი ა ნ .

„აქა განისვენებენ კერესელიძე ოთარ და თავისი
მეუღლე მარიამა(.) მხილველთ ვთხოვთ თი(-)
თო. პირი შენდობა ბჰანოთ(.) წელსა ჩყმთ“.
(= 1849 წ.).

ერთ-ერთ ქვას გარედან (თავისაკენ) კოპი აქვს გამოკვეთილი და
ზემოდან აწერია:

„მ(,) მე საწყალი(,) განჩინებისა ღვთისათა მივი(-)
ქეც¹⁴ მიწა მიწადვე.
და დავუბრევი მგლოვიარედ საყვარელნი შვილნი(,)
პატრონი ჩემი და წამკითხველთაგან
(ჩრდ. მხარეზე)
შენდობა(ს) ველი(,) შენ, სახიერო უფალო(,) მო(-)
მიხსენი(ე) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) ზაქარია
კერესელიძე აღვ(—)
სრულდი ჩყოღ წ(,) ღვინობისასა“.

ჩყოღ = 1874 წელს, ოქტომბრის რომელ დღეს, არ წერია.

ერთ-ერთ ქვაზე 1901 წელს რაყდენის მაგიერ დაუწერიათ
რაზდენა (აბულაძე). ეკლესიის აღმოსავლეთით ქვაზე ჩყნშ (= 1858)
ირჩევა, მაგრამ მიცვალებულის გვარი და სახელი აღარ იკითხება.

ეკლესიიდან მოშორებით გოგებაშვილების საფლავებია. ქვები
დადგმულია და ეპიტაფიები შედგენილი უნდა იყოს იაკობ გოგება-
შვილის მიერ (იხ. ზემოთ, გვ. 106, შენიშვნა — 12). პირველ მათგან-
ზე მხატვრული ჯვარია გამოსახული და შემდეგ ადვილად იკითხება:

„ეს ქვა დამაღო თავისს ძვირფასს
დედას შვილმა იაკობმა(.)
(სამხრეთიდან)
მოიხსენიე(,) უფალო(,) სასუფეველსა შენსა(,)
ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) სოფლის
ყ(ოვლა)დ წმინდის ღუთის მშობლის ეკკლესიის
მღჭდლის სვიმონ
(ჩრდილოეთიდან)

გოგებაშვილის მეუღლე მაგდან(,) გარდაცვა(-)
ლბული ჩყოგ-სა წლის ნოემბრის ე-სა დღესა

¹⁴ წერია მიკვეცი.

შობითგან აა-სა წლისა(.) აღმომკითხველნი(.)

შენდობა უბრძანეთ(!)

ჩყოგ = 1873 წ.; აა = 61.

იქვე, სრულიად ისეთსავე ქვაზე, როგორიც მაგდანასია. ზემოდან უწარწეროდ ჯვარია გამოკვეთილი და ქვაზე სამხრეთიდან წერია:

„ამა ღოდსა ქვეშე განისვენებს გვამი სოფლის ვარიანის ყ(ოვლა)დ წმინდის მღუთის მშობლის ეკლესიის მღუდლის სვიმონ გოგებაშვილისა(.) რომელიც

(ჩრდილოეთიდან)

მიცვალა ამიერ სოფლით ჩუათ-სა წელსა დეკემბ(-) რის ბ-სა დღესა. შობიდგან ად- წლისა(.) აღმამ(-) კითხველნი(,) შენდობა უბრძანეთ(!) ეს ქვა და(-) აღო თავისს ძვირფასს მამას შვილმა იაკოვმა(.)“

ჩუათ = 1869, ბ = 2, ად = 64.

ეპიტაფიის უკანასკნელ სიტყვაში ადგილობრივი გამოთქმაა შეპარული, — ვარიანელები ამბობენ იაკოფი, ნაცვლად იაკობისა.

იქვე, ქვაზე: —

„მომისხნენ(,) უფალო(,) ღოდსა ამასა ქვეშე მდენ(-) ბარე ვარიანის პ(რ)იჩედნიკი ივანე გოგებაშვილი(,) გარდავიცვალე ოცდაცხრამეტი წლისა(.) აღმომ(-) მკითხველნი(,) გთხოვთ შენდობა მიბრძანეთ(!) ჩუაზ-სა წელსა მარტის ივ დღესა“.

ჩუაზ = 1867 წელს, ივ = 16-ს.

გადმოგვემენ, რომ ეს იყო იაკობის ძმა; ამან ხელი შეუწყო იაკობს სწავლაში და მადლიერმა ძმამ ძმის საფლავზე ეს ქვა დადო. იქვეა საფლავის ქვები იაკობის ძმებისა, ანდროსი და შაქროსი, რომლებიც მთავარდიაკვნები ყოფილან.

მთავარდიაკონ ანდრია გოგებაშვილის მეუღლე ეკატერინე 1897 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა შობიდან 47 წლისა. ეს ქვაც იაკობის მიერაა ნაყიდიო.

ქვაზე სამხრეთიდან წერია:

„ამა ლოდსა ქვეშა მდებარე ვარ ვანო
გიორგის ძე მეგრელიშვილი(.)..

(ქვაზე ჩრდილოეთიდან)

კაცი(,) რომელმაც დავტოვე ცოლი ს(ა)მი შვილითა(.)
წლოვანებით 40 წლისა(.) გთხოვთ(,) წამკითხველ(-)
ნო(,) შენდობას(.) მივიცვალე იანვრის 8-ს 1908 წელსა“.

ამ პირის შესახებ გვეუბნებიან, რომ მას ვერვინ სჯობნიდა ღვი-
ნის სმასა და ჭიდაობაში, ისე მოკვდა, არავის წაუქცევიაო. უნდა
შევიწინოთ, რომ ქართლში ჭიდაობა ძალიან გავრცელებული სა-
ხალხო სანახაობა იყო და კარგი მოჭიდავე მალე ხდებოდა პოპულა-
რული.

ს. ვარიანის მინდორზე (სოფლიდან დასავლეთით), ვარიანის
საბჭოთა მეურნეობის (სოფლის ცენტრიდან 4 კმ-ზე ძალიან დიდი
ხილის ბაღია) ბოლოში, ე. წ. ლამებზე მრგვალი კოშკი ჩანს. ნ. ი.
ბერკაციშვილი ამბობს, რომ ეს კოშკი სამსართულიანია, კედელში
აქვს კიბეო. გადმოცემით, როგორც კი მტერი გამოჩნდებოდა, ამ
კოშკის თავზე ცეცხლს დაანთებდნენ და მინდვრად მომუშავეები
მიხვდებოდნენ, მტერი დაგეხსნაო, კოშკს შეათარებდნენ თავსაო.
ამ კოშკის არემარეს ლელის თავს უწოდებენ.

ს ა ქ ა შ ე მ ი ი

ს. ვარიანიდან დასავლეთით 6 კმ-ზე, ვარიანისვე საბჭოთა მე-
ურნეობიდან 2 კმ-ზე, ს. საქაშეთია, რომელშიც ერთი გუმბათიანი
ეკლესია და მრგვალი კოშკია.

კოშკის მეორე სართულზე, დასავლეთი ფესადის კარსა და მის
ზემოთ გამოკვეთილ ჯვარს შორის, ჩასმულია მარმარილოს დაფა,
რომელზედაც იკითხება:

„ქ. უამსა ამაღლებულისა მეფისა
მეორე ირაკლისა აღვაშენე კოშკი ესე მე
ღიასამიძემ გორის ციხის მინბაშმა დიმი(-)
ტრიმ ქ-კ უპ“.

უპ = 480 + 1312 = 1792 წელს.



სურ. 21. საქაშეთი. კოშკი და ეკლესია

შინდისი და ფხვინისი

შინდისში ჩვენ გვანტერესებდა მირზაშვილის წარწერა. სოფელი კოშკი შინდისის ნაწილია, მაგრამ ახლა იქ არავითარი კოშკი (სიმაგრე) არაა.

ს. კოშკის განაპირას (ლიახვისაკენ) ქვის ეკლესიის ნანგრევია (ს. ფხვინის ზოგნი ქვემო ხვითს აკუთვნებენ), რომელშიც ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გვითხულობთ:

„სახიერო და კაცთმოყვარე უფალო(,) მომიხსენიე
სასუფეველსა შენსა ამა ლოდსა ქვეშე მდებარე
აზნაური(,) კოლექსკის სეკრეტარი ასლამაზის ძე
ლუარსაბ დავიდოვი(,) აღმომკითხველნო(,) შენდობა
მიბრძანეთ(,) ჩუნთ წელსა ოქტომბრის ით დღესა“.

ჩუნთ = 1859 წ., ით = 19-ს.

ვარიანიდან შინდისში რომ შევდივართ, იქ გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიაა. სოფლის ამ უბანსაც გორიჯვარი ეწოდება.

8. ი. შვგრელიძე

შინდისში არსებულ მეორე ეკლესიას კვირაცხოვლის ნიშნად უწოდებენ. გოდერძი ზაქარიას ძე სიმონიშვილს (1938 წ. დაბადებული) პაპამის ანტონ სიმონიშვილისაგან გაუგონია, რომ ლეკებმა კვირაცხოველში ჯვარი მოიტაცეს. შინდელეებმა დაატოვებინეს და გამარჯვების ადგილზე წმინდა გიორგის ეს ნიში აუგიათო.

შინდისშივეა მირზაშვილების სახელით ცნობილი გალავანი (ციხე) კუთხეებში 4 კოშკით. გალავანი ორ მეტრამდე სიმაღლისაა; აღმოსავლეთი მხარე გალავნისა 6 მ-მდეა, კოშკთა სიმაღლე 10 მ-მდე იქნება. გალავნის დასავლეთ კედელთან ძალიან ღრმა ჭაა, რომლიდანაც სასიამოვნო სასმელი წყალი აქვს სოფელს.



სურ. 22. შინდისი. მირზაშვილთა ციხე-კოშკი

აქაური მეოთხე სიძველეა კვირაცხოველი (ორი ეკლესიაა ერთად, ძველი ახლიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს).

მეხუთე — წმიდა სტეფანეს ეკლესია, კოშკითურთ.

გორიჯვრის ეკლესიის (ქვის ნაგებობა) სამხრეთ კართან საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„სიკვდილმა განმაშორა მეცხედრესა ჩემსა(.) აზნა(-)
 ური დიმიტრი გარსევანიშვილის მეუღლე სოფი-
 ო(.) აპა(.) მიწა შემირთამს მიწას(.) ხოლო სული ჩემი
 წარემართა მუნ(.) სადაცა არა რაჲს მეტცნიერ
 ვარ(.) ამისთ ს(ი)ძ(ე)მან ამან ლევან ნაბიჭვრი(-)
 შვილმან მიღვაწა და დამღვა ლოდი ესე საუ-
 კუნოდ, სახსოვრად ჩემდა ჩუად წელსა“ (=1864).

ეკლესიის ჩრდილოეთით, საფლავის ქვის სამხრეთ მხარეზე
 იკითხება:

„მომიხსენე(.) უფალო(.) საფლავსა შინა მდებარე
 ნიკოლოზ ივანეს ძე გარსევანიშვილი(.) ჩუპდ გი(-)
 ორგობის იე(.)
 ვითხოვ შენდობას.“
 ჩუპდ = 1884 წ., იე = 15.

ეკლესიიდან დასავლეთით, საბანიძეების საფლავთა შორის
 ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ირჩევა:

„.
 მეუღლე ბარბარე დედის ერთა...
 ჩუპე მარიამობის ვ-სა(.) გთხოვთ შენდობას!“
 ჩუპე = 1885.

იქვე, სხვა ქვაზე: —

„მომიხსენე(.) უფალო(.) საფლავსა შინა მდებარე
 გიორგი მაზნიშვილის ძე სოლომონა(.) აღმომკითხ(-)
 ველნო(.) შენდობას

(ჩრდ. მხარეზე)

ვითხოვ(!) ჩუოთ წელსა“ (= 1879).

სხვა ქვის სამხრეთ მხარეზე დარღვეული ლექსი იკითხება:

„მამაშორა წუთი სოფელს(.) შავ მიწაში დავიმარ-
 ხე(.) დავრჩი ამა ლოდსა ქვეშა(.) ავი(.) კარგი ვე(-)
 რა'ვანახე(.) თვით შენდობა მიბრძანეთ(.)“

ჩრდ. (მხარეზე)

ვინცა რო ეს საფლავსა ნახავთ(,) თინათინ ესტა(-)
ტეს სიღამონისძის ასული ვარ(,) გარდავიცვალე
ჩუოზ“ (= 1877 წ.).

მირზაშვილების ეკლესიის სამხრეთი ფასადის კარს ზემოდან
მარმარილოს დაფაზე ვკითხულობთ:

„ქ: ეს ეკლესია: წმინდა გრის: ჩვენ მირზაშვილმ:
მურკმ: და დავით: ძმის წულმა ჩემა ომნ: აღვა-
შენეთ. ღის: თანშმწობთ.
ძმ ჩემი: უხუცესი: სხლ: გიორგი ეწოდებოდა და
მფის ერკლის: წინ. ერვან: წყეულს: აზტხანს:
ომში მიიცვალა: თვით: აქ: მოვიღე: და ეკლესია:
მასედ: აღვშენ: ვინც იხილავდთ: შენდბა: იმას:
ურძანებთ: და ჩნც: ცდვლდ: გვხსენებდთ: რთა:
უფლმნ: თქეც: მოგცხ: ჟმს: მეფე ერკლესთა ქკს,
ულთ“.

ეს წარწერა უნახავს და ქარაგმების გახსნით თითქმის ზუსტად
გადმოუწერია მ. ბროსეს¹⁵. ტექსტი ასე შეიძლება წავიკითხოთ:

„ქ. ესე ეკლესია წმინდისა გიორგის ჩვენ(,) მირზაშვილმან
მურკანმან და დავითმან, ძმისწულმან ჩემმან ომანმან(,) აღვაშენეთ
ღვთის თანაშემწეობით. ძმა ჩემი უხუცესი, სახელად გიორგი ეწო-
დებოდა, და მეფის ერეკლეს წინ, ერევანს, წყეულს აზატხანის ომ-
ში, მიიცვალა, თვით აქ მოვიღე და ეკლესია მასედ აღვაშენე.
ვინც იხილვიდეთ, შენდობა(ს) იმას უბრძანებდეთ, ჩვენცა, ცოდ-
ვილთ, გვახსენებდეთ, რათა უფალმან თქვენცა (შენდობა) მოგცეთ.
ჟამსა მეფე ერეკლესა ქკს ულთ“.

ქრონიკონი ულთ = 439 წელს (+ 1312) = 1751 წ.

ძველი კვირაცხოველი ერთნავიანი და გუმბათიანი ქვის მაღალი
შენობაა (სიგრძე — 10 ნაბიჯი, ვანი — 7). სახურავის თავზე ჩუ-
ქურთმინი ქვა დგას. აღმოსავლეთი კედლის ჩრდილო მხარეზე,
შრგვალად ამოკვეთილ ქვასთან, მოთეთრო მაღალ ქვაზე წარწერა

¹⁵ M. Brosse t. Rapports sur un voyage archéologique., VI, ს-პეტერ-
ბურგი, 1850, გვ. 53.

ყოფილა. ირჩევა მრგლოვანი **ძ**, შემდეგ — **ხი** და **რ**, ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი ყოფილა დასმული. წარწერა მახვილითაა ამოფხეკილი.

ეკლესიის აღმოსავლეთით საფლავის ქვაზე წარწერაა:

„ამა საფლავსა შინა მდებარე
მუჭაური ხოზოისძე თევდორე(-)
აღმომკითხველნო(,) შენდ(-)
ობა(,) ჩუპა წელსა კ მაისი“.
ჩუპა = 1881 წ., მაისის 20.

ეკლესიიდან სამხრეთით მდებარე საფლავის ქვაზე (ზემოდან) წარწერა გადასულია. ჩრდილოეთ მხარეზე: —

„საფლავსა ამასა შინა განისვენებს გვამი
მღვდლის ივანე ლუარსამიძის...
ჩუმი...“ (= 1850 წ.).
ფხვენისშია:

1. ნათლისმცემლის ეკლესია (სოფლის თავში),
2. წმინდა გიორგი (შუა სოფელში) და
3. ღვთისმშობელი (სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში).

ამ ეკლესიის სარკმელზე ე. წ. აყვავებული ჯვარია გამოსახული. ნაგებობა ერთნავიანი, თალიანი და წელში სარტყლიანია (საკურთხეველიც სარტყლითაა გამოყოფილი ეკლესიის ტანიდან). ეკლესიას ჩრდილოეთიდან თალიანი კარიბჭე აქვს.

ეკლესიიდან აღმოსავლეთით საფლავის ქვაზე ზემოდან იკითხება:

„მომიხსენე(,) უფალო(,) ამა ლოდსა ქვეშე მდება(-)
რე სტეფანე ვარძელაშვილი(,) წამკითხველნო(,)
შენდობა მიბრძანეთ(,) ჩუოდ“ (= 1874 წ.).

სხვა ქვაზე ზემოდანვე: —

„მოიხსენე(,) უფალო(,) პეტრე
პატარაშვილი იოსების ძე
მე ვიყავ წლის(,) ჩუოგ“ (= 1873 წ.).

ერთ-ერთ ქვაზე წარწერის დასაწყისი აღარ ირჩევა. შემდეგ იკითხება:

„...აზნაური დავით იაკობის ძე
 წურიევი¹⁶ (.) წამკითხველო(.) შენდობა
 მიბრძანეთ(!) დავიბადე 1837(,) გარდავიცვალე 1899“.

ს. ფხვენისის ბოლოს ამილახვრიანთ კოშკია (მრგვალი), შიგნით კიბე აქვს მეორე სართულზე ასავლელად; პირველ-მეორე სართულს თაღი ყოფს. მეორე სართული ზემოდან ღიაა.

ფხვენისის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის სამხრეთი კარის ზემოთ წარწერაა მხედრული ასოებით: აიგო სოფლის მცხოვრებთა მიერ ჩყლე (1835) წელსაო.

იქვე, მეორე ეკლესიაზე, ისევ სამხრეთი კარს ზემოთ, ნუსხური ასოებით ირჩევა: „აქ-ე ად[-დე]... შ[ეიწყ]ა[ლ]ე ვ 5 ტიზ...“
 თუ ტიზ წელია, ეს ეკლესია 1617 წელს აუგიათ.

ფხვენისში დაბადებულია 1772 წლის 20 სექტემბერს იოანე ქართველიშვილი¹⁷.

ნ ი კ ო ზ ი

ფხვენისიდან ხვითის გავლით ცხინვალამდე, სიძველეების მიხედვით, უმნიშვნელოვანესია ს. ზემონიქოზი. იგი და ხვითი შეადგენს ნიქოზის სასოფლო საბჭოს. ქვემოთ დავინახავთ, რომ მიდამო სამონასტრო ყოფილა და მოსახლეობა მცირე იყო, ახლა იქ ცხოვრობენ გვარად: გვარამაძე, კობერიძე, ლომსაძე, მელანაშვილი, მახანაშვილი, მეტრეველი, მინდიაშვილი, მჭედლიძე, ძამუკაშვილი... ისინი კირიჯის სახელობის კოლმეურნეობაში არიან გაერთიანებულნი. ეს კოლმეურნეობა ცნობილია მეხილეობით, მევენახეობით, მებოსტნეობით, ხორბლითა და მესაქონლეობითაც. წინათ ნიქოზში მცხოვრებთ უწყლობა აწუხებდათ, ახლა კი სოფელში დიდი სარწყავი სალთვისის არხია, რომელიც 1930—1945 წლებში გაიყვანეს. ამავე სოფლის დასავლეთით კეხვის არხიც არის და მოსახლეობა მისი წყლითაც სარგებლობს. სოფელში არსებობს კულტურის დაწესებულებები.

¹⁶ გვარი წე რ უ ა შ ვ ი ლ ი აქ ახლაც არსებობს.

¹⁷ იხ. მისი „მემუარები“ ავთ. იოსელიანის რედ., თბ., 1952, გვ. 94, რეც. გამოცემაზე იხ. ს. კაკაბაძე, „მნათობი“, 1953, № 4, გვ. 149—151.

ზემო ნიქოზში საქართველოს სიძველეთა კომიტეტის მიერ აღრიცხული და სახელმწიფოს მიერ დაცული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებია შემონახული. მათ შორის საყურადღებოა ეკლესია და ტაძარი. ისინი 1937 წელს სახელმწიფოს ხარჯზე შეაკეთეს. ერთ-ერთი მათგანის აშენებასა და შიგ ეპისკოპოსის დასმას „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასალს მიაწერს. ამ სოფლის არქეოლოგიური მონაცემები გვარწმუნებს, რომ აქ ვახტანგ გორგასალამდეც სახლობდნენ. აქაური ეკლესიისა და შემდეგ ტაძრის მოცულობა კი იმას მოწმობს, რომ მათ ირგვლივ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ყოფილა, თორემ მცირესათვის დიდ სამრევლო ეკლესიას არ ააგებდნენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი პროგრესული მნიშვნელობა დაკარგა, საეპისკოპოზო ეკლესია-მონასტრები მათ ირგვლივ არსებულ მიწებს თანდათანობით ეუფლებოდა და ამიტომ ასეთ ადგილებზე, კერძოდ, ნიქოზში, მოსახლეობა შემცირებულა. ნაწილობრივ აღნიშნული მიზეზისა, უფრო — მონგოლების შემოსევისა და შემდეგ, უმთავრესად, ქართლ-კახეთში ლეკებისა და ფეოდალთა თარეშის გამო, მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირდა. ზემო ნიქოზის ეპარქია 1801—1811 წლებში 8 სოფელს ფლობდა¹⁸. უენიშნულია, რომ ქართლში ნიქოზისა და კახეთში ნეკრესის საეპისკოპოზოები ამ დროს უკვე ქართულ სხვა საეპისკოპოზოებზე ღარიბები ყოფილა. ზემო ნიქოზში მაშინ მოსახლეობა თითქმის აღარ ჩანს. მეცხრამეტე საუკუნის 30—40-იან წლებში აქ მხოლოდ 6 კომლი იხსენიება, 1865 წლის აღწერით, აქვე 5 კომლი ირიცხება!

ძველისძველი სოფლების დაცარიელებისა და ეკლესია-მონასტრის ირგვლივ მოსახლეობის შემცირების ანალოგიური ფაქტი შეგვიძლია აღვნიშნოთ ქ. გორიდან მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ყოფილ საციციანოში მდებარე წრომის მონასტრის მიმართაც.

ნიქოზის ეპარქიის შექმნა წრომთანაა დაკავშირებული. ძველად წრომშიც მრავალი კომლი ყოფილა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნისავე ორმოციან წლებში მასში სულ 7 კომლი ითვლებოდა¹⁹. ამ დროს მდ. ქსნის ხეობის სოფელ მონასტერშიც (ახლანდელი — ს.

¹⁸ Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. V, Тб., 1873 г., с. 1064. «Записки общества любителей кавказской археологии», т. I, Тб., 1875 г., с. 112—113.

¹⁹ იხ. ზ. დავითაშვილის წერილი — გაზ. „დროება“, 1882 № 77.

ლარგვისი; მონასტრის შენობა დაცულია²⁰) მხოლოდ 6 კომლი ლებულა²¹.

ლეკიანობის დაცემის შემდეგ ლარგვისის, წრომისა²² და ზემო ნიქოზის მოსახლეობა კვლავ გამრავლებულა. 1951 წელს ზემო ნიქოზის ორასამდე ქართველი მოსახლე (ეს მთლიანად ქართული სოფელია) გაჩნდა ადგილობრივთა გამრავლებით და მახლობელი სოფლებიდან გადმოსახლებით. სოფლის უძველესი ისტორიის თაობაზე ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ ვკითხულობთ: სხვა მრავალთა შორის, გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჲდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისაჲს²³.

„ესე რაჲდენ იყო მამამიძეჲ ვახტანგის ცოლისა, რომელი-იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფისა ასული; და მოიქცა იგი ქრისტიანედ, და იქმნა იგი დიდად მორწმუნე; და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ, შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდნენ, რათამცა უარე-

20 მისი აღრიხდელი აღწერილობა იხ. ე. ს. თაყაიშვილი. — Извест. Кавказ. отд. Московского археологического общества, т. IV, Тб., 1915, с. 77—104. იქვეა დაბეჭდილი ტაძრის 2 ფოტოსურათი. ავტორს აქვს დასახელებული სათანადო ლიტერატურა და წერს, რომ მონასტერი ცხრაძმის ხევისა და ჭურთისწყლის შესართავთან მდებარეობსო (გვ. 77). უფრო ზუსტად—მონასტერი დგას იქ, სადაც მდ. ქსანის ერთვის მდ. ჭურთა, იგივე — ჭურთულა, — ჭურთისწყალი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ ლარგვისის მონასტრის სამხრეთ კარის ზედა ქვაზე ამოკვეთილია სწორკუთხოვანი ხელი და წერაქვიო (გვ. 89). ეს არის, მაგრამ არა სამხრეთ კედელზე, არამედ ტაძრის დასავლეთი კარის ზემოთ, კარის თაღის სამხრეთ კუთხეში, კვრის გამოსახულების ქვეშ, მარჯვნივ (ეს ერთობ სუსტად, მაგრამ მაინც ჩანს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოქვეყნებულ ფოტოსურათზეც; № 34, 82). აქ გამოსახულია გაშლილი ხელი, რომელიც ნებით წერაქვზე ძეგს. მთლიანად ამ ძეგლის შესახებ ახალი ნაშრომი იხ. პ. ზაქარაიას ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი — საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—B, 1956, გვ. 47—83.

21 АКТЫ, т. V, Тб., 1873, с. 1045.

22 ს. წრომში რომ 1830—1840 წლებში 7 კომლი ირიცხებოდა, ორმოცი-ორმოცდაათი წლის შემდეგ უკვე 80 კომლია აღნიშნული. იხ. ვაზ. „დროება“ 1882, № 77.

23 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1955, გვ. 199; ასევე — „ქართლის ცხოვრება“, ანასეული ნუსხა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1942, გვ. 136.

ყო²⁴ ქრისტე, ხოლო მან წმიდანამან აღირჩია წარუვალ იგი დიდება და იწამა ქრისტესთჳს“²⁵.

იმავე წყაროებში წერია: ნიქოზში ეკლესია ააგებინა და იქ ეპისკოპოზი დასვა ვახტანგ გორგასალმა (V საუკ. მეორე ნახევარი). მან „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოზი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჲდენისი...“ რაჲდენის წამების ქართული ორიგინალური მეტაფრასი ცნობილია.

ამ საეპისკოპოზოს შესახებ ერედვის (იხ.) წმ. გიორგის ეკლესიის 906 წლის სამშენებლო წარწერაში ნათქვამია: „...გაზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისაჲთა... მე თ(ეოდორ)ე თაფლაჲს ძემან დავდგი საძირკველი“ ერედვის ეკლესიისაო.

მაშასადამე, 906 წელს ნიქოზის ეპისკოპოზად სტეფანე ყოფილა. იგი იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნება ჩანს, რომ მას წარწერაში ქვეყნის მმართველებთან ერთად იხსენიებენ და მისი განზრახვით დიდი ეკლესიის აგებას აწყებენ.

ნიქოზი თამარ მეფის საქმროსთან დაკავშირებითაც იხსენიება. თამარ მეფის სილამაზის ამბავი შორს ყოფილა გავარდნილი.

მეფისწულები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ, იქნებ ქმრად გვისურვოსო. მათ შორის მოვიდნენ „ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი, მშუენიერებითა და ახოვნებითა წარმატებულნი და ჭაბუკობისა მინდობილნი და ბედისა მეცადუნენი, უკეთუ ინებოს რომელიმე თამარ და ღირს-იქმნენ მისსა; არამედ უქმ-იქმნა წადილი მათი და წარვიდნენ; ერთი მათგანი მოუთმენლის სურვილისა სენითა მოკუდა ნიქოზს და დაფლეს მუნ ეკლესიასა შინა“²⁶... ვახუშტი (1694—1776 წ. წ.), მემატიაწეებზე დაყრდნობით, წერს: „ლიახვს გაღმა არს ნიქოზს ეკლესია ღვთაებისა დიდი. გუნბათიანი; აღაშენა გორგასალ, და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჲდენისა. მანვე, გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი; ზის დღესაც,

24 დაბეჭდილია უ ა რ ყ ო (გვ. 199). აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 114.

25 იქვე (ვახტანგის ცხოვრებაზე იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959).

26 ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1885, გვ. 201; „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ. 1973, გვ. 175. მ. ბ რ ო ს ე ს მიერ ფრანგულად თარგმნილსა და გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ტ. I, ნაწ. II-ში (ს.-პეტერბურგი, 1850, გვ. 413), წერია, რომ ეს ოსი წმ. რაჲდენის ეკლესიაში დაფლესო.

მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-
ლებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, მშვენიე-
რი²⁷.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ნიქოზში არ ასახელებს იქვე არსე-
ბულ მეორე გუმბათიან ეკლესიას, რომელიც მთავარანგელოზის სა-
ხელითაა ცნობილი. ცხილვანის ანუ ცხინვალის მცხოვრებთ შორის,
დაახლოებით ორასამდე წლის წინათ, ოსები არაა ხსენებული, და
მით უფრო ისინი ზემო ნიქოზში ვერ იქნებოდნენ (ერთი საუკუნის
შემდეგაც კი, ნიქოზში ოსთა მხოლოდ 6 კომლია ნახსენები).

მაგრამ ზემო ნიქოზი, ვახუშტის სიტყვებითვე, იმდენად მნიშ-
ვნელოვანი ადგილია, რომ იქ ზის „ეპისკოპოსი კავკასიანთა და
დვალთა, აწ ოსეთად წოდებულისა გლოლა-ლებითურთ“.

აკად. მ. ბროსეს ზემო ნიქოზში 1847 წელს უნახავს ორივე ეს
ეკლესია,²⁸ რომლებიც ახლაც დაცულია. პირველს, ანუ მთავარან-
გელოზისას ის, სწორად, გუმბათიანად იხსენიებს, ხოლო მეორეს, —
(როგორც ის შენიშნავს, პირველიდან ქვის სამი გასროლის მანძილ-
ზეა დაშორებულიო), — ანუ ღვთაებისას, შეცდომით, უგუმბათოდ
ასახელებს.

გაუგებრობის შედეგია ისიც, რომ მ. ბროსე პირველწამებული
რაყდენის საფლავის ადგილად ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესი-
ას აცხადებს.

„ქართლის ცხოვრების“, „რაყდენის მარტვილობისა“, ვახუშტი-
სა და მ. ბროსეს ცნობებზეა ყველაფერი ის დამყარებული, რაც ნი-
ქოზის შესახებ დიმ. ბაქრაძეს²⁹, მ. ჯანაშვილს³⁰ და სხვებს მოეპო-
ვებათ³¹.

ბ. უვაროვაც ხსენებულ წყაროებს ემყარება, მაგრამ ის ზემო
ნიქოზში 1890 წლის 23 აგვისტოს თვითონაც ყოფილა. მას გამოქ-
ვეყნებული აქვს მოკლე ცნობები. ღვთაების ტაძრის შესახებ აღ-
ნიშნავს, რომ შეკეთებისას ფანჯრები გაუფართოებიათო; მას გამო-

²⁷ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 76.

²⁸ M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie*, VI. ს.-პეტერბურგი, 1851, გვ. 53-56.

²⁹ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. — Записки Общества любителей Кавказской археологии, т. VI, Тб., 1875, с. 112—113; შდრ. Акты Кавказск. арх. ком., т. I, с. 531; т. VI, с. 364.

³⁰ Царевич Вахушти, География Грузии, Введение, перевод и при-
мечания М. Джанашивили, Тб., 1904, с. 87 — 88, შენიშვნა.

³¹ Акты Кавказской археограф. ком., т. V, VI.

ქვეყნებული აქვს სურათები ღვთაების ტაძრისა სამრეკლოთურთ და მთავარანგელოზის ეკლესიისა, ოღონდ უკანასკნელი დაბეჭდილია პირუკუ, — ეკლესიის აღმოსავლეთი მხარე ნაბეჭდში დასავლეთადაა წარმოდგენილი³².

რამდენიმე ცნობა ზემო ნიქოზის მთავარანგელოზისა და ღვთაების ეკლესიების შესახებ ნიქოზელ გ. საძაგლიშვილს, შემდეგ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს კირიონ III (გარდაიცვალა 1918 წ.) აქვს დაბეჭდილი³³. მას მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ნიქოზის ეკლესიის დიდი წარწერის შესწორებაც უცდია, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამაოდ. ზოგიერთი უსწორო ცნობა ძეგლთა აღწერაშიც შეჰპარვია. რაც შეეხება მის შენიშვნას, რომ ბროსე ნიქოზში არ ყოფილაო, მას სხვისი სიტყვებით აღგვიწერს და ღვთაებას უგუმბათოდ ამიტომ თვლისო, არაა სწორი. მ. ბროსე იყო ნიქოზში, ბორცვისჯვარში, ტბეთში, წუნარში, ცხინვალში, აჩაბეთში, თირის მონასტერში, საბაწმინდაშიცა და სხვაგანაც. მათ შესახებ ის უშუალოდ გვესაუბრება.

გ. საძაგლიშვილი გვატყობინებს, რომ ნიქოზის ორივე ეკლესია დანგრევის პირზე იყო და 1888—1896 წლებში აღვადგინეთ. თუ მხედველობაში მივიღებთ ნაგებობათა სიძველეს, განვილილ უამთა სიავესა და განსაკუთრებით ლეკების ამ ადგილებშიც თარეშს (ლეკები ეკლესიებს წვავდნენ და ამათთვისაც ცეცხლი შეუთთიათ), მართლაც ეს ეკლესიები დაღუპვის პირზე იქნებოდა მიმდგარი.

აღდგენის საბაზად გამოუყენებიათ 1888 წ. 17 ოქტომბერს სმოლენსკისაკენ ოჯახითურთ მიმავალი მეფე ალექსანდრე III-ის გადარჩენა. სად. ბორცისთან სამგზავრო მატარებლის ყველა ვაგონი დაღუპულა, გარდა იმისა, რომელშიც მეფე მჯდარა. საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის ნებართვით ერთ ჯგუფს მიუმართავს იმპერიის სხვადასხვა დაწესებულებათა და პირთათვის, აღნიშნული ფაქტის სახსოვრად ძველი ნიქოზის მონასტრის აღდგენაში დაგვეხმარეთო. შეუგროვებიათ ფული და 1891 წ. ღვთაების ტაძარი უკვე განახლებული ყოფილა. ამის შემდეგ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის — უვაროვას მონაწილეობით ნიქო-

³² Материалы по археологии Кавказа. т. IV, М., 1894, с. 179, 180-182, кар. 158—159.

³³ Г. Садзагелов-Ивериели. Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинни, Тб., 1898.



ზის მთავარანგელოზის ეკლესიის აღდგენას შედგომიან და 1896 წ. 24 აგვისტოს იგი დიდი ზეიმითა და ქრისტიანული მართლმადიდებლური წესით უკურთხებიან³⁴. ეს ეკლესია არქიტექტურულად დოცლ. რჩეულიშვილს შეუსწავლია, მაგრამ ნაშრომი გამოცემული არაა; დაბეჭდილია მხოლოდ მოხსენების თეზისები³⁵.

ზემო ნიქოზის არქიტექტურული ძეგლების შესახებ, ხსენებულ ლიტერატურულ წყაროებს გარდა, ადგილობრივ მცხოვრებლებში თქმულებებიცაა შემონახული. მათ თავ-თავის ადგილზე აღვნიშნავთ ქვემოთ.

* * *

ვეფქრობთ, ზედმეტი არ იქნება, რომ პირველწამებული რაჟდენის ვინაობა და მარტვილობის მიზეზიც აღვნიშნოთ.

რაჟდენის ცხოვრების ქართულ ორიგინალურ მეტაფრასს ეწოდება „წამება და ლუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისთა, სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს“.

ტექსტი რამდენიმეჯერაა გამოცემული. იგი რუსულად და ლათინურადაც არის თარგმნილი და გამოქვეყნებული.

ძეგლი ლიტერატურულად კ. კეკელიძეს აქვს განხილული³⁶. ისტორიული ლირებულების თვალსაზრისით ტექსტს ივ. ჯავახიშვილი ეხება³⁷. „მარტვილობა“ აღწერილია არა რაჟდენის თანამედროვის, არამედ მე-12 საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი ავტორის მიერ; ის მას მეტაფრასული გეგმით დაუწერია. მასში მეტი ყურადღება ენაწყლიანობას ექცევა³⁸. რაჟდენის საქართველოში მოსვლის ამბა-

34 ვახ. „კავკაზის“ № 233, 2.IX.1882 კორესპონდენცია ხელმოუწერელია. მაგრამ არის ცნობა, რომ იგი გ. საძაგლიშვილს ეკუთვნის; ამის შემდეგ წუნარის განახლებას შესდგომიან და როგორც თვით ეკლესიაზე აწერია, 1897 წ. დაუსრულებიათ კიდევ (იხ. ქვემოთ).

35 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 1 სამეცნიერო სესია, 1946 წლის 17, 18 და 19 იანვარს. მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები, თბ., 1946, გვ. 6—7.

36 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 509—510.

37 ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, თბ., 1945, გვ. 37, 69, 74.

38 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 509.

ვი ასეთია: ვახტანგ გორგასალს ჩერქეზებზე და სხვა მთიელ ხალხზე დიდი გამარჯვების შემდეგ სპარსეთის შაჰის — ორმუზდისათვის საჩუქარი გაუგზავნია და შეუთვლია, შენი ასული ბელანდუხტი მომათხოვეო. ეს ქალი მას შეურთავს კიდევ. ქალს აღმზრდელი (მამა-ძუძე) რაჟდენიც ჩამოჰყოლია. უკანასკნელს სპარსელების მაშინდელი რჯული — ცეცხლთაყვანისმცემლობა — უარუყვია და გაქრისტიანებულა.

ორმუზდი გარდაცვლილა, მისი ადგილი მის ძმას — ფირუზს დაუჭერია. ეს შაჰი თავს დასხმია საქართველოს. რაჟდენი არმაზში გამაგრებულა. შაჰს გაუმარჯვია და რაჟდენისათვის წინადადება მიუცია, რომ ქრისტიანობა უარეყო, თორემ სიკვდილით დასჯიდა³⁹.

რაჟდენის სიმტკიცე ვერ შეარყიაო, — მოგვითხრობს ამ მარტვილობის ავტორი, — „ვერც ცეცხლმა და მახვილმა, ვერც სხეულისაგან ასოს დაშორებამ, ვერც ხორცის დაფხეკამ, ვერც ურმის თვალის (ბორბლის) სიფიცხემ, ვერც მხეცების მძვინვარებამ, ვერც აღგზნებულმა ნაკვერცხალმა, ვერც რკინისა, ბადისა და ტაფის მსურვალებამ და ვერც მძლავრთა გულის წყრომამ, აგრეთვე ვერც სხვა რამ სიძნელემ და სიფიცხემ ჭირისა და სატანჯველისამ“ ვერ შეაშინა იგიო⁴⁰.

რაჟდენი გავლენიანი და საჭირო კაცი ყოფილა. შაჰი კვლავ პატიებას შეჰპირებია, ოღონდ ახალ რჯულზე უარი ეთქვა. ბრალდებული მანც არ დათანხმებულა. ქართველ მეფეს შაჰის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რათა რაჟდენი არ მოეკლათ. არც ამას გაუჭრია და რაჟდენი ჯვარზე გაუკრავთ. „განაწყვეს მოისარნი ამიერ და იმიერ და იწყეს სროლა“ უმოწყალოდ⁴¹. ეს მომხდარა 457 წლის 3 აგვისტოს (აღნიშნავენ 454 წელსაც).

რაჟდენის გვამი ქართველებს მოუპარავთ და ჩუმადვე ს. წრომს დაუმარხავთ. სპარსთა მეფე საქართველოდან წასულა, ჩვენში მშვიდობა ჩამოვარდნილა და ვახტანგ მეფის ბრძანებით რაჟდენის ნეშტი „გალობით, ფსალმუნებითა, სანთლებითა“ და სხვა პატივისცემით ნიქოზს წაუსვენებიათ, „საეპისკოპოზოსა მას ეკლესიასა, მისვე მეფისა ვახტანგის მიერ აშენებულსა“.

39 გაზ. „დროება“ № 81, 12. IV. 1882.

40 რაჟდენის ცხოვრების ცალკე გამოცემა, თბ., 1905, გვ. 3, შდრ. საბინი ნ. საქართველოს სამოთხე, ს.-პეტერბურგი, 1882, გვ. 171—180.

41 ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ. 246.

რაქდენის მოსახსენებლად ვახტანგ მეფის ბრძანებითვე მშენიერი ტაძარი აუშენებიათ უჯარმის ციხეში და კიდევ სხვა ეკლესია „სამგორობით წოდებულს უჯარმოს ველზედ“.⁴²

რაქდენის წამების დღეს (3 აგვისტოს) ქართული ეკლესია დღესასწაულობდა კიდევ. ნიქოზელები კი უფრო ფართოდ აღდგომის მე-40 დღეს, — ამალლებას დღესასწაულობდნენ. ადგილობრივ მოსახლეთა სიტყვით „მოაგარანგელოზობასაც ზთილობდნენ“ (იხილდნენ).

ს. წრომში ყოვლადწმიდის შესანიშნავი მონასტერია აგებული. იგი არქიტექტორების: მ. კალაშნიკოვის, ნ. სევეროვის, დ. გორდევის და განსაკუთრებით გ. ჩუბინაშვილისა და შ. ამირანიშვილის მიერაა შესწავლილი⁴³. დადგენილია, რომ წრომის ეკლესია 626-635 წლებს შორისაა აშენებული. და თუ მართლა, რაქდენი პირველად იქ დაასაფლავეს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ წინათ იქ სხვა ეკლესია ყოფილა. ასევე — ზემო ნიქოზშიც, სადაც ვახტანგის დროინდელი საყდარი აღარ არსებობს, და თუ ასეთი იყო, შემდეგში შეუცვლიათ.

* *

რაქდენის მარტილობის მსგავსი და უფრო მნიშვნელოვანი ძეგლია „მარტილობად და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“. ავტორი მოგვითხრობს, რომ სპარსთა მეფის ხუასროს ანუ შირვანის (531-579) მეფობაში ქართლში მოსულა და მცხეთაში დასახლებულა კაცი, სახელად გვირობანდაკი; იგი ყოფილა 30 წლისა, ეროვნებით — სპარსელი, ქალაქ განძაკიდან, შვილი მოგვისა და მოგვად ზრდიდნენ⁴⁴.

მცხეთაში გვირობანდაკმა უარყო წარმართობა და გაქრისტიანდა. ქრისტიანული ნათლობის სახელად მას ევსტათი უწოდეს. სპარ-

42 რაქდენის მარტილობის 1905 წლის ცალკე გამოცემა, გვ. 24.

43 შ. ამირანიშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944 გვ. 182—189; სურათები გვ. 106—115; სათანადო ლიტერატურაც იქვეა მითითებული. შემდეგ გამოცემა გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია, Памятники типа Джвари, თბ., 1948, და საქ. მეცნიერებათა აკადემიის ქართ. ხელოვნების ინსტიტუტის შრომები, წ. 3, თბ., 1950, რომელშიც დაბეჭდილია ნ. სევეროვის მიერ აღდგენილი წრომის ტაძრის არქიტექტურული სახე (გვ. 15—24 და ტაბ. 3, 4, 5).

44 კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, გვ. 483 და შემდეგი.

სელებმა მისი კვლავ წარმართობისათვის დაბრუნება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იგი აწამეს, გვამი ქართველებმა მოიპარეს და მცხეთაში დაასაფლავეს.

ევსტათის ცნობრება უცნობ ავტორს VI საუკუნის სამოცდაათიან წლებში აღუწერია. ტექსტი შემონახული გვაქვს XI საუკუნის ხელნაწერით. ისიც რამდენიმეჯერაა გამოცემული.

ორივე ეს მარტვილობა თემატიკურად იოანე საბანისძის აბოთბილელის მარტვილობას ჩამოჰგავს. არაბი აბო გაქრისტიანებისათვის აწამეს არაბებმა. ეს ფაქტი დამსწრე იოანე საბანისძემ 786-790 წლებში აღწერა. ამის ტექსტიც რამდენიმეჯერაა გამოცემული.

აღსანიშნავია, რომ **რაჟდენის საფლავის მხარეში**, როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვაქვს აღნიშნული, ს. ზემო აჩაბეთში ესტატესა (სარწმუნოა **ევსტათი მცხეთელის**) და უკანასკნელიდან ერთი კმ დაშორებით აბოს (თბილელის) ძველი ეკლესიებია აშენებული. !

* *

პატრიოტიზმის მოტივები ძველ ქართულ მწერლობაში ზოგჯერ იმაზეა აგებული, რომ **აი უცხო ერის კაცი გაქართველდაო**, თავის ენას ჩვენი ენა და თავის სარწმუნოებას ჩვენი სარწმუნოება ამჯობინა და მით უფრო ქართველმა ყოველივე ქართული უნდა დაიცვასო.

ამავე მიზნით, მეორე მხრივ, აღწერდნენ ქალის გმირობას, როგორც, მაგ., წმინდა შუშანიკის, და უჩვენებდნენ კაცებს მაგალითს, ვარსკენ პიტიახშს ნუ დაეშგაესებით, მიჰბაძეთ ფიზიკურად უფრო სუსტს, მაგრამ სულიერად ძლიერ ქალს — შუშანიკსო.

მერვე-მეცხრე საუკუნეში არაბების მიერ ქართველების შევიწროებამ და ქართველების მოსპობის ცდამ, როგორც ცნობილია, ხელი შეუწყო ქართველებში ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო გაღვიძებასა და გაძლიერებას. ეროვნული არსებობის შენარჩუნებისათვის მაშინდელი ქართველები ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად ქრისტიანობას იყენებდნენ, და აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან განთავისუფლებას ცდილობდნენ. „ამ ნიადაგზე წარმოიშვა გაძწვავებული პოლემიკა სომხებთან, ... უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა“ მათთან და იმავე ქართველებმა „ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგო-

რიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფ-
ლიოსაც“. მათ ცნობილი ქართველის, — იოანე საბანისძის პირით
გამოაცხადეს: „არა ზოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღმრთისა
მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა“⁴⁵.

მეათე საუკუნეში ქართული პატრიოტული გრძნობების გაღვი-
ვებისათვის ქართულ ენასაც ფართოდ იყენებდნენ. მაშინ, და რამდე-
ნადაც წინათაც, საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ ბერძნული
ენა ყოველ სხვა ენაზე უკეთესიაო. ქართველები კი ფიქრობდნენ,
რომ ქართული ენა ბერძნულს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა; ეს
ენები „დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა.“ მეტიც, ქართული
ენა ბერძნულზე უკეთესიც არისო, „ყოველი საიდუმლო ამას ენასა
შინა დამარხულ არს“ და დადგება დრო, როდესაც მას ბერძნულის
წინაც დააყენებენ, რადგანაც, ჯერჯერობით, „დამარხულ არს ენაჲ
ქართული“, მას საყოველთაოდ არ იყენებენ, ხოლო შემდეგ „მეო-
რედ მოსვლისა მისისა“ (უფლისა) ყოველ სხვა ენაზე მოლაპარაკე
ქართულს მიიღებს, ყოველი ხალხი ღმერთს ამ ენით დაუწყებს ღი-
ვებასაო“.

ქართველების მაშინდელი ასეთი თვალსაზრისი და აღნიშნული
სიტყვები მოცემულია ცნობილ იოანე-ზოსიმეს ნაშრომში: „ქებაჲ
და ღიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.“ ავტორი სათავეში ედგა ქართულ
სახლვარგარეთულ ცენტრს შეათე საუკუნეში. ის თავის ნაწარ-
მოებში მაშინდელი მოწინავე ქართველების საერთო თვალსა-
ზრისს გამოხატავს. ტექსტი რაძდენიმეჯერ გამოიცა.

ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია

ეკლესია ძდებარეობს სოფლის სამხრეთ ნაწილში, გორაკზე,
საიდანაც იშლება ლამაზი ხედი. ირგვლივ სასაფლაოა, ეკლესიის შე-
ნობა პატარაა. სიგრძე შიგნიდან 9.22 მ უდრის, სიგანე — ჩრდი-
ლოეთის კარიდან სამხრეთისამდე — 6 მ, სიმაღლე უგუმბათოდ —
5,70 მ.

გუმბათის სიმაღლე საყდრის სახურავიდან გუმბათის სახურა-
ვამდე — 4 მ, გუმბათის ქუდი და ჯვარი — 1 მ, ეკლესიის სიმაღ-
ლე ჯვრიანად სულ — 10,70 მ.

⁴⁵ კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, 1, გვ. 43.

შენობის სასურავი კრამიტისაა: მისი პირველი წყობა და გუმბათის თავი ქვისაა.



სურ. 23. ზემო ნიქოზის ეკლესია სამხრეთ-დასავლეთიდან

საყდარი აგებულია მუქი ფერის თლილი დიდი ქვებით. მაგ., ერთი ქვა აღმოსავლეთის კედლის შარკვეხა ხაწილში სიძალით 1,54 მ უდრის, სიგანით — 90 სმ; მეორე — 1,35 მ და 83 სმ; საყდრის ჩრდილოეთი კედლის ქვა (წმ. გიორგის რელიეფური გამოხატულების ქვევით) — 1,70 მ და 90 სმ და ა. შ. კედელი სქელია, 9. ი. მგერელიძე

გუმბათის კედლის სისქე ფანჯრის წირთხლში — 83 სმ; მისი გარე-
ქვა 20 სმ. რა თქმა უნდა, ყოველი გარექვა ერთი სისქის, მოცუ-
ლობისა და კედლის არ არის. მაგ.,



სურ. 24. ზემო ნიქოზის
ეკლესიის პორტალის ბოძი.

სხვაა სამხრეთი კარის პორტალის
ბოძის ქვა, მაგრამ აქ განსხვავება
ისე საგრძობი არაა, როგორც
გვეჩვენება, როდესაც ნიქოზის
ტაძარს ვუცქვრით.

აღნიშნულია, რომ ეს საყდა-
რი აგებულია დოდოთის (ვახუშ-
ტის თქმით დუდეთის) ქვით,⁴⁶
რომელიც ზემო ნიქოზიდან 8-9
კმ დაშორებითაა და სოფ. ტბე-
თის მეზობლად მდებარეობს. ახ-
ლა დოდოთი ს. რუსთავეთან ერ-
თად ცხინვალის რაიონის ძარის
სასოფლო საბჭოში შედის და ორ
სოფლად ითვლება: — ქვემო და
ზემო დოდოთი. ზოგი ამ სოფელს
ქვასათალსაც უწოდებს, მაგრამ
ქვასათალი (ადგილობრივი გამო-
თქმით ქვასათალა) სხვაა. ის ს. ზე-
მო და ქვემო ტბეთთან ერთად
ცხინვალის რაიონის ხეთაგუ-
როვის სასოფლო საბჭოში შე-
დის.

ვახუშტი ამბობს: „ტბეთ ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით
ითხრების ქვა შავი დუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა,
სიბრტყისა და სიმსუბუქისათჳს“ (იქვე).

მთავარანგელოზის საყდრის კედლების შესახებ გ. საძაგლი-
შვილი შენიშნავს: «тонкия ея стѣны с наружной и с внутренней
стороны облицованы темно-серым песчаником» და ამიტომ
გვრჩება შთაბეჭდილებაო, «церковь словно вылита из одного
целого гранита»⁴⁷.

⁴⁶ გ. საძაგლიშვილი ნ. დასახ. ნაშრომი; შტრ. ვახუშტი. აღწერა სა-
მეფოსა საქართველოსა, 1941 გვ. 78.

⁴⁷ Г. Садзагелов-Ивериели, Описание Никозской Михаило-

საყდარის ჯვრის ფორმისაა. მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები მოკლეებია. აღმოსავლეთი მხარე („ჯვრის თავი“) ნახევარი ცალინდრისებრია, გუმბათის ყელი შიგნიდან ოთხწახნაგოვანია, გარედან კი — რვაწახნაგოვანი.

ცხადია, რომ გ. საძაგლიშვილი ცდებოდა, როდესაც ამ საყდარის გუმბათის ყელს ნ-კუთხოვნად და ზევიდან ნ-ზოლიანად თვლის; ასევე არაა ის სწორი, როდესაც აღმოსავლეთი კედლის შესახებ ამბობს, რომ სამ ნახევარწრედ იწევსო. ნახევარწრისებრი მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის შუა, წინწამოწეული ის ნაწილია, რომელშიც შიგნიდან საკუთხეველია. აღმოსავლეთი კედლის ფორმა კარგად ჩანს პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებულ ამ საყდარის ფოტოსურათზე, ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას სურათი შებრუნებულად აქვს დაბეჭდილი. ეს შენობა არა ჰგავს მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის ნაგებობებს, რომლებსაც მას გ. საძაგლიშვილი არქიტექტურულად ადარებს.

ზემო ნიქოზის აღნიშნულ საყდარს სამი — სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი — კარი აქვს, ხოლო აღმოსავლეთი კედლის წინა და მისი ორი მკლავის კედლებში თითო, ე. ი. სულ 3 სარკმელია.

საყდარის ჩრდილოეთ კედელზე, გარედან ცხენზე მჯდომარე წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებაა; გიორგი გველს ჰკლავს⁴⁸ შუბით, და არა ურჩხულს (ეს უკანასკნელი გიორგისთან ქართულ მხატვრობაში XIV ს-დან გვხვდება). ამის ზევით, გუმბათის ჩრდილოეთი ფანჯრის შარჯნივ და შარცხნივ ცალ-ცალკე, სამი მცირე ლომია გამოსახული. პირველზე უფრო მოხდენილად მეორე და მესამეა შესრულებული. პირველი ლომი ფეხებით ცხენს ჰგავს, მაგრამ კუდი აქვს აწეული, და უკანა ფეხებიც წინას შთაბეჭდილებას ტოვებს. მეორე ლომიც კუდაწეული და პირდაღებულია; ფეხები მორბენალის მდგომარეობაში აქვს. გუმბათის დასავლეთი ფანჯრის შარცხნივ (წინა ლომების მაგიერ) ჩუქურთმოვანი ქვაა ჩასმული, ხოლო მის გასწვრივ (შარჯნივ) ისევ ლომის გამოხატულებაა, რომელიც უკეთესადაა შესრულებული, ვიდრე პირველი ორი ლომი.

Архангельской церкви в Карталинии, с. 3. დოდოთისა და ქვასათალის ბაზალტების შესახებ სპეციალურად იხ. «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения», т. I, Цхинвали, 1933.

⁴⁸ გველს კუდი თითქმის ისე მრგვალად აქვს მოხრილი, როგორც თირის მონასტრის სამრეკლოს გამოსახულებაზე.

ლომის გამოსახულების აღნიშვნა საინტერესოა, რადგან ქსისი ხეობაში წინათ სახელგანთქმული **ლომისის** მონასტერია ცხოვლილი. სვანეთში ლომი დროშაზეც ეხატა. საკუთარი სახელებიც ყოფილა: **ლომა, ლომინა, ლომთათი** (შდრ. ლომაძე, ლომინაძე, ლომთათიძე), ხარისა და კამეჩის სახელი **ლომა** და სხვა.

ქართულ ხელოვნებაში ასახული ლომების სასანიდური გავლენით ახსნის ცდის აუცილებლობა არ არსებობს. ეკლესიაზე ლომის გამოსახულება ყოველთვის არც მაჰმადიანობის შებოჰვის სიმბოლო იყო.

იმავე გუმბათის სამხრეთი ფანჯრის მარცხნივ, ისეთ ადგილზე, როგორზედაც წინა ლომებია, და თითქმის იმავე მოცულობის ქვაზე (20×33 სმ), ხელებამართული ორი კაცია გამოსახული (სიმაღლით 18 სმ). ისინი აღმშენებლები ან სხვა სიმბოლური ნიშნები არიან.

ამავე ფანჯრის მარცხნივ და აღმოსავლეთი ფანჯრის ორსავე შესაფერ ადგილზე ჩუქურთმიანი ქვებია ჩაშენებული. ჩუქურთმები გუმბათის სვეტების იმიტაციაზე, გუმბათის ყელის თავის (სახურავის დასაწყისში) და სარკმლის ფუძის ქვებზედაცაა გამოსახული (უფრო წრისებრი, ქვემოდან პირლია).

საყდრის სამხრეთი კარის ზემოთ, კედლის დასავლეთ მხარეს, წრეში ჩასმული ქართული ოთხკუთხი ჯვარია წარმოდგენილი. კარების ჩარჩოებიც ჩუქურთმებულიანია.

ეკლესიაში კედლის დასასრულსა და გუმბათს შორის გარდამავალი თითო კუთხის კუნჭულში 4 ფიგურაა, რომლებიც პალმის გაშლილ ფოთოლს მოგვაგონებს (ერთი უკვე აკლია; ესენი რესტავრაციის დროსაა ჩასმული).

გ. საშაგლიშვილი აღნიშნავს, რომ ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის ზემოთ, შიგნიდან, მარმარილოს დაფაა გაკრული წარწერით:

«Съ благословения Высокопресвященнейшаго Полладия, Экзарха Грузии, обновлена церковь сия Архангела Михаила в память чудеснаго избавления Государия Императора Александра III и его Августейшего семейства 17 октября 1888 года.

ღმერთო, დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა აღმადგენელი წმ. აშის მთავარ-ანგელოზის ტაძრისა: გორის მარშალი ი. დ. სულხანი-შვილი, თავადი ზ. ბ. ფავლენიშვილი, მასწავლებელი თბილისის სა-

სულიერო სასწავლებლისა გ. ი. საძაგლოვი⁴⁹. ბლალოჩინი გ. ედილოვი და ადგილობრივი მღვდელი ი. დავილოვი.

ქ-სა მზ,⁵⁰ ჩუჟა წელსა“ (გვ. 8).

ქორონიკონი მზ (47 + 1844 = 1891) და ციფრის მავიერო ასოებთ ჩუჟა ცალ-ცალკე ერთ — 1891 წ.-ს აღნიშნავს, ე. ი. დაფა. 1891 წ. გაუქრავთ. ამჟამად ეს დაფა იქ აღარაა, ეტყობა მხოლოდ კედელს, რომ ის ამ ეკლესიის ჩრდილოეთი კარის აღმოსავლეთით შიგნიდან ყოფილა გაკრული.

ამ ეკლესიის შესახებ წაკითხული მოხსენების თეზისებში ლ. რჩეულიშვილი წერს: „ძეგლის ძთლიანი მხატვრული აღნაგობა მოძწიფებულ ფეოდალურ ხანაზე მიგვიითიბებს, რაც სტილისტიკურად „ბაროკული“ თვისებებით ხასიათდება.

„შიგა სივრცის მხატვრული კონცეფცია და დეკორატიული გაფორმების ხერხები სტილის განვითარების ადრინდელ ეტაპზე მიგვითიბებენ“.⁵¹

შენობა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ის პირვანდელი ფორმითაა შემონახული. ეს ეკლესია „ძვირე ზომის შენობაა, მაგრამ გეგმითა და შექმნილი სივრცით გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების რამდენიმე თემის რთულ კომბინაციას იძლევა“.⁵²

ლ. რჩეულიშვილი მართალს ამბობს, რომ შენობის ლაპიდარული წარწერები უცნობ პირებს იხსენიებენ, მაგრამ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ ძათი პალეოგრაფიული თავისებურებანი ზოგიერთ ქრონოლოგიურ ხიშნებს ძაინც იძლევიან.

ეკლესიის ჩრდილოეთ კარისთავზე ძველქართული ხუთსტრიქონიანი წარწერაა:

სხლთა ღთ მიქელ ებ
სკჳმნ აღვშნე წა ეკლსა რლ
არს სასლი ღსა და ბჳჭ ცთა
საყოფელი წსა ღთსამშბელსა და წთა
მთავარანგელოზთაა სლცდ სლისა ჩმისსთა⁵³

⁴⁹ ღვთაების ტაძრის წარწერაში (1289 წ.) გ. საძაგლიშვილი გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად იხსენიება. აქ — თბლისისა (1891 წ.).


⁵⁰ ეს ორი ასო მრგვლოვანია.

⁵¹ ზემოდასახელებული „თეზისები...“ (1946 წ.) გვ. 6.

⁵² იქვე.

⁵³ წარწერის ფოტოსურათი ჩვენს 1950 წ. გამოცემაში (გვ. 37) მკრთალია. შედარებით ნათელია მეფისაშვილისა და ცინცაძის 1967 წლის გამოცემაში (გვ. 72).

პირველი სტრიქონის, მიმელ მ. ბროსეს აზრით, მამაჲ-დ შეიძლება წავიკითხოთ გ. საძაგლიშვილი ამას იმეორებს და განმარტავს



სურ. 25. ზემო ნიქოზის ეკლესიის წარწერის მონახაზი.

კიდევ, X ს შატბერდის კრებულში მამაჲ საკუთარ სახელად გვხვდებო. ქართული საეკლესიო კალენდარი მამაჲ ეპისკოპოსს იცნობს 731-744 წლებში. მაშასადამე, ეს ამ ტექსტს არ უდგება. დოც. ლ. რჩეულიშვილმა თავაზიანად გაგვაცნო მის შიერ გადმოღებული წარწერა. ლ. რჩეულიშვილი ამ სიტყვას მე მქლ-ად კითხულობს.

მ. ბროსემ და გ. საძაგლიშვილმა მეორე სტრიქონის პირველი ასო ს პირველი სტრიქონის უკანასკნელ სიტყვას მიაკუთვნეს და კვმნ შეიძლება საკუთარი სახელი (კოზმან) იყოსო ან კათალიკოს-მან სწერიაო. აქ გადმოტანილი სიტყვის გაგრძელება უნდა გვექნდეს და გამოდის (ები)სკოპოსმან, მაგრამ კოპოზ რატომ ზ-დ წერია და არა ს-დ! ან შეიძლება მეორე სტრიქონის პირველი ასო ს სტეფანეს ნიშნავდეს და გამოვა სტეფანე კათალიკოზმან. მაგრამ ასეთი შემოკლება! თანაც სტეფანე ნიქოზელი ეპისკოპოსად იხსენიება ერედვის 906 წლის სამშენებლო წარწერაში და არა კათალიკოსად.

ტექსტის ქარაგმების გახსნით შესაძლებელი წაკითხვა იქნება:

„ქ. სახელითა ღმერთისაჲთა მიქელ (ები)-
სკოპოზმან აღვაშენე წმიდაჲ ეკლესიაჲ,
რომელ არს სახლი ღმრთისაჲ და ბქჴ ცათაჲ,
საყოფელი წმიდისა ღმრთის მშობელისაჲ და წმიდათა
მთავარანგელოზთაჲ, სალოცველად სულისა ჩემისათჴს“.

II. წმ. გიორგის გამოხატულების ზემოთ, კედლის ერთი ქვის შემდეგ ქვაზე (ე. ი. შესაძებზე), მარჯვნივ, გამოხატულია პატარა

სწორკუთხედი და წრე, რომლის შემდეგ გ-ს მსგავსი ასოს კვალი ჩანს. თუ ეს გ-ა, მაშინ დასაწყისში წ და ასობია მოშლილი და იქნებოდა: წ(მი) და გ(იორგი). მ. ბროსეს მიერ ამ მხარეზე აღნიშნული ჯესი (=ჯვარი ქრისტესი? გვ. 54) და ცალკე:

მქლ ებჯი (= მიქელ ებისკოპოზი) უკვე აღარ ჩანს (იქნებ იქვე მიკრულ დაფის ქვეშ მოექცა?).

ლ. რჩეულიშვილი ასეთ მინაწერს ასახელებს სწორედ № 1 წარწერის მარჯვნივ, ზემო კუთხეში. მაშასადამე, ეკლესია მიქელ ეპისკოპოზს აუშენებია.

III. გუმბათის ჩთდილოეთი სარკმლის ზემო ქვაზე მსხვილი, გრძელი და ლამაზი მრგლოვანი ასობით ორ (ლომს შორის) კარგად იკითხება:

ქე შე იოვანე.

დსწლი მქლ ებკ.

ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე იოვანე,

დისწული მიქელ ებისკოპოზისაჲ.“

IV. გუმბათის დასავლეთი სარკმლის ზემო ქვა რბილი გამომდგარა, ქარსა და ყინვას მისი სწორედ შუაგულიდან ფიქალებრივი ფენები აუტკეცია (შეიძლება აქ რომელიმე გამოსახულებაც იყო ამოკვეთილი) და წარწერაც გაუფუჭებია. გადარჩეხილია მხოლოდ შემდეგი ასობი:

მარჯვნივ:

მარცხნივ

ქე	შე	ლე	და	ანკი
ნე		(ა) წე	შე	
შვლ		ელ		
ნ(ი) მ (ს)		და	შნი	

V. საყღრის სამხრეთი კარის დასავლეთით, კედლის უკანასკნელ ქვაზე (კარიდან მე-4 ქვა) სამი ასო ირჩევა: ს ქ რ.


ჩვენი უკანასკნელი სამი ასოს ადგილზე (?) ლ. რჩეულიშვილი კითხულობს:

ქე
შე ორა

(ამ კარის ქვემოთ, დასავლეთითაა ზემოხსენებული წრეში ჩასმული ოთხკუთხი ქართული ჯვრის გამოსახულება).

VI. გუმბათის აღმოსავლეთი სარკმლის წირთხლში ერთ ქვაზე ძველი ქართული პ-ს, მწედრული სა-სა და ს-ს მსგავსი მოხაზულობები.

წარწერებში თარიღი არაა ბობს, რომ პალეოგრაფიულად



სურ. 26. ზემო ნიქოზი. ასოები ეკლესიის გუმბათის აღმოსავლეთ წირთხლში.

აღნიშნული. გ. საძვალეშვილი ამ-წარწერები (და მაშასადამე ეკლესია) მე-7-8 საუკუნეს ეკუთვნისო.⁵⁴ ეს აზრი სწორი არაა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ არც ერთი ამ წარწერათაგანში თავშეკრული ბ, ვ, ყ ან შ არ გვხვდება. წარწერები უფრო გვიანდელია. დასაბუთება არ ახლავს არც ი. კ.-ს განცხადებას, რომ ნიქოზის მიხეილ მთავარანგელოზის ეკლესია მე-9-10 საუკუნისააო.⁵⁵


დათარიღების საკითხს არ წყვეტს ჯერჯერობით არც მე-3 წარწერაში მოხსენიებული იოვანე, დისწული მიქელ ეპისკოპოზისაა. ვინაიდან ჩვენი ისტორია რამდენიმე იოვანესა და მიქელ ეპისკოპოზს იცნობს. ცნობილია იოანე (შეიძლება იოვანეც), რომელსაც კ. კეკელიძე, მიქელ მოღრეკილის დისწულად თვლის (X ს.),⁵⁶ მაგრამ ის ბერი იყო და არა ეპისკოპოზი, არ ჩანს, რომ მას ქართლთან

ჰქონდეს კავშირი. ეპისკოპოზი მიქელ I (459-467) ვახტანგ გორგასალის დროსაა ცნობილი. მიქელ II 774-780 წლებშია ცნობილი, მაგრამ ჩვენს ძეგლს ესენი არ ესადაგებიან. მას უფრო მაინც მიქელ III (940-952 წ. წ. ცნობილი ეპისკოპოზი) შეეფერება, მაგრამ ეს არის?

54 გ. საძვალეშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 7.
55 И. К. Обзорение карталинских церквей, с. 12.
56 ქართ. მწერლობის ისტორია, I, გვ. 154.

პირველსა და მეორე წარწერაში სიტყვა ეპისკოპოზი წერია ბ და ზ-თი (ეპისკოპოზი). ამიტომ მესამეს შემოკლება ებკს გავხსენით ეპისკოპოზისაჲ-თ, თორემ მართო ბ-თი რომ ეწეროს (ერედვის 906 წ. წარწერის მსგავსად), მაშინ ამ სიტყვის თარიღისათვის მო-შველიების მეტი საბუთი გვექნებოდა. ძველი ქართულისათვის უფ-რო დამახასიათებელია ფორმა ეპისკოპოსი (თუმცა ბოლნისის უძ-ველეს წარწერებში ეპისკოპოსი წერია).

პალეოგრაფიულად უფრო საყურადღებო და სანდო პირველი წარწერაა. მასში X საუკუნისათვის დამახასიათებელ ასოთა მოხა-ზულობა გვაქვს. ამას ეთანხმება და აზუსტებს საერთო სტილიც. ლ. რჩეულიშვილი წერს: „ფასადთა გაფორმების სისტემა და ჩუ-ქურთმების მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი ეთანხმება შიგა სივრცის თვისებებს და შესაძლებელს ხდის ძველის აგების თარი-



სურ. 27. ზემო ნაქოზი. ტაძრის არქიტექტურული ანსამბლი სამხრეთიდან
ლად X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი მივიჩნით.⁵⁷ სიძველეთა
კომიტეტის დაფის წარწერაც ასეთია:

⁵⁷ ზემოდასახელებული „აფხისები...“ 1946, გვ. 7.

„მთავარანგელოზი

X საუკუნის არქიტექტურული ძეგლი...“

თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება მომავლის საქმეა...

ზემო ნიქოზის ტაძარი

ტაძრის ეზოს ქვის გალავანს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან, სამრეკლოს ქვეშ გავლით აქვს. ეზოში ტაძარი დგას. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში საეპისკოპოსო პალატის ნანგრევებია. მის შესახებ წერენ, რომ ლამაზი სასახლე იყო. უკანასკნელს არც ერთი წარწერა არა აქვს. ამ შენობას ერთგან ოთხსართულიან კოშკსაც უწოდებენ და შენიშნავენ, რომ მასში მონასტრის სენაკები და თლიანი ოთახი ახლაც (1891 წ.) ირჩევა, შენობას ქვეშ გასასვლელი (გვირაბი) ჰქონდაო, კოშკის ეზოს 300 არშინის სიგრძის გალავნით მტერთა სასაკლავოს წარმოადგენდაო.⁵⁸

აღნიშნული ღვთაების ტაძარი, ეპისკოპოსის პალატა, სამრეკლო და ტაძრის ეზოს ქვის გალავანი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საყურადღებო და ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელი კომპლექსია.


ზემო ნიქოზის ღვთაების სახელობის ტაძარი დიდი, მძიმე გუმბათიანი შენობაა. მ. ბროსე მას უგუმბათოდ ასახელებს, მაგრამ არ ჩანს, რომ ის 1847 წელს, როდესაც აქ მ. ბროსე იყო, უგუმბათო ყოფილიყოს. როგორც ზემოთაც აღვხიშხეთ, ვახუშტი მას გუმბათიანს უწოდებს.

ეს ტაძარი ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიიდან ჩრდილოეთით 100-150 მეტრის დაშორებით, მცირე მშრალ ხევს გაღმა, მომაღლო გორაკზე მდებარეობს. ტაძრის სიგრძეა 18,5 მ, განი — 12 მ, სიმაღლე გუმბათითურთ — 36,5 მ-მდე.

ტაძარი აშენებულია უძთავრესად ისეთივე ძუქი ფერის ქვით, როგორითაც ზემო ნიქოზის ეკლესია; ჩრდილოეთ კედელში ე. წ. მოღვინისფრო ქვა ჭარბობს. ძთლიანად აგებულია უფრო მაგარი ქვით და შედარებით მცირე ნაჭრებით. კედლების მასალად შიგადაშიგ გამოყენებულია მოყვითალო ფერის ქვაც, და უკანასკნელი, რადგანაც უფრო რბილია, ვიდრე მუქი ქვა, წარწერებისა და გამოსახულებისათვისაა გამოყენებული. ამბობენ, რომ ღვთაების ტაძრის

⁵⁸ Газ. «Кавказ», № 87, 2, 4, 1891.

ქვა ქვასათალიდანაა ჩამოტახილიო (დოდოთიდან ნახევარი კმ და-
შორებით მდებარეობს). იქ ქვებს ახლაც თლიან.



სურ. 28. ზემო ნიქოზი. ტაძრის არქიტექტურული ანსამბლი
ჩრდილო-დასავლეთიდან.

ერთ-ერთი ლამაზი და სათნო ლეგენდა, რომელიც ზემო ნიქო-
ზის მცხოვრებმა კოლმეურნე ზ. გ. ძაძუკაშვილმა (დაბ. 1890 წ.)
გვიამბო, შემდეგს გვაუწყებს:

ერთი ძმა ქვასათალში ქვას თლიდა. გათლილი ქვა ხალხს ნი-
ქოზში მოჰქონდა და ძეორე ძმა ღვთაების ტაძარს აშენებდა. უკა-
ნასკნელის დასრულებას ბევრი აღარ უკლდა, რომ მშენებელმა ქვა
ქვას შიადო, კარგად არ შიუღვა და დაიყვირა: ჩემი ძმა დაღუპუ-
ლაო! წავიდა, ძმა მართლა მკვდარი დახვდა (ასეთი ლეგენდა თირის
მონასტრის შესახებაც გავიგონეთ (იხ. ქვემოთ).

იგივე ზ. ძაძუკაშვილი გვიამბობს, რომ გადმოცემითო, ბოცი-
ჯვრის (ბორცვისჯვრის), თიღვის (ზნაურის რაიონის ცენტრში) და
ნიქოზის ღვთაების ტაძრები ძოხელეების ერთი ჯგუფის შიერ ერთ
დროსაა აგებულთ.

შეუძლებელია, რომ იმ დროში ასეთი დიდი არქიტექტურული

ძეგლები ერთი ჯგუფის მიერ ერთდროულად აშენებულიყოს, მაგრამ
გადმოცემა ძაინც მოსახსენებელია. ამ სამში უძველესია ბორც-
ვისჯვრის ეკლესია; მოხსენიებულია ბაგრატ IV-ის 1027-1072 წწ.
ერთ-ერთ გუჯარში და, მაშასადამე, XI საუკუნის პირველ ნახევარ-
ში უკვე აშენებული ყოფილა. შეიძლება უფრო ძველიც (X ს.)
იყოს. თიღვის ტაძარი XII საუკუნისად ითვლება და თირის მონას-
ტერი კი — უფრო გვიანდელად.

ღვთაების ეკლესიასთან დაკავშირებით, სხვა თქმულება (რომე-
ლსაც ი. ზ. ძამუჯაშვილი გვაუწყებს) ამბობს: ზემო ნიქოზში ყოფი-
ლა ერთი ბერი მახარობლიძე. ღვთაების მონასტრის ციხეში⁵⁹ შესა-
სვლელად ლეკები მთავარახელოზის ეკლესიის ძირში შიდიოდნებ;
წინმავალი ზურნას ატყვირებდა. ბერმა მახარობლიძემ თოფი ესრო-
ლა და ტყვია შიგ ზურნის შილში მოახვედრაო (ასეთი თქმულება
ქართლში სხვაგანაც გავგიგონია).

ლეკები გაბრუნდნენ. შემდეგ მზვერავი მიგზავნეს, ვინაა ციხეში
ასეთი მსროლელიო. მახარობლიძე არ იყო შინ; დედაბერი ლობიოს
ხარშავდა. როცა შეამჩნია, ვილაც ციხეს ეპარებო, ცეცხლი დააქრო
(ბოლით არ მოძაგნოსო) და ძღუდარე ლობიო გარეთ გადგაო.

ლეკმა ნახა, რომ ქოთანში წყალი უცეცხლოდ ჩუხჩუხებს, შე-
შინდა, გაბრუნდა, ეს ამბავი ლეკებს მიუტახა, ისიხიც ძეშინდნებ
და გაიქცნენო.

გადმოცემები გვეუბნება, რომ ზემო ნიქოზის ღვთაებაში შეფე
ერეკლე II თავისი ამალით მოვიდა; ტაძარში მოთავსებულ წმ. რაჟ-
დენის სურათს სანთელი დაუთთო და მის წინ მუხლებზე დაეშვაო.

ერეკლე II ცხინვალში, ზემო აჩაბეთსა და ნიქოზში ნაძყოფო-
ბას საისტორიო წყაროები ადასტურებენ და გადმოცემებიც აღნიშ-
ნავენ. ზემო ნიქოზელები გადმოგვცემენ, რომ მათი სოფლის ძიწის
ერთ ნაკვეთს ვაშაურას ეძახიან. ეს იძიტომაო, ამბობს ხალხური
ეტიმოლოგია, რომ შეფე ერეკლე ცხინვალს რომ სადილობდა,
აუწყეს, რომ ზემო ნიქოზში ლეკებიო. ერეკლე და მისი მსლებლები
მათკენ გაეშურნენ, მტერს „ვაშა, ურა“ დაჰკვივლეს და დაამარცხესო.
ვაშაურას მახლობლად ცხვარი დაკლეს, გამარჯვების ნადიმი გადაი-
ხადეს, და ამიტომ, იმ ადგილს ნამცხვარები ჰქვიაო (სიტყვა ვაშაუ-

59 ამ მონასტერთან მდებარე ეპისკოპოსის პალატის ნანგრევებს ადგილობრი-
ვები ციხეს ან ნ ა ც ი ხ ა რ ს უწოდებენ და ი. ძ ა მ უ ჯ ა შ ვ ი ლ ი ც ამ ნანგრე-
ვებზე მიგვიითიხებს.

რაში „ურა“, ალბათ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაააზრიანეს).

ცნობებში იმის შესახებ, რომ რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზს წაასვენესო, არაა თქმული, რომ ის ღვთაების ტაძარში დამარხეს. ამან შეაღწინა მ. ბროსე და რაჟდენის საფლავს მთავარანგელოზის ეკლესიანი ასახელებს. ვახუშტი კი ასეთად სწორედ ღვთაებას თვლის. ამასვე ადასტურებს ხალხური გადმოცემები და ამ ტაძრის შიგნიდან ჩრდილოეთ შუა კედელზე გაკრული შარძარილოს დაფა; უკანასკნელზე ჯერ ჯვარია გამოსახული და შემდეგ იკითხება:

«Съ благословления

Палладия, Экзарха Грузии⁶⁰

Члены комитета:

Горийский уездный предводитель дворянства

Иванъ Д. Сулхановъ,

Инспекторъ Горийскаго Духовнаго училища

Георгий I. Садзагеловъ,

Кн. Захарий В. Павленовъ

И никозский священникъ

Іоанъ Давидовъ

Возобновили и украсили сей 1500 летний

Соборъ

Построенный Вахтангомъ Великимъ

Горгъ-Асланомъ.

ზემონიქოზელთა დახმარებით, სხვათა პირთა შეწირულებით და ჩვენის მეცადინეობით აღვადგინეთ და გავამშვენიერეთ ტაძარი ესე. წმინდაო(.) დიდო მთავარ მოწამეო რაჟდენ (.) მეოხ გვეყავ ჩვენ (!) გორის მაზრის მარშალი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, ინსპექტორი გორის სასულიერო სასწავლებლისა გიორგი იერონიმეს ძე საძაგელოვი, თ. ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილი და მღვდელი ნიქოზისა იოანე დავიდოვი. 1889. VIII. 3.“

ამავე ტაძარში, სამხრეთი კარის მარჯვნივ, საკურთხევლის წინ მოთავსებულია ახალი დიდი სურათი; ფიცარზე დახატულია

⁶⁰ ადგილზე წერია: Грузий.

ჯვარზე გაკრული წმ. რაჟდენი. მას ტიტველ ტანზე შრავალი ისარბ
არქვია და ასახულია გამონადენი სისხლის წვეთები.

სხვათა შორის, ამავე ეკლესიაში, აღსაველის კარის მარცხნივ, გაკრულია ახალი, ფიცარზე დახატული სურათი დავით აღმაშენებლისა. ცოტა იქეთ რომელიღაც ქართველი დედოფლის პორტრეტი (გვირგვინოსანია, იქნებ იმ მეფის ასულის — ანა-ხანუმის პორტრეტი იყოს, რომელსაც ამ ტაძარში დაკრძალულად ასახელებენ?) და სხვა ხატებიცაა.⁶¹ უკანასკნელებიც ახლებია.

მ. ბროსე და შემდეგ გ. საძაგლიშვილი ადგილობრივი ყოფილი თავადების საგვარეულო სასაფლაოდ მთავარანგელოზის ეკლესიას იხსენიებენ. ეს სწორი არ უნდა იყოს. ასეთად ღვთაების ტაძარი ითვლებოდა და, მართლაც, რამდენიქვე ასეთი საფლავი წარწერით სწორედ ღვთაების ეკლესიაშია.

ჩვენი იქ ყოფნის დროს, როცა ტაძარი აღვეწრეთ, იატაკზე ხორბლის მთა იდგა (1952 წ. აგვისტო) და ფავლენიშვილების საფლავთა წარწერები სრულად ვეღარ ვადმოვიღეთ, მაგრამ ასეთი იქ წინათაც გვინახავს. მათ შორის სხვათა საფლავებიცაა.

სამხრეთი კარიდან შესავალს, საკუროთხევლის წინ, მარძაპრილოს ქვაზე ასეთი წარწერა ჩანს:

„მომიხსენე მე უფალო (,) ოდეს
მოხვიდე⁶² სუფევითა შენითა(,)
ამა ლოდსა ქვეშე
მდებარე (,) მხევალი შენი (,)
კნინა თ. ჯაქარია ბესარიონის ძის
ფავლენიშვილისა ნინო (,)
ასული თ. ელიზბარ
შერვაშიძისა(,)“

61 აქვეა სურათი, რომელზეც სამი კაცია გამოსახული და თვლიან, რომ შუაში ვახტანგ გორგასალი დგას; მას მარჯვნივ და მარცხნივ დავითი და კონსტანტინე უდგანან. მიუხედავად ანაქრონიზმისა, ეს სურათი საინტერესოა ფანტაზიის თვალსაზრისით, თუ ხალხი ერთმანეთს როგორ უკავშირებს მათთვის საყვარელ სხვადასხვა ეპოქის მოღვაწეებსაც კი.

62 ადგილზე წერია: მოხვიდეს სუფევითა.

63 შერვაშიძეები აფხაზეთიდან იყვნენ, მაგრამ მათი საფლავები გურიისშიც გვხვდება. ერთ-ერთა მათგანი 1721 წელს ერკეთის მონასტერს შერვაშიძეთა სამარხს უწოდებს, ამ გვარისანი მასში მართლაც ასაფლავიან; იხ. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, С.-Петербург, 1878, с. 217.

დაიბადა 1849 წელს (.)

გარდაიცვალა 19. 7. III. 16 წ.“.

ეს ნინო შერვაშიძე მეუღლეა იმ ზაქარია ფავლენიშვილისა, რომელიც ტაძრის წარწერაში აღძვრულა „შორის იხსენიება.

ტაძარში, აღსავლის კარების წინ, ჩრდილოეთი კედლისაკენ, ერთ-ერთ საფლავის ქვაზე შემოდან ჩადგმული აქვს თეთრი მარმარილოს დაფა.

უკანასკნელზე, რომელზეც ამოკვეთილია ანგელოზის სახე, წარწერაა:

„საფლავსა ამას მდებარე
ვარ მაჩაბლისა ასული,
საკელწოდებით მარიამ,
მსწრაფლ ამა სოფლით გასული.
აღმფხვრა საწუთ(ო)მ უძეოთ,
არ მყვა ძე, არცა ასული
და გთხოვთ წამკითხველთა მე,
ბრძან(ო)თ შენდობა უესთა ასული.
ჩუ-ზ-იე-ლა.“

(ქორონიკონი ჩულა, ზ, იე = 1831 წლის 15 ივლისს).

საყურადღებოა, რომ ამავე შინაარსის წარწერა (თითქმის ამავე დროისა) ჩვენ გურიაშიც შეგვხვდა.

ასკანის ძველი პატარა ეკლესიის (შარაშიძეების ეზოსთან) გალავანში ძვეს საფლავის ქვა წარწერით:

„ამ ლოდსა ქვეშე მდებარე
წუთი სოფლისგან გასრული,
ლისა მეწოდა სახელათ, —
თაყაღშვილის ასული.
მცირე წლოვანი დავსტოვე
საწყალი ძე და ასული.
თითო შენდობა მიბრძანეთ,⁶⁴
და მით ვიქმნე ზეცას ასული.“

64 ადგილზე გადატანილია მომღვენო სტრიქონზე და წერია ბ რ ძ ა ნ ო თ ა ქ შეიძლებოდა ო რ - ო რ ი ს ტ რ ი ქ ო ნ ის გაერთიანება (რითმების მიხედვით — ასული, ასული...), მაგრამ ქვაზე რვა-რვა მარცვლოვანად წერია.

იგივე ითქმის მომღვენო გვერდზე წარმოდგენილი მარიამ ჩხარტიშვილის საფლავის ქვის წარწერის (ბინა... ბინა...) შესახებაც.

ეს ჩვენ გადმოვწერეთ 30.VII. 1929 წელს. იგი უთარიღდა, მაგრამ ასოების მიხედვით ესეც ასი წლის წინათ დაწერილი უნდა იყოს.⁶⁵

პირველი და განსაკუთრებით მეორე წარწერა ფორმის მხრივასა სუყურადღებო.⁶⁶

ასეთი მაჯამური ლექსები ე. წ. „შედგენილი რითმით“ ქართული ლიტერატურის განახლების პერიოდში თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა შემოქმედებაში⁶⁷ გვხვდება. იგივე, როგორც სწორად შენიშნავს ს. გორგაძე⁶⁸ ზმა-შაირებშიც გვაქვს. ერთი ასეთი ხალხში ჩაწერილი ზმა ჩვენ გამოვამკვეყნეთ.

ზემოაღნიშნული ორი საფლავის ქვის წარწერის ლექსი მიგვითითებს, რომ ამ ფორმის ლექსები ქართულ ეპიგრაფიკაშიც შექრილა.

არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ ნიქოზის ღვთაების ტაძარში ყოფილა ცხოველისძყოფლის ხის (ძელიცხოველის), ანუ ძელიჭეშ-

65 Бакрадзе, Археологические путешествия по Грузии и Адчаре, ს. პეტერბურგი, 1878, გვ. 206—207. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე აღწერს ასკანის ეკლესიას, მაგრამ საფლავის ქვის ეს წარწერა მის მიერ არ იხსენიება.

სხვათა შორის, საყურადღებოა ის საფლავის წარწერაც, რომელიც შემოქმედის მონასტრის დასავლეთი მხრით მდებარე ქვიდან გადმოვიღეთ. ტექსტი ასეთია:

„მღვდლის მაქსიმე ჩხატარაშვილის ასული მარიაჲ, თბილისის ეპარქიის სასწავლებლის მოწიფე, აღესრულა 15 წლის 1881—1898 წ.“

გულმგზვნებარე ახალგაზრდას
 ქვესკნელში მაქვს ეხლა ბინა.
 ია-ვარდის ნაცვლად გულზე
 ეს ლოდი ქვა მომეფინა.
 ცივ-ბნელ, ვიწრო სამარეში
 არვინ ჩამყვა, მომელხინა;
 მარტოდ-მარტოს ამ უფსკრულში
 საუკუნოდ ჩამეძინა“.

66 სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ შდრ. აკაკის ლექსი „აღმართ-აღმართ“ (აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა.

სერზე ზევდექ, კმუნვის ალი მენელა“ და ა. შ.). ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული ღუთ ტომად. ტ. I თბ., 1950, გვ. 338. 9.

67 ქართული ლექსი, თბ., 1920, გვ. 109.

68 И. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва—Ленинград, 1938, с. 183.

მარიტის ჯვარი (სიგრძით 4 გოჯი), რომელიც, თითქოს, ვახტანგ გორგასალს გამოუგზავნა პატრიარქმა ძღვხად იერუსალიმიდან. ჯვარს წარწერაც ჰქონია, რომ ის იერუსალიმიდანაა მოტანილი და თამარ ქედის ასულმა რუსუდანმა განვახლეო (ვერცხლის ბუდე გაუქეთა; ჯვარი აქ 1891 წელს კიდევ ინახებოდაო). ეს ჯვარი ათანასე ეპისკოპოზის დროს დაიკარგა (1799 წ.). ამისათვის ათანასე მეფე გიორგი XII კათედრას მოაშორა და ნათლისმცემლის უდაბნოში (მონასტერში) გადაასახლა,⁶⁹ გიორგი XII სიკვდილის შემდეგ ტახტი მეფისწულმა დავითმა დაიჭირა; ამან მიიხმო ათანასე და ისევ ნიქოზის კათალიკოზად დასვა. უკანასკნელი 1810 წელს გარდაიცვალა და 1811 წ. ნიქოზის ეპარქია გაუქმდა.⁷⁰

გ. საძაგლიშვილი შენიშნავს, რომ ღვთაების ტაძრის კედლებზე შეიგნიდან ფრესკები იყო, ახლა აღარ არის. კედლებში გარედან მრავალი ჩუქურთმიანი ქვაა; შათ შორის შეტად საინტერესოა დასავლეთი კედლის ცენტრში ჩუქურთმიანი ლურჯი ქვები, რომლებიც ჩაშენებულია კარსა და მის ზევით არსებულ სარკმლის თავზე.

დაინტერესებულ პირს ჩუქურთმების თაბაშირით გადაღება უცდია. ჩუქურთმათა ღარებში თაბაშირის ცომი აქა-იქ ჩარჩენილა და ჩაქვავებულა. შემდეგ, ვიღაცას ჩუქურთმების პირი წითელი საღებავის საშუალებით გადაუღია და ამისი კვალიც ჩანს. სამწუხაროდ, ფოტოპირები ჩუქურთმების სრულ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს. მას კლიშე კიდევ უფრო ასუსტებს.

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ კარებს ზევით წრებში ჩუქურთმიანი კოპებია. კარების ჩარჩოებიც მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. სურათზე ვერაა გადმოცემული ვერც ამ ჩუქურთმის სილამაზე.

I დასავლეთი კედლის კარს ზევით მოყვითალო ქვაზე წარწერაა. ეს ქვაც უფრო დიდი უნდა ყოფილიყო წინათ. ჩანს, რომ ტაძრის შეკეთებისას დაზიანებულა. წარწერას ნაწილი უხდა აკლდეს (შარჯვენა მხრიდან) და ამიტომ გაბზულებად არ იკითხება. ასოები ნუსხურნარევი მრგლოვანია.⁷¹

69 И. К. Обзорение карталинских церквей, с. 14; შდრ, გაზ. «დროება» № 81, 21, VI, 1882.

70 გაზ. „კავკაზის“ № 87. 2. IV, 1891.

71 მრგლოვანისა და ნუსხური ასოების ერთად ხმარების გარდა, მათი მხედრულთან ხმარების შემთხვევებიცაა ცნობილი.

ტექსტი ასეთია:

წ. ეგსძეს ზე
 ლს კას. შ. იდნლდ
 მსშავ ჯრსაჲ
 ლვ ? ს დს შსას (?)
 ქვ (?)

ამ წარწერას მ. ბროსე ასე წარმოგვიდგენს

...ს ძეს ზე
 სკასეჯეჴმ
 მსა^აშვე საშ
 ე. დს რან.
 (იქვე, გვ. 55; გვ. 56—რინ!).

ჩვენ მიერ ნაჩვენები პირველი სტრიქონის პირველი ე-ს ქვედა ნაწილი ოდნავ მოხრილია, ე. ი. ნუსხურ გ-ს ჩამოჰკავს. სტრიქონის შ ნუსხურ ბ-ს მოგვაგონებს. მეორე სტრიქონის ბოლოდ შეიძლება ა იყოს. მეოთხე სტრიქონის პირველი ასო ლ ნუსხური ლ არის.

ამავე სტრიქონის შესამე ასო (ჩვენი? ნიშანი) შებრუნებულ ნუსხურ რ-ზე ან ს-ზე შებრუნებით მიბმულ ი-ს ჰკავს ან ლს-ს შერწყმით. სტრიქონის ბოლოს, ჩვენი კითხვითი ნიშნის (?) ადგილზე, მ. ბროსე ნ-ს ზედავს. იქვე არაქართული ანბანის ერთი ასოცაა.

ბოლო სტრიქონი ქვ ცალკე წერია. ფ ძნელად ირჩევა; ისეა, რომ, თითქოს, ჯვარს წელში წრე აჯდეს. თუ ეს ფ-ა და ქვ ნიშნავს ქორონიკონ ფ-ს. გამოდის ფ = 500 + 780 = 1380 წ., მაგრამ ასეა? (ქორონიკონის მარტო ქ-დ გადმოცემა!).

II. მ. ბროსე ამბობს, ამ ეკლესიის ერთ-ერთი წარწერის საძი ასლი მაქვსო, და სამივე სხვადასხვანაირად იკითხებაო:

1. ქ. წოს...ოა
 ლდს... ეშე.

2. ქ. წო სტლმა
 ერსლაიშე.

3. ქ. წო. ლაიორა
 სრ სიდიშე.
 (იქვე, გვ. 55).

ასეთი რამ ჩვენ იქ ვერ ვნახეთ. ისმის კითხვა, ეს ის ხომ არაა, ამ ტაძრის აღმოსავლეთი კედლის დასასრულს, ძალიან მაღლა,

მსხვილი და ამობურცული მრგლოვანი ასოებით რომაა შესრულებული, და კარგად ირჩევა? ეს ასოებია.

ქ წო სრეზრა
პძ ლ ეპკი შე

ე. ი. „ქრისტე, წმიდაო სრეზრა,
პძლ (?) ეპისკოპოსი შეიწყალე!“

III. დასავლეთი კედლის ლურჯს, მოჩუქურთმებულ (ადგილობრივები ამას მოხარატებულს უწოდებენ) ქვის ზემოდან (პირალმა, ძირიდან არ ჩანს) მხატვრული ბრტყელი მრგლოვანი ასოებით წერია:

...ძმ ბლ

ერსოს ძმ...

ეს წარწერა ასოთა მხატვრული მოხაზულობით პირდაპირ შედეგია, მაგრამ ნაწყვეტია, ქვას ნაწილი აკლია. ამ წარწერის ზემოთ ქვაზე, მარცხნივ ჩანს ორი ფეხისა და მარჯვნივ ცალი ფეხის (მეორე ჩამოტეხილია) ლამაზი გამოსახულება. ქვა რამდენიმე ნუსხური ასოთია დაკაწრული.

ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წარწერები არ ჩანს.

IV. აღნიშნულ III გარდა ღვთაების ტაძრის წარწერებს შორის მ. ბროსეს არ აქვს შენიშნული არც პალეოგრაფიულად ყველაზე საინტერესო და უძველესიც (V ს. ბოლო) მსხვილი ამობურცული მრგლოვანი ასოებით შესრულებული წარწერა, რომელიც სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი კუთხის სახურავის დასაწყისში სულ სხვა, ე. წ. ღვინისფერ ქვაზეა ძოთავსებული.

წარწერა შემდეგ სამ სტრიქონს შეიცავს:

ად ღთ. ღი

სკოზმნ აღვ —

შნე წა ეკლსა.

პირველი სტრიქონის ღთ შეიძლება იყოს გმ-ც; მეორე ღი-ც საეჭვოა. ხომ არაა აქ ეპი და გაგრძელება მეორე სტრიქონში:

„... (ეპი) სკოპოზმან აღვაშნე წმიდა ეკლესიაა.“

საფიქრებელია, ღი საკუთარი სახელი იყოს.

V. ღვთაების სამხრეთი კარის მარჯვნივ, კარის პორტალის ქვებზე, მინაწერებია, წვრილი მრგლოვანი ასოებით და იკითხება:

ლო შე
ფდ
ცდვლი
გი

ე. ი. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი გიორგი!“⁷²

VI. ამის ძარჯენივ, კედლის ქვაზე, ისევ წვრილი მრგლოვანი ასოებით: —

ბენიამენ

შე ლო ბე

„შეიწყალე, ღმერთო, ბენიამენ.“

წაკითხვის მსურველს წარწერა ლითონის წვერით უფხეკია და დაუკაწრავს!

ამავე სამხრეთი კედლის მხატვრობას შორის საინტერესოა მცირე ჯგრის გამოსახულება მოგრძო ქვედა ნაწილით. ყვითელ ჩუქურთმიან ქვაზე კარის ძარცხნივ ეკლესიის შოდელია ქვაზე; იქვეა 4 ძველი ჩუქურთმიანი ქვა; ერთ პატარა ქვის ხატეზზე გამოსახულია ცხენი და ზემდგომი კაცის ფეხები უტანოდ. აქვს წარწერა:

წა გი [=წმიდა გიორგი].

შეიძლება ეს ის წმ. გიორგის გამოსახულება იყოს, რომელსაც მ. ბროსე აღმოსავლეთ, სხვა დასავლეთ და დ. ბაქრაძე ჩრდილოეთ კედელზე ასახელებს, მაგრამ ახლა იქ ასეთი აღარაა.

სამხრეთ კედელზევე ახალი ჯგრის გამოსახულებაა, თარღი 1889 წ. და ბერძნული 8 ასო წერია, ე. ი. აქ ტაძრის აღდგენის თარღია აღნიშნული.

სამხრეთ კედელზე სხვა წარწერებიც ყოფილა. ერთგან ირჩევა კიდევც მრგლოვანი ასოები:

ღ

ე

ს

573

რმ

სამხრეთი კარის დასავლეთით (შიწიდან 1 მ) ასო მ შემორჩენილა და ანგელოზის ფრთის გამოსახულების ნაშთიცაა.

⁷² წარწერის ზემოთ ადვილად შესამჩნევი ამოკვეთილის მსგავსი ხუთი ფორმა გვხვდება ჭუსირეთის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი კედლის აგურს ზემო ქვაზე, კვაისისა, ჯგრისა და კეხვის ზემო დედალთვისას ნანგრევებში.

⁷³ Акты, собранные Кавк. арх. ком., т. V, с. 1064.

ჩუქურთმიანი ქვები ტაძრის ჩრდილოეთ კედელშიცაა.

ღვთაების ტაძრის ქვების ზოგიერთ რელიეფს მ. ბროსე⁷⁴ (რასაც დ. ბაქრაძეც იმეორებს), კუმურდოს 964, მარტვილის 996 წლისა, ურბნისისა და ზახორას რელიეფებს აღარებს. მაშასადამე, პირველიც შეიძლება X ს-ს მიეკუთვნოს.

VII. ტაძრის აღმოსავლეთი კედლის უშესანიშნავესი წარწერა უკვე აღვნიშნეთ. ამავე კედლის მარცხენა კუთხის ერთ ქვაზე, დაბლა, ნუსხურნარევი გვიანდელი მინაწერია, მაგრამ ქვა ძლიერ დაკაწრულია და წარწერა არ იკითხება. იწყება სიტყვებით:

წო სტფნე [= წმიდაო სტეფანე].

VIII. კედლის შუა ნაწილში (მიწიდან 1 1/2 მ-ზე) მინაწერებია, რომლებშიც ირჩევა:

იოვნე
სტფნე
ჴქრ
ქე შე

ე. ი. „იოვანე, სტეფანე, ჴაქარია, ქრისტე, შეიწყალე!“

IX. იქვე:

ქე ბი შე ჩ
აჲსი წო სტეფნე შე.

X. კედლის მარჯვენა კუთხეში გვიანდელი მინაწერია:

წო ეკლე...
ქე შე ხკრ

ე. ი. „წმიდაო ეკლე(სია)...

ქრისტე, შეიწყალე ხოკარ (?)!“

(ძეორე სტრიქონი სხვა ხელითაა მინაწერი).

იქვე, მიწიდან შე-ნ ქვაზე, ირჩევა მხოლოდ: წო სქ.

* *

ზემოთ წარმოდგენილი ნარკვევი ნიქოზის შესახებ გამოქვეყნდა 1952 წელს. შემდეგ გამოიცა კაპიტალური ნაშრომი „მცხეთა“.

74 მ. ბროსე, იქვე, 55.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების "შედეგები, ტომი I, ა. აფაქიძე გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წ. წ. განათხარის მიხედვით“ (თბილისი, 1955).

ზემოთ, ჩვენს ძასალებში ხსენებულ მრგლოვან ასო ვ-ს, მხედრული ასოების — სა და ს-ს (სურ. 26); მსგავსი თითქმის ასეთივე ნიშნები აღმოჩნდა არმაზის ხევში შოპოებულ I საუკუნის წარწერიან ქვაზე.⁷⁵

ეს გარეშობა კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ჩვენ მიერ ნიქოზში შემჩნეული და გამოქვეყნებული ნიშნებისადმი.

არმაზისხევის სტელაზე გამოსახულ ნიშანს პ. ინგოროყვა ვენზელს უწოდებს და სწორად შენიშნავს, რომ „ეს არ შეიძლება იყოს და არც არის შემფხვევითი რაიმე ნიშნები, ანდა ორნამენტი“.⁷⁶

პირადად ჩვენთვის საეჭვოა, რომ ის ქართული ჳ და ს ასოების შეერთებული მოხაზულობა (ლიგატურა) იყოს. პ. ინგოროყვას აზრით კი ეს ასეა და შეიძლება აღნიშნავდეს ქართლის მმართველის ერთი რომელიმე პიტიახშის (უფრო ჭანგა-ჩარგას ან ჭევანოს-ჯავახოს) საკუთარ სახელს: ნიშნები თარიღდება I—II საუკუნეებით.⁷⁸

ნიქოზისა და მცხეთის სიძველეების კავშირის შესახებ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველის დიდი ტაძრის აღმოსავლეთით მიწაში ისეთი (ანლა თავლია) სარკოფაგი ჩანს, როგორებიც მცხეთაშია აღმოჩენილი.

ნიქოზის ტაძარში 1953 წელსაც ვიყავით. ეს ეკლესია საწყობად ჰქონდა კოლქეურნობას და იატაკი არ ჩანდა. გადავწმინდეთ წინათ მიუწვდომელი ადგილები და ტაძრის ჩრდილო კედელთან, ადრე გამოქვეყნებულ გახმაანლებელთა წარწერის ქვეშ აღმოჩნდა საფლავი, რომელსაც თავისაკენ ჯვარი ახატია და ძლიერ გადასული შემდეგი ოთხსტრიქონიანი წარწერა აქვს:

75 „მცხეთა“, I, თბ., 1955, ტაბ. XI Мухета, თბ., 1958, შდრ.იქვე 243. შდრ. აგროვე — Pallas, 1791; გვ. 21. აქვე ზემოთ გვ. 136.

76 ვ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა. — აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 419; შდრ. მ. ვ ა დ ბ ო ლ ს კ ი, ქართული ჰერალდიკის წარსულიდან. — ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, № 1, გვ. 64.

77 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ი ქ ვ ე, გვ. 423, 427.

„ქვეშე მდებარებს გვამი თავადის
 სოლომონ (იასეს ძის ფავლენოვის (.)
 შენდობა მიბრძანეთ (.) გარდავიცვალე
 იე რიცხვსა ჩყო.“
 (= 15 (თვე ?) 1880.)

ტაძრის დასავლეთ კართან შეორე ლოდია, რომლის წარწერაც
 (მარმარილოს ქვაზე) გვაუწყებს, რომ იქ დასაფლავებულია ზემო-
 ხსენებული სოლომონის შვილი — გიორგი.

«Капитанъ
 Князь Георгій Соломоновичъ
 Павленовъ
 Родился 1-го августа
 1844-го года (.)
 Скончался 12-го февраля
 1883-го года (.).».

დაახლოებით ტაძრის შუაში, მარმარილოს ქვაზე ჯვრის ქვე-
 მოთ ასეთი წარწერაა:

„მომიხსენე მე (.) უფალო (.)
 ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა (.)
 მე (.) მხევალი შენი (.)
 კნეინა
 ელენე ქაიხოსროს ასული
 ფავლენიშვილისა (.)
 1809 წ. — 1899 წ. იანვრის 25.“

წარწერა აღმოჩნდა ტაძრის საკუროთხევლის კედლის (სამხრეთ-
 აღმოსავლეთი ხაწილის) კამარის წირთხლის ქვაზე გვიან შეხალესი
 ფენის ქვეშ (სურ. 28).

XI. ქვაზე ნუსხური ასოებით შესრულებულია 5 სტრიქონი:

„ნ გ ღს ძიეს: ბედს
 კსა: შე: ღნ:.
 მსა: შვილსა
 აბლი ვლსდსა
 შე ღნ გ (?)“

XII. ქვემოთ, ოდნავ მარჯვნივ, წერია: ნხშ.

XIII. ამის მარჯვნივ პირველი ორი ასო მრგლოვანი და შემდეგ ისევ ნუსხურია:

„დ- ე კ ე ბ
 მისა მეუ(-)
 ღლეს მარინეს
 და მდ
 მფთ შეუნ (-)
 ღნეს ღმერთმან.“

XIV. იქვე ცალკე წარწერაა:

ქ ე ი ძო ღო
 ღრლი დაცი
 ში

ქარაგმათა გახსნით: „ქრისტე იესუ, ძეო, ღმრთისაო, ღრლი (? ალბათ — ცოდვილი; ი. მ.) დაცი (ან დაჩი) შეიწყალე!“

XI, XII, XIII წარწერები იმ შემთხვევის გამო ვნახეთ, რომ ნიქოზელმა პედაგოგმა ვახტანგ ზაქარიას ძე საძაგლიშვილმა 15. VII. 1953 წ. გვაცნობა: დიდ ეკლესიაში (ნიქოზის ტაძარი) ნესტიანი კედელი გაშრა, მისგან შენალესი ფენა აიტყიცა და ხუცური წარწერები გამოჩნდაო...

ზემოთ წარმოდგენილ წარწერებს გარდა, ჩვენი ყურადღება მიიქცია XI წარწერაში, ადრევე I წარწერაში შენიშნულმა, ღს-ს შეერთების მსგავსმა ლიგატურამ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტაძრის წარწერათაგან უძველესია IV, რომელიც პირვანდელი ეკლესიისად ჩანს (V ს.) და პალეოგრაფიულად ბოლნისის სიონის 493/4 წლების წარწერის ასოებს მოგვაგონებს.

შემდეგ პირველადი ნაგებობა დანგრეულა ან დაუნგრევიათ და მის ადგილზე აშუამად დაცული ტაძარი აუგიათ. ქვემოთ ხსენებულ 1457 წელი არ შეიძლება იყოს ამ ტაძრის აშენების თარიღი თუნდაც იმითომ, რომ XV საუკუნეში ასეთი დიდი მშენებლობისათვის, ქვეყნის შინაური და საგარეო მდგომარეობის გამო, ჩვენს წინაპრებს აღარ ეცალათ.

ზემოთვე დასახელებული I-წარწერიანი ქვა, რომელშიც ღს ლიგატურა გვხვდება, ასეთივე ნიშნით ტაძარშივე აღმოჩენამდე ჩვენ უფრო ძველი გვეგონა, ვიდრე თვით ტაძარი, მაგრამ, რადგან,

ისეთივე ლიგატურა ტაძრის შიგნითაც (და ისიც კედლის პირველადს დიდ ქვაზე) აღმოჩნდა, ახლა ვფიქრობთ, რომ ტაძარიც, დაცული ფორმით, იმავე დროსაა აგებული, როდესაც ეს წარწერებია შესრულებული. უკანასკნელნი კი X—XI საუკუნეების პალეოგრაფიულ ნიშნებს ატარებენ.

ამ თარიღს უჭერს მხარს ხელოვნებათმცოდნე პროფ. დ. პ. გორდევიცი, რომელსაც ნიქოზის ტაძარი ადგილზევე უნახავს და გვითხრა: ნიქოზის ეკლესიას ქრონოლოგიურად (X—XI ს.) დიდად ვერც ნიქოზის ტაძარი დასცილდებო.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის ძეგლთა სიაში“ ეს ძეგლი VI საუკუნისად არის ხსენებული და იქვე შენიშნულია: „აღდგენილია შუა საუკუნეებში“.

პირველი წარწერის მიხედვით ჩვენ მიერ აღნიშნული 1380 წელი პრობლემატურია. მ. ბროსეს მიერ დასახელებული წმინდა გიორგის გამოსახულება აღმ. კედელზე და ნახსენები რმე, რომელიც ეგებ წელი იყოსო ((= 145 + 1312 = 1457), დაუდგენელი ფაქტია (მ. ბროსე იმავე წარწერაში სიტყვა საუდარს-აც იხსენიებს, მაგრამ არც ეს ჩანს).

ტაძარში წინათ არსებული უძველესი გუჯარი, რომელშიც ფაენიშვილი აღნიშნავდა, რომ ტაძარი ვახტანგ გორგასალმა აღაშენა და მანვე მას მიწები აჩუქაო, 1565 წლით ყოფილა დათარიღებული.⁷⁸ ტაძარს, როგორც ეს ჩანს არჩილ მეფის ერთი სიდიდან, 24-ე ადგილი ეჭირა ქართულ სამწყსოებს შორის სამთავისის შემდეგ.⁷⁹

მაშასადამე, ტაძრის შემდეგ აღმდგენელთა აღნიშვნა, რომ ნიქოზის ტაძარი 1500 წლის ძეგლია და ი. კ-ს განცხადება,⁸⁰ ეს ამალღების V საუკუნის ტაძარიაო, ეხება იმ ძველ ნაგებობას, რომელიც ახლანდელს უსწრებდა წინ, მაგრამ შენობის სხვადასხვა დროს შეკეთებისა და განახლების გამო, არც უკანასკნელია შემონახული მთლად პირვანდელი სახით, თუმცა ტაძრის ძირითადი ფორმა შემდეგ აღარ შეცვლილა.

რაც შეეხება სახელწოდებების ამაღლებისა და ღვთაების ერ-

78 Газ. «Кавказ» № 87, 2, 4, 1891.

79 პროფ. ს. კაკაბაძემ მოაქცია ჩვენი ყურადღება მასზე, რომ 24-ეა სწორი, (ერთგან 21-ა დაბეჭდილი); შდრ. თ. ჟორდანიას ქრონიკები, I, გვ. 46. ეს არჩილი კაკაბაძეს მე-14 ს. უცნობ მეფედ მიაჩნია.


80 Н. К. Обозрение карталинских церквей, с. 12.



თად არსებობას (მას გ. საძაგლიშვილიც ასე უწოდებს), ეს შეუძლებელი არაა. შაგ.,თელავსა და იყალთოშიც ღვთაების სახელობის ტაძრებია, მაგრამ, ნიქოზელესავით, აძალღებას დღესასწაულობდნენ.⁸¹ ნიქოზელები რაჟდენობასაც (3 აგვისტო) აღნიშნავდნენ.⁸² აქ სალოცავად შორეული სოფლებიდანაც მოდიოდნენ.

ზემო ნიქოზის ტაძრის სამრეკლო

მომალლო სახურავში მრავალწახნაგოვანი კონუსისებრი ნაგებობაა. თალისებრ ქვევასავლელსა და სახურავს შორის ოთახია.



სამრეკლოს დასავლეთ ფასადზე წრეში ჩასმული სამი (მარჯვნივ და მარცხნივ უფრო დაბალი, შუაში შედარებით მაღალი) ჯვარია გამოსახული. მის ქვეშ, მუქ ქვაზე, რალაც ამონაკვეთია, რომელიც მზის შუქზე სამი ასოს შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ, როცა მას მზე არ ადგას, მაშინ ის ფეხზე მდგომარე მშვილდისარ მოკიმიულ ვაჟკაცად წარმოგვიდგება. სახურავის კუთხეებში კარგად გამოკვეთილი ყოჩის თავებია დადგმული,

1. სამრეკლოს აღმოსავლეთი გარეკედლის ჩრდილოეთი მხარის მეორე ქვაზე მრგოლოვანი ასოებით წერია:

წ სხლითა ღი
სთა ქე შე ამ
ს(?) გლტზნი მემ
არნიშლი მხრბე
ი ჯრის კცი მხ

სურ. 29. ნიქოზის ტაძრის სამრეკლო დასავლეთიდან (შდრ. ქვემოთ, გვ. 157, შნშ. 91)

⁸¹ იყალთოს შესახებ ეს ცნობა დეკანოზმა ივ. საყვარელიძემ მოგვაწოდა.

⁸² Газ. «Кавказ», № 87, 2, IV, 1891.

რბლი გვრიტიშვილი

გი შნს ღნ ცდ

ან (?) ნი. ან.

ქარაგუმბის გახსნით:

წ. სახელითა ღმრთისაჲთა, ქრისტე, შეიწყალე ამის გალატოზნი: მემარნიშვილი, მახარებელი ჯუარის კაცი, მახარებელი გვრიტიშვილი გიორგი. შეუხდოს ღმერთმან ცოდვანი (მათ) ნი(?) ანინ.

ძირითადში იგივე მეორდება სამრეკლოში არსებულ ქვემო-აღნიშნულ მეორესა და მესამე წარწერაში.

II. სამრეკლოს შიგნით, აღმოსავლეთი კედლის მარჯვნივ, წერია:

წ⁸³ ღო შე ა

მ სამრკ

ლსა გლტ

ო. ი. მემარნი⁸⁴

შვილი მხრებ⁸⁵

ელი ოხცეს⁸⁶

ი ან

ე. ი. „წმინდაო ღმერთო, შეიწყალე ამ სამრეკლოჲსა გალატოზნი. მემარნიშვილი, მახარებელი უხუცესი, ანინ.“

III. იმავე კედელზე მარცხნივ:

(წ) ღო შე ამ

სამრკს (გ)

ლტოზნი (გ)⁸⁷

83 მ. ბ რ ო ს ე წერს ქ (გვ. 55).

84 მ. ბ რ ო ს ე — მემარინი (გვ. 56); შეცდომაა.

85 ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი აქცევს ჩვენი ყურადღებას, რომ აქ ნ. ბ რ ო ს ე ს წაკითხვა — მსახურებელი (გვ. 56) შეცდომაა; უნდა იყოს მახარებელი. ამას მხარს უჭერს ჩვენი ფორმა მხრებელი და ლ. რჩეულიშვილს წაკითხვა ხრებელი.

86 ონით უნია გადმოცემული.

87 გ-ს შემდეგ მ. ბ რ ო ს ე ს ორწერტილი უზის (გვ. 56). ეს გ კარგად არ ჩანს და 4 სტრიქონში რიტიშვილი იკითხება. სტრიქონი რიტიშვილი გ (ი) მ. ბ რ ო ს ე ს გამორჩენია. შენიშნავს კი, ქვა დაზიანებულია და მეორე სტრიქონში საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ ვარჩევო. მაშასადამე, აქ გ-ზე (გიორგი) დაწყებული სახელია.

რიტშილი გ(ი)
ჯორის კი
ხრებ(ელნი)

ე. ი. „წმიდაო ღმერთო, შეიწყალე ამ სამრეკლოჲს გალატოზ-
ნი, გვრიტიშვილი გიორგი, ჭუარის კაცი, (მა)ხარებელნი.“

პირველ წარწერაში ჯრის კცი წერია; მესამეში — ჯორის კი
(ო = უ), და ამიტომ ვკითხულობთ ჭუარის კაცი.

IV. მ. ბროსე სამრეკლოს შუა ადგილზე იხსენიებს წარწერას
(გვ. 56), რომელიც უკვე აღარ ჩანს. მისი ტექსტი ასეთი ყოფილა:

წ სამრკ
ლსა ამის აღბსა
ბტსა რინს უნს ღნ მის
სა მელსა თოხარს
შს ღ:

ე. ი. „წმიდისა სამრეკლოჲსა ამის აღმშენებელსა ბატონსა
რინს (?) შეუნდოს ღმერთმან. მისსა მეუღლესა თოხარს (ან თუ-
ხარს)⁸⁸ შეუნდოს ღმერთან“.

სამრეკლო უეჭველად ტაძრის დასრულების შემდეგ აშენდებოდა, მაგრამ წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები სამრეკლოს არც ისე გვიანდელად გვიჩვენებს. პირველი წარწერა (გარეთ) პირდაპირ კედლის ქვაზეა (შიგნით მეორე და მესამე წარწერა ჩადგმულ ქვებზეა დაწერილი; მარტო ისინი ნაკლებ სანდონი იქნებოდნენ).


წარწერაში სიტყვა გალატოზნი გ ასოთი იწყება და იგი ძველი ორთოგრაფიის გარდა,⁸⁹ ძველი ქართლის მნიშვნელობითაა ხმარებული. სახელდობრ: წინათ ქვით ხუროობა ხით ხუროობის საწინააღმდეგო ტერმინი იყო (სამრეკლო ქვისა). აბუსერიძე ტბელს გალატოზნი ქვით ხუროს სინონიმად მიაჩნია; იგი წერს: „ესე ბასილი იყო ქვით ხუროჲ, რომელსა ეწოდების გალატოზნი“. შემდეგ როცა ჩვენში აგური გავრცელდა, ეს სიტყვა აგურით მშენებელს ნიშნავს.⁹⁰

88 შდრ. გვარი თუხარელი და თუხარისის ციხე (შავშეთის ტბეთთან).

89 შდრ. ასევე უფრო ძველი ფორმა: ებისკოპოსი, შემდეგ ეპისკოპოსი, ეგუღერი, ეკუტარი, ევქტარი, ევტარი და სხვა.

90 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 151.

ქ წო სრეზრა (პძლ ეპ(ის)კ(ოპოს)ი შეიწყალე!



სურ. 30. ზემო ნიქოზი. ტაძრის აღმოსავლეთი კედლის ამობურცული წარწერის მონახაზი

* *

ზემო ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს "შესახებ ჩვენ მიერ ზემო-აღნიშნულ ცნობებს შექმდე დაბეჭდილი ვახტანგ ბერიძის ცნობები უნდა დავუმატოთ. ვ. ბერიძე წერს: იგი „თლილი ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი ნაგებობაა. მეორე სართული არაა გამოყოფილი ცალკე ფანჯატურის სახით, როგორც ჩვეულებრივ კეთდებოდა, არამედ I სართულთან ერთად შეადგენს მთლიან სწორკუთხა კოშკისებრ მასივს. ქვემო სართული გალავანში შესასვლელია. სამრეკლოს უჩვეულო სახეს ანიჭებს მისი საბურავი, რომელსაც, ორის ნაცვლად, ოთხი ფერდი აქვს. ამის გამო ოთხივე ფასადი ზემოთ ფრონტონით მთავრდება, რომელთა წვეროებში ტრადიციულად ყოჩის თავების ქანდაკებებია მოთავსებული.

„სამრეკლო გვიანფეოდალურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს“. ნაგებობის „კედლისწყობა, თაღები მოკლებულია სიზუსტეს, მაგრამ გვიანი ხანის კვალობაზე, ერთგვარ პროფესიულ დონეზე დგას.“⁹¹

ჩვენი ყურადღება მიიქცია კვლავ ტაძრის გალავნისა და ეპისკოპოსის პალატის (X—XI ს.) ნანგრევებმაც. მათ კედლებშიც რომელიღაც ძველი ნაგებობის, თუ ნაგებობათა, მასალა გამოუყენებიათ.

91 ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. ძველი ქართველი ხუროთმოძღვრების, თბ., 1956, გვ. 41. სამრეკლო მოგვაგონებს რუისის კარის კოშკს მისი ზემო სართულის გამოკლებით. იხ. Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947, გვ. 148, სურ. 161.

ზემო ნიქოზის სხვა სიძველეები

ზემო ნიქოზში ცხოვრობს გიგუცა (გეორგი პავლეს ძე) ხადური (65 წლისა), რომელსაც აქ ღვთის კაცს ან გერის ქადაგს უწოდებენ. მისი სიტყვებით, „ამ მთავარანგელოზის დღესასწაულს ნიქოზი (ნიქოზის მოსახლეობა) იყენებს 8 გეორგობისთვის (ნოემბერს) ძველში (ძვ. სტ.). შვიდში ღამითობას წევდნენ და რვაში ძველზე პურ-მარილით მოდიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ.“

თვით გ. პ. ხადურის სახლის ანლოსა მთავარანგელოზის ეკლესია, მისგან დასავლეთით. ამ სახლის კედლებში (და ისედაც უწყევია გ. ხადურს) ჩაშენებულია რამდენიმე ძველი ჩუქურთმისანი ქვა. ასეთები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ეკლესიის ნანგრევებიდანაა მოტანილი.

მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველეები გ. ხადურის სახლშია გადატანილი. ერთ-ერთ ხატს ის დავით და კონსტანტინეს უწოდებს. ხატზე ორს შუა მესამე დგას. მას გ. ხადური ვახტანგ გორგასალად თვლის.

„ენგრე⁹² გამოგია, რომ ავი ვახტანგია და სხვა რავი⁹³ მე“, — თქვა მან.

ის ხატები, რომელთაც გ. საძაგლიშვილი მთავარანგელოზის ეკლესიაში ასახელებს და ხელოვნების იშვიათ ხიშუშებად იხსენიებს⁹⁴ (მაგ., წმიდა ნინოს, იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის), იქ არ აღმოჩნდა.


გ. ხადურმა ვერცხლის ორი ძველი ფული გადმოგვცა. პირველი ქარელის რაიონის სოფელ ჭანდრების ივახე შახარობლის სახელობის ეკლესიაში უპოვნია; მეორე კი — იმავე რაიონის ატოცის წმიდა გეორგის ეკლესიაში.

92 აქაური ქართველებისა და განსაკუთრებით ქართველი ოსების მეტყველებაში ენგრე (ეგრეს მაგიერ) ხშირად ისმის (ანგრე იხ. ნ. ლომოურის „მოთხრობები“, თბ., 1951., გვ. 14).

93 რავი რა ვიცის მნიშვნელობით ქართლში საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და, საკვირველია, რომ გამოკვლევაში ქართულრას შესახებ ის აღნიშნული არაა (ალ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ის „ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში“, თბ., 1948 წ., კი აღნიშნულია: „რავი (რავიკი). გვ. ჯ). ასევე გავიგონია: „მთელი ღამე ვერ დავი ვერ დავიძინეს მნიშვნელობით, ე. ო.-ცი, -ძი მარცვლებია აქ მოკვეცილი. პირველი ფორმა ქსნის ხეობაშიც შეგვხვდა. იქვე მე მენა ფორმიაც იხმარება და ნაწილაკითაც კი: — „მენც იქ ვიყა“ და სხვა.

94 Газ. «Кавказ», № 233, 2. IX. 1892. г.


I. ვერცხლის შოზრდილი ფული ბიზანტიის კეისრის ერეკლესა და მისი ძის კონსტანტინეს სახელითაა მოჭრილი (613—641 წწ.).



სურ. 31. ვერცხლის ბიზანტიური ფული VII საუკ.

ფულის ერთ მხარეზე გამოსახულია კეისარი და მისი ძე. ირგვლივ წარწერაა: D. N. Eraclius et Const.; მეორე მხარეზე — ჭვარი (ფეროზე და გოლგოთაზე). ირგვლივ: — Deus adiuta Romani (ფული გაცვეთილია; დიამეტრი — 2,3 სმ).

II. ვერცხლის პატარა ფული (სურ. 32) XV საუკუნისაა. ძალიან არის გადასული. შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ტრაპიზონის კეისარს — ალექსი IV (1417—1446 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა



სურ. 32. ვერცხლის ბიზანტიური ფული XV ს. (ავერსი და რევერსი)


შესაძლებელია, შინაბაძიც იყოლს (ქართული? — სვამს კითხვას დ. კაპანაძე). ერთ მხარეზე ცხენოსანი მეფის გამოსახულებაა, მეო-



სურ. 33. სეფისკვერის
ბეჭედი (ავერსი)



სურ. 34. სეფისკვერის
ბეჭდის წარწერა
(რევერსი)



სურ. 35. ალავერდის
1035 წლის ოთხთავის
ბერძნულ-ქართული
წარწერა

რეზე — ცხენოსანი წმიდა ეგგენი (თითქმის აღარაფერი ჩანს)...⁹⁵
(იხ. სურ. 32: ფულის დიამეტრი 1,4 სმ).

III გ. ხალურმა გადმოგვცა საპურე (ე. წ. სეფისკვერის) ხის
ბეჭედი. ტარი ეკლესიის ფორმისაა (შეიძლება რომელიმე მაშინდელ-
ლი ქართული ეკლესიის მოდელი იყოს). ბეჭდის მხარეზე მრგვლოვან-
ი ასოებით ამოკვეთილია:

იუ ქე
ძღ ვა

ე. ი. „იესუ ქრისტე ძღევა“. ამას დაჰკრავდნენ პურის ცომს და
აცხობდნენ სეფისკვერად.

უღაგოა, რომ „იესუ ქრისტე ძღევა“ ბერძნული „იესუს ხრის-
ტოს ნიკა“-ს ქართული შესატყვისია. არის შემთხვევა, რომ ბერძ-
ნული და ქართული ეს გამოთქმა ფორმით „იესუმს ქრისტეს, ძღე-
ვა“ ორივე ერთად ქართულ ნივთზეა დაწერილი.⁹⁶

⁹⁵ ფულების გარჩევა ნუმისმატიკოს დ. კაპანაძეს ეკუთვნის.

შდრ. ქ. ძღევაი ჭუართაი — Победа крестов — ზარზმის ეკლესიის და-
სავლეთ კედლის წარწერაში იხ. Е. Такайшвили, Археологические экс-
курсии, разыскания и заметки, т. I, Тб., 1905, с. 17.

⁹⁶ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ.,
1951, გვ. 4.

სეფისკვერის ბეჭდები, ასეთი წარწერთა და წაუწერლად, მაგრამ სხვადასხვა გაძოსახულებით, როგორც ამაზე პროფ. გ. ჩიტაიამ მიგვითითა და ნიკ. რეხვიაშვილმა დაგვათვალისწინა, ჩვენი მუზეუმის საეთნოგრაფიო განყოფილებაშიც არის.⁹⁷

IV. გ. ხაღურს აქვს: ბრინჯაოს საცეცხლურის (?) ნაწილი ძეწკვით, რომელზეც მცენარის ფოთოლია გამონახატული; მოუტანია ქარელის რაიონის მამა პირუზის სახელობის ეკლესიიდან;

V. ბალთა — ს. ხეთის ძელიცხოვლის ეკლესიიდან (შიწაშია ნაპოვნიო);

VI. ქვის ჯვარი — ს. ერედის ბერულას ეკლესიიდან. კალოს პირზე ეგდოო, — ამბობს გ. ხაღური.

დაბოლოს შევნიშნავთ, რომ **ნიქოზი მიქოზოდაც** იხსენიება 1791 წლის სიგელში. აქ ეპისკოპოზი ათანასე მიქოზელს უწოდებს თავს⁹⁸.

97 მსგავსი წარწერა იხილეთ. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 4; შდრ. იქვე, გვ. XXXIV—XXXV.

98 დოკუმენტები საქ. სოც. ისტ., II, თბ., 1953., გვ. 160, № 256.

თ ა ვ ი III

ინავ დიდი ლიანხვის ხეობის მარჯვენა ნაპირი

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი

არქეოლოგიური გათხრები და შემთხვევით ნაპოვნი ნივთიერი კულტურის ძეგლები გვარწმუნებს, რომ ცხინვალსა და მის მიდამოებში ადამიანი ქვის ხანაშიც ცხოვრობდა, ცხინვალის ქვისშენის ბაზისა და სახერხი ქარხნის ეზოში გათხრილი წარმართთა საფლავები ძველი წელთაღრიცხვის III—II ათასწლეულს განეკუთვნება¹,

რამდენიმე ძველი ქრისტიანული საფლავი 1950 წელს საამშენებლო მიზნით გათხრილ სიღრმეში აღმოჩნდა (მაგ., ექიმ ლ. ნუცუბიძის სახლის საძირკვლისათვის გათხრილ ადგილზე, ანდრეევის ქ. № 37). უფრო ძველი ნივთები ცხინვალის რაიონის სოფელ ქვასათალსა და გაცილებით კიდევ უფრო ძველები, ქვის ეპოქისა, იმავე რაიონის სოფელ რუსთავის მახლობლადაც იპოვეს². ცნობილია ქ. ცხინვალთან მდებარე ნაცარგორაც, რომელიც ჩვენს ერამდე გაშენებულსა და დასახელებულ ცენტრს წარმოადგენდა³.

ერთი ავტორი შენიშნავს, რომ ცხინვალი მესამე საუკუნეშია აშენებული მეფე ასფაგურის მიერო⁴. პროფ. ს. ბეზსონოვი,

¹ აღინდელო გათხრების შესახებ იხ. Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.


² ვაზ. „კომუნისტი“ № 229, 26. IX. 1952, შდრ. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს წ ე რ ი ლ ი ვ ა ზ. «Заря Востока», № 277, 23, XI. 1952.

³ გ. ვ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. სტალინის ნაცარგორა. — საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორ. ინსტ. კრებ. „მიძომხილველი“, ტ. II, ბ., 1951, აგრეთვე ბ. ა. კ უ ფ ტ ი ნ ი ს დასახელებული ნაშრომი; შიგვეა აღნიშნული ცნობები გათხრების შესახებ სამხრეთ ოსეთში. კერძოდ, ე. გ. პ ჩ ე ლ ი ნ ა ს, ა. პ. ს მ ი რ ნ ო ვ ი ს, ს. ა. ნ ა დ ი მ ა შ ვ ი ლ ი ს ა და სხვების გათხრებისა და მასალების შესახებ; შდრ. ზე-მთ — რუსთავი (ბოლო).

⁴ П л. И о с е л я н и, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тб., 1850, с. 68.

მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაზე“ (ტ. I) დაყრდნობით, წერს: არშაკიდების დინასტიის წარმოქმადგენელი ასფაგური (262-265 წ. წ. ჩვენი ერა) იყო საქართველოში. იგი ლიხვის ხეობაში სპარსელების წინააღმდეგ ჯარს აგროვებდა, და, ფიქრობენო, ასფაგური რაღაც ავადმყოფობით ცხინვალში გარდაიცვალა⁵.

ვახუშტი ცხინვალს მცირე ქალაქს უწოდებს. ზოგიერთი სხვა



სურ. 36. ცხინვალი. გალანის აღმოსავლეთი კედლის ნაშთი ძველ მოედანზე

5 Проф. С. В. Безсонов, Крепостные сооружения в бассейне Большой Лиахвы.—Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения, кн. 1, Цхинвали, 1933, 1, с. 229. ასფაგურის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1946, გვ. 74—76 (ასპაგური). შდრ. ი. ვ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1900. — 234—235 (ასპაგურ მეფე) და გვ. 450—451 (ასფაგურ პიტიახში და ასპავრუკი). თარიღების მიხედვით მათი იგივეობა საეჭვოა. არის ცნობაც, რომ ასფაგურმა გახსნა „ქარნი დარიელასი და გამოიყვანა ოვსნი და ლეკნი, და შეკრბნენ სომეხთა თანა. ეწყუნენ სპარსთა, აოტნეს“ ისინი. ასფაგური შემდეგაც „წარვიდა ოვსეთად, რათა განიმრავლოს სპანი, არამედ, ეწია მუნ სიკუდილი“ („ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 69—70). ამის მიხედვით, ასფაგური გარდაიცვალა არა ცხინვალში, არამედ ჩრდილოეთ ოსეთში. მეფობისა და პიტიახშობის მიხედვითაც იგი მცხეთაში უნდა დაეკრძალათ.

წყარო (კერპოდ პ. იოსელიანი და ს. ბეზსონოვი) უჩვენებს, რომ ცხინვალს ციხე ჰქონდა შემოვლებული. აქტი აღნიშნავს: ცხინვალისა და სურამის ციხეები ისე დიდებია, რომ თითოეულში სამხედრო ათასეულები შოთავსდებოა. ს. ბეზსონოვს ძითითებული აქვს აქტებზე, რომლებშიც ცხინვალი იხსენიება არა უბრალო დაბად, არამედ ციხე-ქალაქად.

ეს ციხე, — უფრო სწორი იქნება ვუწოდოთ ცხინვალის გალავანი კუთხეებში კოშკებით, — 1772 წ. ლეკებს ცხინვალი რომ აუღიათ, უმთავრესად მაშინ დაუზიანებიათ; შემდეგ (მე-19 საუკუნის შუა წლებში) ცხინვალის მცხოვრებთ დაუხვრევიათ და მისი კედლების ადგილზე თანდათან საცხოვრებელი სახლები აუშენებიათ. ამ გალავნის დიდი ნაწილისა და მისი კოშკების მოძსწრეები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. მაგ., ნ. ს. ცქიფურიშვილი, ა. მ. შახპარუნოვი (85 წლისა ეარ და სულ აქ ეცხოვრობო, — თქვა უკანასკნელმა) და სხვები გვიხაზავენ იმ არეს, რომელსაც გალავანი ერტყა. სახელდობრ, რიყე ქვის მაღალი გალავანი პირველი კოშკით იწყებოდა ცხინვალის ქალაქის ხიდის დასავლეთი თავის ცოტა ქვემოთ ახლანდელი სახელმწიფო მუზეუმის სამხრეთი კედლის და დიდი ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს შორის მოედნისაკენ ამოდიოდა. გალავნის ეს ჩრდილოეთი კედელი არ აღწევდა ახლანდელ „ავტოსადგურის“ კანტორამდე, დასავლეთი კედელი მიჰყვებოდა აღნიშნული მოედნით გზას სავაჭრო ქუჩამდე. აქაც კუთხის კოშკი იყო, (მისი კედელი გადაარჩენილია; ის იასონ იარალაშვილის სახლის სამხრეთ კედლადაა გამოყენებული), აქედან გალავანი სავაჭრო ქუჩით მდ. ლიახვამდე ჩადიოდა, იქაც, კუთხეში კოშკი არსებულა და გალავნის აღმოსავლეთი კედელი მდ. ლიახვის გასწვრივ ხიდისაკენ მიემართებოდა იმ ადგილამდე, საიდანაც გალავნის აღწერა დავიწყეთ. გალავნის აღმოსავლეთი კედლის საძირკვლების ხაშთი აქა-იქ ახლაც ეძინევა. აქედან გალავანში შესასვლელიც ყოფილა და ჩახვრეული გვირაბიც იყო, რომელსაც დასაწყისი ქვემოხსენებული № 3 ეკლესიის ჩრდილოეთით ჰქონდა. ბავშვებს გვიყვარდა ამ გვირაბში გაძრომა და მდ. ლიახვზე მისვლაო, — დასძეხს ნ. ცქიფურიშვილი⁶.

6 შდრ ს. ბეზსონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299. ცხინვალს სიმაგრე აღმოსავლეთიდანაც ჰქონია. ამ მხარეს ახლაც ზღუდერი (შდრ. ზღუდე — სიმაგრე) ეწოდება (იხ. ზღუდერი).

მაშასადამე, ცხინვალს გარს გალავანი ერტყა. გალავანში დიდი ეკლესიის სამხრეთი კედლის გასწვრივ დიდი სასახლე გვახსოვსო, — ამბობენ მოხუცები, — რომელსაც დარბაზი ეწოდებოდაო. შემონახულია გადმოცემები იმის შესახებ, რომ თბილისიდან დევნილი ვახტანგ VI ამ დარბაზში შიილეს და დიდი ნაღიძით შეხვდებო. მე-19 საუკუნის დასაწყისში ერეკლე მეფის ქვრივს — დარეჯახ დარია დადიანის ქალს — ეს დარბაზი მურადაშვილისათვის მიუყიდა.

უბრალო თოფითა და ცივი იარაღით ბრძოლის ეპოქაში ცხინვალი სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი იყო. ამიტომ მას ციხე-ქალაქს ან ქართლის დაბლობის გასაღებს უწოდებდნენ. აქ უღობავდნენ გზას დიდი ლიახვის ხეობით მცხეთა-თბილისზე მოძავალ საქართველოს შტრებს, აქ შავრდებოდნენ ან თავს აფარებდნენ აღმოსავლეთიდან შევიწროებული ქართველი მეფეები. თვით ცხინვალი და ლიახვის ხეობა ციხე-სიმაგრეებით ქართლისა და კახეთის გაყოფამდე (1469 წ.) მხოლოდ ქართველ მეფეებს ეკუთვნოდათ; აქაურ მთავრებად მაჩაბელი და ხერხეულიძე უფრო გვიან ჩანან. მათი მთავრობის დროსაც კი მოსახლეობისა და მიწების ნაწილი ისევ ქართველი მეფეების იყო ასე, მაგ., ერეკლე მეფის ქვრივს, დედოფალ დარეჯანს ცხინვალში 1803 წელს 99 კომლი (532 სული) ეკუთვნოდა. დანარჩენ 122 სათავადაზნაურო კომლთაგან 40 კომლი თავადი მაჩაბლის იყო, 14 — ხერხეულიძისა, ნაწილიც — სხვისი და ზოგიც თავისუფალი ყოფილა. მთავარი მაჩაბლის რეზიდენციასაც კი, — აჩაბეთს, როგორც ქვემო აღნიშნულ წარწერაში ვკითხულობთ, ვახტანგ VI თავის სამყოფელსა და მამულს უწოდებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეს ადგილი რამდენად მჭიდროდ იყო დასახლებული, ამის ერთ-ერთი სანდო მაჩვენებელია ადგილზე სასაფლაოებისა და სალოცავების არსებობა. მაშინდელ ამ პატარა დაბაში მრავალი ქართული ეკლესია არსებულა. ადგილობრივი მცხოვრებნი, მათ შორის პ. ნ. დევიძე (1892 წ. დაბადებული), მიგვითითებენ, რომ დაბის სამხრეთიდან რომ დავიწყოთ, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე იყო ქვის ეკლესიები:

1. ძველ მოედანზე ვახტანგ VI-ის დროს (1718 წ.) აგებული ყოვლად წმინდა — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (იხ. ქვემოთ — წარწერა).



სურ. 37. ცხინვალი, 1718 წელს აგებული ეკლესია



სურ. 38. ცხინვალი, 1718 წელს აგებული ეკლესიის წარწერა

2. მიძინების ღვთისმშობელი (თბილისის ქუჩაზე),
3. ღვთისმშობლის ეკლესია ჯაფარიძის ქუჩაზე (ახალი ეკლესიის შენობა ძველის კედლის სამხრეთი მხრიდანაა აშენებული),

4. კავთის ეკლესია (ახლანდელი ლუდის ქარხნის მახლობლად, ნაშთილა ემჩნევა).

5. ზღუდრის წმ. გიორგი (მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე, ქართული, მისი ზარის ფოტოსურათი იხ. ქვემოთ (სურ. 42)).

6. ამალეების ეკლესია (მეხუთესთან, სომხური),

7. ლომისი ეკლესია მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი საავადმყოფოს მიდამოში იდგაო),

8. მარინეს ეკლესია (ახლანდელი საბჭოების სახლის ადგილას იყო),

9. ძუძუს საყდარა (ახლანდელი სახერხი ქარხნის გვერდით მდგარა),

10. ნიკოლაოზის ეკლესია (ახლანდელი სახერხი ქარხნის ეზოში; იქ წარმართული ხანის სასაფლაოები აღმოჩნდა),


11. ყვავის საყდარა, (რკინიგზის სადგურსა და ხაცარგორას შუა კიბრაოსთან; ნიქოზს იქით რომ ყვავის საყდარია, ის სხვაა),

12. დგვრისის ნიკოლაოზის ეკლესია (ელიოზიშვილების იყო).*

13. მთავარანგელოზი (დგვრისშივე თამარაშენისაკენ),

14. წმ. გიორგი (ე. წ. წითელი ეკლესია; აქ პატარა ძველ ეკლესიას მაყულის ან მაყუთის ეკლესიას ეძახდნენ; ის დაშალეს და ეს „წითელი“ მაჩაბლებმა ააშენეს),

15. მარინეს ეკლესია (ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდგარა),




სურ. 39. ცხინვალი.
მიძინების ეკლესია.

* მასვე აბიათრიანთსაც უწოდებდნენ. იქვე კოშკიც იდგა. სურ. იხ. ი. მე გ-რ ე ლ ი ძ ე, სტალინისა და ზემო ნიქოზის სიძველეები, 1952, გვ. 16. ან ცხინვალის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 256; შდრ. ქვემოთ — გვ. 183.

16. გოცირიძეების ეკლესია (მე-15-ის მახლობლად მდგარა).

ქართულ ეკლესიათაგან მეტ ყურადღებას ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია იქცევს. მისი დასავლეთი ნაწილი



სურ. 40. ცხინვალი. ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილო-დასავლეთიდან.

კოშკის მაგვარია. შენობის ახლანდელი მთავარი ტანი ახალია, მაგრამ მის ჩრდილოეთ ნაწილში ძველი ეკლესიის ქვებიცაა შემორჩენილი. ჩრდილოეთ მხარეზევე შედარებით ახალი საფლავის ლოდებიც ძვეს.

ყოველივე ესა და 4-5 სინაგოგაც ებრაელების რაიონში (ქვის შენობები) ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რომელზეც ცხინვალი იყო გაშენებული, იმის უტყუარი მოწმეა, რომ აქ მცხოვრებნი მჭიდროდ ყოფილან დასახლებულნი.

სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაელები ცხინვალში V—VI საუკუნეებიდან ცხოვრობდნენო. თამარ მეფის ეპოქაში ისინი თამარაშენშიაც მომრავლებულან. უკანასკნელში ცხინვალისებრ: „მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი“ ყოფილან.⁷ ცხინვალის ძველ მოვაჭრე სომეხთა და ებრაელთაგან ხშირად გაიგონებთ, რომ ჩვენები თამარაშენიდან ჩამოსახლებულან

⁷ იხ. ვახუშტი. გეოგრ., გვ. 76, შდრ. პლ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი. გვ. 63. И. К. Обозрение карталинских церквей, с. 15.

ცხინვალსო, და საკუთარ წინაპართ თამარაშენში დასაფლავებულად იგონებენ.



სურ. 41. ცხინვალის დგერისი. ელიოზიშვილების ეკლესია (იქვე კოშკიც იდგა; იხ. ზემოთ, გვ.167, შენიშვნა)

ახალი საყრდის კედლებში მოქცეული საფლავის ქვები იმ ადგილზე ყოფილა, რომელზეც ეკლესია აშენდა. ზოგი მათგანი ისეა ჩაშენებული კედელში, რომ ასოები თავდაყირაა მათზე.

1. ერთ-ერთ ქვაზე (ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში) წერია:
„ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე ვარ ელიო-
ზი ძე ოთარის შვილი გარსევან(.) მხილ-
ველნო (.) გვიწყალე (.) შენდობა მიბრძანე
მდებარეს საფლავსა ამას!“

ქორონიკონი კარგად არ ირჩევა, ჩანს (უ) უდ (= 1806 წ ?).

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ელიოზიშვილები ცხინვალში, და ამ მხარეში, ცნობილი აზნაურები იყვნენ, გვარი ელიოზი-ძეც საინტერესოა. საკუთარ სახელად ელიოზ აქ ახლაც გავრცელებულია. საქართველოში ძველად ცნობილია წმ. ნინოს თანამედროვე ელიოზ, ძმა სიდონიასი; შემდეგ — ელიოზ გობირაზის ძე (1399-1411) და სხვა.

II. ამავე ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ქვაზე ირჩევა მხედრული ასოებითვე ნაწერი:

„საფლავსა ამასა მდებარე ვარ იმ-
ნადის შვილი ნინო(.) გვედრები, შენდობა(ა)
ბრძანეთ (.) აღჭესრულე მარიამობის ე ქვჳა კ“ (?).

აქედან ვგებულობთ გვარის იმნადისშვილის — იმნაიშვილის ცხინვალში წინათ არსებობას, მაგრამ ეს მარიამობის თვის (აგვისტოს) ე (= 5), რომელი წლისაა, ვინ უწყის, რადგან ქვზ-ში ზ, ალბათ ს-ს მაგიერ წერია. მაშასადამე, ეს ქორონიკონს ნიშნავს, მაგრამ შემდეგი კ პალეოგრაფიულად ქორონიკონს არ მიუღგება.

იქვე სხვა ქვებზე სხვა ასოებიცაა; მაგ., ფვ ორხელ 1818 წ., ე. ი. ეკლესიის ახალი ნაწილი მეცხრამეტე საუკუნეშია აშენებული.

დიდი ეკლესია (1718 წ.) წინანდელი ბაზრის მოედანზე (მდ. ლიხვის მარჯვენა ნაპირზე) ახლა სომხურად იწოდება, მაგრამ მისი უძველესი სამშენებლო წარწერაც მხოლოდ ქართულ გვარს, ქართულ სახელებსა და ქართველ მეფეს იხსენიებს. ის წინათ (1816 წლამდე) მართლაც ქართველების ყოფილა. შიგვე ქართველი თავადები ემარხა.

პირველი, ძველი წარწერიდან 98 წლის შემდეგ ერთ-ერთ მინაწერში იხსენიება მხოლოდ ერთი გაქართველებული სომხის გვარი. შენიშნულია, რომ ყოფილი ცხინვალის ძველი მცხოვრები ებრაელები იმდენად გაქართველებულნი იყვნენ, რომ მათ, გარდა სარწმუნოებისა, ებრაელობის ბევრი აღარაფერი შერჩენოდათ.

სომხები აქ ჩამოსახლებას XII საუკუნეში იწყებენ, და XIV საუკუნეში მათი რიცხვი უკვე საგრძნობლად იზრდება, ხოლო XVIII საუკუნეში იმდენად გაქართველებულნი იყვნენ, რომ ქართულად მეტყველებდნენ და წარწერებს ქართული მხედრული ასოებით აკეთებდნენ. ახლა მით უფრო აქაურ ძველ სომხებს შორის სომხურად მეტყველს ძნელად იპოვით.

მ. ბროსე ეკლესიას უგუმბათოდ ასახელებს (დასახ. ნაშრომი, გვ. 59; 1847 წ.). ახლა ამ ეკლესიას 2 გუმბათი აქვს, — ერთი შენობის წელში და მეორე დასავლეთ კედლის თავზე. უკანასკნელი სამრეკლოს მიზნითაა დაშენებული. ეკლესიის სახურავი და გუმბათები შენობასთან შედარებით გვიანდელია.

III. მ. ბროსეს გადმოუღია ამ ეკლესიის სამხრეთი კედლის კარის მარჯვნივ მოთავსებული წარწერა. მას სათანადო შესწორებებით (უძთავრესად ორთოგრაფიულით) აქვე ვიძეორებთ:

მ. „ქ. აღვაშენეთ მღვთის⁸ შეწევნითა სა-
ყდარი ესე ყოვლა⁹ წმინდის¹⁰ ჩვენ, გიორგ-
ის¹¹ შვილმან ქაიხოსრომან და ჩემ(მ)ან ძმამან ფარ-
სადანმა(ნ), და ჩემ(მ)ან შვილმან გივმან, ცოდვთა
ჩვენთა შესანდობლად, ძისა ჩვენის¹² სად-
ღეგრძელოთ, და ვინცა წაიკითხოთ, შენდო-
ბა ბძანეთ. გვედრებით ყოველთავე, [ვინც იხ]-
ილოთ, მამაჩემს გიორგის, დედაჩემს
მარეხას¹³ შენდობა ბძანეთ, თქვენცა ღმერთმან
შეგინდოს. მეფობასა ვახტანგისასა, ქკსა უვ.“
ქორონიკონი უვ—406 (+ 1312) = 1718 წელს.
ვიძეორებთ, ამ წარწერაში ყველაფერი ქართულია.

IV. მეორე, პირველზე მთელი საუკუნით გვიანდელი წარწერა კი, რომელიც ამ ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის კარს ზემოთ პატარა მარმარილოს ქვაზეა მოთავსებული, სომხურ სახელს შეიცავს, მაგრამ ისიც ქართული მხედრული ასოებითაა ნაწერი. ჯერ ღვთისმშობელია ბავშვით გამოსახული, თავზე აწერია ქორონიკონი და გამოსახულების ქვეშ შემდეგი ორი სტრიქონია:

„ჩვივ

შევწირე სულ¹⁴ სახსენებლად(.) მიხელ

შერმაჯანოვის მეუღლე ელისაბედ (.)“

ჩვივ = 1816 წელს.

⁸ მ. ბროსე წერს — ღვთას (გვ. 59). სასვენი ნიშნები ტექსტში ჩვენია. მოთხზ. ბრ.-მან წარწერაში გამოყოფით წერია ი. მ.

⁹ მ. ბროსე — ყოვლად.

¹⁰ ი ქ ვ ე — წმიდისა.

¹¹ ი ქ ვ ე — ი.

¹² ი გ ი ვ ე — მ. ბ რ ო ს ე — ჩვენისა.

¹³ ი ქ ვ ე — მარეხს.

¹⁴ ასე წერია.

ეკლესიის დასავლეთი გუმბათის დასავლეთ კედელზე ერთობ
გრძელი სომხური მეშვიდე ასო ე არის გამოსახული, პროფ. ლ. მე-
ლიქსეთ-ბეგის განმარტებით ეს ე აღნიშნავს ენ-ს, ასტუაწს, რაც
ნიშნავს ღმერთს, სული წმიდას, ხელთუქმნელსა და სხვის შემქმ-
ნელს; წარწერებში ეს ე ღმრთის, სულიწმიდის ემბლემაა.

რალაც გამოსახულება, და იქნებ წარწერაც, სამხრეთი კარის
ზემოთაც ყოფილა; დიდი ქვის კვალი კარგად ეტყობა.

V ზარი 1. ცხინვალის № 1 საშუალო სკოლაში არის ზარი
(სიმაღლე — 20 სმ, ქვედა დიამეტრიც — 20 სმ), რომლის ირგვლივ
ჩუქურთმებიცაა და დაბლა მხედრული ასოებით შემდეგი წარწე-
რაა:

(1) „ქ. შემოგწირგ ზღუდრის წმინდას გიორგის ეკლესიას სი-
მონამ და გლახამ ივანემ

2) დ უ რ გ ლ ი ს უ ვ ი ლ მ ა

სადღეგრძელოთ (-) ჩყნც“ (იხ. სურ. 42).

მეორე სტრიქონი აწყება პირველის „ქ. შემოგწირეს.ა“ ქვეშ.

ამ მეორე სტრიქონის ქვემოთ, კიდევ „16.IIV“ წერია (სარა-
ბული ციფრები მალღებია, რომაული — მცირენი).

რიცხვთა აღმნიშვნელი ასოები ჩყნც = 1858 წელს. ეს ზარი
მართლაც ზღუდრის¹⁵ ეკლესიიდან ჩამოუტანიათ. იგი ჯერ ცხინ-
ვალის № 4 საშუალო სკოლაში დაუკილიათ და შემდეგ, — როგორც
ამას № 1 სკოლის დირექტორი — ვ. კასრაძე გვიამბობს, — ამ ვაყ-
თა სკოლაში 1932 თუ 1933 წ. გადმოუტანიათ. (თვით სკოლა ი. გო-
გებაშვილსაც აქვს მოხსენებული და 1880 წლიდან არსებობს). გვა-
რი ღურგლიშვილი ცხინვალისა და ქარელის რაიონში ახლაც
გვხვდება.

ზარის წარწერაში ხსენებული სიმონა და გლახა ივანე ღურგ-
ლიშვილები ვინ იყვნენ, არ ვიცით.

VI. ზარი 2. ქ. ცხინვალის სახანძრო რაზმის სადგომ ეზოში
(რკინიგზის სადგურის მახლობლად კიდია. ეს აქ 1936 წლიდან არის.
იგი პირველ ზარზე უფრო ძველი, უბრალო და დიდია (სიმაღლე —
40 სმ, დიამეტრიც — 40). მის ქვედა ნაწილზე, ირგვლივ, მხედრუ-
ლი ასოებია ამოკვეთილი და იკითხება.

¹⁵ იხ. მე-5 ეკლესია.

(1) „წელსა.

(2) ქ. ჩუმა მაისის ია-სა¹⁶ დღესა შემოგწირე წმინდისა მარინის ეკლესიისა ზარი ესე მოქალაქე არტემ კინოსოვმა, სულის (ჰ) ჩემისა საოხად, ამინ.“

ჩუმა, მაისის ია = 1841 წლის 11 მაისს.

ზარის შემწირველი არტემ კინოსოვი გაქართველებული სომეხი ჩანს (იხ. მარინეს ეკლესია).

აღნიშნულ ეკლესიებზე უფრო ძველი ცხინვალში მაინც ის ჩუქურთმებიანი ქვებია, რომლებიც მოქცეულია ფსიქიატრიული საავადმყოფოს (ყოფილი აბანოს) კედლებში. ქვები ჩამოტანილია ბორცვისჯვრის ეკლესიის კედლის ნანგრევებიდან და მათი ჩუქურთმები ქართული ხელოვნების X—XI საუკუნეების ტიპისაა.

სხვადასხვა ფორმის საფლავის ქვები ბლომადაა გამოყენებული ცხინვალის კიშის ქუჩის გასწვრივ (მარქსის ქუჩის გადაკვეთაზე) ამართულ კედლებში გარედან და შიგნიდანაც, რომელიც მთელ კვარტალს ფარგლავს. ამ ქვებზე წარწერები მხედრული ასოებითაა შესრულებული და არც თუ ისე ძველია.




სურ. 42. ზღუდრის ეკლესიის წარწერიანი ზარი ცხინვალში

ქვემოთ, ახლანდელი ბაზრისაკენ, ებრაელების უბანში, 4-5 სინაგოგა არსებულა. ერთ-ერთ მათგანს თამარაშენისას, მეორეს —

¹⁶ ზარზე წერია: მაისისიასა.



ბრეთისას უწოდებდნენ და შიგ აღნიშნული სოფლებიდან ცხინვალში ჩასახლებული ებრაელები ლოცულობდნენო.



სურ. 43. ცხინვალი. ბორციჯვის (ნიქოზის ჩრდ.-დასავლეთით) მხატვრული ქვები ძველი აბანოს კედლებში

ღვთისმშობლის ეკლესიასთან ნაპოვნი ზემოხსენებული ბრინჯაოს მილი¹⁷ გადაეცით ცხინვალშივე აკად. ბ. ა. კუფტინს, რომელიც იქვე აწარმოებდა გათხრებს.

¹⁷ იგი ბრინჯაოს ფერით (благородная потина) (კეთილშობილი პატინა) მოგვაგონებს ზოგიერთ იმ ნივთს დალესტნიდან, რომლებიც ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ. იხ. И. Мегрелидзе, Археологические находки в Дндо. — Советская археология, т. XV, Москва-Ленинград, 1951, с. 281 — 291.

ასეთ ნივთებს, ჩვეულებრივ ყოზანიის კულტურის ნაშთებს უწოდებდნენ იმიტომ, რომ სათანადო ძეგლები პირველად ჩრდილოეთ ოსეთში აღმოაჩინეს და შემდეგ კოლხეთშიც იპოვეს. ამიტომ ახლა მათ მეცნიერები, კერძოდ -- აკად. ი. ი. შეშჩანიძე, კოლხურ კულტურას უწოდებენ. იხ. აღ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954 წ., გვ. II—III მისივე წერილი — Краткие сообщения НИМК — т. XVIII, с. 46.

დაბოლოს შევნიშნავთ, რომ ცხინვალის ყოფილი გალავნის გასწვრივ, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ბაზრამდე, სხვა ახალ სახლებთან შედარებით, სიძველით იქცევს ყურადღებას ზოგიერთი საცხოვრებელი სახლი. ასეთივე ხაგებობა გვხვდება ზემოთ დასახელებული სახლებიდან სამხრეთით, ძველ უბანშიც.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შემთხვევით ნაპოვნი ძველი ნივთების მდიდარი და დიდი მეცნიერული მნიშვნელობის კოლექციები ინახება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილის აღწერა და სურათები პირველმა გამოაქვეყნა ბორის კუფტინმა, შემდეგ კი — სხვებმა.¹⁸

ყურადღებას იქცევენ ცხვრისა და ძაღლის თავების შედარებით ახალი ქანდაკებანი, რომლებიც მუზეუმის საწყობში (1718 წ. აგებულ ეკლესიაში) ინახებიან და ქვის ბოდის ნაწილი, რომელზეც ქვისმთელის სამკუთხედისებრი ნიშანია გამოკვეთილი.

* * *

ცხინვალის შესახებ მოგვეპოვება ერთკლე მეორის მეუღლის — დარეჯან დედოფლის მიერ 1790 წელს გაცემული სიგელი. იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია არა მარტო იმიტომ, რომ ცხინვალს ეხება და გვაუწყებს, ცხინვალი დედოფლის სახასო მამულიაო (მისივე იყო კეხვი და აჩაბეთიც), არამედ იმიტომაც, რომ ეს სიგელი ვალის წიგნია (მისი ძსგავსი წინა საუკუნეებიდან მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი თითო-ოროლა დოკუმენტი შემოგვრჩა).¹⁹

18 Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1945; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ცხინვალის განძი. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—B, თბ., 1950, გვ. 99—107; მ. ც ო ტ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ცხინვალის ისტორიისათვის, ცხინვალი, 1961; ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, ზოგიერთი ახალი ცნობა იხ. მ. ც ო ტ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ცხინვალის ისტორიიდან. — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1971, გვ. 165—175; საერთო მიმოხილვით საყურადღებოა ტ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი — К истории культуры раннего позднобронзовой эпохи — Шидя Каргли, თბ., 1954 წ., კიდევ უფრო ვრცლად და მდიდარი ბიბლიოგრაფიით იხ. Б. А. Т е х о в, Очерки древней истории Юго-Осетии, თბ., 1971; აქვე — ბიბლიოგრაფიაც.

19 იხ. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 240; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 447.

სიგელის გამოცემულ ტექსტში²⁰, რომელიც ჩვენ შევუდარეთ დედანს (დაწერილია თეთრ ქაღალდზე — 66×14 სმ, — ლაძაში მხედრულით), ცალკეული უხუსტობანი გვხვდება და ამიტომაც აღნიშნულ სიგელს კვლავ ვაქვეყნებთ, სასვენი ნიშნების გაძართვის (პირველ გამოცემაში თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილია და ტექსტი არაა გამართული).

ტექსტი ასეთია:

ქ. ნებითა და შეწყვითა ღეთისათა, ესე წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ, ყოვლისა ზემოასა საქართუელოასა და კახეთისა დედოფალმან, ბატონის დადიანის ასულმან, ბატონმან დარჯვან, თქვენ, ჩვენს სახასოს, სადედოფლოს ყმას, ქრცხინვალელს ხოჯასშვილის ბეოს, შვილსა შენსა ფარეშუს და ბიძაშვილსა შენსა ჭიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა მას ეამსა, ოდეს მოგვადევით კარსა პალატისა ჩვენსასა და მამულის წყალობას დაგვეაგეთ, ოდეს ქრცხინვალელს, ჩვენს ყმას მარქარასშვილს, გეორგის იარალასშვილის გეორგისაგან მომთაბარის თამასუქით ექუსი თუმანი ვალი აედო, ქრცხინვალის ვალავანში თაგის სამკვიდრო მამული, ერთი დუქანი და სახლ-კარი გიროდ დაეწერა, და იმისათვის მიეცა თვეში თუქმანი სამშაურად სარგებლით; დაეწერა, რომ ეს თამასუქი ქკს უ ი 321 ამ წლის დაწერილი იყო.

შემდგომად ეს მარქარასშვილი რუსეთს წასულა და ამოვარდნილა. იარალასშვილს ეს ზემოხსენებული დუქანი და სახლ-კარი თქვენთვის მოუყიდა, და ნასყიდობის წიგნიც მოუცია, რომ მარქარასშვილის მოცემული თამასუქიც ჯელთ გეჰიროდ და იარალასშვილისაგან მოცემული ნასყიდობის წიგნიც, რომ ეს წიგნიც ქკს უ შ დ²² ამ წლის დაწერილი იყო, ჩვენ ქრცხინვალის ბეითალმნების²³ მამულების გამოძიება ვინებუდ და ჩვენს მოხელეთ ეს დუქანი და სახლ-კარიც ბეითალმათ გამოეცხადებინათ.

მოხედით, ამ მამულების ვითარება გამოგვიცხადეთ. ჩვენც, ქრცხინვალის სამღვდელთა და საეროთაგან, ამის აღილათი მოვიკითხეთ და წერილით ჩვენთვის ამ დუქნის და სახლ-კარის ნიშნები, ზომა და დაფასებით აღილათი მოეხსენებინათ. და ეს აღვილი თხუთქუტ თუმნათ დაეფასებინათ.

რადგანაც თქვენს ნასყიდს მამულად გულებოდათ, კიდევ გეჰირნახულათ და ვაგეკეთებინათ ქრცხინვალის ვალავანის კეთებაზედაც გარჯილიყავით, რადგანაც თქვენც ჩვენი ყმანი იყავით, და მამულზედ ნაკლებობა გქონდათ, ჩვენც ამის ბეითალმნობას თანაწარედით და წყალობა გიყავით ჩვენის ყმის მარქარასშვილის გეორგის ნაქონი ბეითალმანი ქრცხინვალის ვალავანს შიგნით, სამხრეთისაკენ, ერთი დუქანი და სახლ-კარი.

ამ მამულის ნიშანი არის სივრძე ციხის კარიდამ რუს პირამდინ ადლი არის ცხრაშეტი, და ვანიც არის ადლი ოთხი და ნახევარი. ეს დუქანი და სახლ-კარი ამ

²⁰ ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები, I, გვ. 242—244.

²¹ 1730 წ.

²² 1756 წ.

²³ ბაითალმანი, ბეითალმანი — გადასული. უპატრონო ქონება.

ზომით და მიჯნებით თქვენთვის წყალობათ გვიქნია და გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად. ღ-თან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა მოგახმაროსთ, არაოდეს მოგეშალოსთ ესე ოდენ წყალობა არა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა დედოფალთაგან.

აწე გიბრძანებთ, კარისა ჩვენსა მოხელენო, ბრძანება და ნიშანი ესე თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურვინ შლად კელ-ჰყოფთ თენიერ შეწვევისაგან კიდე. აღიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზიანის მდივნის ყარანის ძის ბეგთაბეგოვის მდივან მოლარეთ უხუცესის თავადის სოლომონისათა.

აღიწერა ენკენისთვის დ, ქქს უ ო ც.²⁴

დ ა რ ე ჯ ა ნ .

გვერდზე მინაწერია:

„ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა მეფე მეორე ი რ ა კ ლ ი
ამ ბატონის დედოფლისაგან ნაბოძებს სიგელს
ვამტკიცებთ იანვრის დ ქქს უ ო თ.“²⁵

ი რ ა კ ლ ი .

გვერდზე მინაწერია:

„ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე
გიორგი, მისის სიმაღლის ბატონის დედოფლის, დედის
ჩვენისაგან, ნაბოძებს წყალობას, სიგელსა აშას
ვამტკიცებთ სექტემბრის ქქს უ ო ც.“²⁶

(ბეჭედი).

* *

ცხინვალის ზღუდე, ანუ გალავანი, მოსახლეობას იცავდა. 1757 წ. მეფე თეიმურაზი და მეფე ირაკლი ძე ირანის აშალით ყოფილან იქ, რომ „დაღისტნელი ბელადი ჩონჩოლ-მუსა ჰტარისა და ინა მოვიდნენ ქრცხინვალს დაღისტნის ჯარით“, მაგრამ მაინც ქართველ მეფეებს გაუმარჯვიათ.²⁷

1772 წელს კი ცხინვალი ლეკებს აუღიათ და უძთავრესად მაშინ მოშლილა ხსენებული გალავანი. აი, სათანადო ცნობაც:

„წელსა ჩლობ, ქორონიკონსა უფ [1772]... ლეკნი მოადგნენ ქრცხინვალს, მოაოხრეს გარდა ციხისა, და მრავალი ტყვე ჰყვეს.“²⁸

24 4. IV. 1790 წ.

25 4. I. 1791 წ.

26 8. IX. 1790 წ.

27 ქართლის ცხოვრება, წ. II, 1851, გვ. 489.

28 ბატონიშვილ დავით გიორგის ძის „მასალები საქართველოს ისტორიისა“, 1905, გვ. 20.

ვასახელებთ ცხინვალის გალავნის იმ 7 კოშკს, რომლებიც ვახტანგ VI და შემდეგ ერეკლე მეფის მეუღლის — დარეჯანის დროს შეუქმნიათ სხვადასხვა ოჯახებს და ამიტომ სათანადო გვარების კუთვნილებად ანსოვთ.

გალავნის არაზუსტი (იგი ძთლად კვადრატული არ ყოფილა) სქემის მიხედვით ეს კოშკები ასე იყო განლაგებული:

- | | |
|------------------------------------|----------------|
| 1. შერმაზაანთი
(ლიახვის ნაპირი) | 4. გუდაანთი |
| 2. გრიჭურაანთი | 5. ჭიტაანთი |
| 3. მურადაანთი | 6. ხლჯაანთი |
| | 7. იარალაანთი. |

ამავე კოშკების შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობა ჩვენი აღწერილობის გამოცემის შემდეგაც გამოქვეყნდა.²⁹ ავტორებს არა აქვთ წარმოდგენილი კოშკთა განლაგების სქემა და უკანასკნელ შეპატრონეთა ყოველი გვარი. დავძენთ იმასაც, რომ შეშვიდე კოშკის სამხრეთი მხარე (სავაჭრო ქუჩა № 52, იარალოვის სახლის ეზო) მხოლოდ 1955 წელს დაინგრა ხანძრის შემდეგ. ამავე კოშკს კაკას ციხე რქმევია. იგი მაჩაბელს 1879-1875 წლებში მიუყიდა მურადაშვილისათვის. ასევე შეუძენია ჭიტაშვილსაც.

კოშკები მრგვალი ფორმის, სიმალით 7-8 მ და ქონგურებიანი ყოფილა. იარალაშვილის კოშკი პატარა ჩანს.

გალავანში დიდი სასახლე არსებულა, რომელშიც ვახტანგ მეექვსესა და ერეკლე მეორესაც უცხოვრიათ.

ამ უბანს ზოგიერთი „ებრაელის უბანს“ რომ უწოდებს („ძველი ცხინვალი ებრაელთა უბანი“),³⁰ ისტორიულად სწორი არაა.

დავადგინეთ, რომ ციხე-ქალაქ ცხინვალის გალავანს გვირგობიც ჰქონდა. ცხინვალის ყოფილი გალავნის დასავლეთით (მაღლობზე), დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით, ახლანდელ ლენინის ქუჩაზე ძდებარე მაღაზიას აქვს სარდაფი, რომელიც აგურით ნაშენი გვირგობის (განი — 2 მ-მდე. სიმაღლე 2,5 მ) ნაწილს წარმოადგენს. ახლა მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები დახშულია, რადგან სარდაფადაა გამოყენებული. ადრე კი აქა-იქ

²⁹ ვ. კასრაძე, ჩვენი ქალაქის (ცხინვალის) ისტორიული ძეგლები. — გაზ., „საბჭოთა ოსეთი“, 1959 № 72. კიდევ უფრო დაწვრილებით და სპეციალურად იხ. მ. ცოტნიაშვილი. ცხინვალის ისტორიისათვის, ცხინვალი, 1961.

³⁰ რომან კვერენჩილაძე. სამხრეთ ოსეთი, (ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა), ცხინვალი, 1968, გვ. 163.

ჩანგრეული ყოფილა ეს გვირაბი. ბავშვებს გვიყვარდა შიგ ჩაძრომა და ლიახვზე გასვლაო,—გვიამბო ცხინვალელმა ნ. ცქიფურიშვილმა.

ზოგიც იმას აღნიშნავს, რომ გვირაბის ღია ნაწილი გალავანშიც ჩანდაო, ლიახვზე გავიდოდით ან ღვთისმშობლისაკენ წავიდოდითო (იხ. ჩვენი — II, გვ. 16, ეკლესია № 3); ბნელში უნდა გვევლო, რადგან ყოველგვარი სანთელი ქრებოდა შიგაო.³¹

ცხინვალელი ს. ზ. გიამვილის ცნობით (1953 წ. 86 წლის), იქ, სადაც ახლა მისი სახლი დგას (ყოფილ გალავანში, ეკლესიის სამხრეთით), შენობა იყო, რომელსაც ხ ა ზ ი ნ ა ერქვაო.

ჩვენი სათანადო ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა დოკუმენტიც, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ცხინვალი 1728 წელს თურქეთის სულთან ახმედ შესაძეს (1703—1730) ქართლის ისტორიაში ცნობილ ფეოდალს (იხ. ცალკე, კვხვი) გივი ამილახვრისათვის უბოძებია.³²

ცხინვალის შესახებ ჩვენ მიერ 1952 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში № 3 ეკლესიად დასახელებულ ნაგებობას აქვს გვიანდელი ნაწილიც. მის კედლებში 1806-1818 წლით დათარიღებული წარწერიანი საფლავის ქვებიც ჩანს.

ამავე ეკლესიაზე შემდეგ უნდა იყოს დასავლეთიდან მიშენებული სამრეკლო, რომელიც ტირქნისის 1839 წელს აგებულ ასეთსავე სამრეკლოს ჰგავს, მაგრამ არბოს ეკლესიის სამრეკლოს (გასული საუკუნის 90-იანი წლების) მიბაძვით ააგესო. ესეც ისეთივე მაღალი იყო (შემდეგ დადაბლებულა), შიგ დიდი ზარი ეკიდა და სამრეკლოზე რომ ავიდოდით, იქიდან გორიც კარგად მოჩანდაო, — იგონებენ მოხუცები.

ეს ნაგებობა „კვანჭახაძეების საკუთრივ ეკლესიად“ იხსენიება. ამ ეკლესიის ძველი (ჩრდილოეთი მხარის) ნაწილი (ძისი სურათი ჩვენ 1952 წელს გადავიღეთ) 1953 წ. გზის გაფართოების დროს დაინგრა. მას ქ ა შ ვ ე თ ი ს ს ა ყ დ ა რ ა ეწოდებოდა.

31 შდრ. მ. ცოტნიაშვილი. ცხინვალის ისტორიისათვის, 1961, გვ. 27—29; ამ გვირაბის გეგმა-აღწერილობა და კოშკთა განლაგების სქემა ჩვენ ცხინვალის პედიანტიტუტის ნაშინდელ ზოგიერთ სტუდენტთა მონაწილეობით შევადგინეთ 1953 წელს და იგი ადგილობრივ (ცხინვალის) მუზეუმს გადავეცით.

32 სერგი ჯიქია. ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116 (1965 წ.), გვ. 243—247. უფრო ძველი — არქეოლოგიური პერიოდის შესახებ იხ. თ. ჯაფარიძის ნაშრომი „ცხინვალის განძი“. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, თბ., 1950, აგრეთვე — ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 4.

საინტერესოა, რომ თბილისის ქაშვეთის ეკლესიის შესახებ არსებული თქმულების გამოძახილი ყრუდ ცხინვალის ქაშვეთის მიმართაც გვხვდება.

ქალმა თავის ფეხძიმობა უდანაშაულო კაცს დააბრალო და ამ ეკლესიის ადგილზე იმ ქალმა ქვა შვაო; ამიტომ ეწოდება აქ აშენებულ ეკლესიას ქვაშვეთი — ქ ა შ ვ ე თ ი ო .

მარინეს ეკლესიის შესახებ შენიშნავენ, რომ ძალიან ძველი იყო და შიგ ალარ წირავდნენ. ამ ეკლესიაში და მის ეზოში უზნაძეები იმარხებოდნენო (ერთ-ერთი აკლდამა აფთიაქის წინ გზის გაყვანის დროს გახსნილა).

ცხინვალის „ყვავის საყდარსა“ და კახეთის „ყვავის ციხის“ შესახებაც თითქმის ისეთივე თქმულებები ჩავიწერეთ (შეორე „ყვავის ციხის“ შესახებ — გრემში, 21, X. 1967 წ.), როგორც ცნობილია გორისა და მცხეთის შესატყვის ნაგებობათა შესახებ.³³

თქმულების შინაარსი ასეთია: თითოეული ხსენებული ნაგებობის მახლობლად გლეხები ყანაში ძუშაობდნენ. მახლობლადვე აღმართულ დიდი კაკლის ქვეშ ქვაბში მათი საჭმელი იხარშებოდა...

გლეხები რომ ჭამას უნდა შედგომოდნენ, კაკლის ხეზე ძვლომარე ყვავი აჩხავლდა. გლეხებმა მას შეუძახეს, ქვაც ესროლეს, მაგრამ ვერ მოიშორეს, — ყვავი კვლავ დასჩხაოდა მათ. ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, ჭამა დაეწყათ; ყვავი კი პირდაპირ ქვაბში ჩაფრინდა და ჩაითუთქა! გლეხებმა ქვაბი გადმოაპირქვევეს. შიგ გველი აღმოჩნდა ჩახარშული!.. ყვაეს დაენახა, გველი რომ ქვაბში ჩავარდნილიყო და ამიტომ არ დაანება ადამიანებს ამ კერძის ჭამაო.

ხსენებულ სიაშივე № 11 ეკლესია ყ ვ ა ვ ი ს ს ა ყ დ რ ა დ ე წოდებოდა.

დ ბ ვ რ ი ს ი

ცხინვალის ახლანდელი ჩრდილოეთი ნაწილი, რკინიგზის სადგურიდან მდ. დიდ ლიხვზე მიმავალი გზის მარცხენა მხარე თამარაშენამდე ცალკე სოფელი იყო. იგი უკვე ცხინვალს შეერწყა.

³³ შლრ. ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — «А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, 1, 1895, с. 279, 281, არსებობს წიგნის ქართული თარგმანი „ქართული სიტყვიერების ისტორია“, თბ., 1919, გვ. 226—227.

ს. დგვრისის სიძველეებში აღნიშნული გვაქვს გოცირიძეებს ეკლესია. სოფლის ამ უბანში დაიბადა ცნობილი ქართველი მსახიობი ნიკო გოცირიძე. იგი წერს: „პაპაჩემი გიორგი გოცირიძე თავისი შვიდი წლის სიმონით რაჭიდან გადმოსახლებულა ქართლში, სოფელ დგვრისში. ეს სოფელი ცხინვალის მახლობლად მდებარეობს... ზაფხულობით ხშირად ქალაქიდან ურმით მივემგზავრებოდით ხოლმე სოფელში და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სოფლის ტოლ-ბიჭებში გავერევოდი ხოლმე და მათთან ერთად ვთამაშობდი. სოფელი არც ჩვენ გვივიწყებდა: ხშირად ქირაზე წამოსული მეურმეები ხმელ სიმონას (ასე ეძახდნენ მამაჩემს) ეზოში ურმებს შემოაჭრიალებდნენ, საქონელს დაასვენებდნენ, ნუნუას გადაჰკრავდნენ და შეზარხოშებულნი ბრუნდებოდნენ შინ. ჩვენი სოფლელი მიხა ხომასურიძე მამაჩემის შორეული ნათესავი იყო. წელიწადი არ გავიდოდა, რომ ორჯერ-სამჯერ ურმით არ ჩამოსულიყო თბილისს და მამაჩემი არ ენახულა. ჰო, როგორ მიყვარდა მიხას ჩამოტანილი ხაჭაპური, გვერდწითელა ვაშლი, ხირი და ტყლაპი!“³⁴

ცხინვალიდან კვაისა-ჯავის გზის დასაწყისშივე მარჯვნივ პირველი სახლი (ახლა 8 მარტის ქ. № 1 ეკუთვნის ფეხშველაშვილს; მეორე — ქვის ძველი მხატვრული სახლი № 3) ისტორიულია თავისი გარეგნული გაფორმებით, სარდაფში მარნითა და შიგნითა კიბეებით (სარდაფიდან ოთახებში, აქედან — ჩარდაგში). იგი 150-მდე წლის მაინც იქნება. ამიტომ ჩვენ მასზე ყურადღება ცხინვალის სიძველეთა დაცვის რწმუნებულს მივაქცევინეთ. ეს სახლი აუგია სიმონ მაისურაძეს, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწეოდა, შემდეგ მას ზვრები გაუშენებია ახლანდელი ცხინვალის პარკის მთელ ფართობზე, ცხინვალის სადგურს ქვემოთ ნიქოზისაკენ და დგვრისში მაისურაძეების საყდართან (ამ ეკლესიის სასაფლაოზე დაუკრძალავთ ილია დავითაშვილი).

ივანე მაისურაძეს ქართლური და კახური ღვინოების კუბაეიც დაუწყია და თბილისის სირაჯხანაში თავისი კუთხე გაუჩენია. უძეო ყოფილა: ჰყოლია ორი ასული, — ელისაბედ (ლიზა) და მარიამი (მაშო). მაშო დაბადებულა ჩუოა — 1871 წელს, ლიზა კი — ჩუპ — 1888 წელს. ლიზა გათხოვილა როსებ მაჭავარიანზე (რაჭიდან ჩამოსახლებულა; ამათი ვაჟია ცნობილი კომპოზიტორი ალ. მაჭავარიანი), მაშო კი — დიაკონ ივანე დავითაშვილზე (დავიდოვი). ივანე კურ-

34 ნიკო გოცირიძე, მოგონებანი, თბ., 1949 გვ. 5.

თხეულა 1889 წელს (მას, შავგვრემანობის გამო, შავ მღვდელს ეძახდნენო); მისი მრევლი ყოფილა ცხინვალის ლიახეს ვაღმა ნაწილი, ზღუდერი³⁵ და ხეთ-საბაწმინდა.

ნამზვითი სახლის ნაწილი ქვისლ რ. მაჭავარიანისაგან ი. დავითაშვილს შეუსყიდია. მაჭავარიანს, რომელიც თამარაშენში აბესალომ მაჩაბლის (ცოლი ნინო მაჭავარიანი) მოურავი გამხდარა, თავისი კარ-მიდამო გაუჩენია...

ივანე დავითაშვილის განაყოფი ყოფილა შიო ალექსანდრეს ძე დავითაშვილი. იგი, საოჯახო ჩანაწერის მიხედვით, დაბადებულია ჩუწუ — 1857 წელს, თებერვლის იდ (14) დღესა, ხუთშაბათს. ამისი ასული ნინო დავითაშვილი³⁶ ცნობილი მსახიობი იყო. შიოს ოჯახიც დადიოდა ივანეს სახლში; აქ რამდენიმეჯერ ყოფილა თურმე შიოს ძმა მიშოც (მიხელი) და მისი გორელი მოწაფე სოსო ჭულაშვილი; უკანასკნელი აქაც შეხვედრია ნინო დავითაშვილს.

გიორგი ივანეს ძე დავითაშვილი (დაბ. 1891 წ. 10—11 ნოემბერს, გიორგობა იყო და ამიტომ დამარქვეს გიორგიო) ამბობს: ჩენი სიძე იყო გორის მაზრის უფროსი ბესარიონ გოგობია; რევოლუციონერები — პატიმარი გიორგი მაჩაბელი და ნიკო კეცხოველი — გამოაშვებინა მამაჩემმა, სოსო ჭულაშვილიც აფარებდა ჩვენთან თავს, როცა გორში არ გაეჩერებოდაო...

ცხინვალი ქვაისას გზით დაკავშირებულია რაჭასთან. აქ გორიდან ცხინვალზე გავლით გზა ფაწას ხეობიდან გადადის ჭეჯორას ხეობაში (ცხინვალი-ერწო-ქვაისა-ონი-ქუთაისი).

ადგილობრივ მცხოვრებთ მიმატებით რაჭიდან ცხინვალში გადმოსახლებული არა მარტო ერთი გოცირიძის ოჯახი, არამედ სხვებიც. ცხინვალსა და მის მიდამოებში ჩამოსახლებულთა გვარებია: ბუგიანაშვილი, მაჩაიძე, ხიდაშელი, შერაზადაშვილი, კეკოშვილი, მეტრეველი (თამარაშენი), გოგიძე, ჯაფარიძე და სხვები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ონი-კვიციან-ერწო-ცხინვალის გზის მიდამოების მატერიალური კულტურის ნაშთები თითქმის ერთნაირია. აქვე მცხოვრებნიც საერთო ზნეჩვეულებებითა და ერთნაირი კულტურით ხასიათდებიან. სხვაობანი გვიან ფენებში იწყება. ცხინ-

³⁵ იხ. ზღუდერი, ეს ეკლესია რაღაც ტრადიციებთანაა დაკავშირებული. ივ. დავითაშვილის ვაჟს გიორგის ჯვარი აქ დააწერინეს და არა თბილისში ან გორში, სადაც ცოლის მშობლებს სურდათო.

³⁶ იხ. „ოქატრის ბიბლიოთეკის“ სერიაში ნინო შვანგირაძის წიგნი „ნინო დავითაშვილი“, თბ., 1972 წ.

ვალშივე გვხვდებიან მტკვრის ხეობიდან გადმოსახლებულნი. მაგ., დგვრისის მცხოვრები აბელ დავითის ძე ელიოზიშვილი (დაბ. 1902 წ., აგრონომი) გადმოგვცემს პაპის ნაამბობს: დგვრისელი ელიოზიშვილები მცხეთიდან მოსულებად ითვლებიანო, იქაც გვეყავდა მოგვარეები და დგვრისიდან ჩვენი განშტოებანი ნიქოზში, წილკანში და ყვარელშიც გვხვდებიანო.

8 მარტის ქუჩაზე, სადაც ახლა რკინეულობის მაღაზიაა, ეზო სახლით, კოშკითა და საყდრით ეკუთვნოდათ ელიოზიშვილებს. მისივე ყოფილა მიწები ახლანდელი პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვა. მის ცოტნიაშვილს უნახავს სიგელი იმის თაობაზე, რომ აქ ელიოზიშვილი 1724 წელს რუსეთს მიმავალ ვახტანგ მეექვსესა და მის ამაღას გამასპინძლებია და მეფეს იგი გაუახანაურებია.

ელიოზიშვილების კოშკი და ეკლესია 1934 წელს ჯერ კიდევ არსებობდა. საყდარს კუთხეები და სახურავი თლილი ქვისა ჰქონდა.

ჩვენ ვიყავით ამ ეკლესიაში 23. VII. 1954 წ., წარწერა ვერ ვნახეთ, მაგრამ შენობის წელში აღმოჩნდა სრულიად ისეთივე სარტყელი, როგორიც დგვრისის მეორე ეკლესიაშია (შუაკედლამდე), და იმათი მსგავსი, როგორც ზემო ხეთის (დაჩის) ეკლესიაშია (აქ სარტყლის ბოლოები ბალავრამდე დადის).

დგვრისის ეკლესია გარეგნულად და კუთხეების ქვების წყობით მოგვაგონებდა ზღუდრის ქართველთა წმ. გიორგის საყდარს. მისგან დარჩა მხოლოდ ის მკრთალი ფოტოსურათი, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ.³⁷ ახლა (იხ. აქვე, სურ. 41). აღარც კოშკი არის ელიოზიშვილების ყოფილ ეზოში. უკანასკნელი ოთხკუთხოვანი ქვის ნაგებობა იყო; შესავალი I სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან ჰქონდა. ამ სართულის ჭერი თალისებური ჩანდა. მეორე სართულზე მისაყუდებელი კიბით აღიოდნენ. სათოფურთა მეტი რიცხვი მეორე სართულზე ყოფილა. მესამე სართული უკვე ინგრეოდა. საფექრებელია, რომ ის სართულიც გადახურული იყო. კოშკის თავიდან კარგი გადასახედი და ჩინებული საზვერავი ადგილი იქნებოდა, რადგან იქიდან ყოველმხრივ გაშლილი ხედა.³⁸

37 ცხინვალის პედინსტიტუტის „შრომები“, I, გვ. 256; ცალკე გამოცემა: „დგვრისის ეკლესია და კოშკი ცხინვალში“, გვ. 16; შდრ. ზემოთ — გვ. 167.

38 გადმოგვცემენ, რომ ლიხვი სოფლის დასავლეთით, კუსირეთის ძირ-ძირ დიოდა და ნაცარგორისაკენ მიემართებოდაო, მაგრამ ეს დაუჯერებელია, მისი ახლანდელი კალაპოტი ძველი უნდა იყოს.

როგორც წინათაც აღვნიშნეთ,³⁹ დგვირსელ ელიოზიშვილებს აბიათრიანთებს უწოდებენ. აქაურები ისე ცოცხლად გვიამბობენ აბიათარის ამბავს, რომ ის, თითქოს, ენახოთ კიდევ, ანდა, თითქოს, „ქართლის ცხოვრება“ ჰქონდეთ გადაშლილი და მას კითხულობდნენ!

მოვიტანთ ზოგიერთ ასეთ ცნობას:

გადმოცემით,⁴⁰ რომელიც ნინოს ცხოვრების წიგნურ ვარიანტშიც იგრძნობა, ებრაელი ელიოზ ლევიტელისა და მისი დის — სიდონიას დედა პირველმოწამე მოსეს გვარიდან ყოფილა, ელიოზმა დედა სიდონიას დაუტოვა — შენ მოუარეო. თვითონ ებრაელ ლონგინოზთან ერთად იერუსალიმს გაემგზავრა. ქრისტეს ჯვარცმის აღვილს იმ პარასკევს მიაღწიეს, როცა ჯვარცმულს სძარცვავდნენ. წილისყრით, ქრისტეს შესამოსელი ლონგინოზს ჰყვდა, ხოლო კვართი (პერანგი) — ელიოზს. წამოვიდნენ. ლონგინოზი ქუთაისს შედგა და ელიოზი — მცხეთაში. უკანასკნელს სიდონია აქ დაუხვდა. უთხრა ძმას: ქრისტეს რომ ჯვარზე აკრავდნენ და დედამ სამსჯეალის (ლურსმნის) მიქედვის ხმა გაიგონა, თქვაო, ებრაელნი ახლა დავიღუპეთო და გარდაიცვალაო; მე წამოვედი და გზამ აქ მომიყვანაო.

სიდონიამ რომ ელიოზის ხელში კვართი დაინახა, — განაგრძობს გადმოცემა, — იფიქრა, ესეც ქრისტეს გაძარცვის მონაწილეაო; გამოსტაცა ძმას ხელიდან კვართი, ჩაიკრა გულში და სული დალიაო. ძმამ სიდონია და კვართი ერთად დამარხა მცხეთაში, იქ, სადაც ახლაც დედათა მონასტერია.⁴¹ ამით მან იხსნა კვართი შემდეგი შებილწვისაგანაო.

გადმოცემითვე, ქრისტეს ამალღების დროს კუბოში მხოლოდ სუდარა დარჩა, რომელიც ლუკა მოციქულმა წაიღო. ქრისტეს მიმდევარმა ნინო ეფესელმა გაიგო, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაში იყო წაღებული და წამოვიდა, ეფესში შეიარა, აქ მან, რიფსიმემ და გაღია გაიანემ 300 ქალი მოაქციეს (მონათლეს). განრისხდა იმპერა-

³⁹ დასახელებული „შრომები“, გვ. 256, ცალკე გამოცემა, გვ. 16.

⁴⁰ Гулбат, Сборник грузинских сказок, М., 1899, с. 85 და შემდეგი.

⁴¹ ქართული საეკლესიო ისტორიის წყაროების მიხედვით, კვართი ნინო კაბადოკიელმა მოიტანა. ნინო არა მცხეთის დედათა მონასტერში, არამედ სიღნაღის რაიონის ბოდბის მონასტერში დაკრძალეს 335 წელს, ხოლო „კვართი ვაზისა, წმინდანის თმებით, დაცულია სიონის ტაძარში თბილისს“. ნინოს დღედ ითვლებოდა 14 (27) იანვარი, იხ. „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, 14 იანვარი, წიგნური ცნობებიც ლეგენდებს ემყარება.

ტორი მაქსიმელიანე, საჭურისები დაგზავნა ნინოს, რიფსიმესა და გაიანეს შეპყრობად. მღევარნი დაიფანტნენ; რიფსიმე შეიპყრეს კიდევ, იმპერატორს მიჰგვარეს და მან ამ ქალს უთხრა, ჩემი ცოლი იყავიო, მაგრამ ვერ დაითანხმა; ამის გამო, რიფსიმე და გაიანე აწამეს.

ნინო, ღვთის კარნახით, ეკალნარში იმალებოდაო. მან მალე მოახერხა გამოპარვა და წამოვიდა; ჯავახეთში გაიგო, რომ მას ზერთვისიდან (თაფარაენის გზით) მტკვარი მცხეთაში ჩაიყვანდა და ჩამოვიდა კიდევაო. მანვე 324 წ. 24 აგვისტოს მირიან მეფის ცოლის — ნანა დედოფლის წინაშე მოახდინა სასწაული (ბრმას თვალი აუხილა, ავადმყოფნი განკურნა; დაიწყო არმაზის კერპთა მსხვრევაც, ნინომ მოაქცია მირიან მეფე და მისი ოჯახი, შემდეგ სხვებიცა და, თქმულებით, მათ შორის — ელიოზის მემკვიდრე, აბიათარის ძე ელიოზი და ამისი და სიდონიაც.

რა თქმა უნდა, როდესაც ზოგიერთი ასეთი თქმულება I საუკუნეში მომხდარი ამბის (ქრისტეს თითქოს ჯვარცმის) დამსწრედ ელიოზსა და სიდონიას⁴² თვლის, ან პირიქით, მათვე IV საუკუნეში ცნობილი ნინოს საქმის მონაწილედ აღიარებს, აქ ანაქრონიზმია. ისინი ზომ 300 წელს ვერ იცხოვრებდნენ!

ასეთი გადმოცემა მაინც საინტერესოა, რადგან მცხეთაში ქრისტეს კვართი, ხოლო ქუთაისში კი ქრისტეს შესამოსელი ეგულებოდათ. ქრისტიანთათვის საქართველო დიდად პატივსაცემი ქვეყანა იყო. აბიათარის შვილს რომ ელიოზი ერქვა, ამიტომ მისი მოდგმის გვარი ელიოზიშვილი გახდა (აქედანვეა გვარი ელიოზიძეც).

დგვრისის ელიოზიშვილებში აბიათარის პატივისცემის ისეთი დიდი ტრადიცია არსებულა, რომ ჩვენ მიერ შემოხსენებულ აბელ ელიოზიშვილისათვისაც აბიათარი დაურქმევიათ, რომელი სახელიც, მათი გაგებით, იგივე აბელ არის. ამავე გვარის სახელებში ზაალ და ელიოზიც არიან ცნობილნი. ერთ-ერთი ზაალ ელიოზიშვილის მეუღლე ყოფილა ნანა რჩეულიშვილის ასული (ვგონებ, სოფ. დიციდან).

⁴² შტრ. უერნ. „მოგზაური“, № 2, 1901. მცხეთელი ვაჟარი აბიათარი იხსენიება საქართველოს ძველ ისტორიაში, როგორც მცხეთელ ურიათა მღვდელი, რომელმაც თითქოს, პირველმა ურიათაგან მიიღო ქრისტიანობა ნინოსაგან (იქვე, გვ. 129). იხ. აგრეთვე, დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 143. ამ დროს ებრაელები საქართველოში სხვა მხრივაც ჩანან; იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 447, 501, 502 და სხვა.

აბელ ელიოზიშვილის თქმით, ელიოზიშვილებს საგვარეულო სიგელ-გუჯრები (გრაგნილები), ერეკლეს ხელმოწერილი ქების სიგელი და სხვა დოკუმენტები, კაჟიანი თოფები და ძველებური ხანჯლები ჰქონიათ. ასეთები მათგან 1911 წ. წაუღიათ, თითქოს, მუზეუმისათვის, მაგრამ შემდეგ მათი კვალისთვისაც კი ვეღარ მიუგნიათ.

ცნობილთაგან უძველესი გვარი ელიოზიშვილია დგვრისში. ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე ამ სოფელში გვხვდებოდა და გვხვდება კიდევ ქართული გვარები: მაჩაბელი, ყაზაჩაშვილი, დევიძე, მეშვილდიშვილი, კვალინიძე, გიუნაშვილი, ჯაფარიძე, ბურნაძე, სალამაძე, მინდიაშვილი, აბულაძე, საძაგლიშვილი.

ფოლკლორისტიკისათვისაა საინტერესო და აქვე აღვნიშნავთ: ერთ ელიოზიშვილს, როჭლისაც ზემოხსენებული კოშკი ყოფილა, კოშკზე მიშენებულ დიდ მარანში ორი ქურდი შეეპარვია. ქურდებს ტიკები ღვინით გაუვსიათ, მარანში ცხენები შეუყვანიათ და ღვინო უნდა გაეტანათ, მაგრამ ერთ ქურდთაგანს უთქვამს, ცოტა-ცოტა დავლიოთ კიდევცაო. დაუღევიათ. ახლა მეორეს უთქვამს, ცოტა ვიმღეროთო. ხმა ამოუშვიათ, ელიოზიშვილს გაპლვიძებია, სიფრთხილის გამო, ქურდებს არ შესჯახებოდა, ხონჩაზე პური და ყველი დაუღვია და ქურდებთან შეუტანია; მათთვის უთქვამს: ღვინოს შეატანეთ, თორემ მარტო ღვინო გაწყენთო. ქურდები გაქცეულან და ცხენები მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნებიათ და ისიც დიამბეგის ჩარევით.

ელიოზიშვილების ნიკოლაოზის სახელობის კარის ეკლესიის აღმოსავლეთითა და დასავლეთით სარკმლების ზემოთ, მთლიან ქვაზე, ჯვარი ჰქონდა გამოსახული. კარი სამხრეთიდან ეკიდა (ამ ეკლესიის კუთხის ქვები ენდროს ფერი იყო. წითელი ეკლესიის ქვები კი უფრო ბაცია).

დასავლეთით, სახურავის თავზე ქვისაგან გამოკვეთილი ყოჩის თავი ედგა. წირვა-ლოცვა ამ ეკლესიაში 1954 წელს ცოცხალ ელიოზიშვილებს არ ახსოვთ; დადიოდნენ სოფლის საერთო დიდ წითელ ეკლესიაში, მაგრამ ხანდახან აღნიშნავდნენ როგორც ამ, ისე მთავარანგელოზის საყდრის დღეობასაცო. მაგ., ნიკოლაოზის ეკლესიაში 6 დეკემბერს (ძვ. სტ.) დგვრისობაში აღდგომას ჩამოჰყავდათ მღვდელი და აწირვინებდნენ. ეკლესია გაწყობილი იყო და წმინდად ინახავდნენ.

ამ ეკლესიის ნაგებობიდან ჩრდილოეთით, გზის გადაღმა მდებარე მეორე ქვის ძველ პატარა ეკლესიას მთავარანგელოზს უწო-

დებენ. შენობა რესტავრირებულია, ახლა გუმბათიცა და სქელი ქვების სახურავი აქვს. ძველი ნაწილი ღია ნაცრისფერი, დიდი ტუფის ქვებითაა აგებული, რომლებიც უკვე გამოფიტული და დაცრეცილია. განსაკუთრებით დიდი ქვა ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე ძევს. შესამჩნევად გამოიყოფა კედელთა შემდეგ დაშენებული ახალი ნაწილი შიგნიდან, ახალ ნაწილს ჭერში სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაწვდილი სარტყელი აქვს.

აღნიშნულიდან ჩრდილოეთით, ს. თამარაშენისაკენ, წმ. გიორგის ე. წ. წითელი ეკლესიის ლამაზი შენობაა. ეს მაჩაბლებს აუგიათ. წინათ აქ ყოფილა პატარა საყდარი, რომელსაც **მაყულის ან მაყულის ეკლესიას** ეძახდნენ.

კ უ ს ი რ ე თ ი

სოფელი კუსირეთი (ოსურად — ქუსრეთი) მდებარეობს ქ. ცხინვალის რკინიგზის სადგურიდან ჩრდილო-დასავლეთით, მისგან თითქმის 2 კმ დაშორებით (ამავე სახელწოდების სოფელი ბორჯომის რაიონის გუჯარეთის ხეობის სათავეშიცაა).

ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს კუსირეთს „დიდი ღიახვისა და მით მრწყველი“ ადგილების სახელწოდებებში.⁴³ საქართველოს სსრ სიძველეთა დაცვის „ბიულეტენში“ აღნიშნულია „კუსირეთის ეკლესია და მისი მახლობელი კოშკი“.⁴⁴

ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, კუსირეთი ნაქალაქევია. სოფლის სამხრეთ და აღმოსავლეთ მიდამოებში მიწიდან ვლინდება თიხის ჭურჭლის ნამტვრევები (შავი კერამიკისაც კი) და სხვა ე. წ. კულტურული ფენის ნაშთები.

ქვის ეკლესიის ნანგრევები და კოშკი (მათ შორის მოთავსებულ სასაფლაოთურთ) მდებარეობს სოფლის სამხრეთით. ეკლესიას გალავანიც ქვის ჰქონია. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით სასახლე და სახლებიც მდგარა. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მუხნარია. მის არემარეს ქართველები **აკვანას** უწოდებენ.

კუსირეთლები (უკეთ — კუსირლები), ჩვენში ბატონყმობის გადავარდნის დროს, ხვითელი თავადის თაქთაქიშვილის ყმები ყოფილან. კუსირეთში ახლა 20 კომლი ოსი ცხოვრობს.

⁴³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ბ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 202, № 30.

⁴⁴ № 2, თბ., 1925, გვ. 25.

კუსირეთის ეკლესია (თუ ტაძარი) ღრმა მოხუცებს ისევე ნან-
გრეების სახით ახსოვთ, როგორც ახლაა. ეკლესია ღვთისმშობლის



სურ. 44. კუსირეთი ტაძრის კედელი (შიგნიდან)

სახელობის ყოფილა და ქართველები აქ ამ დღეობას აღნიშნავდნენ,
ოსები კი — კვირაცხოვლობას (ახალკვირას).

ეკლესია, ჯერ კიდევ შემორჩენილი დასავლეთი და ნაწილობრივ
ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლების მიხედვით, თლილი ქვის
ნაგებობა (7 მ×15,20 მ; 4 მ×11,20 მ საკურთხევლის კედლით),
მაღალი (7 მ-მდე) შენობა ყოფილა. მისი სახურავი, სამხრეთის კე-
დელი და ნაწილობრივ ჩრდილოეთის კედელიც შიგვეა ჩანგრეული.
დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში შიგნიდან ქართული აგუ-
რიც (25 და 20 კვ. სმ, სისქე — 4 სმ) ურევია. აგურის ნამტვრევები
ე. წ. ხურდადაც არის გამოყენებული. კედლები გარედანაც შელე-

სილი ყოფილა ერთ დროს. დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების შიგნიდან კონსტრუქციული თალიანი პილასტრებია, რომლებიც კედლის სიმძიმისაგან განტვირთვისთვის არის გამოყენებული.

სხვადასხვა ფორმის პილასტრებსა და ნიშებს, ჩვეულებრივ, ნაგებობის გარედან, ვხვდებით სხვადასხვა ხანისა და სტილის ქართული ციხე-კოშკებისა და, განსაკუთრებით, ტაძრების ნაგებობებში. მაგ., ტაძრები: მცხეთის ჯვრისა (VII ს-ის დამდეგი, აღმ. ფასადი), წრომისა (VII ს-ის პირველი ნახევარი, აღმ. და სამხრ.-აღმ. ფასადები), სამშვილდისა (VII ს.), ოშკის (IX ს.), იშნისა (XI ს.), ბაგრატიისა (1003 წ.) და ნაგებობანი ოთხთა ეკლესიისა (IX ს.), პარხლის ბაზილიკისა (X ს., აღმ. ფასადი), სვანური კოშკ-სახლებისა და სხვ. კუხირეთის ეკლესიის დასავლეთი კარის თაღზე (გარედან) ორი ნახევარწრედია ამოკვეთილი.

ამავე ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში (მიწიდან მეცხრე ქვაზე) ასომთავრულით შესრულებული ჩაჭრილი წარწერაა, რომელიც ასე იკითხება:

„ქეშეთკლა“ (=ქრისტე, შეიწყალე თეკლა!).

აქვე, ზემოთ, მიწიდან მეთორმეტე ქვაზეც, თითქოს ასოს (პ თუ უ?) ნაშთია.

ასოთა მოხაზულობა პრიმიტიული და სხვადასხვა სიმაღლისაა (ქ—7 სმ, ე—6, შ—5, ე—5, თ—4, კ—8, ლ—5 და ა—3 სმ. წარწერა 37 სმ სიგრძისაა მთლიანად). ქარაგმების მაგიერ ქეშე-ს ერთი, ხოლო თკლა-ს მეორე საერთო ხაზი აქვთ ზემოდან.

ქ-ს მკლავებს წერტილები არა აქვს. მეორე და მეოთხე ასო (ე) ფორმითა და სიგრძით გვაგონებს მცხეთის ჯვრის VII ს-ის დამდეგის წარწერის სათანადო ასოს, მაგრამ ჩვენს წარწერაში, მათ შორის შ თავგახსნილია. ნახევარწრედი თ კაუჭითაა წარმოდგენილი; კ გრძელია. ლ-ს მუცელი თავზე უფრო დიდია; ა დაბალია, ზედა ხაზზე წერტილები არ ემჩნევა. წარწერის ლ, თ და შ სინას მრავალთავის (864 წ.) ამავე ასოებს გვაგონებს.

ეს ასოები, უპირველეს ყოვლისა, ამავე მხარეში დაცული წარწერების ასოებს უნდა შედარებოდა, მაგრამ მათგან განსხვავდება. მაგალითად, ნიქოზის ტაძრის უძველესი (V ს-ის) წარწერის⁴⁵ ასოები ამობურცულია. კუმურდოს 964 წ. და პარხლის ბაზილიკის (X ს.) ერთ-ერთი წარწერა⁴⁶ და ზოგი სხვაც ამობურცულებია, მაგ-

⁴⁵ იხ. აქვე, ბიბლიოგრაფია, II, გვ. 294—295.

⁴⁶ M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie*. VI. გვ. 57.

რამ ნიქოზის ხსენებული წარწერა განსხვავდება მათგან. აღსანიშნავია, რომ თავგახსნილი შ ბოლნისის 493—4 წ. წარწერაშიც გვხვდება. ნიქოზის ტაძარზე X—XIV სს-ის წარწერებიცაა. მათი ასოებიც განსხვავდება კუსირეთის წარწერის ასოებისაგან.

ჩვენი წარწერის ასოები არ ემთხვევა არც ერედვის 906 წლისა და ამ მხარის სხვა წარწერების ასოებს. მაგ., ნიქოზის მთავარანგელოზის საყდრისა (X ს.), საბაწმინდის (X ს.), თიღვის ტაძრის (1152 წ.), თრის მონასტრისა (XIII ს.)⁴⁷

სახელი თეკლა ბორცვისჯვრის სამხრეთი ფასადის ერთ-ერთ წარწერაშიც იხსენიება. წარწერა ასე იკითხება:

„ქ. ჯ-რო ბრც-სო მ-ხ ქ-ნს ლა თ-კლსა“ (ქ. ჯუარო ბორცვსაო, მეოხ ექმენ სულსა თეკლასსა).⁴⁸

ჩვენში, დაახლოებით იმ დროისათვის, ცნობილია ისტორიული პირებიც, რომლებსაც თეკლა ერქვათ, მაგალითად, გიორგი ჩორჩანელის და თეკლა („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, IX—X სს.), გიორგი ათონელის (იგივე მთაწმინდელის) და — თეკლა („გიორგი ათონელის ცხოვრება“, დაწერილია 1066—1068 წლებში). მაგრამ ჩვენი წარწერის თეკლა სხვა უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ის შეიძლება იყოს ის პირველმოწამე, რომლის შესახებ ქართლში კარგად ცნობილ „რაუდენ პირველმოწამის მარტვილობაში“ (ამბავი V ს-ისა, ჩაწერილია XVIII ს-ში) ვკითხულობთ: **„პირველმოწამეობითა ბრწყინავს და იკსენებისცა პირველმოწამე სტეფანე, და კუალად მის თანა დედათა შორის წმიდაჲ თეკლა...“**⁴⁹

თეკლა პავლე მოციქულის აპოკრიფის მოქმედი პირის სახელიცაა. პირველმოწამე თეკლას „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“ დედათა შორის ხუთჯერ იხსენიებს.

ჩვენი წარწერის თარიღზე ლაპარაკი შეიძლება ნაჩქარევად იყოს, რადგან მოსალოდნელია, რომ კუსირეთის ეკლესიის სამხრეთი

⁴⁷ ამავე დროის (და ზოგი ნიშნით ცოტათი ადრინდელიც) შეიძლება იყოს ამ მონასტრის სამხრეთი კედლის კართან ქვაზე ამოკვეთილი ასოები და ტბეთის ბორცვისჯვრის წარწერებიც. უკანასკნელთაგან გადარჩენილია მხოლოდ კარის თავის უზარმაზარი ჩუქურთმებიანი ქვა, რომელიც ნაგებობის სამხრეთ კართან ძვეს მიწაზე. ამ ქვაზე არის ვრცელი ორსტრიქონიანი წარწერა, რომელიც საშუალებას იძლევა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ბორცვისჯვრის წარწერების პალეოგრაფიაზე და ვივარაუდოთ, რომ ისინი კუსირეთის წარწერაზე გვიანდელია.

⁴⁸ ვ. თ. ფ. უ რ ი ა, შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები. — „საისტორიო მოამბე“, II, 1924, გვ. 133.

⁴⁹ საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოც., 1882, გვ. 169.

კედლის ქვების გაწმენდის დროს წარწერებიანი ქვებიც და, იქნებ, თარიღიანი წარწერაც აღმოჩნდეს. მაგრამ ამ ეკლესიის ნაგებობის არქიტექტურული სტილისა და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეკლესია IX საუკუნისაა. კედლის სიმაღლე, აგურის ფორმა და ნაწილობრივ წარწერაც იწვევს ეჭვს, თორემ მთლიანად ნაგებობა მთელი ერთი საუკუნით აღრინდელადაც შეგვეძლო გვევარაუდა.⁵⁰

კუსირეთის კოშკი აღწერილი არ არის პროფ. ს. ბეზსონოვის სპეციალურ ნაშრომშიც კი, რომელიც დიდი ღიახვის ხეობის ციხე-კოშკების შესწავლას მიეძღვნა. ეს კოშკი ოთხკუთხი (6,35×6,35 მ) და მაღალი (20 მ-მდე), თლილი ქვის ნაგებობაა. ის მოგვაგონებს ზოგიერთ კოშკს — ტბეთისა, ყორნისისა და სხვათა. აგრეთვე ჰგავს ანანურის ციხას მთავარ კოშკს (ეზოდან რომ შევხედოთ) ან სხვილოს, ანუ ქვემოჭალის ციხეს.⁵¹

კუსირეთის კოშკის პირველ სართულს კარი აქვს ჩრდილოეთიდან, ადის შიგა კიბე და მეორე სართულზეც არის კარი აღმოსავლეთიდან. მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე ასასვლელი ისევ შიგა კიბეა; კოშკს სახურავს ზევით მეექვსე სართულიც ჰქონია. კედლებს ყოველ მხარეს აქვს დატანებული სათოფურები.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ერთ-ერთ ქვაზე ამოკვეთილია: „1920 ქიმა თ“. ქიმა (და ქიშა-ც) ოსური საკუთარი სახელია მამაკაცისა). თ, უნდა ვიფიქროთ, გვარის პირველი ასოა. ეს მინაწერი გვიანდელია. თვით კოშკი XVII საუკუნისად შეიძლება ჩაითვალოს.

კუსირეთის სასაფლაოს საფლავების თარიღიანი ქვების ეპიტაფიები ოსთა გვარებს იხსენიებს და ისინი XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და უფრო გვიანდელია. ზოგიერთი თვალსაზრისით ეს ეპიტაფიებიც საყურადღებოა. როგორც ტბეთის, წუნარის, ყორნისისა და სხვა სასაფლაოების ქვების წარწერები სამხრეთ ოსეთში, ისე კუსირეთშიც, ოსთა გვარებს XX ს-ის დასაწყისისა და, განსაკუთრებით, რეაქციის წლებამდე ქართული დაბოლოებებით წარმოგვიდგენს უმთავრესად, ხოლო შემდეგ—რუსულით. მაგ., ბეთეშვილი (1890 წ., 1904 წ.)—ბეთევევი, ბეთიევი ან ბეთევი (1905 წ., 1909 წ.);

50 შდრ. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურულ ძეგლთა სია, თბ., 1952, გვ. 62.

51 С. П. Северов, Памятники грузинского зодчества, М., 1947 г., с. 47, карт. 65, с. 133, карт. 135.

ქოქოშვილი (1897 წ.) — ქოქოევი (1906 წ.). ერთსა და იმავე ქვა-
ზედაც კი მამა-შვილთაგან, ტატო ბეთეშვილია (1904 წ.), ხოლო
ალექსი ტატოს ძე ბეთეევი (1905 წ.). წუნარის სასაფლაოს ერთ-
ერთ ქვაზე სალომე ჭიოშვილია (1902 წ.), მისი მახლობელი დავით
უქვე ჭიოევი (1909 წ.). ბისო მამიშვილის ძე დასაფლავებულია
ჩყუდ (1894) წელს; ნინა მამიაშვილია (1889 წ.), ხოლო ნათი მემ-
კვიდრეები მამიეებად იწერებიან. ყორნისში მიხეილ გრიგოლის ძე
კოდოშვილი დასაფლავებულია **ჩყუდ** (1884) წელს; იქვე ციცო ჯი-
ბოს ძე კოდოშვილი დაუმარხავთ **ჩყუე** (1885) წელს. მათი შთამომავ-
ალნი კოდოეები არიან. საფლავის ქვებზე ქართულ-რუსული ნა-
რევი წარწერებიც გვხვდება.

აღვნიშნავთ უფრო მნიშვნელოვან ეპიტაფიებს.

ეკლესიასთან დიდ ქვაზე ზემოდან იკითხება:

„მომიხსენე მე(,) უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა
საფლავსა ამას მდებარე ვარ ფარნა ივანის ძე ბეთ-

(იმავე ქვის ჩრდილოეთ მხარეზე)

ეშვილი(,) აღესრულა თიბათვის 5-სა დღესა 1890 წ.

წამკითხველნო(,) შენდობა მიბრძანეთ(,) შობითგან ვიყავი 30 წ(,)

დამრჩა მეუღლე და...“ (შემდეგ ქვა მიწითაა დაფარული).

ერთ-ერთი ქვის ჩრდილოეთ მხარეზე ირჩევა:

„სულის მტირალი ვარ სოლომონ ივანის ძე ბეთეე.

აღსრულდი 9 მაის დღესა 1909 წელს.

ვიყავი სახლის მოამაგე:

(სამხრეთ მხარეზე)

ღმერთო, მეც ღირსი გამხადე, სადაც სამოთხე შენია.

იქ ნათლად მაინც მამყოფე, რადგან სიკვდილი ძნელია.

მიწა, შენი ვარ, უფალო(!)“...

წარწერა მოწყვეტილად მთავრდება. ჩანს, ეპიტაფიები ძმები-
საა. პირველი ბეთეშვილია, მეორე კი ბეთეევი.

იქვე, მაღალ ქვას ზემოდან ქვემოთ ჩაყოლებით აწერია:

„მონა ღვთისა ტატო თეთუს ძე ბეთეშვილი. ავესრულდი 20
ნოემბრის 1904 წ.“ ხოლო იმავე ქვის ჩრდილოეთ მხარეზე: „ალექსი
ტატოს ძე ბეთეევი. გარდაიცვალა 6.17. 1905 წ.“.

პატარა ქვის სამხრეთ მხარეზე ვკითხულობთ:

„მე, ვარდო სოსე ქოქოშვილის

ასული გარდაიცვალა

(ჩრდილოეთ მხარეზე)

მაისის 10-სა დღესა 1897 წელსა“.

ზოგიერთმა მცხოვრებმა იცის წინაპართა დასახლების ამბავიც. მაგალითად, კუსირელი მალხაზ ივანეს ძე თიგიევი (წინათ — თიგი-შვილი; 1953 წ. 75 წლისა, წერა-კითხვის არმცოდნე, აქვე დაბადებული) გვიამბობს, რომ მისი პაპა ზეკარის ქეშელთიდან (ჯავის რაიონი) კახეთში მისულა, იქ სამ წელიწადს დარჩენილა, მაგრამ ვერ დასახლებულა და ცხინვალისათვის მოუშურებია. აქ მას თავად თავ-თაქიშვილისათვის მიუმართავს: შენს მიწაზე დამასახლე და გასარგებლებო. ეს თავადი ქვემო ხვითში ცხოვრობდა. მას ნიქოზი, წუნარი, ზემო და ქვემო ხვითი და კუსირეთის ნაწილიც ეკუთვნოდა. დასახლებულა კუსირეთში პაპაჩემი და ბეგარას უხდიდა თავადსო.

კუსირელი ფირუზ ბეთევეცი (1953 წ. 90 წლისა) თავის წინაპრებს ზეკარის უღელტეხილიდან მოსულებად თვლის. იგი ზემოხსენებული ეკლესია¹ ნანგრევებს ღვთისმშობელს უწოდებს (ე. ი. ღვთისმშობლის აახლოების ყოფილა) და შენიშნავს, კარგად მახსოვს, სოფელ კუსირეთს ტყე ერტყა, რომელშიც გარეული ღორები და ირმები დადიოდნენო. ეს ტყე ცხინვალელებს მოუხდათო შეშად.

ახლაც არსებული მუხნარის შესახებ ბეთევეცი ამბობს: უხნაძის იყოო; უძეოდ გადავიდა, ტყე დგერისელებს აჩუქა და დასწყევლა, თუ არ ხმებოდეს და ისე ვინმემ თუნდაც ერთი ხე მოჭრას, ხელი შეახმესო. იცავდნენ პირობას და ამან გადააჩინა ეს ტყეო.

სხვათა შორის, ფირუზ ბეთევეცი ამასაც გვაუწყებს: წინათ ბეგარი გვაიწროებდა, არა მარტო მემამულე, თავადი და პოლიცია, არამედ ზოგიერთი ჩვენი ნათესავიცო. ჩვენს სოფელში იყო ერთი ოსი ყაზბეგა, რომელსაც ცხრა შვილი ჰყავდა. ჩვენში ბატონყმობა არ ყოფილა, მაგრამ ყაზბეგა ყოველ ბატონზე უფრო მკაცრი იყო და მუქთად გვიმსახურებდაო.

გადმოცემათა და ლეგენდათა შორის საინტერესოა ფირუზ ბეთევეცის ზოგიერთი სხვა ნაამბობიც.

ეს მოხუცი გადმოცემას იმეორებს: ქართველებს თათრები შემოესიენენ. საომრად ოსებიც გავიდნენ. შეერთებულმა ძალამ მტერი სოფელ ქარელამდე ჩარეკა. ამ ომში თამარს სოსლანი მოეწონა

და იგი იქმრო; ოსებს თამარ მეფემ როკიდან ქარელამდე დასახლების ნება მისცაო და ა. შ.

ეს თქმულება გეოგრაფიულ გარემოს გადაჭარბებულად აფართოებს. ოსები ჯავას ქვემოთ ბარის სოფლებში საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე მასობრივად არ სახლობდნენ.

ოსთა საფლავის ქვების ეპიტაფიები ქართლის ბარის სოფლებში, მათ შორის კუსირეთშიც, ოსურ გვარებს მხოლოდ XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან იხსენიებს. ისე კი ქართველებისა და მთიანეთის ოსების მიერ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლა ისტორიული ფაქტია არამც თუ თამარ მეფის, არამედ გაცილებით უფრო ძველი დროიდან.

კუსირეთში ჩაწერილ თქმულებათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ლეგენდა ბრუტსაბრძელას შესახებ (იხ. ბრუტსაბრძელა), რომელიც დიდი წარღვნის უცნობ ვარიანტს წარმოადგენს.

გ. ფრეზერის მიერ გამოქვეყნებულ დიდი წარღვნის ვარიანტებში ქართულის მსგავსი თქმულება არ გვხვდება.⁵² ამიტომ დიდი წარღვნის ამ ახალ ვარიანტს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ და იგი ქართულ პრესაში გამოვაქვეყნეთ კიდევ. აკად. ი. ორბელის დაბადების 70 წლისთავი რომ მოახლოვდა, საიუბილეო კრებულში მონაწილეობა ჩვენც გვთხოვეს. ჩვენ რედაქციას წერილი აღნიშნულ საკითხზე შევთავაზეთ. იუბილარს იოსებ ორბელს თქმულება მოეწონა. მან თქვა, ბიბლიური გადმოცემა ლოთის შესახებ პორნოგრაფიულია. სათანადო ქართული ლეგენდა კი სრულიად სუფთა და უაღრესად მხატვრულია. იგი ქართველი ხალხის ზნეობრივი სისპეტაკისა და მაღალი გემოვნების გამომხატველიაო.⁵³

ჩვენი წერილი ბრუტსაბრძელას თქმულების შესახებ 1960 წელს გამოქვეყნდა აკად. ი. ორბელის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში⁵⁴ და მაშინვე ითარგმნა ფრანგულ

52 Г. Фрезер, Фольклор в Ветхом завете, перевод с английского Д. Вольпина, М.-Л., 1931.

53 ბიბლიური სოლომოსა და გომორას შესახებ თქმულებით, ლოთი თავისი საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების მამაა, ხოლო და-ძმა ერთმანეთის დეიდაშვილებიც არიან.

54 И. В. Мегрелидзе, Неизвестный вариант легенды о великом потопе и некоторые сказания о вершине Брутсабдзела. — Сб.: «Исследования по истории культуры народов Востока», М.-Л., с. 101—108.

ენაზე.⁵⁵ ხსენებულმა ქართულმა თქმულებამ ევროპელი ფოლკლორისტებისა და მითოლოგების ყურადღებაც მიიპყრო.

თ ა მ ა რ ა შ ე ნ ი

თამარაშენს ვახუშტი ბაგრატიონი ცხინვალისებრ მცირე ქალაქს უწოდებს: — „კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, **თამარაშენი**, მცირე ქალაქი“...⁵⁶

თამარაშენი თამარ მეფის მიერ 1190 წელს აშენებულად ითვლება. ქალაქი ჯალალედინ ხვარაზმელს (1221-1228 წწ.) დაუზღვრევია. მოსახლეობა აქ კვლავ მოძლიერებულია და იმდენი ყოფილა, რომ თამარაშენში 5 ეკლესია არსებულა:

1. მაცხოვარი (გზის მარჯვნივ, ლიახვისაკენ, ვენახებში),
2. გრიგოლწმინდა (გრიგოლწმინდობას 28 მაისს აღნიშნავდნენ, ამ ეკლესიის ნიში სოფლის დასავლეთ გორაკზე ტყეში ახლაც დგას);
3. მთავარანგელოზი (ე. წ. ჯოხაძის საყდარი),
4. მიძინების ღვთისმშობელი (ნასიტყვანთ საყდარი),
5. ნიკოლოზის ეკლესია (მაჩაბლისა).

თამარაშენი აჩაბეთთან ერთად (XV საუკუნიდან) მაჩაბლებს ეკუთვნოდა (შდრ. აკად. ი. გიულდენშტედტის (1745—1781) მოგზაურობა, პ. იოსელიანისა და ს. ბეზსონოვის ნაშრომები).

ცხინვალის ებრაელების ოჯახები თავიანთ წინაპრებს თამარაშენიდან გადმოსახლებულად თვლიან.¹

საყურადღებოა, რომ ცხინვალ-დგვრისელ **ელიოზიშვილებს** (და **ელიოზიძეების** ერთ მოდგმასაც) **აბიათრიანთებს** უწოდებენ (იხ. დგვრისი).

ყურადღებას იქცევს თამარაშენელთა ქართული მეტყველება. კასრაძე წერს: მის. ჯავახიშვილმა თამარაშენსა და ქუთათში გაიღრმავა ქართული ენის ცოდნა და ამბობდაო: თამარაშენში „განმაცვიფრა ხალხურმა ენამ, მისმა მოქნილობამ, მხატვრულმა გამოთქმებმა“.⁵⁷

ამავე მეტყველების მაღლი ახლდა ივანე მაჩაბელსაც, რომე-

⁵⁶ Variantes inconnues sur le Déluge et récits sur le Mont Brud-sabdzela.—„Revue de Kartvelogie“, Paris, 1960, VIII—IX, № 34—35, გვ. 129—132.


⁵⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, გეოგრაფია, გვ 76.

⁵⁷ ლიტერატურული გაზეთი, 1957, 12 აპრილი, № 14, გვ. 4.

ლიც, როგორც ეს ლიტერატურაში კარგადაა ასახული,⁵⁸ მრავალ-მხრივ იყო დაკავშირებული თამარაშენთან.

მამაპაპეული აღმოსავლური ჩუქურთმებიანი სასახლე, რომელიც მოზაიკური მიწებით, ჭრელი სარკეებითა და ვიტრაჟით „შაჰნამეს“ ეპიზოდების ამსახველი ნახატებით ყოფილა შემკული, ივანე მაჩაბლის დაბადების წელს გადაუკეთებიათ. შემდეგ სასახლის გვერდით თვით ამ მემკვიდრეს ევროპული სტილის სახლი აუგია.⁵⁹

პირველი სასახლის ჩუქურთმებიანი ხის ბოძები 1928 წლიდან ცხინვალის მუზეუმშია დაცული. ამ ბოძებს, რატომღაც, გამოფენაზე პასპორტი არ ახლავს და ოს-აღდარის სახლისთვისაა მიკუთვნებული.



სურ. 45. თამარაშენი. ივანე მაჩაბლის სასახლე


თამარაშენშივე ყოფილა ცნობილი პოეტისა და მსახიობის დავით მაჩაბლის (1814-1873) სასახლე (კოშკზე ჩანს მინაგები). მახლობლადვეა ე. წ. შაქრო მაჩაბლის კოშკი, რომელსაც ზურაბიანთ კოშკსაც უწოდებენ.

თამარაშენში, მდინარე ლიახვის ნაპირას ერთ-ერთი წყარო წი-


⁵⁸ ვახტანგ ჭელიძე, ივანე მაჩაბელი, თბ., 1968.

⁵⁹ შლრ. გიორგი ლეონიძე. — ჟურნ. „მნათობი“, 1924, № 2, გვ. 167.

ნანდელი საფლავის ქვებითაა მოპირკეთებული. მისი ერთი ქვის ებრაული წარწერა ფოტოგრაფიულად გადავიღეთ.



სურ. 46. თამარაშენი. მაჩაბლის სასახლის ხის მხატვრული ბოძი ცხინვალის მუზეუმში



სურ. 47. თამარაშენი. საფლავის ქვის ებრაული წარწერის მონახაზი

ამ წარწერის ტრანსლიტერაცია და ქართული თარგმანი, რომელიც მ. ა. მამისთვალაშვილმა შეასრულა, ასეთია:

შენათ თარხაბ ლეგიცირა ზოთ ებენ შელ
 სარა ბათ ელიაუ ეშეთ ხ (ახან ან ხაიმ) შემეულ.

„დასაბამითგან ხუთი ათას ექვსას ოცდობრი (1862). ეს
 ქვა (არის) სარახი, ელიაუს ასულისა, ცოლი ხანამ (ან ხაიმ) შემეულისა.“⁶⁰

შალვა გიორგის ძე მაჩაბელი (დაბადებული 1913 წ.) ამბობს, რომ ქუთისისა და ხეთისის მაჩაბლები „ნამდვილები“, ე. ი. ჩვენი ნათესაეები არ იყვნენ. კეხვის ციხე ქუთისის მაჩაბლებს ეკუთვნოდათ და ჩვენებს მათთან ხელი არ ჰქონდათო. აჩაბეთის ციხეც სხვა მაჩაბელს ეკუთვნოდაო.

ჩემი წინაპრების ციხე (კოშკი), — განაგრძობს შალვა მაჩაბელი, — ლიხავს გაღმა (მარცხენა ნაპირზე) რომ დგას, ის იყო. ამას **დოკანთ ციხეს** უწოდებდნენ და უწოდებენ, რადგან აქ ჩვენი მაჩაბლების ყმები, დოკაძეები სახლობდნენო.

მაჩაბელთა ამ შტოს ეკუთვნოდა ხეთისა და საბაწმინდის სიძველეები (მრგვალი კოშკი, საბაწმინდის ტაძარი, დედათა სავანე. იხ. ზემოთ).

ივ. მაჩაბელი სასახლიდან ჩრდილოეთით, 1 კმ-მდე დაშორებით, დგას ნიკოლოზის ეკლესია (შდრ. ცხინვალის მე-10 ეკლესია), რომელიც აუგია დავითს და თვითონ 2 წლის შემდეგ გარდაცვლილა (ე. ი. ეს ეკლესია აგებულია 1870-1871 წლებში).

საყდართან ახლოს უდიდესი ლოდი აბესალომ მაჩაბლის საფლავზე ძევს (წარწერა არა აქვს). აბესალომ გარდაიცვალა დაახლოებით 65 წლის წინათო, გვეუბნებიან 1956 წელს.

თვით ეკლესია 6.30 მ სიგრძისაა (გარედან), განი — 4 მ, შიგნით სიმაღლე — 4,5 მ-მდე, განი — 4 მ-მდე; ნაგებობას სამხრეთიდან სამი სარკმელი და ამდენივე თარო აქვს.

გადმოცემით, წინათ ამ მაჩაბლებს ეკლესია დოკანთ უბანშიც ჰქონდათ, მაგრამ მდინარეზე გადასვლა უხერხულობას იწვევდა და

⁶⁰ ჩვენი აღრიხნული პუბლიკაციის მიხედვით, ამ წარწერას იხსენიებს ნიკაბ ბაბალიკაშვილი იხ. Нисан Бабаликашвили. Еврейские надписи в Грузии. (XVIII—XIX вв.), თბ., 1971, გვ. 36; ე. კონაძის რეც. ამ წიგნზე ლიტის „მაცნე“, 1972, № 4, გვ. 177—189.

ეს ქვა წინამდებარე სტრიქონების ავტორმა, დოც. ნ. მესხრიკაძემ, მ. ცოტნიაშვილმა, ალ. ნიკურაშვილმა და სტულ. ზ. კაპანაძემ 1974 წ. 15 აპრილს ვნახეთ ჯავა-კვიპისის გზიდან აჩაბეთში გადასახვევთან (ხიდის გასწვრივ) ხევის წყლის ქვირთვით ჩვენ იგი ადგილიდან ვერ დავძარივთ და მოვიტხოვეთ მისი დასაცავად გადაადგილება, რათა მანქანებით მოსატანი ლოდებითა და ხრეშით არ დაფარულიყო.

აი, ამ ნიკოლოზის საყდრის აგება დავითს გადაუწყვეტია: ოჯახის წევრები წინააღმდეგი ყოფილან: ბებერი ან ჯეელი მუდამ მოკვდება და ყოველთვის საფლავს როგორ ვუცქიროთო!

დავითს შაინც თავისი გაუტანია; თანხები რომ შემოლევია, მახლობლად მცხოვრებნი ოტიაშვილები და რაზმაძეებიც წამოშვლებიან და ამიტომ ისინიც იმარბებოდნენ აქ შემდეგო. ერთ ლამაზსა და დიდ საფლავის ქვაზე წერია:

მომიხსენე მე (.) უფალო (.) ლოდსა ამას შინა მდებარე ვარ გაბო ანდრიას ძე რაზმაძე (.) აღსრულდი (Sic!) 1 ნოემბერს 1899. შობითგან 40 წ. მეუღლე დამარჩა თვალცრემლიანი და 1 ვაჟი (.) მხილველნო (.) შენდობა ბრძანეთ (.)

აბესალომ მაჩაბლის საფლავთან არ არის მისი მეუღლის — დარიკო ერისთავის საფლავი, რადგან იგი თბილისში გარდაცვლილა ხოლერით, ვეღარ წამოიშვებებიათ და მთაწმინდაზე დაუკრძალავთ მამადავითის ტაძრის შესავალთან გარეთ (საფლავს შავი მარმარილოს ქვა ედო).

თამარაშენის დასავლეთით ტყიან გორაკზე ნანგრევებია ქვის ეკლესიისა — გრიგოლწმინდა. ნაგებობის განი — 4 მ-მდე, სიგრძე (აღმოსავლეთიდან დასავლეთით) — 7, 10 მ, უფრო მთლიანად შემორჩენილი აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე — 3, 2 მ, რომელშიც სარკმელიცაა. ნაგებობას ერთი კარი ჰქონია სამხრეთიდან. შიგ ქვის მაგიდა (ე. წ. ტრაპეზის ქვა) დგას და იქვე ქვის ჯვარი ძევს.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. ახლა ამ სასაფლაოთი სარგებლობს ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ს. კვერნეთის (ცხინვალის რაიონის ძარის ს. ს.) 20 კომლამდე მცხოვრები (ოსები: გვარად ჩაბიევები, ქასაბიევები, კოჩიევები).

საფლავის ქვების წარწერები ახალია; ასე, მაგალითად, ერთ-ერთ მათგანზე აღნიშნულია:

ჩ(ა)ბ(იევი) ქარჩივის ასული გარდაიცვალა მაისის 24 დ(ღეს) 1899 წ. შენდობა მიბრძანეთ.

მეორე საფლავის ქვაზე (ზევიდან) იკითხება:
 მომიხსენე მე(.) უფალო(.) ოდეს მოხვიდე სუფევითა
 შენითა(.) ვარ საშე სოლო ხეთაგურის ასული(.)

(ქვის სამხრეთით)

ბიბო ქოჩიშვილის მეუღლე(.) წამკითხველნო(.) შენდობა მი-
 თხა(-) რით(.) (გარდავიცვალე) 1902 წელს აპრილის პირველსა.

ივანე მიხეილის ძე მინდიაშვილი (1908 წ. დაბადებული, თამარაშენელი) ამბობს (18. VIII. 1956 წ.), რომ მას ეს ეკლესია ახსოვს მოქმედი და გაწყობილი.

აქ იმართებოდა დღეობა, რომელზეც ქართველები და კვერნეთელი ოსები მოდიოდნენ.

თამარაშენის ჩრდილო-დასავლეთ უბანში არის ნანგრევი, რომელსაც **ციხისჯვარს უწოდებენ**; იგი ძველი ჩანს.

ფული და ზოგი სხვა სიძველეები დავით მაჩაბლის ეზოსა (კერძოდ — სახორბლე ორმოებთან, — ზურაბიანთ სახორბლე) და თამარაშენის ახლანდელი კოლმეურნეობის ბოსელთანაც აღმოჩენილა და ცხინვალის მუზეუმში ჩაუტანიათ.

ა ჩ ა ბ ე თ ი

აჩაბეთი მაჩაბლის მთავარი რეზიდენცია იყო. ის აქ 1469 წლიდან ჩანს. წინათ მას მთავრად არც ვახუშტი იხსენიებს. გვარი **მაჩაბელი** აფხაზეთიდან მოსულა და აფხაზი **ანჩაფაძის მემკვიდრედ ითვლებოდა**.

მაჩაბლების ერთ შტოს ამბროლაურის (ნიკორწმინდასთან) სიმაგრე ეკუთვნოდა. მეორე შტო ახალციხეში ჩანს გამუსულმანებული და ერთ-ერთი მათგანი ახალციხის კომენდანტადაც იხსენიება, მაგრამ მაჩაბლების ძირითადი მასა მაინც ლიახვის ხეობაში სახლობდა (მ. ბროსე).

მაჩაბლები მეფის მოურავებად იყვნენ პირველად ლიახვის ხეობაში. მათ ეკუთვნოდათ მდ. ლიახვის თითქმის ორივე ნაპირი. ასე მაგ.: ლიახვის მარჯვენა ნაპირზე — ნიქოზი, ცხინვალი, აჩაბეთი, მონასტერი, ქურთა, კეხვი, მსხლები, ჯავის ხეობა მთლიანად, მუგუთის ხევი; ლიახვის მარცხენა ნაპირზე — მელვრეკისი, ხეითი, საბაწმინდა, სვერის ხეობა და სხვა.

პროფ. ალ. ცაგარლის გამოანგარიშებით, 1771 წ. მაჩაბელს 800 კომლი მარტო ოსი ეკუთვნოდა; მასვე ქართველი გლეხებიც ჰყავდა.

1772 წელს მცხოვრებთადმი, განსაკუთრებით ჯავის ხეობის ოსთადმი (მაჩაბლის ხიზნებად ითვლებოდნენ) სასტიკი მოპყრობისა და აუტანელი გადასახადების მოთხოვნის გამო, მეფე ერეკლემ (II) მაჩაბელს ჯავის ხეობა ჩამოართვა და ის უფლისწულ გიორგის დაუმტკიცა. ზაზა მაჩაბელი მაინც იმავე ერეკლე მეორის მიწაშად (ათასის თავად) იხსენიება (აკად. გიულდენშტედტი, პროფ. ს. ბეზსონო-

ვი). აჩაბეთში აკად. გიულდენშტედტი 1770 წელს ყოფილა და სი-
მაგრეს ცარიელ ციხეს უწოდებს. ეს ციხე 1744 წელს ლეკებს აუკ-
ლიათ, 1754 წელს ჩონ-
ჩალ-მურზას აუოხრებია,
მაგრამ მაინც ვერ მოუ-
სპიათ.



სურ. 48. აჩაბეთის ციხის გეგმა

აჩაბეთშივე ციხის და-
სავლეთით გორაკზე (კვი-
რაცხოვლის წმ. გი-
ორგის ეკლესიასთან) კო-
შკი ყოფილა, რომელ-
იც აღწერილი არ ჩანს.
მისი აღმოსავლეთი კე-
დელი ახლაც დგას. მო-
ხუცი მის. ჭულუხაძე
ამბობს, რომ ეს ჭულუ-
ხაძეების სიმაგრე იყო: ბაბუციძეები ზემო აჩაბეთში შემდეგ ქვე-
მო აჩაბეთიდან ჩამოსახლდნენო. მონასტრისა და მის დასავლე-
თით ხუციურის ეკლესიასთან ჩვენ ვსახლობლითო. ხუცი ჭულუ-



სურ. 49. აჩაბეთი. ციხე
სამსრეთიდან



სურ. 50. აჩაბეთი. ესტატეს ბაზილიკა
აღმოსავლეთიდან

ხაძის ქალი თამარის მსახური ყოფილაო, მის სახსოვრად ააშენებინა თამარ მეფემ ხუციურის საყდარიო. ვლ. ბურნაძე აჩაბეთში კვალინიძეების, ოტიაშვილებისა და რაზმაძეების საყდრებსაც ასახელებს.

ზემო აჩაბეთში საყურადღებოა უეგუმბათო ბაზილიკა, რომელსაც პროფ. ს. ბეზსონოვი უსახელოდ იხსენიებს და მე-12 საუკუნისად თვლის. ეს მცირე ბაზილიკა (6×4 მ) ქვითაა აშენებული და გადახურული. საყდრის აღმოსავლეთით სარკმლის ზედაქვაზე გამოსახულია ორ წრეში ჩსმული ოთხკუთხოვანი პატარა ქართული ჯვარი. ჯვრის სამხრეთით შემდეგი მრგლოვანი მოგრიძო (8-10 სმ) 4 ასოა:

შხც

ე

მე თავში ე-ზე დაწყებულმა რამდენიმე სახელმა გამიეღვა. გამოირკვა, რომ ეს ევსტათის სახელობის ეკლესიაა. მას აქ ესტატეს სალოცავს უწოდებენ.⁶¹ ეს ეკლესია წინათ ძლიერ ძალად მიაჩნდათ და პატივით ეპყრობოდნენ.

საყდარს სამხრეთიდან, რაზეც ჩვენი ყურადღება დოც. ლ. რჩეულიშვილმა მიაქცია, კარიბჭე (სტოვა)⁶² ჰქონია მიშენებული. არაა დიდი ხანი, რომ იგი დანგრეულა და მისი ჩუქურთმიანი ქვები თბილისში, ჩვენი აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმში, ჩამოუტანიათ. ჩუქურთმები მე-10 საუკუნისათვის დამახასიათებელი ყოფილა. ესტატეს ანუ ევსტათის ეკლესიის აქ არსებობა მეტად საინტერესოა. ნიქოზში წმიდა რაჟდენის საფლავი იხსენიება, ზემო აჩაბეთში წმიდა ევსტათის და უკანასკნელიდან ერთ კილომეტრზე (თირის მონასტრისაკენ, გორაკზე) აბოხ წმიდა გიორგის სახელობის ძველი საყდრის ნანგრევებია.

61 ს. შაკალათია ერთწმინდის ეკლესიას (თეძამის ხეობაში, XI ს.) ევსტათი წმინდისად თვლის ერთა სიტყვის ესტატესთან დაკავშირებით.

62 „ძველი ქართული ხელოვნობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სტოვა“, ანუ იგივე სტოვა, ანუ შტოვა, რომელიც „სვეტებიან გვერდებზე ღია კამაროვანი შენობა იყო ტაძრის ან სასახლის“ შესასვლელს; შემდეგ გვხვდება ისეთი ტიპიც, რომელსაც „სვეტებს შუა ადგილი მკვიდრი კედლებით“ აქვს ამოშენებული. იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 103-105.

აქედან სრულებით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ეს მეორე საყდარი ევსტათი მცხეთელის სახელობისაა. ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ქართული ეკლესიის სამი წამებულის: რაყდენის, ევსტათისა და აბოს სახელობათა ეკლესიების აქ ურთიერთის მახლობლად არსებობა საყურადღებო ფაქტია.

თირის მონასტერი

ცხინვლიდან 8 კმ-ზე, აჩაბეთს ზემოთ, მდებარეობს არაკომპაქტურად დასახლებული სოფლის ორი უბანი — ქვემო და ზემო მონასტერი. ტაძარი ქვემო მონასტერშია. მას თირის მონასტერს უწოდებენ. იგი აქაურ სიძველეთა პირველ სიაში⁶³ ზოგადად და უთარილოდ აგრე იხსენიება — „მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია ყველა თავისი ძველი შენობებით და ნანგრევებით“.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის ძეგლთა სიაში“⁶⁴ კი ძეგლები ჩამოთვლილია და ნაგარაუდები თარიღებიც არის აღნიშნული: — „ს. ქვემო მონასტერი — თირის მონასტერი — 1. ღვთისმშობლის ბაზილიკა — VIII ს. 2. სამრეკლო; 3. სატრაპეზო; 4. გალავანი; 5. გამოქვაბულები“, — ყველა „გვიანი შუასაუკუნეები“.

ვახუშტი ბაგრატიონი და მ. ბროსე თარიღის დადებისაგან თავს იჭერდნენ. დ. ბაქრაძე, პ. უეაროვა და შემდეგ სხვებიც ტაძარს 1622 წლით ათარიღებდნენ (იხ. ქვემოთ).

თირის მონასტრის კომპლექსის ერთეულების დათარიღებას მათი აშკარად სხვადასხვა დროს აგების ნიშნები და წარწერათა გვიანდელიობა ართულებს.


ჩვენ ვიხილეთ თუ არა ამ მონასტრის აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებზე დიდი ჯვრების გამოსახულება და 9 სარკმელთაგან 5 გრძელი სარკმელი (იქვე მრგვალი სარკმელებიცაა). ნაგებობა მე-12—მე-13 საუკუნის მიჯნას მივაკუთვნეთ. შემდეგ დავბეჭდეთ (1952 წ.): იგი „თიღვის მონასტრის ხნის (1152 წ.) ვერ იქნება და შევჩერდით XIII ს.-ზე. სხვა ნაგებობები კი XVI—XVII საუკუნეებისაა. ვივარაუდეთ და დიდად გოცებული დავრჩით, როდესაც ჩვენი ნაშრომის გამოსვლისთანავე გამოქვეყნდა ზემოხსენებული

- 63 ზემოხსენებული ბიულეტენი, 1925, № 2, გვ. 24.

64 თბ., 1952, გვ. 62, № 402.

სია და მასში თირის მონასტერი VIII ს. ნაგებობად ვნახეთ მიჩნეული.

შემდეგ გამოიცა „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები“ (თბ., 1959; აქ უკვე თირის მონასტერი (ღვთისმშობლის ეკლესია) XIII საუკუნისად იხსენიება, ხოლო მოხატულობა — XIV საუკუ-



სურ. 51. თირის მონასტერი სამრეკლო იხ. ქვემოთ

ნისად. ჩამოთვლილია კომპლექსის ზემოთ დასახელებული ხუთივე ერთეული.

უფრო ზუსტია ნუგზარ ანდლულაძე, რომელსაც ამავე არქიტექტურული კომპლექსის ერთეულებად დაუსახელებია „მოზრდილი ზომის, თლილი ქვებით ნაგები და დეკორატიულად ნორთული დაბაზული ეკლესია — სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენებით, სამრეკლო, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი ბერთა სენაკები, გალავანი და კიდევ ორიოდ, ნანგრევებად ქცეული, ნაგებობა“⁶⁵

ავტორი ტაძარს XIII ს. მეორე ნახევარს აკუთვნებს, სამრეკლოს — XIV ს.-ის უკანასკნელ მეოთხედს, კარიბჭეს სამხრეთი ეკვდერითურთ — XV ს., ხოლო თაქთაქიძის წარწერიან საძვლე ეკვდერს XVII ს. 80-იან წლებს⁶⁶

⁶⁵ „მაცნე“, 1969 წ., № 6, გვ. 195.

⁶⁶ იქვე, 1970 წ., № 5, გვ. 79.

მონასტერი 1811 წელს სამრევლო ეკლესიად უქცევიათ.

თირის მონასტერი საშუალო სიდიდის უგუმბათო ნაგებობაა. იგი მშენებრიად დახვეწილი ქვებითაა აგებული (იხ. სურ. 51), მას სახურავის დასავლეთ წიბურზე საყდრის მოდელი ადგას, აღმოსავლეთისაზე კი — ყოჩის გამოსახულება.

თირის მონასტერი საშუალო სიდიდის უგუმბათო შენობაა. კედლებს, განსაკუთრებით კარებსა და ჩარჩოებს, შესანიშნავი ჩუქურთმები აქვთ. შიგნით, კერძოდ, საკურთხევლის ქერი საინტერესო ფრესკებითაა შემკული.

უძველესი წარწერა ტაძრის დასავლეთით მდებარე სამრევლო-ზეა. ის მ. ბროსეს უმნიშვნელო ცვლილებით აქვს გადმოღებული (გვ. 60). წარწერას შესწორებით ვებეჭდავთ და დამატებებსაც აქვე ვათავსებთ. ხსენებულ სამრევლოს აღმოსავლეთ კედელზე, კარის ზემოთ, წერია:

თ ჯ რ ხ რ ი ბ
თ რ თ ნ ნ დ ყ ზ
ს ჯ ღ ნ ს : ბ ჯ : ნ ს ნ თ ს
ბ ნ : ჯ რ უ ს : ბ ჯ : ბ ნ ნ ს ბ
რ უ ს ს ნ : ბ ნ : ბ დ ყ რ უ
თ ნ ბ თ ბ ნ : ყ რ ი რ ნ რ

სურ. 52. თირის მონასტერი. სამრევლოს კედლის წარწერის მონახაზი

თავხელი(ს)⁶⁷
ძეთა საოშ და
რატის: და: ასათს

67 სიტყვის დაბოლოება ი ქვაზე არ ირჩევა. მ. ბროსეს კი უმნიშვნოდ უწერია; ასევე, სიტყვაში ხელი ჯ-ს სწორად წერს, მაგრამ წარწერაში ხ წერია; (გვ. 60); ქვაზე ი-ს მაგიერ, თითქოს, მ წერია, ე. ი. გამოდის თავხელმან, მაგრამ არა. წარწერა ს. ბეზსონოვის ესტამპაჟით გადაუღია; მისი სურათი (იხ. დასახელებულ ნაშრომში, გვ. 234), ძლიერ მკრთალია.


და: ხელს: და მჩაბ
ელსა: და: მ(შ)ობელ⁶⁸
თა: მათთა შნ ღნ ან:

უკანასკნელ სტრიქონში შემოკლებული:

შნ ღნ ან

ნიშნავს: „შეუზღვენ ღმერთმან, ამინ;“ წინა სტრიქონები ისედაც უქარაგმონია.

მ. ბროსე დ. მეღვინეთუხუცესისშვილის წაკითხულ ერთ მხედრულ წარწერას აქვეყნებს, რომელიც ტაძრის ჩრდილოეთი სამლოცველოს (ეკვდერის) კარის თაღზეა ამოკვეთილი. ტექსტი ასეთია:



სურ. 53. აჩაბეთი. თირის მონასტრის ეკვდერის კარის თაღის წარწერის მონახაზი

„ქ. შეწვენიოა ღ(ვ)თისათა, მეოხებითა თავდებისა ღვთისმშობლისათა, ჩვენ: თაქთაქიქემ, მრულევის ეპისკოპოზმან ფილიპემ და არდაშელმა; და ძმამან⁶⁹ ელისბარ, აღვაშენეთ საყდარი ესე წმილისა

⁶⁸ ქვაზე მოშობელ წერაა.

⁶⁹ 5. ან დ ლ უ ლ ა ძ ე სწორად გადმოსცემს ასოებს ჩემან („მაცნე“, 1969, № 6, გვ. 203), მაგრამ აზრით ძმამან უნდა წავიკითხოთ.

ნიკოლაოზისა, სულისა ჩვენისა სახსრად. ოდეს ბედნიერს კელმწიფეთაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ და სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა (და) ეს ეკუდერი აღვაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ. ქკს ტი“.

ქორონიკონი ტი — 310 (+1312) = 1622 წელს.

დ. ბაქრაძე და პ. უვაროვა თირის მონასტრის აშენების თარიღად ამ წელს ცნობენ,⁷⁰ მაგრამ ეს სწორი არაა.

ასეთი მხედრული წარწერა მოთავსებულია თირის მონასტერზე ჩრდილოეთიდან მიდგმული შენობის (ეკვდერი) დასავლეთი კარის თავზე (და არა ჩრდილოეთის, როგორც ამას მ. ბროსე წერს). წარწერა ძალიან ძნელად ირჩევა. უკანასკნელში პირდაპირაა თქმული: „ჩვენს ნათესავთა... მოსცემოდა ეს მონასტერი“, რომელშიც „მამა-პაპა მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა“, „სასაფლაოს შეუმატეთ“, ე. ი. ხსენებული ეკვდერის მრულევის (მროველი) ეპისკოპოზის ფილიპესა და სხვათა მიერ აშენებისას, თირის მონასტერი უკვე აშენებული ყოფილა, და იქვე საფლავებიც არსებულა.

გარდა ამისა, თირის მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისაა. მის შესახებ არ იტყოდნენ: „აღვაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლაოზისა...“

მაშასადამე, ამ წარწერაში ლაპარაკია თირის მონასტრებთან მდებარე ნიკოლაოზის ეკლესიის შესახებ. სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ნიკოლაოზის ეკლესია ს. ქვემო აჩაბეთშიც არსებობს. მის შესახებ ს. თამარაშენის მცხოვრებმა კოლმეურნე ვლ. გ. ბურნაძემ (81 წლისა)⁷¹ გვითხრა, რომ ესე იყო მაჩაბელთა ერთი მოდგმის სასაფლაო (მეორენი საბაწმინდაში იმარხებოდნენ).

მეფე ვახტანგ VI თირის მონასტერში უცხოვრია. ამის გამო მონასტერში საფლავის ქვაა, რომელზეც შემდეგი საყურადღებო წარწერაა.⁷²

70 Д. Б а к р а д з е, Записки Общ. любит. Кавк. арх., т. I, с. 144—145; П. Уварова, Мат. по арх. Кавказа, т. IV, с. 175.

71 იგივე ჰარმაგი მოხუცი ვ. ბურნაძე გვაწოდის ცნობებს, რომ თირის მონასტერს ორი უბანი აქვს; მკვიდრები ზოზიანთი (ზოზიაშვილები) არიან.

თირის მონასტრის აღმოსავლეთით მდებარე აბოწმინდის წმ. გიორგის ეკლესია კვალინიძეების იყო.

72 ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი ზის.

„ქ. ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ძმის, ყოვლად შემეკულის ბატონის

ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სა-
მკვიდროსა მამულსა ჩემსა, სოფელსა
ამას, რაოდენთამე წელთა, და მიი-
ცვალა ძე ჩემი, პირმშო, ბატონისშვილი როსტომ,
და დავფ-
აღ ეკლესიასა ამას შინა, სამკვიდროსა მამულსა ჩემსა.

ქ. ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ძმის, ყოვლად შემეკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სა-
მკვიდროსა მამულსა ჩემსა, სოფელსა ამას, რაოდენთამე წელთა, და მიი-
ცვალა ძე ჩემი, პირმშო, ბატონისშვილი როსტომ, და დავფ-
აღ ეკლესიასა ამას შინა, სამკვიდროსა მამულსა ჩემსა.

ქრისტეს აქეთ⁷³—ჩქპთ“.
ე. ი. ვახტანგ VI შვილი როსტომ გარდაცვლილა და აქ 1689 (ჩქპთ) წელს⁷⁴ დაუსაფლავებია.
მ. ბროსეს არ გადმოუღია, მაგრამ იქვე მეორე საფლავის ქვაცაა. თავისივე მის ამოკვეთილ ნაწილში მარმარილოა ჩასმული, შემდეგი წარწერით:

სურ. 54. თირის მონასტერი. ვახტანგ VI შვილის როსტომის საფლავის 1689 წლის წარწერა.

73 აღვილზე წერია აქათ.

74 ეს თარიღი ეპიქვეშ დააყენეს ჯერ მ. ბროსემ, შემდეგ — დ. ბაქრაძემ, დ. ბრეგაძემ და ბოლოს ნუგ. ანდლულაძემ (დაწვრილებით იხ. „მაცნე“, 1969, № 6, გვ. 207, შდრ. ქვემოთ). უკანასკნელი წერს: „როსტომის საფლავის ეპიტაფია შესრულებულია 1703-4 წლების შემდეგ და არა 1689 წელს, როგორც ამას წარწერის ქორონიკონი გვამცნობს“ (იქვე, გვ. 208).

ავტორის ვარაუდს — „იგი მცირეწლოვანი გარდაცვლილა“, მხარს არ უჭერს წარწერიანი ქვის მოცულობა.

„...გიდ პირისპირ ერევნისა:

(ვა)ეცხადა ომი ფიცხელი და მღერა ჭაბუკთა:

და ბრძოლა ძლიერი იქმნა ნიად სამოკვდაო:

გული გეტყვის განსვლად და პატრონთ ვალის გადახდად:

მით არ ვერიდე მეფისწინ სისხლთ ჩემთა თხევად.

და მივეცი მიწა მიწად წლსა ოცდაოთხისა:

თთვესა ოქტომბერსა⁷⁵ გ: ქკს უფგ.“

როგორც ქორონიკონი გვიჩვენებს, ფაქტი 1775 (უფგ=463+1312) წლის 3 ოქტომბერს მომხდარა. მ. ბროსე აღნიშნავს მხოლოდ თარიღს 466 (!)(=1777 წელს), და შენიშნავს, რომ აქ გიორგი მაჩაბლის შვილი ერეკლე მარხია, რომელიც ერეკლე II დროს მოუკლავთ ერევანშიო.

ტაძარში საფლავის სხვა ქვებიცაა და ზოგი მათგანი — წარწერითაც. ერთი ორი მეტრის სიგრძის და მეტრი განის ქვაა, რომელსაც შუაზე მთელ სიგრძეზე ამობურცული ხაზი გასდევს, ე. ი. ამ ერთი ქვის ქვეშ ორი ვინმეა დასაფლავებული.

სამხრეთი კარის შესასვლელის, ერთ დიდ ლოდზე, იკითხება, რომ აქ „მაჩაბლის ზურაბის ასული“, ქკს ტმზ-ს (342+1312)=1654 დაუსაფლავებიათ.

ამ მონასტერს თირის იმიტომ ჰქვია, რომ აშენებულია ყვითელ თირიან (რბილი ქვის) ადგილზე. კლდეში თირი ფენებადაა დალაგებული. ფენასა და ფენას შორის თირზე უფრო რბილი ფენაც მოხვედრილა, უკანასკნელი გამოფიტულა, დროთა განმავლობაში ეხები შექმნილა; შემდეგ ის გაუფართოებიათ, ე. ი. მღვიმეებად უქცევიათ, და ისაა, ბერების სენაკებს რომ უწოდებენ.

საქართველოში მეგალითური, ანუ ციკლოპური, ნაგებობები არცთუ ისე იშვიათად გვხვდება.⁷⁶ ეხის პირდაპირ ან მისი ხელოვნურად გაფართოების (მღვიმეების) საცხოვრებლად გამოყენების გარდა, მიმართავდნენ ლოდებით (კირის გარეშე ქვის ქვაზე წყობით) თავშესაფრებისა და საცხოვრებელი „სახლების“ აგებას. საქართველოს მთიან ადგილებში უმთავრესად, და ასევე დიდი ლიახვის სათავეში, ზილდეს პლატოზე, ხოძსა და ერმანს შორის მდებარეობს მეგალითური დიდი ნაციხარი „ზილდე მამიგ“ (იხ. ედისი; პროფ. ლ.


⁷⁵ წერია ოქტომბერსა.

⁷⁶ ლ. მელიქსე თ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938.

მელიქსეთ-ბეგი, ე. პჩელინა). მსგავსი ნაციხრები გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც, და მათ გმირთა ან ღვთის ნასახლარს უწოდებენ.

თირის მონასტრის მიდამოს შესახებაც ამბობს ხალხური გადმოცემა, რომ აქ, ძველად, გმირები ცხოვრობდნენ გამოქვამულებშიო. (მთქმელი — ნიკ. ვ. ბაგაევი, თირის მონასტრის მეზობელი სოფლის — დამპალეთის მცხოვრები, დაბად. 1900 წ.).

თვით მონასტერი დოღოთის ქვითაა აშენებული. ეს ქვის საბადო აქედან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და არც ისე შორსაა. ლიტერატურაში თითქოს არ შეგვხვედრია, მაგრამ უეჭველად აღსანიშნავია თირის მონასტრის სამრეკლოს დასავლეთ კედელზე ამობურცვით გამოსახული გველი და კაცი.



სურ. 55. თირის მონასტერი. სამრეკლოს დეტალი (კაცის ბრძოლა გველთან)

გამოსახულება არაპროპორციულია. კუდმოგრებილი გველი გრძელი და მსხვილია, ხოლო მის თავთან ახლოს მდგომი კაცი პატარაა. გველს კუდი დაახლოებით ისე მომრგვალებულად აქვს მოგრებილი, როგორც ნიქოზის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის იმ გამოსახულებაში, რომელშიც წმინდა გიორგი შუბს სცემს გველს (ვეშაპს).

ორი ძმის ის თქმულება, რომელიც ზემოთ ნიქოზის შესახებ აღ-

ვნიშნეთ, სოფ. კეხვის მცხოვრებლებმა: ან. და გ. ზანგალაძემ, ი. ნე-
ბერიძემ (1952 წ.) ამ ეკლესიაზეც გვიამბეს გადმოცემითო, ერთი ძმა
რომ ამ თირის მონასტერს აშენებდა, მეორე—ლოდლოთში ქვას თლი-
და. ქვასატეხ ადგილას გველები იცის. ერთ ასეთს ეკბინა ქვის მთლე-
ლისათვის და მოეშხამა, მეორე ძმას რომ სხვისი გათლილი ქვა მოუ-
ტანეს და ქვა ქვას არ მიუდგა, მიხვდა, რომ ის მისი ძმის გათლილი
არ იყო. წავიდა, ძმა მკვდარი აღმოჩნდა (ზოგიერთის თქმით გველიც
იქვე წახრჩობილი ეგდო); აი, ეს შემთხვევაა ამ სამრეკლოს ქვაზე
გამოსახულიო.

შესაძლებელია, რომ ეს გამოსახულება სწორედ ამ თქმულებაში
აღნიშნულ ფაქტს გადმოგვცემდეს, მაგრამ არაა მოხსნილი შესაძ-
ლებლობა, რომ აქ ბიბლიური იონასა და ვეშაპის ამბავი იყოს გამო-
სახული.⁷⁷

* * *

ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ გა-
მოქვეყნდა ხელოვნებათმცოდნის ნუგზარ ანდლულაძის ორი საყუ-
რადღებო წერილი „თირის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია“.⁷⁸

ავტორი პირველ გამოკვლევაშივე მიუთითებს: მ. ბროსეს, დ.
ბაქრაძის, პ. უვაროვას, ს. ბეზსონოვის, რ. შმერლინგის, ი. მეგრელი-
ძის, რ. მეფისაშვილისა და სხვათა ნაშრომებზე, ასახელებს წარწე-
რათა კითხვისხვაობასა და პარალელებს, მაგრამ მეორე წერილში კი

77 ნაშრომის არსებითი ნაწილი სათანადო დამატებით შევიდა ი. მეგრე-
ლიძის მოხსენებაში, რომელიც სათაურით „დიდი ლიახვისა და ქსნის
ხეობების სიძველეთა წარწერების შესახებ“ წაკითხული იყო
ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 20 წლისთავისადმი მიძღვ-
ნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე 1952 წლის 27 დეკემბერს. (თეზისებ-
იხ. „ქართულ და ოსურ ენათა კათედრის სამეცნიერო სესია. ქსნის ზეო-
ბის 1952 წლის დიალექტოლოგიური ექსპედიციის შედეგები. 1952 წლის 27 დე-
კემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებებითი თეზისები“; ცხინვალი,
1952 წელი, გვ. 20-23). იმავე ავტორის წერილი „სტალინისა და მისი
მიდამოების სიძველეები (წერილი პირველი)“ დაიბეჭდა გაზ. „საბჭო-
თა ოსეთის“ № 7 (5092), 10. I. 1953.

78 „მაცნე“, საზოგად. მეცნ. განყ. ორგანო, 1969, № 6, გვ. 77-102; 1970;
№ 5, გვ. 76-102.

აცხადებს: „თირის მონასტრის წარწერები ჩვენ მიერ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული“.⁷⁵

ეს ავტორს სწორედ წარწერათა მიმართ არ ეთქმოდა.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ თირის ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენის ქვაზე ჯვრის ირგვლივ არსებულ წარწერაში ქორონიკონი ტი ნ. ანდლულაძეს ტო-დ გადაუსწორებია! მკვლევარი აცხადებს: თავდაპირველად აქ ჩვენც ტი-ს ვკითხულობდით, მაგრამ ეს 1622 წ. ნიშნავს და მოხსენიებული პირები კი ქორონიკონ ტო-ს (1682 წ.) უნდა ეკუთვნოდნენო; წარწერა შლად ქვაზე წერია და ო-ს, ალბათ, მეორე კბილი მოეშალა და ი მივიღეთო.⁸⁰ ჩვენ ეს წარწერა 1970 წლის დეკემბერშიც ვნახეთ, მაგრამ ადგილზე სწორედ ტი იკითხება, ი-ს ვერავითარი ნაკლებობა ვერ შევამჩნიეთ...

თირისავე მონასტრის ერთ-ერთ წარწერაში ჩვენი პუბლიკაციით იკითხებოდა: „თავხელიძეთა საოშ და რატის...“ ნ. ანდლულაძე კი კითხულობს: „თავხელისძეთა, სიაოშ (ან სიაუშ) და რატის...“ ნ. ანდლულაძის მიერ გამოქვეყნებული წარწერის ასლიც მხოლოდ პირველ წაკითხვას ამართლებს. სხვა მხრივ, ვიმეორებთ, ნ. ანდლულაძის ორივე წერილი — მთლიანად ნაშრომი — სათანადო მეცნიერულ დონეზე დგას და მოსაწონია.

თირის მონასტერი ჩვენ — წინამდებარე სტრიქონების ავტორმა, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ლექტორმა ი. დუდაევმა, სტუდენტმა ა. კაპანაძემ და ს. აჩაბეთის მკვიდრმა ილია ალექსანდრეს ძე მეტრეველმა 19. IV. 1974 წელსაც დავათვალიერეთ. ეს სიძველეები მეტ ყურადღებას საჭიროებს. გამოვიძახეთ ადრევე ჩვენი რეკომენდაციით დანიშნული დაცვის რწმუნებული ალექსანდრე როსტომის ძე კოტაევი (დაბ. 1904 წ.) და დაცვის გასაუმჯობესებლად ზოგი დავალებაც მივეცით.

აქვე წარმოვადგენთ ადრევე გადმოწერილს, მაგრამ მაშინ საექვოდ წაკითხულსა და დაუბეჭდავ წარწერებს. ეკვდერის დასავლეთ კედელზე, კარის მარჯვნივ, ამოკვეთილია ორსტრიქონიანი მრგლოვანი ასოებით შესრულებული წარწერა (სურ. 56), რომელიც ნ. ანდლულაძემ დედნის მოხაზულობით. „ქარაგმების გახსნით, დაკარგული ნაწილების აღდგენით“ და მხედრულზე ტრანსლიტერაციითაც გამოაქვეყნა.⁸¹

79 „მაკნე“, 1970, № 5, გვ. 75, შენიშვნა (ხაზი ჩვენია, ი. მ.).

80 იქვე, 1969, № 6, გვ. 203—204.

81 იქვე, 1969, № 6, გვ. 198. (სურ. 56. ასოები ძალიან ჰგავს ზღუდრის ეკლესიის წარწერებს). შდრ. მეფისაშვილისა და ცინცაძის შემოხსენებული წიგნი, გვ. 128.

სტრიქონები აგრე იკითხება:

„ქ. მოლარეთუხუცესისა⁸² ხელას ერთგ[ულსა]
მახატლიშვილსა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან“.

ქ. მოლარეთუხუცესისა
მახატლიშვილსა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან

სურ. 56. თირის მონასტერი. ეკვტერის მრგვალი სარკმლის
მარცხნივ დაცული სამშენებლო წარწერის მონახაზი

(იმავე კედელზე სხვა წარწერებიც ჩანს).

ნ. ანდლულაძე ყურადღებას აქცევს მცხეთის სიგელს (თ. ყორ-
დანას დათარიღებით 1401—7 წ.), იერუსალიმის აღაპების წიგნის
ელ. მეტრეველისეულ პუბლიკაციას, გ. თოგომვილისა და ი. ცხოვ-
რებოვის დოკუმენტურ მასალებს (გუჯარი 1432 წლისა) და სხვას,
სადაც კი მოლარეთუხუცესი ხელა, დედამისი — სოსანა, მამა —
ასათი, ძმა — გოგნია, და — გულბარი, ხელას პირველი თანამეცხედ-
რე — ქვენიფნეველის ასული თამარი, მეორე მეუღლე — ათაბეგის
ასული გულქანი, გოგნიას ცოლი — კეკელუცა იხსენიებიან და დამა-
ჯერებელ დასკვნებსაც იძლევა.⁸³

ეკვდერის მრგვალი სარკმლის მარცხნივ ერთ-ერთ ქვაზე ასო-
მთავრული ჩაკეცილი წარწერაა:

„წ. მოიხსენე, უფალო, ამისი
აღმშენებელი მროველი ფილიპე, ამინ“.⁸⁴

ნ. ანდლულაძე ყურადღებას აქცევს, რომ იგივე მრუველი, მრუ-
ელ (მროველი) გვხვდება ეკვდერის ინტერიერის წარწერაშიც; ფი-
ლიპეს თვლის „რუისის მთავარეპისკოპოზ თაქთაქიმედ და მის

82 ორ სიტყვად წარმოდგენილ მოლარეთუხუცესში უ-ც ო-თი არის აღნიშ-
ნული.

83 იქვე, 199—202.

84 ნ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205; უ აქაც ო-თი არის აღ-
ნიშნული.

ძმებს — არდაშელსა და ელიზბარს თირის ღვთისმშობლის ეკლესია
 ის გვერდით არსებულ წმ. ნიკოლაოზის ამგებლებად მიიჩნევს
 (XVII ს. 80-იანი წლები; ჩვენით — 1622 წ.).

ჩეღაწუ: მუხა: ნას: .
 დეჟნუჟე: ჭუნუ: სნ:

სურ. 57. თირის მონასტერი ეკვეტერის მრგვალი სარკმლის
 მარცხნივ დაცული სამშენებლო წარწერის მონახაზი.

თირის მონასტერში უკანასკნელად ყოფნისას კიდევ ერთხელ
 წავიკითხეთ, რომ ზემოხსენებული „მაჩაბლის ზურაბის ასული“
 (გვ. 249) ჩათვლილია როქად (როქი — განსაცემელი, საბოძვარი) —

„ქ. უკეთუ ესე/ ენებოს ცნო/ბა(,) სამარხოვანს/ ამას მდებარეა/
 როქი გვაში მა/ჩაბლის ზურაბის/ ასული სნფრე(?)... ვინც /მიხი-
 ლოთ(,) შენ/დობა ბრძანეთ(!) ქკს ტმბ“ (1654).

ტმბ გვეჩვენება ტჷბ-დაც (392+1312=1792 წ.), მაგრამ სწორი
 პირველი უნდა იყოს.

სამრეკლოს დასავლეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვარჩევთ
 წარწერას:

(ზემოდან)

„არ შემობრალა სიკვდილმა(,) მაგრათ მაკიდა ხელია,
 ვეხვეწე ჩემს მოკეთებსა და გადაუგდე ყელია(.)
 ეცადნენ(,) ველარ მიშველეს(,) ჩემზედ აიღეს ხელია(.)
 მე ჩამასვენეს შავს მიწაში(,) სამარეს ყოფნა ძნელია(.)
 ვარ საბა გაბრიელის ძე ზოზიაშვილი(.)

(ქვის ჩრდილო მხარეზე)

აღვსრულდი 19 აპრილის 1897 წ. /შობითგან ვიყავი 45 წლის(.)

დამრჩა მტირალი მეუღლე და ორი ქალი(.) შენდობა ბრძანეთ(!)“.

იქვე, ერთ-ერთ ქვაზე ვკითხულობთ:

„მომიხსენე(.) უფალო, მე(.) ვარ ლენტო ვასას ძე ჭულუხისძე...“

ა. რ. კოტაევი ამბობს: აქ ყველა მახლობელი სოფლიდან მოდიან კვირაცხოვრობას (ახალკვირა), განსაკუთრებით — ჭულუხიძეები, ბაბუციძეები და ზოზიაშვილები, მოაქვთ სანოვაგე და ერთობიანო.

ზემოხსენებული ილია მეტრეველი ა. კოტაევის ნათქვამს უმატებს: — ამ ღვთისმშობლის ეკლესიაზე 21 სექტემბერს მოდიოდნენ აჩაბეთის, დამპალეთის, ქუთისის და ყველა მახლობელი სოფლელები. 21-ს ლხინი იყო, შემდეგ უმრავლესობა მიდიოდა, ზოგი კიდევ რჩებოდა ნასუფრალზეო. კვირაცხოვრობას, უმთავრესად, მიცვალებულების პატრონები დადიოდნენო.

იგივე დასძენს: აღდგომასა და აღდგომის ორშაბათსაც მოდიოდნენ აქვე მიცვალებულების პატრონები, მაგრამ ამ ორშაბათს უმრავლესობა მაინც ზვარეთობაზე იყრიდა თავს აჩაბეთში, „წმინდა გიორგის საყდრის სასაფლაოზე დადიოდნენ“.

ზემოხსენებული თქმულება ხუროსა და გველის შესახებ, რომელშიაც, შეიძლება, წმინდა გიორგის ვეშაპთან ბრძოლა იყოს ასახული, ახლაც მეორდება აქვე.

ეს თქმულება საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტის გალაკტიონ ტაბიძისთვისაც. იგი ამ თემაზე ბალადის დაწერას აპირებდა.⁸⁵

თირის მონასტერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმის გამოც, რომ იგი კლასიკური მნიშვნელობის ძეგლთაგანია საქართველოში მონგოლების ბატონობის ხანისა (XIII—XV ს.), — საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური, საერთოდ, კულტურული ცხოვრებისა და განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურისა⁸⁶ და ხელოვნების⁸⁷ ე. წ. დაცემის პერიოდისა. წინა პერიოდის ქართული ცხოვრების საერთო აღმავლობასთან შედარებით,

⁸⁵ იხ. ჩვენი მოვონებები გალაკტიონ ტაბიძეზე. — ქურნ. „მნათობი“, 1973, № 10, გვ. 131-135.

⁸⁶ შდრ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 299—300.

⁸⁷ იხ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სათანადო ნაშრომები.



მონგოლების ხანაში დაკნინდა და დაქვეითდა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება, მაგრამ უდრეკი ხალხი ამ დროშიც ქმნიდა ისეთ საყურადღებო ძეგლებს, როგორც არის, მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება“ და ხელოვნების დარგში — თირის მონასტერი.

ნიქოზის გამოკლებით, ლიახვის ხეობაში V ს. დიდმნიშვნელოვანი ძეგლები არ გვხვდება. მით უფრო არაბების ბატონობის ხანაში (VIII—IX ს.) ასეთი ძეგლების შექმნის პირობები არ იყო. IX—XII საუკუნეებში კი შიდა ქართლის ამ ნაწილშიც იფურჩქნება ხელოვნება (კუსირეთის, დისევის, ერედვის, საბაწმინდის, ტბეთის, თიღვის, წუნარის, დოდოთის, სოხტის, ნადარბაზევის, ქასაგინის, კვაისის, იკორთის ტაძრები).⁸⁸ XIII—XV სს. საუკეთესო ძეგლებია ამ მხარეში თირისა და ხოფის (ლენინგორი) ნაგებობათა კომპლექსები. ამათ ემატება თავდაცვითი ნაგებობანი (ციხე-კოშკები და საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობათა გალავნები), რომლებიც XVI—XVIII საუკუნეებში კიდევ უფრო მეტი რაოდენობით აგებულა.

მ უ რ ტ ა

სოფელი ქურთა ცხინვალიდან (ჯავისკენ მიმავალ გზაზე) 7 კმ-ითაა დაშორებული. აქვე სასოფლო საბჭოა, რომელშიც შედიან სოფლები: დგერისი, გუჯაბაური, თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ზემო და ქვემო მონასტერი, თვით ქურთა და კეხვი.

ქურთაში ცხოვრობენ ბასიშვილები, ხაჭაპურიძეები, ელბაქიძეები, კაყაშვილები, მისიურაძეები და თითო-ოროლა სხვაც (სულ 180 კომლი).

ქურთა იყო თავად ზაზა იასეს ძე მაჩაბლის რეზიდენცია (იხსენიება 1760 წლის დოკუმენტში). აქვეა ოთხკუთხი. პირამიდული ფორმის კოშკის ნანგრევი (ციხეს უწოდებენ), რომელიც 1955 წელს დაადაბლეს, ხოლო მანამდე გაცილებით მაღალი ყოფილა.⁸⁹

ციხის აღმ. კედელს 9,5 მ განი აქვს გარედან; შიგნით თითქმის კვადრატულია, სამხრეთი კედელი — 6 მ; ციხეში არსებული მარნის რამდენიმე ქვევრი კიდევ მიწაშია დარჩენილი, ზოგიც უკვე ამოუღიათ.

⁸⁸ შდრ. რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ ოსეთში. — ქურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 14, გვ. 9-14.

⁸⁹ შდრ. ს. ბეზსონოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

ციხეში (შესავალს) პატარა ზარი ჰკიდია.

ზაზას მემკვიდრის, გიორგი მაჩაბლის სასახლე და მისგან აღმოსავლეთით მდებარე ცისკარიშვილის (ე. წ. ცისკაროვის დარბაზი) სახლი 1926 წლიდან გამოყენებულია უდედამამო ბავშვთათვის;

სასახლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით უზარმაზარი ცაცხვი დგას. მისი წრეწირი 5 მ-ს უდრის. ამავე სოფელში დიდი კაკლის ხეებიც გვხვდება.

სოფლის დასავლეთ ნაწილში ქვის უგუმბათო ეკლესიაა (განე — 7 მ, სიგრძე — 8 მ, სიმაღლე — 5 მ; შენობა შელესილია).

იქვე, ეკლესიიდან სამხრეთით, ე. წ. **დიდგვერდას გორაკს** (მასზე ორი ბებერი მუხა დგას) **ლეკისჯვარს** უწოდებენ.

ერთ ნანგრევს გერის ნიშად თვლიან. თვით ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისაა, ხოლო დიდ ცაცხვთან მთავარანგელოზის საყდარი მდგარა.

ეკლესიაში დიდი საფლავის ქვაა, რომლის ცენტრზეც დაცემენტებულია თეთრი მარმარილო; მასზე გვირგვინი ხატია; შემდეგ სურათი ყოფილა ჩადგმული. ირგვლივ ამავე მარმარილოზე გამოსახულია ანგელოზები, აგრეთვე ვაზის მტევნები და ფოთლები. მხედრული ასოებით ლამაზად ჩაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი, რომელიც ასე იკითხება:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;⁹⁰
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი;
ბოლოს შეყარნეს მიწაჲმან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!

შემდეგ წერია:

აქა მდებარე თავადი

ზაალ ქაიხოსროს ძე მაჩაბელი

დაიბადა 1826 წ.

გარდაიცვალა 1888 წ. 23 დეკემბერს(.)

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ეკლესიიდან სამხრეთით, ეზოში, ცაცხვის ძირში ერთ საფლავის ქვაზე ირჩევა:

⁹⁰ ქვაზე წერია კ ლ დ ი ა ნ ი.

ჩუნა წელსა აგვისტოს 8 დღესა (=1851 წ. 8 აგვ.).

სხვა ქვაზე (სამხრეთი მხრიდან):

ზაქარია დიმიტრის ძე ბასიშვილი დავიბადე 1810 წ.

მახლობლად მდებარე ქვაზე ირჩევა:

ამა ლოდსა ქვეშა განისვენებს მხნე და კეთილი
სახსოვარი მხევალი ხვთისა(.) ვარ ბარბალე

(სამხრეთიდან)

ზაქარია ბასიევის მეუღლე(.) და რამანა გოჩა(-)

შვილის(.) დავიბადე 1833 წ. აღვსრულდი

1890 წელსა იანვრის 20 დღესა(.) გთხოვთ...

საფლავის ქვათა სხვა წარწერები კიდევ უფრო ახლებია. აქ გვაჩვენებს საეკლესიო დავთრის ნაწილი, რომელიც, ჩვენი სასვენო ნიშნებით, ასე იკითხება:

„აღსარების მოქმელთა სია სამრევლოთა საქართველოს ეპარხიის გორის უეზდის სოფლის ქურთის წ(მი)დის გიორგის ეკლესიათა. ჩუენებითა ჩინთა, წოდებითა. სახელთა, მამის სახელთა, გვართა, სახლობათა მათთა და წელთა შობითგან ჩუა (1860) წლისათვის (შღრ. ქვემოთ).

დავთარში 84 კომლია აღრიცხული მრევლზე მიწერილი კეხვისა და ზემო და ქვემო აჩაბეთის მცხოვრებთა ნაწილითურთ: კეხვიდან 28 კომლი, ზემო აჩაბეთიდან — 8, ქვემო აჩაბეთიდან — 19.

სია იწყება **სასულიერო წოდებით**; დასახელებულია მღვდელი გიორგი გაბრიელის ძე ბასიშვილი (41 წლის), მისი შვილნი (მიხეილ, სიდონია, ევსტატი), „მმანი მღუდლისანი“ (მანასე, ამისი მეუღლე მელანია), ქვრივი რძალი თამარ. შემდეგ არიან „პრიეტნიკი (დიაკვანი) ეფრემ გაბრიელის ძე ბასიშვილი, მეუღლე ამისი გაიანე, შვილი დარია“. „პოდპორუჩიკი თ[ავად]ი დიმიტრი დავითის ძე მაჩაბელოვი (63 წ.), მეუღლე ამისი ნინო არონის ასული (52 წ.) და შვილი ამათი დავით (26 წ.)“. პრაპორჩიკები მიხეილ თეიმურაზის ძე (44 წ.) და ზაალ ქაიხოსროს ძე (33 წ.) მაჩაბლები.

დავთარში შემდეგ ჩამოთვლილი არიან ამათი შინამოსამსახურენი, — **გლუხნი საბატონონი**; ბესარიონ ხუცინაშვილი, გლახა გიორგის ძე ჯიოშვილი და გვარები: თითირაშვილი, თედეშვილი, კაქაშვილი, ჯონაძე, ყოჩიაშვილი, ბასიშვილი, ხაჭაპურიძე, ელბაქიძე.

ხუცინაშვილი, ქასაბაშვილი, ცხოვრებაშვილი, მაისურაძე და მათი ცოლ-შვილი.

სახაზინო გლეხთაგან დასახელებულნი არიან კეხველები: ზანგალაძე, კახნიაშვილი, ნებიერიძე, ბლიაძე, მელანაშვილი.

ზემოაჩაბეთლები: ჭულუხაძე, პაპილაშვილი.

საბატონონი: ღერვენაშვილი, ზოსიაშვილი, რაზმაძე, თვალაშვილი და სახაზინონი: ხაბარელი, ბაბუციძე, ოტიაშვილი.

კიდევ უფრო საინტერესოა ასეთივე სია 1878 წლისათვის. მასში აღნიშნულია სულადობაც და ნაჩვენებია, რომ ქუთისის მრევლი 78 კომლისაგან შედგებოდა, რომ ამ სოფელში 352 მამრობითი სქესისა და 254 მდედრობითი სქესის, სულ 606 სული ცხოვრობდა.

აქაც მრევლი იმავე მღვდელ გ. გ. ბასიშვილს ეკუთვნის, ოღონდ დიაკვან ეფრემ ბასიშვილის შემდეგ სიაში დასახელებულია დიაკვანი იაკობ იოანეს ძე ცაბაძე.

ზემოხსენებული დიმიტრი მაჩაბელი უკვე აღარ იხსენიება და თავადნი იწყებიან დავით დიმიტრის ძე მაჩაბლით. სახაზინო გლეხთა გვარები კვლავ გამოყოფითაა ჩამოთვლილი, ოღონდ, ვინაიდან ბატონყმობა უკვე გადავარდნილია, საბატონო გლეხნი აღარ არიან გამოყოფილი.

მცხოვრებთა რიცხვის დაჯამების შემდეგ მრეველში ცხოვრობს: მამრ. სქესის — 390, მდედრ. სქესის — 304, — სულ 694 სული.

სიას ხელს აწერს „ქუთისის წმინდის გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი გაბრიელის ძე ბასიშვილი“.

თბილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა 1865 წლის 11 აპრილის აღრიცხვის მიხედვით, ხსენებულ სოფლებში ცხოვრობენ: კეხვის საზოგადოების სოფ. კეხვში — 41 კომლი, ქურთაში — 27, ზემო აჩაბეთში — 8, ქვემო აჩაბეთში — 63 და მონასტერში — 2.

კ ე ხ ვ ი

სოფ. კეხვი მდებარეობს ცხინვალიდან 8—9 კმ-ზე ქუთისის სასოფლო საბჭოში. ადგილობრივი გვარებია ბლიაძე, ნებიერიძე, ზანგალაძე, კახნიაშვილი და მელანაშვილი. უფრო ახლებია: ბასიშვილი, რუსიშვილი და სხვები.

კეხველ ზანგალაძეებზე ამბობენ: ბუდით რაჭველები არიანო. იქ რომელიღაც მანჯგალაძეს ბატონის სიმკაცრე ვერ აუტანია და გამოქცეულა: კეხვი სახელმწიფო გლეხების იყო და მათში ჩასახლებულა; მანჯგალაძეს თავი ზანგალაძედ გამოუცხადებიაო.

კეხველი სოფლის კაცი ანდრია გიორგის ძე ზანგალაძე (დაბ. 1896 წ.) აღნიშნავს: ჩემი გვარის პაპაჩემის შტოს ბუწიანთს ან ბეროიანთსაც გვიწოდებდნენ. ჩვენი წინაპართაგანი — გლახაი — შეძლებული, მაგრამ უშვილო ყოფილა. გზაში ბავშვი უპოვნია და შინ მოუყვანია, იგი გაზრდილა საზრიანი, მაგრამ ბუწია (ბუტია) ყოფილაო. დავაუკაცდა, ყაჩაღობასაც კი კადრულობდა და გამდიდრდომის მოდგმას ბუწიანთს უწოდებდნენო. მის შვილთაგანს ბერორქმევეია და ამიტომ ბეროიანთი ან ბეროშვილებიც გვკვიანო, მაგრამ ჩემი პაპის პაპას სოლომონს, პაპა (ბაბუა) ივანეს (მეუღლედ კეხველი ბერძენიშვილის ასული ჰყავდა) და მამაჩემ გიორგის ზანგალაძედ ცნობდნენ და არა შერქმეული გვარიითო. ამასვე ადასტურებდა ანდრიას დედა — კატო თედიაშვილი-ზანგალაძე 1858—1964 წწ.).

სოფელ კეხვის ჩრდილო-დასავლეთით (ტყეში) მდებარეობს



სურ. 58. კეხვი. ციხე დასავლეთიდან

კეხვის ციხე, რომელიც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი გეგმა და ფოტოსურათი გამოაქვეყნა ს. ბეზსონოვმა.⁹¹ იმავე

⁹¹ Известия Юго-Осетинского научно-исслед. инс-та краеведения, т. I, Цхинвали, 1933, с. 238—245.

კეხვის ციხეს იხსენიებენ: ვახუშტი, გიულდენშტედტი, ბროსე, კ. ჰანი⁹² და სხვები. ცნობილია, რომ აქ გივი ამილახვარმა სამჯერ დაამარცხა თათრები 1736 წელს, უფრო ადრე — 1728 წელს კი გივი ამილახვარს ერთგულებისათვის აჯილდოებს ოსმალეთის ხონთქარი⁹³.

1745 წელს კეხვის ციხეზე მიიტანეს იერიში. „იყო ბრძოლა დღე და ღამ, გამოხდა ხანი თვე ოთხი“ და ბოლოს მტრებმა „დაუწყეს სროლა ციხესა კეხვისასა ზარბაზანთა და ყუნბარათა“⁹⁴ და დააქციეს კეხვისა და სურამის ციხეები. შემდეგაც მასში 1780 წლის პირველ აპრილს „ხელმწიფის ბრძანებით ამილახვარმა თორმეტი კაცი დამაყენებინა“, — ამბობს მამასახლისი ღვთისავარი.⁹⁵ აქედან ჩანს, რომ 1780 წ. ამ ციხეში მორიგეები მდგარან და არემარეს მეთვალყურეობდნენ.

1801 წელს ეს ციხე ერეკლე მეორის ქვრივ დარეჯანს ეკუთვნის. 1809 წ. ამ ციხეში მაგრდებიან აჯანყებულები, რომლებსაც მაჩაბელი და ხერხეულიძე უჭერდნენ მხარს და გამოდიან ცარიზმის წინააღმდეგ. აქვე 1905 წელს მოხდა აჯანყება, რომელიც ლიახვის ხეობის მკვიდრთა ერთ-ერთი პირველი რევოლუციური გამოსვლა იყო.

კეხვის ციხის გარდა, კეხვშივე არის მრგვალი ორსართულიანი კოშკი, რომელსაც კარი მეორე სართულიდან აქვს და ჩადის პირველ სართულში კედლის შიგა კიბით. ამ კოშკს ნებიერიძის ციხეს უწოდებენ.

სოფელში დაცულ წმ. გიორგის ეკლესიაში ერთი შეგვრცხლილი გამოსატანი ჯვარია და ერთიც წითელპერანგიანი ხის ხატი ღვთისმშობლისა (სიმაღლე — 1,40 მ, მკლავები — 90 სმ; აქვს თავსახური თეთრი არშიით. ძვ. სტ. 7 მაისს (ახ. სტ. 20) მიჰყავდათ წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც ტყეში მდებარეობს (იხ. ქვემოთ). ამისი დღეობა დიდ უქმედ ითვლებოდა. ხსენებულ ჯვარსა და ხატს, როგორც მაშინ იტყოდნენ, მიაბრძანებდნენ ღვთისმშობლის დღეს


92 იხ. ჰანის წერილი—Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXXV, Тб., 1905, с. 249—269.

93 ს. ჯიქიას პუბლიკაცია თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 116, 1965. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1851, გვ. 376.

94 იქვე, გვ. 379.

95 დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1953, გვ. 110, დოკ. № 173.

დედალეთისაში, ღამეს იქ გაათევიანებდნენ და მეორე დღეს წმ. გიორგში ჩამოატარებდნენ და ბოლოს სოფლის ზედა ეკლესიაში დააბრძანებდნენ.



სურ. 59. კეხვი. გამოსატანი ჯვარი

ხსენებულ ჯვარს ხის ტარზე თუნუქი აქვს გადაკრული. მკლავებზე თითო მოწითალო ქვის თვალი აზის და მარცხენა მკლავზე ქალი ახატია, მარჯვენაზე კი — ანგელოზი. ჯვარის ზედა ნაწილზე მრგლოვანი ასოებით წერია: „ქ, წა, გ“ (=„ქ. წმინდა გიორგი“) და ახატია წმ. გიორგი, რომელიც შუბით ურჩხულს გმირავს.

კეხვის გამოსატან ჯვარს მკლავები მოკლე აქვს და ამით განსხვავდება ცხოვათის⁹⁶ და კობენის⁹⁷ გამოსატანი ჯვრებისაგან, მაგრამ კეხვისა და ცხოვათის ჯვრების მხედრულ წარწერებს შორის არის ერთგვარი მსგავსებაც. ცხოვათის ჯვრის მხედრულ წარწერას

⁹⁶ Е. Такайшвили, Археологические экскурсии..., кн. V. Тб., 1915, с. 105 — 107, შდრ. კორინთას ჯვარი, იქვე, გვ. 68 (ან Известия Кавк. отдела Московск. археол. общества, кн. IV, Тб. 1915, გვერდები იგივე).

⁹⁷ იქვე, გვ. 108.

ექვ. თაყაიშვილი თავის ნაშრომში ქსნის ზეობის სიძველეების შესახებ XIV—XV საუკუნეებით ათარიღებს⁹⁸.

კეხვის ჯვრის მარცხენა მკლავზე, სურათის თავზე, მხედრული ასოებით წერია: „ქ, სა ლბ“:

სურათის მარცხენა მკლავთან ზემოხსენებული ასოების ვერტიკალურად ძნელად გასარჩევი ასოებია:

„ქ. რის:.

ჯგის: გამრავლე:

ქთ:“

(=ქ. რის(?) ჯუარო გიორგისაო, გაამრავლე ქეთევან(?))

ჯვრის ქვედა ნაწილზე ვკითხულობთ:

„ქ. მე:, მჩბელმ: ბა

დურის: შვილმ:.

როსტომდ: მეულ

ლემ: ჩემ: ვისი ოცის: მ

ოურავის: ქლმ: ბგურა⁹⁹

გ: სულის: ჩემის: ამაჩ“ (ან სგჩ?)

ეს შეიძლება აგრე გავხსნათ: „ქ. მე, მაჩაბელმა ბაადურის შვილმა როსტომ და მეუღლემ ჩემმა ვისი ოცის მოურავის ქალმა...“

ეკლესიის დასავლეთ კედელთან საფლავის ქვაზე ჯერ ჯვარი გამოსახული და შემდეგ ვკითხულობთ:

„უფალო(,) მომიხსენე მე(!) საფლავსა ამასა შინა მდებარე ვარ ივანე მღვდელი

ცაბაძე(,) მხილველნო(,) შენდობა

მიბრძანეთ(!) წელსა ჩუნბ“ (1852).

იქვე, ერთ ქვაზე ირჩევა:

„ივანტ... გიგუცა... ჩყმც“ (1868).

სხვა ქვაზე (ზემოდან) წერია:

„საფლავსა შინა მდებარე ვარ ივანე რამაზის ძე

ზანგალაძე(,) გარდავიცვალე ოცდაცხრამეტის

წლის(,) გადავეგე უშვილ-უძეო.

⁹⁸ Е. Такайшвили, Археологические экскурсии... кн. V, 1915, с. 105—107, შდრ. კორინთას ქვარი, იქვე, გვ. 68, სან. Известия Кавк. археол. общества, кн. IV, Тб., 1915, გვ. 105.

⁹⁹ ან ს.

(სამხრეთიდან)

„ჩყოდ (1874) წელს, მაისისა იე (15) დღეს(,) წამკითხველნო გვედერებით(,) შენდობა მიბრძანოთ(!)“

ეკლესიის სამხრეთი კარის წინ საფლავის ქვაზე ირჩევა:

„ჩენე“ (1855 წ.).

ეკლესიის დასავლეთით ერთ ქვაზე იკითხება:

„არ შემობრალა სიკვდილმა(,) მაგრა მომკიდა ხელია(.)

შევეხვეწე ჩემსა მე(უფეს) (და) გარდაუგდე ყელია(.)

(ქვის სამხრეთიდან)

ეცადენ(,) ველარ მიშველეს(,) ჩემზედ აიღეს ხელია(.)

მე შავ მიწას მიმაბარეს(,) მიწაში ყოფნა ძნელია(.)

აქ განისვენებს მხევალი მღთისა მარიამი და მეუღლე სოლომან

(ჩრდილოეთიდან)

ზაგალაძისა(,) ასული გიორგი ლომსაძისა(,) დავიბადე მარტის 15 1852 წ.(.) აღვსრულდი 1 ენკენისთვის 1891 წ. წამკითხველნო (,) მომიხსენეთ(.) დამრჩა მომხსენებელი ქალი“(.)

სხვა ქვის წარწერით ვტყობილობთ:

„ივანე ბესარიონის ძე ზანგალაძე გარდავიცვალე 10 მარტს 1894 წ., შობითგან 55 წ.“

დანარჩენი ქვების წარწერები კიდევ უფრო ახლებია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ს. კეხვის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი: აქ სოფლიდან 1 კმ-ზე მდებარეობს ზემოხსენებული კეხვის დიდი ციხე. კეხვიდან მასთან მისვლამდე, გზიდან მარჯვნივ, ე. წ. ფიჭვნარის გორაკზე, დედალეთისას ეკლესიის ნანგრევია, ხოლო მარცხნივ (ხევს გაღმით) წმინდა გიორგის საყდრის კედლებია შემორჩენილი.

საინტერესოა აქაური ტოპონიმიკაც. ასე, მაგ., კეხვის ციხიდან სამხრეთით ჩამომდინარე რუს დედოფალას ხევა ეწოდება. მისგან სამხრეთით ე. წ. ასმათა ხევაა. კეხველი კოლმეურნე ივანე ზაქარიას ძე კახნიაშვილის (დაბ. 1910 წ.) თქმით, „დედოფალა წყალზე წისქვილია, ასმათა წყალზე კი არა“, ე. ი. ეს უკანასკნელი პირველზე მცირეწყლიანია, მაგრამ „გრძელია. სათავე სამი ციხევის ტყის შუა“ (გორაკზეა), რომელსაც წმინდა გიორგის ვეტყვითო.

ასმათას წყალზე ამბობენ, რომ **თამარ მეფემ ას წყაროს წყალში აირჩია ამის წყალი**, — ას მათ ეს სჯობიაო, ას მათ-ზე მჩატეაო, და ამიტომ **ასმათას წყალი უწოდესო**.

კეხვის ციხესთან შუახევის რუს ციხის ხევა ერთვის; ამას ქვევით უწოდებენ ამ ხევეს **დედოფალას წყალს**.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ჩამოდის რუ — **ბრმა ხევა**. ხალხური გადმოცემით, ლეკს ხატი (ჯვარი) გაუტაცებია და ამ ხევით გაქცეულა. შესულა ხევში, დაბრმავებულა და ხატა დაუგდია. იგი რუს (წყალს) სოფელში ჩამოუტანია; უპოვია ბლიაძეს და პოვნის ადგილზე კეხვის შიდა ეკლესია აუგიათო.

30 წლის წინათ ეტყოდაო „ას წელზე მიტანებული ბიძაჩემი“, — ამბობს ივ. კახნიაშვილი, — ეს ეკლესია რომ ააგეს, 15 წლის ვიყავიო.

ს. კეხვის სამხრეთ-დასავლეთით გორაკზე ტყეა, რომელსაც **საბადურას უწოდებენ**; უწინ საყაჩაღო იყოო. საბადურას ძირზე ქვის კუბო უპოვიათ, რომელშიც 6 ქალა აღმოჩენილა (შდრ. ქემერტი, **ყაულანთ ციხე**).

კეხვის ციხესთან მდებარე დედაღვთისას ნანგრევის სიგრძეა 5,40 მ. განი — 5 მ (დასავლეთი კედელი), ხოლო კედლის გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე — 2 მ. კარის ფუძის ქვა 1,44 მ-ია. შიდა კედელში 2 თაროა (აქაურთა გამოთქმით — თახჩები).

საკურთხეველის ნაწილში მიწაზე დგას ლამაზი, ჩუქურთმოვანი, შუაზე გატეხილი ქვა, სიმაღლე — 90 სმ, განი — 54 სმ. მასზე გამოსახულ მხატვრულ ჯვარს მკლავებს ზემოდან და ქვემოდან თითო (სულ — 4) ამობურცული წრეა (სეფისკვერი).

ამ პატარა დედაღვთისას აღმოსავლეთით, იქვე ახლოს, ორმოა. როგორც სხვები, ისე მეც აქ კირს ვეძებდიო. — ამბობს მიხ. კახნიაშვილი (დაბ. 1925 წ.) და მიწაში მრგვალი მძივი ვიპოვეო. ჩვენც ვნახეთ ეს მძივი. იგი სარდიონისაა, ფორმით ძვ. წ. II—I ათასეულთათვის დამახასიათებელი ნივთი, რომლის მსგავსი მცხეთის ვახტრებმაც გამოავლინა.

ორმოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვები ყრია; მაცხოვარს უწოდებენ. ეტყობა, იქაც საკულტო ნაგებობა იყო.

მახლობლად მდებარე კეხვის ციხე ძალიან რთული ნაგებობაა.¹⁰⁰ როგორც ჩანს, აქედან შემოდინოდა გზა ს. კეხვში და ციხე

¹⁰⁰ კეხვის ციხის სურათი იხ. კრებ. „ქართული ხელოვნება“, ტ. 4, თბ., 1955, ტაბ. 94.

სოფელს ამ მხრიდან იცავდა. ციხეს კოშკები ჰქონია აღმოსავლეთი-დან და ჩრდილოეთიდან. დასავლეთიდან მიდგმულ კარიბჭისებრ კოშკს ორი კარი ჰქონია. ერთიდან შედიოდნენ და მეორედან გამოდიოდნენო.

შიდა მოედანი (სამხრეთიდან ჩრდილოეთით), კოშკის მოედნის გამოკლებით, 24 მ სიგრძისაა, განი — 14 მ, უმაღლესი (აღმოსავლეთის კედელი) 3 მ-ს აღემატება შიგნიდან (შღრ. ბეზსონოვი). შიგვე ეკლესია ყოფილა, ციხეს განვითარებულ შუა საუკუნეებს აკუთვნებენ. გადაკეთებულია XVIII საუკუნეში. მას კედლებში მრავალი სათოფური აქვს. შიგვე დიდი ჭაა, რომელშიც ჩრდილოეთიდან მილით შედიოდა წყალი.

გვიამბობენ ლეგენდას: ამ ციხეს რომ ლეკები შესევიან და ვერ აუღიათ, ციხის გარეთ მიმავალი დედაბერი შეუპყრიათ, უწვალეობათ — გვითხარი, წყალი საიდან შედის, რომ მოვწყვიტოთო. — მე არ ვიცი, აჭამეთ ცხენს მარილი და ის აღმოაჩენს მილსო, — ასწავლა დედაბერმაო.

ასეც მოიქცნენ, ცხენს წყალი არ ასვეს და მან დაიწყო მიწის დატორვა, ჩაანგრია იგი და მილიც გამოჩნდა. მტრებმა წყალი მოწყვიტეს და ციხეში მყოფნი აიძულეს დამორჩილებოდნენო.

წმინდა გიორგის ეკლესიის სიგრძეა (შიგნიდან) 6 მ; განი — 4 მ; ჩრდილოეთი მინადგამის განი — 1 მ; აქვს ცალკე სარკმელი. საყდარს კარი დასავლეთიდან ჰქონია. მის მახლობლად დგას შერუჯული ბებერი მუხა. ღრუში ფუტკარი ყოფილა და, თაფლის გამოღების მიზნით, ვიღაცას მისთვის ცეცხლი შეუკიდებია. ამ დროს დამწვარა ეკლესია (1930 თუ 1931 წ.). იგი მანამდე ყავრით ყოფილა გადახურული. ეკლესიის სიძველეზე მიუთითებს ის ხე, რომელიც კედელში შეზრდილა და გაუხეთქია იგი.

ეკლესიაში მეტად საინტერესო მოწითალო მხატვრული ქვაა, სიმაღლით 66 სმ, განი — 77 სმ, რომელზეც გამოსახული ხელებაწეული წვერიანი ვაჟკაცი და მასზე დატაკებული, უკანა ფეხებზე მდგარი ლომი. ეს შეიძლება იყოს სტილიზებული წმინდა გიორგი, თუმცა ახლა მას ტარიელს უწოდებენ.


ეკლესიის აღმოსავლეთით ძველი საფლავების ქვებია. კეხვის ციხისა და ამ საყდრის ირგვლივ, ახლანდელ ტყეში, წინათ მოსახლეობა ყოფილა და შემდეგ ჩასულა იგი ბარში (შიდა კეხეში).

საყდრის დღეობა აღდგომას იმართებოდა. ყოველ ოჯახს მოჰქონდა თავისი ჯერი. შეთქმულებს, როგორც აქ იტყვიან — შეკვეთი-

ლებს, ბატკანიც მოჰყავდათ, ღამეს აქ ათევდნენ, დილას შესაწირავს კლავდნენ და ნადირობდნენო.

ამ დღეს ამოაბრძანებდნენ აქ შიდა კეხვის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატს და დიდ ვაზის ჯვარს, ილოცებოდნენ, საღამოს შეივლიდნენ დედაღვთისაში და დედოფალას წყლის გზით ამოსულნი ასმათის ხევის გზით ბრუნდებოდნენ სოფელშიო.

კეხვის ციხესთან არსებული ქვედა დედაღვთისასაგან განსასხვავებლად ციხიდან დასავლეთით 4—5 კმ-ზე მდებარე დედაღვთისას ეკლესიის ნანგრევებს ზეითას ან წინა დედაღვთისას უწოდებენ. იგი დედაღვთისას ხევას (ხევის) მარცხენა ნაპირზე დგას ტყეში.




სურ. 60. კეხვი. ზედა დედაღვთისას საყდრის ნანგრევთა ჩუქურთმოვანი ქვები

ნაგებობა ბევრჯერ აღუდგენიათ და განუახლებიათ, და ამიტომ ამ ქვის სამხრეთ კედელში ძველი ქართული აგურიც (კვადრატული 25 სმ, სისქე — 5 სმ) ბლომადაა გამოყენებული. კრამიტია სიგრძით — 35 სმ, განით — 25 სმ. ნაგებობის სიგრძე — 13,5 მ, განი — 8 მ. კარი სამხრეთიდან აქვს. შიგ დგას თლილი ქვის ნაჭრებისაგან შედგენილი ბოძი. შენობა ძლიერ დაზიანებულია.

საკურთხევლის კედელში ხმის გამაძლიერებელი ქვევრია. სა-

ყურადღებოა ის გარემოება, რომ თხელკედლიანი მოზრდილი ქვევრი გარედანაც, აღმოსავლეთ კედელშიცაა ჩატანებული, რაც შენობის სიმძიმისაგან განტვირთვის მიზნით გამოუყენებიათ.



სურ. 61. კეხვი. ქველა დედალვთისას ჯვრიანი მხატვრული ქვა

აქ ვნახეთ ერთი ლამაზი ჩუქურთმოვანი მუქი ქვის ნატეხი (პირველის სიგრძე — 25 სმ, განი — 18 სმ).

ზეითა დედალვთისას დღესასწაულს კეხველები იხდიდნენ 7 მაისს (ახ. სტილით 20-ს) იმავე წესით, როგორც კეხვის წმინდა გიორგისას, ე. ი. აქ ზოგიერთი ღამეს ათევდა და ცხვარსაც კლავდა. უმრავლესობა დღისით ამოდიოდა თავისი კერძით, ამოჰქონდათ კეხვის ვაზის ჯვარი და ხატი და დღეობის დასასრულს ჯვარი სოფელში მიჰქონდათ და ოჯახებში ბრუნდებოდნენ.

ამ დედალვთისას აღმოსავლეთით, 100 მ-მდე დაშორებით, ქვითა და კირით ნაშენი ზემოდან თალისებრი გამოქვაბულია (სიგრძე — 5 მ, ჩრდ.-სამხრ. განი — 3,24 მ, კედლის სიმაღლე შიგნიდან — 1,70, შუაგულში — 2 მ-მდეც); იგი ჩანგრეულია. ზემოდან თალზე ხეცაა აზრდილი. გამოქვაბული გვაგონებს როკაში შემონახულ აკლამებს, მაგრამ საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო. ამ ნაგებობას აქ **სამალულას** უწოდებენ, ამბობენ, შიგ ლეკებს ემალებოდნენო.

კეხვი მდ. კეხურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. კეხურას სახელით ცნობილია აგრეთვე ვაშლის საზამთრო ჯიში. გადმოცემით, ამ მდინარეს ვაშლის ხის ნერგი ჩამოუტანია. კეხველებს იგი დაუჭერიათ, დაურგავთ, გაუხარებიათ და ამის გამო ამ ჯიშს კეხურა შეარქვესო. კეხვი მთავრდება ითრაფის ხევით (აქაურთა გამოთქმით — ითრაფის ხევა, აქედან იწყება გუფთა). ქურთელ ელიზბარ (ბიჭიკო) ბასილიშვილსა და მიხეილ ალექსის ძე დოიჯიშვილის თქმით, ითრაფზე მისვლამდე კლდეში რკინაა ჩასობილი.

თ ა ვ ი IV

დიდი ლიახვის ხეობის ზედა წელი

(გ უ ფ თ ა-ე დ ი ს ი)

გ უ ფ თ ა

ქემერტ-კენეს ზემოთ, გუფთა-მსხლების საზღვრებთან მთავრდება ცხინვალის რაიონი და იწყება ჯავის რაიონი. 1865 წლიდან 1917 წლამდე ამას ეწოდებოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრის **ოსების უბანი — Осетинский участок**.¹

ჩვენ აქაც ისევე, როგორც ზემოთ, ვლაპარაკობთ ნივთიერი კულტურისა და **ცოცხალი სიძველეების—Живая старина**-ს — ზეპირსიტყვიერი კულტურის (ლეგენდები, გადმოცემები...) შესახებაც, მათი გაცნობის საშუალებას გვაძლევს ის ხელსაყრელი გარემოება, რომ ადგილობრივ ოსთა უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია. ისინი, მშობლიური ოსური ენის გარდა, ქართულ ენაზეც მეტყველებენ.

სოფელი გუფთა მდებარეობს სოფლებს — სვერსა და მსხლებს შორის მდ. ლიახვის ორივე ნაპირზე. უფრო ძველი ჩანს სოფლის მარცხენა ნაწილი. აქ ნახევარკუნძულისებრ გორაკზე გალავანში თავისებური მრგვალი ციხის ნანგრევებია, რომელსაც ვახუშტიც ნაცინხარს უწოდებს: „სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩრდილოეთ, და სადაცა მოღრკების ლიახვი, მოღრკების მთა ესეცა, და წარივლის აღმოსავლით, და მიადგების გერის მთასა. სვერის ხიდს ზეით ჩამოვარდების **ითრაფულა** დასავლეთიდამ და მიერთვის ლიახვს. ამას ზეით, **გუფთას**, არს ნაციხვარი. გუფთას ზეით მოერთვის ლიახვს **მდინარე ფაწა**“.²

¹ Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, ч. I, под редакцией проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954, с. 781.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 77.

ციხე³ შორიდან კლდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქვემო ნაწილი (10×10 მ) უფრო ფართო აქვს. შემდეგ თალსებრად არის აღმართული და ზევით (7×7 მ) გუმბათს ჰგავს. სიღრმე 7 მ აქვს. ჩრდილოეთ ნაწილში ძეგორე, პირველზე უფრო პატარა, განყოფილება შიგნიდანვე ისეა, რომ ციხის გარეგან სიმრგვალებას არ არღვევს. ეს განყოფილებები, რომელთაც ძირი უფრო ფართო აქვთ, ვიდრე პირი, მოგვაგონებს დიდ ქვევებს. მასში მოხვედრილი ადამიანი უკიბოდ ვერ ამოვიდოდა. მით უფრო, რომ ის ჭა-დილეგი ზემოდან ლოდით იფარებოდა ისევე, როგორც ქვევრი სარქველით. ამ საპყრობილებს სარკმლები არა აქვთ.

პირველ ნაწილში ხე ამოზრდილა და შორიდან ისე გეჩვენებათ, თითქოს ეს ხე კლდეზე იდგეს...

ჯავის რაიონში ჩვენ წინათაც ვყოფილვართ და სიძველეებიც დაგვითვალისწინებია. 1954 წლის აგვისტოში აქ ჩვენ გუფთა-ჯავის სიძველეებს გვათვალისწინებინებს 1895 წელს აქაურ ს. კოლიბინაში დაბადებული კოლა (ნიკოლოზ; ნიკა-ლა სხვაა, ჩვენ ისიც დაგვხმაობებია) გიორგის ძე მაგჭოვეი, რომელსაც ორი-სამი წელი ლენინგრადშიც უსწავლია და იგი, ოსური და ქართული ენების გარდა, რუსულადაც მეტყველებს.



სურ. 62. გუფთა. დილეგი
- ჭა — საპატიმრო

ადგილ-ადგილ ჩვენთანვე არიან კოლას აქაური მახლობლები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩვენი სტუდენტები და სხვე-

³ ამავე მხარის ციხეებზე იხ. С. В. Безсонов, Крепостные сооружения в бассейне Большой Лиахви. — Известия Юго-осетинского НККр, 1933, с. 288.

ბიც, რაც საშუალებას გვაძლევს თქმულებათა ვარიანტებიც მოვიხსნი-
 მინოთ.

ზემოხსენებულ ჭა-დილეგის შესახებ კი მხოლოდ ერთი აზრი არსებობს: მასში ათავსებდნენ ტყვეს ან დიდი დანაშაულის ჩამდენს. ამ „ჭაში“ თოკით ან ჭოკით ჩაუშვებდნენ; მას ზოგჯერ წყალს ჩაუსხამდნენ, რომელსაც ქვემოთ მყოფი პეშვს (ტორს) შეუშვებდა და იმდენს მაინც დაიჭერდა, რომ პირი გაესველებინაო, და პურს ჩაუგდებდნენო...

დილეგის გორაკს ციხის გალავანი კლდიან გორაკზე აქვს დაშენებული და იგი ძნელი მისადგომია. მთლიანად გორაკს დასავლეთიდან დიდი ღიახვი ჩამოუდის, აღმოსავლეთიდან — კადას⁴ ხევი და ნახევარკუნძულს ჰგავს.

გალავანს დასავლეთის მხრიდან ურდულიანი კარი აქვს. თვით სიმაგრე ლოდებით არის ნაგები, მაგრამ ისე, რომ ლოდთა სწორი მხარეები გარედანაა მოქცეული და კედლები სწორია.

სიტყვა **ნარი** ეკალს ნიშნავს და **ყალა** — ციხეს (ეკლის ციხე!) **ნარიყალა ნარის** ციხედ უნდა ესმოდეს პოეტ ანა კალანდაძეს: ლექსში „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, რომელშიაც ვკითხულობთ:

„მზე აიწია ფეხის წვერებზე,
 მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა.
 იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
 ხმაღმეპართული ნარის ციხესთან“...

ჯ. ლომაშვილი, საბა ორბელიანზე დაყრდნობით, წერს. **ნარი** — **გალავანს** ნიშნავს და **ნარი + ყალა = გალავანი ციხეს**⁵.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1975 წ. 25 აპრილს ჯ. გიუნაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ტერმინ ნარიყალას შესახებ“. მან აღნიშნა: **ნარიყალა შიგა ციხეს**, სიმაგრეს ნიშნავსო.

ქართველი მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს, რომ მსგავსი ადგილები გვხვდება დერბენტში. აქვე შევნიშნავთ, რომ ციხე-ქალაქს — ძველ-ქართულ **დარუბანდს** ან **ზღვის-კარს** (არაბული — **ბაბ-ელაბვანის** — მთავარი კარები, **ბაბ-ალბანის** ან **სედლ-ალბანის** — ალბანთა კარი, სპარს. **დერბენტის დერ** — კარი, **ბენდ** —

⁴ კადა ოსებს ესმით როგორც ხევი, რ. უ. კოლიბინა — კოლიბინ — კოდის ქვემოთ. კადა ქუროი ესმით როგორც ქართული კოდის წისქვილი (ლარის მაგიერ რომ სვეტიცხეთა წყალმისაწოდებელი აქვს).

⁵ ჯ. ლომაშვილი, „წერილები“, თბ., 1975, გვ. 188-192.

გალავანი) ისტორიკოსები და მათ მიხედვით ახლა ექსკურსიის მძღოლებიც, **ნარინ-ყალას** ან, როგორც წარმოთქვამენ, ნარინი-კალას ქართველი მეფის დავით IV-ის—**დავით ნარინის** (1245—1293)⁶ სახელს უკავშირებენ.⁷ „მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჯარებმა დავით ნარინის ბრძანებით აღადგინეს და გაადიდეს მტრის მიერ დანგრეული ძველი ეს **ყალო**“ (ციხე-სიმაგრე). მართალია, დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს განაგებდა, მაგრამ, ცხადია, მონგოლების წინააღმდეგ მასაც უნდა ებრძოლა...

ვუბრუნდებით ს. გუფთის მიდამოებს.

კოლა მაგქოევი და ადგილობრივი ოსები ამბობენ: გაგვიგონია, ამ საპურობილეში თავად მაჩაბელს ქართველი ურჩი ყმა და დიდი დამნაშავე ხიზანი ოსიც ჩაუგდიაო...

უთქვამთ ისიცო, რომ ეს უწინ თამარის საყარაულო იყო და თვითონაც ყოფილა აქაო. დედოფალი რომ გარდაცვლილა, 20 კუბო წამოიღეს, რომელთაგან ერთში დედოფალი ესვენა, იმისი დამმარხველები ამ ციხეში ჩაჰკლესო.

ეს ციხე-კოშკი თამარ მეფის დროზე გვიანდელი ჩანს. საკვირველია, როგორ არ ინგრევა იგი, რადგან გვერდზე გაბზარულია და ბევრგან საძირკველს მიწა გამოსცლია!

კოლა მაგქოევის უფროსი ძმა ანდრო (დაბად. 1888 წ.) და ამისი ვაჟი. ვლადიმერი, ამბობენ, თამარ მეფე გუფთიდან ჩასავლის (კვანისასთან) გზით რაჭაშიც გადადიოდაო.

ზემოთდასახელებული ორი ჭა-დილეგი საოცრად ჰგავს მათგან შორს, კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ დერბენტში არსებულ იმავე დანიშნულების ჭისებრ დილეგებს. ისინი მდებარეობენ დერბენტის მალალ, უძველესი ნაწილის — გალავანშემოვლებული ხუთ-ჰექტარიანი მოედნის — **ნარინ კალას** ციტადელში.⁸ მათ დამთვალიერებლებს ექსკურსიის მძღოლები უამბობენ, როგორ არაადამიანუ-

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 504-505 და წიგნის იქვე დასახელებული გვერდები.

⁷ А. М. Кажаяев, Возникновение и экономическое развитие Дербента, Махачкала, 1972.

⁸ ავტორი წერს ფორმით Нарын-Кала (გვ. 11). შდრ. თბილისის ნარიყალა, რომელსაც აგრეთვე ციხეს უწოდებენ („იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეგედესა“...).

⁸ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербента X—XI веков, М., 1963, с. 123.

რად ეპყრობოდნენ მბრძანებლები დილეგში მოთავსებულ სამხედრო ტყვეებსა და მძიმე დამნაშავეებს.

სოფელ გუფთის ჩრდილოეთით ფერდობზე ტაძრის ნანგრევი და სასაფლაოა. ტაძრის აგებას თამარ მეფეს მიაწერენ, მაგრამ აგრე ძველი არც იგი ჩანს.

ნანგრევის ირგვლივ ტყე და შიგ ნანგრევში 26 ძირი ბებერი ბზის ხეა. თუ გავითვალისწინებთ, ბზა როგორც ნელა იზრდება, უნდა დავასკვნათ, რომ ტაძარი დიდი ხნის წინათ დაუნგრევიათ და დაუწვავთ კიდევ. ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი შიგნიდან 12,5 მ-ა (მასში 3 მ საკურთხეველის მხარეა). განი (დასავლეთიდან) შიგნიდან — 4,5 მ, კედლის სისქე კარის ნაკვეთში — 1 მ, სიმაღლე — 4 მ. სარკმელი თუ კარი ნაგებობას ჩრდილოეთ კედელშიც ჰქონია. აღმოსავლეთი კედელი ისე მაღალია, რომ საკურთხეველის თალი 7 მ-ს ზევით ყოფილა.

სახურავი მას კრამიტის (6×26 სმ) ჰქონია; აგურიც ჩანს 6×26 სმ მოცულობისა (ნაწილია გადარჩენილი).

ტაძარს ადგილობრივები გუფთაი უუარს (ჯვარს) უწოდებენ. მისი დღეობა აგვისტოს ერთ-ერთ კვირას აღინიშნებოდა.

სოფელში ჯიოეები ცხოვრობენ, მაგრამ ტაძრის ნანგრევებთან ს. ანდისელი (ქემერტის სასოფლო საბჭო) თიგიეებიც იმარხებიან. აქედან ცხადია, რომ თიგიევის გვარის კაცი ქემერტში ანდისიდან ჩასახლებულა.

საფლავის ქვათა წარწერები ჯიოშვილებს (შემდეგ — ჯიოეებს) იხსენიებენ. ტატო ბიბლიას ძე 1893 წ. გარდაცვლილა, ტატო კიკოს ძე — 1895 წ., სოსიკო ჯიოშვილის მეუღლე — 1898 წ., ასევე — ქალამანა გაბრიელის ძე, არჯევან და სხვებიც.

თიგიშვილების (თიგიეების) საფლავებს შორის ერთი წარწერა ქვის ზემოდან აღარ იკითხება, გვერდიდან კი ირჩევა:

„...ასლული გარდავიცვალე 1868 წელს ქრისტი(-)
შობის თვის 26 დღესა(.) შობიდან ვიყავი 80 წლისა(.)
ძმანო და დანო(.) გთხოვთ შენდობა მიბრძანოთ!“

ისევ თიგიშვილის ერთ ქვაზე იკითხება:

„გაუკითხავი სიკვდილი წაიყვან დაბარებულსა(.)
ახსრულებ შენსა ნებასა(.) ზვთისაგან დავალებულსა(.)
არცა კითხულობ მდიდარსა, არც ღარიბ(-) შეწუხებულსა“.

ვილაც გასიშვილის ქვის სამხრეთ მხარეზე: —

„მიმილო ამიერ სოფლიდან 1893 წ.(.) მარტის 22-სა

დღესა(.) შობიდგან ვიყავი 61 წლისა(.) წამკითხველ(-)
 ნო(.) გთხოვთ შენდობა მიბრძანოთ(!) დამრჩა
 (ჩრდილოეთით)

ჩემს მოსახსენებელათ ხუთი ვაჟი და სამი ქალი
 და თვალცრემლიანი მეუღლე ჩემი(.) ვიყავი
 ტალავერი და კეთილსახოვანი“.

ფილიშვილის საფლავის მახლობლად ქვაზე ირჩევა „ჩუპ(.) ღვი-
 ნობისთვის ბ დღეს“ (= 1880 წლის ოქტომბრის 2-ს). სხვა წარწერა-
 ში გვხვდება ქალის სახელი თავჩე (იხ. ს. კროჟა).

ჯ რ ი ა

კოდინის ზევით არსებული მოზრდილი სოფელი ჯრია (იგი-
 ვე — ჟრია) ჯავის რაიონში შედის. 1865 წლის აღწერით ჯრიის სა-
 სოფლო საზოგადოებაში შედიან სოფლები: ჯრია, კოდინი, მორგო,
 ბორსა, (ოს. ბარს), პატარა გუფთა, ანდისი, ნინიაყავი (ნინიაყაუ),
 ბუზალა და ნავაგყაუ (ახალი სოფელი), სულ — 59 კომლი.

ახლა ჯრიის სასოფლო საბჭოს შეადგენენ სოფლები: ჯრია, მე-
 დოითა, ბარსი, კულუხთა, კოდინი, მორგო და ნოგყაუ, ანუ ნავაგ-
 ყაუ.

ს. ჯრიის ცალკე უბანია კულუმა. იგი მოთავსებულია მორგოს
 ხევისა (ჩრდ.-დას.) და ჯრიის ხევის (სამხრ.-აღმ.) შორის.

სოფლის დასავლეთით ხევში კოდინის აბანოა (პატარა გუფ-
 თიდან ჯრიაში ამოსვლამდე 2,5 კმ-ზე კადას ხეობით), რომლის წყა-
 ლი ცივია (+3—6), მაგრამ წყალტუბოს წყლის ტიპისაა და უფრო
 მაგარიცო, — ამბობს აქაური ექიმი. 1935—8 წლებში აუგიათ აქ
 45-საწოლიანი სახლი სამკურნალოდ მოსულთათვის. ეს წყალი უხ-
 დება კუჭ-ნაწლავის დაავადებებსა და მას სასმელადაც ეტანებიან.

აბანოდან მოშორებით, თვით ს. კოდაში (ჯრიის დასავლეთით)
 დგას კოშკი, რომელსაც ციხესაც უწოდებენ. მას აქაური მცხოვრებ-
 ნი ერთ-ერთ უმკრივესად თვლიან სამხრეთ ოსეთში. მის აგებას,
 როგორც არაერთი სხვა სიმაგრისას, თქმულებათა უმრავლესობა
 ლეგენდარულ დარეჯანებს მიაწერს; ზოგი თქმულება კი ძმებს, —
 ჯიოსა და მაგქოს აკუთვნებს. შემოხსენებული ძმები კოლა და ანდ-
 რო მაგქოეებისა და მათი განაყოფის დოც. გიორგი ჯიოევის თქმით,

ამ კოშკს მაგქოთი მასსიგ იმიტომ ეწოდება, რომ მაგქო ჯიოევის აგებულია; მაგქოს მოდგმა ძაგქოევებად ვიწერებითო.

გიორგი ჯიოევი და ვლადიმერ მაგქოევი იმასაც აქცევენ ჩვენს ყურადღებას, რომ წონის (ოს. წონ) ტბის მაღლობებში (ქვაისისაკენ) არის სოფელი **მაგკოთაყაუ** (მაგქოთის სოფელი), მაგრამ მცხოვრებნი **ჯიოევებად** ითვლებიანო. მათ ანდრომ უბასუხა: აგრე შორს რად მიდიხართ, მე და კოლია (კოლა) მაგქოევი ვართ, ჩვენი საშუალი ძმა სიმონა ჯიოევი: წონის ჯიოევეს ხიზნებს ვეძახდით, ჩვენებად ვთვლიდით. ზნაურისა და კიდევ სხვა ჯიოევები და ჩრდილოეთი ოსების მუსულმანი მაგქოევები კი სხვები არიანო...

კოლიბინელი აფანასე მაგქოევი და ამისი ყოფილი სიძე ილია თადეოზის ძე ყაცმაგთი (ყაცმაგთუ) — ჰოეტი ლია კავკაზავი (დაბ. 1910 წ., ს. ყევსელთა) იცნობენ კოლიბინის ციხის შესახებ გადმოცემას, რომ იგი მაგქომ და ჯიომ ააგესო, მაგრამ უმატებენ თქმულებას: ამ ძმებმა ოსტატები ნარიდან (ჩრდ. ოსეთი) ჩამოიყვანეს; სიმაგრე 7 წელიწადს შენდებოდა. ოსტატებისა და დამხმარე მუშების სანოვაგე მაგქოს ან ჯიოს ბარში მცხოვრებ თავად მაჩაბლის ბელლიდან მოჰქონდათ. ეს რომ მაჩაბელმა გაიგო, გაწყრა, ლეკები იშოვა და მაგქოს სიმაგრეს შეუსიაო. მაგქო, ჯიო და მათი მუშები გამაგრდნენ კოშკში. მას ბევრი უტრიალეს ლეკებმა, მაგრამ ვერ აიღეს. ბოლოს შეშა მიაყარეს და ცეცხლი შეუწთესო.

კოშკში მომწყვდეულები კედლებიდან ხტებოდნენ; მათ ლეკები ხოცავდნენო. ჯიო დაჭრეს, მაგრამ მან გაპარვა შეძლო, თავი ქართულ სოფელს შეაფარა. მთელმა სოფელმა იცოდა ეს საიდუმლოება. იგი გაიგო ჯიოს ერთ-ერთმა მტერმა ოსმა და ჯიო გასცა. მაჩაბელმა ამ გამცემსავე მოაკვლევინა ჯიო. გადარჩა უკანასკნელის ვაჟი. ს. კოლიბინის ჯიოევები მისი თაობებიანო.

ჯიოევის ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილად იხსენიება. მაშასადამე, მათ წინაპარს ბიჭიკა რქმევია. კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცხინვალში ქმრიან ქალ ჯიოევზე **ხუბულოთა** გაგვიგონია. კრიტიკოსი გიორგი ჯატიევი და მისი ვაჟი არქეოლოგი რუსლანი გაგვიმარტავენ: ხუბულონ (ოს. ХУЫБЫЛОН) ხუბულოეების ქალს ნიშნავს (შდრ. ოთარაანთი, ხარატაანთი). აქედან ცხადია, ჯიოეების ერთ-ერთი მოდგმის დედა ხუბულოვი ყოფილა...

კოლიბინის სიმაგრის შესახებ ხალხური სიმღერა არსებობს, რომელსაც ანდრო მაგქოევი აგრე იწყებს:

მაგქოთი მასიგ, ოოი, ოოი,
 ე ბინ ბოლათ, ე სარ შანგათ,
 ჰაირა, ჰაირა, ჰაირა, მაგქო!..

სიტყვა შანგათ — ლიტერატ. ცანგათ. სტრიქონთა პწკარედი
 თარგმანი იქნება:

მაგქოთის კოშკი, ოოი, ოოი,
 მაგის ძირი ფოლადისა, მაგის თავი⁹ თუჯისა,
 ჰაირა, ჰაირა, ჰაირა, მაგქო!..

კოდბინისავე სიმაგრის დაცემის თქმულებაზე კომპოზიტორ
 ბ. გალაგეს მუსიკა აქვს შექმნილი. იგი ფერხულში სრულდება: მო-
 ციკეავენი, თითქოს, სიმაგრეს იცავენ, მას გარს ფერხულით უვლიან.

არსებობს მეორე თქმულებაც: ეს სიმაგრეც თამარ მეფის აგე-
 ბულიაო. მას წმინდანები იცავდნენ და ხაირაგები, ანუ საითანები
 (ეშმაკები), ან იბლის, ავდიუ (დემონი) და ეშმაკთა უფროსი — ზინ
 ვერ ვნებდნენო. მაგრამ ერთი ოსის სული იყიდა ზინმა. მისი დახმა-
 რებით შესძლეს ეშმაკებმა ამ სიმაგრის დანგრევაო.

ჯრიაში ოთხკუთხი ეკლესიის ნანგრევია. ადგილობრივი გრი-
 ვოლ მირმანის ძე ქოთოლოვი (დაბ. 1888 წ., კომუნისტური პარტი-
 ის წევრი 1917 წლიდან, 1905 წ. წითელრაზმელი, უცხოვრია აჭარა-
 შიც) გვეუბნება, რომ ჯრის ეკლესია აუგია იოსებ კასრაძეს ჯრიე-
 ლების დახმარებით ჩემი დაბადების ცოტათი ადრეო.

ამ ადგილზე ძველი საყდარი იყო, რომლის საძირკველი ვერ
 მოშალეს და ახალი ეკლესია ძველ საძირკველზე დააშენესო. მისი
 უკანასკნელი მღვდელი ყოფილა მორგოელი ჯივაშვილი, ანუ ჯიო-
 ევი, რომელიც შემდეგ თბილისის სიონში მსახურობდაო.

ეკლესიის მახლობლად უდიდესი მუხის ხე დგას მთასავით, რომ-
 ლის წრეწირი ძირზე 6 მ-ია, ტოტთა დასაწყისში — 7 მ-ც. ეს ბუნე-
 ბის ერთ-ერთი ულამაზესი ძეგლია. ერთი მოხუცი მეუბნება, ასზე
 მეტი წლის პაპაჩემი იტყოდაო, ეს მუხა ჩემს პატარაობისასაც ამო-
 დენა იყო, შემდეგ აღარ გაზრდილაო და ამოდენა მუხის სხვაგან
 მნახველი არავინ არისო. თვით ეკლესიასთანაც დგას ძველისძველი
 თელა, ურთხელა, იფანი (კოპიტი) და მუხა.

ადგილობრივთა თქმით, აქ წინათ კავკასიის მთებიდან ნართები
 და ღარეჯანთები ჩამოდიოდნენ. ისინი ცარციათებს ეღისს ქვემოთ

⁹ სახურავი.

არ უშვებდნენ. ამრანი (ამირანი) ბურსაბძელზეაო (ბრუტსაბძელა).
ხსენებულ დიდ მუხასთან დაცული საფლავის ქვის წარწერა გვაუ-
წყებს:

„ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს გვამი გიორგი
გაფას ძე ქოთოლაშვილისა(.) წამკითხველნო(.)
შენდობა მიბრძანეთ(!) 1894 წელსა ქრისტეშობის...“

ამ ქოთოლაშვილის (ქოთოლოვი, იგივე ქოთოლითი) საფლავის
ქვის მახლობლად მდებარე ქვის წარწერაში ამავე გვარის კაცი ქო-
თოშვილად იხსენიება.

„საფლავსა შინა მდებარე ვარ ტატო ქოთო(-)
შვილი უივი(ს) ძე(.) ვიყავი ოცდათექვსმეტი წლისა(.)
ჩყაშ-სა წელსა გიორგობისთვის დღესა(.)
წამკითხველნო(.) თითო შენდობა ბრძანეთ(!)“
(= 1867 წ. 20 ნოემბერს).

სხვა ქვები (ეკლესიასთან), რომელთა წარწერაში გასიშვილიც
იხსენიება, უფრო ახალია.

ნ ი ნ ი ა

ჯრიიდან ჩრდილოეთით მდებარეობს ს. მორგო, რომლის ეკლე-
სიას **ხასთაგ-უშარი** (ახლო ჯვარი) ეწოდება და მისი დღეობა ივნისში
იმართებოდა.

ლიახვის პირზე სოფ. **ბუშალა მდებარეობს**. აქვე კოშკიც არის.
თვით ნინიას ეკლესიას აღდგომის პირველ კვირას (ბაღდარან —
ახალ-კვირა) უმართავდნენ დღესასწაულს აღგილობრივი ქარსანო-
ვები, რომლებიც მდინარის მარცხნით სახლობენ.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტყეში) ადგილს მურგუ-
უშარი ჰქვია (ალბათ, იგივე მორგო). აქ ნაგებობა არაა; დიდი ხეები
დგას.

ლამაზად აზრდით ბებერ ბზის ხეებთან საფლავის ქვების წარ-
წერები ახლებია. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ:

(ზემოდან)

„აქა საფლავსა შინა მდებარე ვარ მე(,)
გიორგი არჯევანის ძე ქარსანოვ(.)
უდროვოთ მომასწრო სიკვდილ(-)

მა(,) სახლი დამრჩა ცრემლიანი(.)
ყველას გთხოვთ თითო შენდობა
მიბრძანოთ(!) 1896 წელი 1 მარტი“.

შემდეგ ქვაზე: —

საფლავსა შინა მდებარე ვარ ფილო
როსტომა(ს) ძე ქარსანიშვილი(.) გარდა(-)
იცვალა 1894 წელსა ღვინობისთვის...
წლისა იყო 95(.) წამკითხველო შენდობა(!)“

სხვა წარწერები კიდევ უფრო ახლებია ისევე, როგორც აქედან ცხინვალისაკენ მდებარე სოფლის უშფარსის (ლიტ. უცფარსი) საფლავის ქვების წარწერებიც.

ბარის ოსურ სოფლებში, თუ ღრმა მოხუცებზე არ ვილაპარაკებთ, ცარციათები აღარ იციან და არც ნართების ეპოსი აღარაა ისე ძირგადგმული, როგორც ჯავის რაიონის სოფლებში მცხოვრებ ოსებში. ისე კი ამათაც იციან, თუ ვინ იყვნენ: ურუხმაგი, ხამიცი, სირდონი, განსაკუთრებით — სოსლანი და სხვები, ზოგი რამ გაუგონიათ ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის დიდ მოამაგე იოვანე იალღუზიძეზეც (1775—1830).

აქ რუსთაველის ტარიელი გოლიათ-ბალათარად იწოდება, ნესტანდარეჯანი კი — სტარეჯანი¹⁰ არის.

ქართული „ეთერიანის“ კვალი შეიმჩნევა ერთ-ერთ ზღაპარში, რომელიც ნინიაში გვიამბებს და სიუჟეტით ედისში ჩაწერილ ოსურ ზღაპარ „ხოსრო მეფეს“ ჰგავს;¹¹ იციან თქმულებები ამირანზე, დევებზე, მზეთუნახავსა და ფასკუნჯებზე,¹² ფუძის გველსა და სხვა ასეთებზე.

ჯავის რაიონის თითქმის ყოველ ოსურ სოფელში გაიგონებთ თქმულებას: „აქ მოსულა თამარ მეფე, მას ჰხლებია მდივანი და ჯარი (ამალა); სოფლები მათ ქერის ლუდითა და არყით გამასპინძლებით, თამარ მეფეს გულ-გორაზეც (ბრუტსაბძელა) ჰქონდა სასახ-

10 შდრ. „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, შეკრებილი დუდარ ბეგი-ზოვის მიერ, ა. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი. ს. რედ., ცხინვალი, 1957, გვ. 130 (ქართულ ენაზე). აგრეთვე — „ოსური ხალხური ზღაპრები“, ცხინვალი, 1959.

11 „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, 1957, გვ. 187—188, № 7.

12 იქვე, გვ. 64—68, № 10.

რეთ, ხიფათი არ შემემთხვეს, თქვენ დამიცავითო. ჩვენებს დაუცავთ. მეფეს მეორე დღეს უთქვამს: ბურსაბზელზე (=ბრუტსაბძელა)¹³ ამიყვანეთო და აუყვანიათ კიდევ. თამარ მეფემ აქედან იცოდა გადახედვა, იქით რა ხდებაო, — იქითა ქვეყანაც იალბუხამდე მისი იყო“.

„ხსენებული დამსახურების გამო, — განაგრძობს გადმოცემა, — თამარ მეფემ ოსები თითო ქისა ოქროთი დააჯილდოვა და ბეგრისაგან გაათავისუფლა. ოსებმა ეს ოქრო შინ არ წაიღეს, — ეკლესია ააგეს და ბეგრის მაგიერ ძღვნად თითო ცხვარს მაინც უგზავნიდნენ მეფეს“.

დაახლოებით ასეთივე გადმოცემა დაბეჭდილიც არის. მასში ნათქვამია: თამარ მეფეს სბაში მდივანი შოთა (რუსთაველი) და მცველები ახლდნენ. მეფეს სბელებმა ოქროთი მოჭედილი ყანწი მიართვეს; თამარმა მათ თითო ქისა ფული აჩუქა. „სბელებმა ეს ფული სახლში არ წაიღეს, ერთად შეაგროვეს“ და მაცხოვრის ქედზე ტაძარი ააშენეს, შოთას „ვეფხისტყაოსანი“ „სბელებმა ამ ტაძარში შეინახეს“.

სოფელ ურსთუალის ხალხიც კარგად დაუხვდა თამარს, ურსთუალელები მან ბეგრისაგან გაათავისუფლა, მაგრამ ისინი წელიწადში თითო ცხვარს მაინც უგზავნიდნენ მეფესო.¹⁴

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფის — ცხინვალელი დ. ხახანაშვილის მიერ 1892 წელს გამოქვეყნებული თქმულებიან. თამარს მასპინძელთათვის უთქვამსო: ჯარი რომ დამითვლი და დროდადრო მასში ცხოვრობდა. იგივე თქმულება გამოიყენა პროფ. ა. ხახანაშვილმა, ე. რომანოვსკიმ და სხვებმაც; იგი ჩვენც გამოვაქვეყნეთ და სთანადო ლიტერატურაზეც მივუთითეთ (ზოგ თქმულებაში ეგ სასახლე იალბუხზე, მწვერვალზე მდებარეობს¹⁵).

ედისის აღწერაში ვამბობთ, რომ მიცვალებულის დაკრძალვის დღეს ოსები ჭირითს მართავდნენ და გამარჯვებულს გარდაცვლილის რომელიმე ნივით (იარაღი, ტანსაცმელი) აჯილდოებდნენ; გვალვის

¹³ ი. მეგრელიძე, რუსთაველი და ფოლკლორი, თბილისი, 1960, გვ. 268-272 (რუსულ და ქართულ ენებზე).

¹⁴ „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, შეკრებილი დუდარ ბეგიშოვის მიერ, ა. ლლონტის რედაქციით, ცხინვალი, 1957, გვ. 188-199.

¹⁵ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბ., 1970, გვ. 233-235.

დროს ძველი საფლავიდან ძვალს ამოიღებდნენ და წყლით ასველებდნენ, გაწვიმდებო.

გუფთა-ჯავის ოსები, და მით უფრო — ბარის ოსები, ასე აღარ იქცევიან, მაგრამ ჩვეულების გადმონაშთს მათშიც ვხვდებით. ანდრო მაგქოევი გვიამბობს: „სწრაფი ცხენი პატრონისათვის სასახელო იყო. დოღი იმართებოდა გაზაფხულზე ან მიცვალეზულის წლისთაგზე. 12—14 წლის ვიყავი; მამაჩემმა შემსვა თავის ქებულ ცხენზე და დოღში შემავლო. გავიმარჯვე, დამაჯილდოვეს.. აჩაბეთელი თავადი იესე (ოფიცერი იყო) გაბრაზდა, ჩემს ცხენს როგორ გაუსწრო ამ ბიჭმაო; შებრუნდა და მიდიოდა. მამაჩემმა უთხრა: იესე ბატონო, ჩემი ბიჭი და ცხენიც თქვენი იყოს, ოღონდ დღევანდელ წლისთაგს ნუ გაგვიფუჭებთო... იესე მობრუნდა, შეგვირიგდა და კარგადაც იქეიფა...“

სასაფლაოზე ძველი საფლავიდან ამოვარდნილი ადამიანის ძვალი ეგდო. ერთმა ყმაწვილმა ფეხი ჰკრა და წყალში გადააგდო. კოლა მაგქოევი და სხვები ბიჭს გაუწყრნენ: „წინაპრის ძვალსაც კი პატივი უნდა სცე და წყალში რომ გადააგდე, წელს წვიმა გვაკლიაო!..“

მ ს ხ ლ ე ბ ი

ჯავის სასოფლო საბჭოს უბნებია: ჯაჯიანთი, თანდელთა, ხუმი-სართა (=ყანისთავი, ზეგანი), უგარდანთა (სათიბი, ნაფუძვარი) და მათი სოფლები (იხ. ჯავა).


მსხლებში ძველი ეკლესია ყოფილა, რომელშიც ი. გიულდენ-შტედტი 1771—3 წლებში ასახელებს შევერცხლილ ჯვარს.¹⁶ იგი აქაურობის მფლობელ თავად მაჩაბელს უბოძებია ოსთადმი. ახლა ეს ჯვარი და ძველი ეკლესია აღარ ჩანს. საყდარი მიწისძვრას დაუნგრევია, მასვე მოსახლეობაც დაუზარალებია და დაუშინებია.¹⁷ შემდეგ აქ სხვა, — ჯვრის ფორმის ეკლესია აუგიათ. მას აქვს დასავლეთის მხრიდან სამრეკლო, რომელშიც 1895 წ. რუსეთში ჩამოსხმული მხატვრული დიდი ზარი კიდია.¹⁸

16 Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия г-на академика И. А. Гюльденштедта через Россию по Кавказским горам в 1770, 71, 72 и 78 годах. С.-Петербург, 1809, с. 88.

17 ა ლ ა ლ ო თ უ თ ა ე ვ ი, მ გ ზ ა ვ რ ის შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი. — უ რ ნ. „იმედი“, 1882, № 2, გვ. 40.

18 ს. ბ ე ზ ს ო ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

ს. ბეზსონოვის თქმით, აქ 3 კოშკი 1930 წ. დაუნგრევეათ, ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა.



სურ. 63. მსხლები. ეკლესია სამრეკლოთურთ

ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ზემოდან აღარ ირჩევა, მაგრამ გვერდებზე იკითხება, გვაუწყებს:

„...დამრჩა სულის მოსახსენებლათ ჩემი
ხუთი ვაჟი და სამი ქალი(.) ვარ ფინა ბიბირას ძე
ცხოვრებაშვილი(.) გარდავიცვალე ჩუპ-სა წელსა
ქრისტიშობის თვის იე-ს დღესა(.) შობიდან ვიუავი
სამოცდაათი წლის“. (=1880 წ. დეკემბრის 15-ს).

ეკლესიის დასავლეთით მდებარე ქვას ზემოდან აწერია:

„არ შემიბრალა სიკვდილმა(.) მაგრათ მომკიდა ხელია(.)
ვეხვეწე ჩემს მოკეთებესა და გარდაუგდე ყელია(.)
ეცადნენ(.) ველარ მიშველეს(.) ჩემზედ აიღეს ხელია(.)...“
და სხვ.

„ვასილ პავლეს ძე ცხოვრებაევ ჩუპი“ 18 წლის გარდაცვლილა.
ჩუპი ქართული წარმოთქმის მიხედვით წერია — ათას რვაას

ოთხმოცი+ათი (1880+10), თორემ იწერებოდა ჩუყ = 1890 (ათას რვაას+90).

ე. გ. პჩელინა მსხლებში ძვ. წ. I ათასეულის საფლავს აღნიშნავს.

მსხლებელი მოხუცები ამბობენ: უასთირჯის (წმ. გიორგი) დაუწესებიაო: ხალხის მოლალატე ძაღლივით უნდა გადაადლო კლდიდან და დაღუპოო. ძველათ სცოდნიათ ჩვენებსო: ძაღლი რომ დაბერდებოდა და რჩენად აღარ ღირდა, მაღალი კლდიდან გადაადღებდნენ და მოკვდებოდაო; ასევე ექცეოდნენ სოფლის საიდუმლოების გამცემსა და ჯაშუშებსაო.

ოსური ეპოსი ცარციათ-შარშიათებზე, რომელიც ედისში (იხ. ედისი) აღენიშნეთ, აქაც ცნობილია, ოღონდ როგორც ვაცილა (Вацйла). იგი ოსური ენის ჯავურ კილოში წარმოითქმის უაშილა (ამ კილოს შიშინობა ახასიათებს სხვათა სისინობის მაგიერ). ასევე ცარციათებს შარშათებს, შარშიათებს უწოდებდნენ. ცარციათები გოლიათებს თვლიდნენ ღმერთებად, ტიტვლები ცხოვრობდნენ ტყეებში, ნათესაობა არ იცოდნენო.

თქმულების ზოგი ვარიანტით, ცარციათები შავმა ჭირმა გადააშენა, ზოგით კი — ნართებმა.

თქმულებები ცარციათებზე და ეპოსი ნართებზე ოსური ზებირსიტყვიერების ორი საყურადღებო ქმნილება არის და ორივეს ედისის მიდამოებში მდებარე საოცარ ციკლოპურ ზილგა-მასიგს (ოს. ზილგა — მბრუნავი, მასსიგ — კოშკი, ციხე) უკავშირებენ (იხ. ედისი).

როგორც ბერძნებს აქვთ თქმულებები მათ ტერიტორიაზე არაბერძნული წინარემოსახლეობის შესახებ, ისე ოსებსაც: ცარციათები (შარშათ) ცხოვრობდნენ ნართებამდე, ირებამდე (ირონებამდე) — ოსებამდე ამ მიდამოებშიო.

მართალია, ისტორიული ცნობები და უმთავრესად ენობრივი ფაქტები სხვა სურათს ხატავენ ოსების წარმოშობაზე,¹⁹ მაგრამ ფოლკლორულ მონაცემებსაც თავიანთი მნიშვნელობა აქვთ და მათზეც უნდა შევჩერდეთ. მით უფრო, რომ თქმულებები ცარციათებზე

¹⁹ З. Н. Вансеев, Исторические известия об аланах-осах, Цхинвали, 1941; В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, Москва—Ленинград, 1949, с. 9—93; Б. А. Калоев, Осетины, Москва, 1971; Г. С. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилиси, 1960.

ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი; მათზე მხოლოდ ცნობები არსებობს:²⁰

ცარციათების სახელთან დაკავშირებული ედისის გორაკის სქემა (1945 წ.), სოფ. სთირფაზის სათანადო პუნქტის შესახებ ცნობა და თქმულებათა მოკლე შინაარსი (ცარციათ-სახელის ჩერქეზ-ეთნონიმთან დაკავშირების ცდით) დაბეჭდილია ბ. ა. კუფტინის ნაშრომში.²¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგი რამ ჩვენც გამოვაქვეყნეთ ცარციათების შესახებ. მაგრამ გამოკვლევას არ ვწერთ მათზე. გვინდა მხოლოდ დამატებითი მასალა დაეუცვათ მომავალ მკვლევარს.

რაც ჩვენ ცარციათებზე გუფთასა და მსხლებში მოვისმინეთ, ისა და ზოგი ახალი მასალა ასახულია იმ 100 გვერდამდე ჩანაწერების შერწყმულ ვარიანტში, რომელიც ჩვენ ვასილ გიორგის ძე ცაბაევმა²² გაგვაცნო.

მოკლედ ეს ცნობები ასეთია: ცარციათებმა სიყვარული არ იცოდნენ, ერთ ყმაწვილ ცარციათს გაუჩნდა ეს გრძნობა, — შეუყვარდა გოგონა. მასთან სხვებს აღარ უშვებდა. ქალს რომ შვილი უნდა ჰყოლოდა, ცეცხლი დაუნთო ქმარმა და უთხრა: ცარციათებმა რომ ბავშვი არ შეგიჭამონ, ამ კერასთან იყავი... მე სანადიროდ ვივლი და საჭმელს მოგიტანო.

ქალმა შვა ვაჟი, მას ყაუგას, დაარქვეს (ყაუგას — ყაუ — სოფელი, გას — დამცველი, მამასახლისი). ის გაიზარდა, შეირთო ცოლი. ამათ ვაჟები (ცაბაევის ვარიანტით — 18 ვაჟი) ეყოლათ. მათი სახელები იყო: ირონი, დაირან (ოსურად დარიალს ეწოდებოდა), ფარსუ, ალღოზ, გერემ და ა. შ. თითოეული მათგანიდან წარმოდგათ თითო ხალხი კავკასიისაო.

ამ ვაჟებმა მოსპეს ცარციათები, დაამყარეს წესრიგი და მომხრეებიც იშოვეს.

²⁰ Памятники Юго-Осетинского народного творчества, II, Цхинвали, 1929; Юго-Осетинский фольклор, Сталинир, 1936, გვ. 276—278; Б. А. Алборов, Этноним «Царциата» осетинских нарских сказаний. — IV Всесоюзная конференция по иранской филологии. Тезисы докладов, Ташкент, 1964, стр. 5 — 8 и др.

²¹ Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, с. 38—41.

²² ვ. ცაბაევი ოსთა ბიბლიოგრაფი და თბილის-ორჯონიკიძის სამხედრო გზის ცნობილი შეგზურის ავტორია. მასზე იხ. ჩვენი წერილი — „თავის ხალხის პატრიოტი“, გზ. „სოვეტონ ირისტონ“, ცხინვალი, 1969, 8 მაისი, № 20, გვ. 4.

ყაუგასმა დააწესა მიცვალებულთა ზაფხვადში (ზაბფად—აკლდამა) მოთავსება, აკრძალა ცხედრის მოსპობა და იარეულიდა ხალხს: ყოველი აღამიანი ან ცოცხლებში უნდა ენახა, ან მკვდრებში. თუ ვინმე დაიკარგებოდა, ყაუგასი ეძებდა დამნაშავეს, — კიდეც ყოფილა ქვეყანაზე ცარციათიო, აღმოაჩინდა და კლავდაო...

თქმულების ვარიანტებში ყაუგასის უფროს შვილს **ბასილა** ერქვა; მან ცოლად **იდილი** შეირთო, იგი მდინარე იდილში (ვოლგა)²³ დაიხრჩო. ბასილამ სხვა ცოლი შეირთო და ეყოლა **ურიზმაგი** (ურ-უზმაგი). მისგან ნართები წარმოიშვნენო.

კიდეც სხვა ვარიანტით, იბრძვის ვინმე **შავლე** (შავი კაცი), რომელმაც ირონები შემოიკრიბა და ომებში გაიმარჯვა კიდეც. მან შვილს **ირონ** დაარქვა. ამასაც ვაჟი ეყოლა, **გუდარა** უწოდეს და ირონები (ოსები) ამათგან გამრავლდნენო.

ასეთ თქმულებებში ზოგჯერ არეულია ცარციათისა და ნართის სახეები. ყაუგასის 18 შვილს ყველას ნიშანი (კვერთხი) ჰქონდა ხელში, ხალხებს უფროსობდნენო. ამ უფროსთაგან ერთ-ერთი შვილი იყო **ურიზმაგი**, მისგან **ბათრაზი** დაიბადა. ამის ცოლი **სათანა** იყო და მათგან გაჩნდნენ ოსებიო. უფრო გავრცელებული თქმულებით, ბათრაზი **ხამიცის** შვილი იყო და ცისშვილებთან ბრძოლაში დაიღუპა.

სხვა თქმულებებით, **ხანა**, იყო ოსთა ასული (ამაზონის ორეულია); მისი ვაჟი ხამიცი დაიღუპა **სირდონთან** ბრძოლაში—ვინ იქნებოდა **ხისტარ** (უფროსი), ამის თაობაზე იბრძოდნენო²⁴.

ხანა დადის შვილის საფლავზე და მოთქვამს: „ოი, დიდო ყაუგას, ოი, დედათა დედავ, ოი, უბრწყინვალესო ბასილავ, რაც თქვენ ირისთონი (ოსეთი) ააყვავეთ, ყველაფერი ნართებმა გაანადგურეს, მტერი იჭრება ირისთონში, რკალი ვიწროვდება, ირისთონი დაუძლურდა...“

ოსები საოცარ მოვლენაზე ამბობენ: „მანა ცარციათი დისსავთა“ — ეს ცარციათების ამბავს ჰგავსო, ცარციათების საკვირველი საქმის განმეორებააო; უდრის ქართულ გამოთქმას: მეორედ მოსვლის (წარღვნის) დროის ამბავიაო.

23 ვ. ც ა ბ ა ე ე ი შენიშნავს: როდესაც იდილს იტყვიოთ, თუ არ ითქვა ქალზეა ლაპარაკი თუ წყალზე, ვერ გაიგებთ, რომელზეა საუბარიო.

24 სხვა თქმულებებით, ირონები (ოსები) ნართების მემკვიდრეებად ითვლებიან: აქ კი ნართები ირონების მტრებია!

ი. კავკაზაგის ჩანაწერებში გვხვდება გამოთქმა „ცარციათესაფთო ფაქოთოჲ“ — ცარციათივით დაიღუპნენ (ამოვარდნენ, გადაშენდნენ).

აქვე შეიძლება გვარ ცაბაევეზე შევნიშნოთ. ზემოხსენებული ვასილ ცაბაევი ამბობს, რომ ძალისში (ძალისი სოფელია მუხრანში, მცხეთის რაიონის წილკნის სასოფლო საბჭოში) მამაჩემის — გიორგის 4 შვილისაგან 40-მდე სული ვართ; პაპაჩემი ს. ხოძიდან ჩამოსახლებულაო (ხოძ, ნომენკლატურულად — ხოჯა, — ჯავის რაიონის უკანასკნელი სოფელია ს. ედისს ზემოთ).

ვასილ ცაბაევის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბაშვილი (Чабашвили) წერია. ვასილს ვეკითხებით: ჩაბაევი და ცაბაევი განა ერთი და იგივეა?! მისი პასუხია: ასე იყო, ჩაბაშვილს გვიწოდებდნენ, აგერ 50 წელიწადია, ცაბაევის (ცაბათი) გვეძახიანო (შდრ. ჩოჩითი — ჩოჩიევი, ცოციითი — ცოციევი). ვ. ცაბაევისავე თქმით, პაპამის ერქვა საბა, საბან და ამიტომაც ვართ ცაბაევი-ო²⁵.

ოსურს ს — ც-ს მონაცვლეობა არ ახასიათებს; სახელ საბასაგან ცაბას წარმოქმნის გარეშეც, ხოძელი ცაბაევი საბას მემკვიდრეებისაგან ძალისელი ცაბაეების გამრავლების ცნობა კი შეიძლება სწორი იყოს. ცაბაეების გვიანდელ მემკვიდრეებს ახსოვთ, რომ მათი უფროსები დადიოდნენ ხოძის დღეობებში და ხატისათვის შესაწირავიც მიჰქონდათ. ისინი ხოძელ გელეთ-ებს (ჩელეთ-ელებს) ენათესავებოდნენ.

ჯ ა ვ ა


ჯავა, ანუ ძაუ, რაიონის ცენტრია. იგი თბილისიდან 130, ცხინვალიდან კი 22 კმ-ზე მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნა-

²⁵ ჩვენ ასეთ ცვლილებას დასავლურ ქართული კოლოებისა და მეგრულის მაგალითებში მივაქციეთ ყურადღება (იხ. ჩვენი გამოკვლევა „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, — თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 348—355). შემდეგ ი. ქობალაოვამ გააფართოვა საკითხის კვლევა ქართულისა და კავკასიური ენების მაგალითებზე (იხ. კრებ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IX—X, 1958, გვ. 57—97). ბოლოს მეგრულის მიმართ ამავე საკითხს შეეხო ა. ლომთაძე (ქურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972 № 1) და აღნიშნა, რომ ამ ენობრივ მოვლენას ყურადღება მიაქცია ი. მეგრელიძემ, მაგრამ ფაქტის ახსნა არ უცდიაო! ნაშრომში კი ახსნაც არის მოცემული, შდრ. ჩვენნივე წერილი გაზ. — „თბილისში“, 1973 წ. 13 ივნისი, № 136, გვ. 3.

პირზე. ჯავა ცნობილია მინერალური წყლითა (ოს. ძაუ-სუარ, ესენ-ტუკის ტიპისა) და კურორტით. თვით ჯავა 1000 მ-მდე სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, ხოლო კურორტი ჯავა კი 1060 მ-ზე მდებარეობს. ადგილი ლამაზი და, სამკურნალო წყლის გარდა, ჰავითაც ძლიერ სასარგებლოა²⁶.

ჯავის სასოფლო საბჭოს სოფლებია: ჯავა, ბუზალა, დიდი და პატარა გუფთა, ითრაფისი, ზემო და ქვემო ყორსევი, მსხლები, ნი-ნია, ფაწა, რარო²⁷, საკირე (ოს. საჭირე), თანდელთა, ტონტობეთი, უგარდანთა, უჩვარსი, (უცვარსი), ხუმისართა და შიხანთური.

ჯავის სიძველეთაგან თვალში გვხვდება სანატორიუმის სამხრეთით მდებარე გუმბათიანი ეკლესია, მაგრამ მას ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს. ცოტათი უფრო ძველია სოფლის დსაავლეთით



სურ. 64. ჯავა. ეკლესია

მდებარე დედალვთისას გუმბათიანი ეკლესიის მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები, რომელსაც დასავლეთ კედელზე სამრეკლო აქვს მიდგმული. ნაგებობანი ჩვენი საუკუნის პირველ წლებს განეკუთვნება,

²⁶ დაწვრილებით, Н. З. Пирадашвили, Курорт Дзау, Цхинвали, 1954.

²⁷ ამ სოფელში ე. პ ჩ ე ლ ი ნ ა მონგოლების დროის ოსურ საფლავს ასახელებს!

მაგრამ აქვე წინათაც რომ ყოფილა ეკლესია, ეს მოხუცებს ახსოვთ და სასაფლაოს ქვებიც ადასტურებს.

ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე კუბოს ფორმის საფლავის ქვის სამხრეთ მხარეზე ვკითხულობთ:

„ჩუო წელსა(,) აპრილის იგ დღესა
[ჭვარი] მონა ღვთისა

(ჩრდილოეთ მხარეზე)

ბათო ქეჯეს ძე სანაყოშვილი
...წლისანი და ვინც წაიკითხოს(,)
შენდობა ბრძანოს“. (თარიღი=1770 წ.).

სხვა ქვაზე თარიღი ციფრით:

„1873 წელსა მაისის 2 დღესა გარდაიცვალა მონა
ღვთისა ერკლე ფარსას ძე სანაყოფი“.(.)

სახელ ერეკლე-ში ე შეიძლება არც შემთხვევით იყოს გამოჩენილი. იქნებ აქ დიალექტიზმია შეპარული ეპიგრაფიკაში (იხ. ნაკვეთი I, ერგნეთი, — წერეთელი — წერთელი).

კიდევ სხვა დიდ ქვაზე.

„(ჩ)უა წელსა...
გარდაიცვალა მონა ღვთისა
ღევან ფიფოს ძე სანაყოშვილი“. (თარიღი=1860 წელს).

ქვის ნატეხზე ირჩევა:

„სანაყოშვილი...
(გარდა)იცვალა სგ ჩუპის (=1890 წ.) 23 წლის
ვინ(ც ი) ხილოს(,) ბუნეთ (ბრძანეთ) შენდობა“.

ასეთი შემთხვევა (ჩუპი), ზემოთაც გვქონდა. აქაც კვლავ ქართული წარმოთქმის გავლენით წერია ჩუპი (1880+10), თორემ ასოთა ციფრული მნიშვნელობით ეს იქნებოდა ჩუპე.

კუბოს ფორმის ერთ-ერთ ქვაზე ვკითხულობთ:
„1876 წელსა(,) თებერვლის 2 დღესა(,) გარდაიცვალა მო(-)
ნა ღვთისა მოსე როს(-)

ტომის ძე სანყოშვილი“ (სანაყოშვილი).
წარწერაში თარიღი ციფრითაა აღნიშნული.

როგორც ეს კუსირეთზე ნარკვევში აღვნიშნეთ, აქაც შედარებით ადრინდელ წარწერებში ახლანდელი გვარი **სანაყოფი სანაყოფილ-**ად იხსენება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ., იხ. ზემოთ 1873 წ. ერეკლე **სანაყოფის** საფლავის ქვის წარწერა; ე. ი. თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ გვარების გარუსულება“). შემდეგ კი — ზემოხსენებული ბათო სანაყოფილის ძე უკვე სანაყოფია:

„მამიხსენე მე უფალო...
 ვარ ალექსა ბათოს ძე სანაყოფის(.) აღვსრულდი 1901 წ.
 7. თებერვალს... წამკითხვაო(.) შენდობა მიბძანეთ“.

მაშასადამე, მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან ჯავის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე ამ გვარის — სანაყოფილი, სანაყოფი, ახლანდელი სანაყოფ — ყოფილა.

ერთ-ერთ ქვაზე, „მონა ხეთისა როსტომ დავითის“ ძის უთაროდო წარწერა იწყება სტრიქონებით:

„ღმერთო(.) მეც ღირსი გამხადე(.) სადაც სამოთხე შენია(.)
 იქ მაინც ნათლად მამყოფე, რადგან სიკვდილი ძნელია“...

ერთ-ერთ ქვას ზემოდან აწერია:

„მომიხსენე მე(.) უფალო(!) საფლავსა ამასა შინა
 მდებარე ვარ ღარეჯან ხოსრო გასიევის ასული

(ჩრდილოეთიდან)

და ჯიბო ქოქოშვილის მეუღლე(.) ახვსრულ(-)
 დი იანვრის ზ ჩუპც(.) თითო პირი შენდობა (ბრძანეთ!)“

(თარიღი — 7 იანვარი 1888 წლისა).

აქ, გარდა იმ დიალექტიზმისა, რომ **აღვსრულდის** ნაცვლად წერია **ახვსრულდი**, ისიც აღსანიშნავია, რომ 1888 წ. ასობით წერია და არა ციფრით. სხვა უფრო ადრინდელ წარწერებში კი, რომელთა რამდენიმე ნიმუში ზემოთ წარმოვადგინეთ, მაგ., 1873 წელსაც კი, ანბანთა მაგიერ უკვე ციფრი წერია. ერთ-ერთ ქვაზე იკითხება:

„არ შემიბრალა სიკვდილმა, მაგრად ჩამკიდა ხელია(.)
 ვებვეწე მოკეთება და გადაუგდე ყელია(.)
 ეცადნენ(.) ველარ მიშველეს(.) ჩემზედ აიღეს ხელია(.)

ვარ ბიბო პაპუნაძე ბეზანოვ (ბეჟანოვ)(.)

გარდაცვალებული 1894 წელს(,) მარიობისუჯის 20 დღესა“.

პირველი სამი სტრიქონის თითო უკანასკნელი სიტყვა ქვაზე შემდეგ სტრიქონზე გადმოდის, ე. ი. წარწერის შემსრულებელს ლექსის სტრიქონი ვერ დაუცავს. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია ეპიგრაფიკაში. ეს საწერი მასალის (ქვის, ხის, ლითონის) ფორმის ან ზოგჯერ დასაწერის შინაარსის დამწერის მიერ გაუზრებლობის გამოც ხდება.

ერთ-ერთ წარწერაში (1903 წ.) იხსენიება „თინა თელუზ ბაბაშვილის ასული(.) ლექსა თედეშვილის მეუღლე“, ხოლო იმავე წლის სხვა წარწერაში ლექსა აღექსად იწოდება, — „გიორგი აღექსა თედეშვილის ძე...“ — 1887 წ. გარდაცვლილა „მხევალი მღვთისა სოფიო ქელეხსაევის ასული...“

ჯავის ეკლესიის ჩრდილოეთით, ხევს გაღმა, ერთ-ერთი საფლავის ქვათაგანი იხსენიებს „სოფიო თეთუ ყაჩმაზაევის ასულს“. აქვე მისი სახელით წერია: „ავღსრულდი 1889 წ. ენკენისთვის 13“-საო და შენიშნულია „წამკითხველმა თითო პირი შენდობა უბრძანოს“.

ზემოთ, 1888 წ. ცხოვრებაშვილი წერია, უკანასკნელში — ცხოვრებაევ. ასევე აქვე — ფარასტაევ ასული“ (1890 წ.) „შენდობა გთხოვთ!“ სხვა ქვას აწერია:

„გაუკითხაო სიკვდილო(,) წაიყვან დაბარებულსა.

აღსრულებ შენსა ნებასა(,) ღვთისაგან

დავალებულსა.

არცა კითხულობ მდიდარსა(,) არც ღარიბ

შეწუხებულსა.

(სამხრეთით)

თითო შენდობას გვედრით(,) წამკითხველთ(,) აქა კრებულსა(.) ვარ შამელა სოლოს ძე ცხოვრებაშვილი(.) გარდავიცვალე ჩეპ-სა წელსა ქრისტიზობის თვის იე-სა დღესა“.

(1880 წ. დეკემბრის 15).

ჯავის თანდილანთ უბანში (ოს. თანდელთი) ერთი ოთხკუთხა კოშკია. ჩრდ. კედლის სიგანე — 7 მ, აღმ. — 5,5 მ; კარი აღმოსავლეთიდან მეორე სართულზე აქვს. ზედა სართულები დანგრეულია.

ამავე ტიპის კოშკი ხუმისართასა (კედელი — 2,5 მ) და უგარდანთაშიცაა.

უგარდანთას უბნის (ჯავიდან 4 კმ) მცხ. ხალო გაბრიელის ძე ცხოვრებოვი (1945 წ. 74 წლისა) გვარწმუნებს, რომ მათ კოშკზე უმაღლესი კოშკი სამხრეთ ოსეთში არაა (სიგანე — 7,30 მ, სიგრძე — 7,19 მ)²⁸. აგებულია ლოდებით, დგას 5 სართული (მეექვსე ხის ჰქონდათ). ამ კოშკს შესასვლელი ჩრდილოეთით კედლის მეორე სართულიდან აქვს (მიწიდან 4 მ-ზე). კედელში მარმარილოს ქვე-ბიცი ურევია. კოშკს გალავანიც ჰქონია.

სამხრეთ ოსეთის, განსაკუთრებით ჯავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხვდებით ქართულის მსგავს თქმულებებსა და ლეგენდებსაც.

ქართველ და ოს ხალხებს შორის ყოფითი მეზობლური და კულტურული ურთიერთობის არაერთი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია ცნობილი. ზოგ მათგანზე რიგითი კოლმეურნეც ლაპარაკობს.

ჯაველი მოხუცები იხსენებენ, რომ მათ მღვდელი ქართული ასოებით დაბეჭდილ ოსურ სახარებას უკითხავდა. ასეთი წიგნები მართლაც არსებობდა და ქართული ასოებით დაწერილი ოსური სიტყვები (წარწერები) ოსთა საფლავის ქვებზეც გვხვდება ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. ეს არის ქართულ-ოსური კულტურული ისტორიული მნიშვნელობის დიდი ფაქტი.

ხ ვ ე

სოფელი ხვწე მდებარეობს უკვე აღწერილ გუფთა-ჯავის ზემოთ, რაიონის ცენტრ ჯავიდან 2—3 კმ-ის დაშორებით. ხვწე ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია ლიახვში ხვწის ხევის შესართავთან და ცნობილია ე. წ. „სასუნებელი აბანოთი“ (ოსური სმუდან-აბანო). ვახუშტი წერს: „ხვწის პირისპირ, ლიახუს გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად ძნელი, არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა“.²⁹ ეს „აბანო“ ნ. ლიხაჩოვს³⁰ აქვს აღწერილი.

²⁸ შდრ. ს. ბეზსონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

²⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 372, იგივე — ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 77.

³⁰ Н. Лихачев, Поездка к газов источнику «сосунебели» в сел. Хвце, близ с. Джава. Горийск. уезд. — Извест. Кавк. общества любителей естествознания и альпийского клуба, 1879, с. 246—247.

ალბათ, დავით ბაგრატიონს „საქართველოს ისტორიაში“ ეს „სასუნებელი“ აქვს მხედველობაში, როცა იგი წერს: „სხლებში არის მიწა, რომელსაც თავბრუდახვეულს ასუნებინებენ და გრძნობაზე მოჰყავთო“ (რუსულ ენაზე, 1896 წ. გამოცემა, გვ. 4; არის 1805 წლის გამოცემაშიც).

ს. ხვწის ხიდის მახლობლად (დაახლ. 100 მ-ზე), კროჩისაკენ მიმავალ გზაზე (გორაკის ფენზე), სამი ორმოა, მათში ნაცრისფერი ტლახია და ორმოდან ამოდის გოგირდმჟავას სუნი (გაზიანი გრიფონი), რომელსაც ხალხი ნიშადურის სუნს უწოდებს. ამ გაზის სუნი ხან მეტად მწვავეა, ხან — ნაკლებად. აქ მოდიან, დაეშვებიან მუხლზე, ჩაყოფენ ორმოში თავს, შეისუნთქავენ. გაზი სცემს ადამიანს ცხვირში, ააცრემლებს კიდეც, და ამბობენ, ეს აბანო ძალიან უხდება თავის ტკივილის, სასუნთქი ორგანოების ბრონქიალურ დაავადებებს, თვალის სნეულებას, რევმატიზმსა და საერთოდ ძვლის ტკივილსო. ავადმყოფები აქ შორიდანაც მოდიან, ზოგიერთი ბნელ ხვრელში ხელს ან ფეხს ყოფს და არ ეშინია გველისაც კი. ამბობენ: ქვეწარმავლები ამ აბანოს სუნს ვერ უძლებენ და ახლოსაც არ ეკარებიანო. ჩვენი ყოფნისას ამ ხვრელში ლეკვს შეაყოფინეს თავი. ამოყვანისას იგი ფეხზეც ველარ დაღვა, შემდეგ კი ბარბაცით გაიქცა.

ხვწეში, დიდი ლიხვის მარცხენა ნაპირზე ამოდის მინერალური წყალი, — ხ ვ წ ე ს უ ა რ, რომელიც განსხვავდება ჯ ა თ ს უ ა რ ი დ ა ნ. ხვწესუარსაც სამკურნალო წყლად თვლიან და მასაც კარგ მომავალს უსახავენ.

1865 წ. ხვწეში 47 კომლი სახლობდა. იგი მაშინ ჯაგის სამამასახლისოში შედიოდა. ახლა ხვწის ცალკე სასოფლო საბჭოა, რომელშიც შედის სოფლები: ქვემო და ზემო ხვწე, ბორჯისი. ელბაქითა, კიმახი (ჭიმასი), კროჟა, მზივი, მუგუთი, სახელეთი, სტირფაზი, წიფგინა, ჭკრივი და ჩეთარი.

ჯაგიდან ხვწისაკენ გზაზე მდ. დიდ ლიხვზე ხილია. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხილიდან ოდნავ ზემოთ (კლდის ძირში), მცირე დავაკებაა. მას სუთხა (ოს. სეხთა) ჰქვია (სოხთა სხვა სოფელია ყემულთის სასოფლო საბჭოში). აქ ერთ კლდეს მაირამ უუარს უწოდებენ. იგი ქალთა სალოცავად ითვლებოდა. წინათ მასთან შესაწირავი მიჰქონდათ (ხაჭაპურები, ლუდი, არაყი) და მიმსვლელთაგანი „მაირამს“ შესთხოვდა: ვაჟი მომეციო. როცა ქალს ვაჟი შეეძინე-

ბოდა, ის ერთი ან ორი წლის ვაჟითურთ კვლავ მიდიოდა ძღვნით ამ კლდესთან და შესთხოვდა მაირამს — ეს გამიზარდევო.

ხვწის დასავლეთით, წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეებით დაფარულ მაღალ გორაკს **მაცხოვარს** უწოდებენ. მის მწვერვალზე მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ნანგრევებია. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე სენაკი ყოფილა მიდგმული, რომლიდანაც კარი ეკლესიაში შედიოდა, ნაგებობებს გალავანი ჰქონია შემოვლებული.

ნაგებობის სიგრძე — 13 მ, განი — 7,5 მ, სიმაღლე 8 მ-მდეა. კუთხეების, კარებისა და სარკმლების ქვები თლილია, კედლები ყორეა.

ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა (გარედან) მხარის ქვაზე წრეში ჩასმული სწორმკლავებიანი ჯვარია გამოსახული. ქვას ცენტრში წერტილი აქვს.

მაცხოვრის ეკლესიის ნაგებობა კროყას ეკლესიაზე, თუ ძველი არაა, გვიანდელი არ უნდა იყოს.

მაცხოვრობას სპეციალურად აღდგომას იხდიდნენ.

პ. დ. ხარებოვი (1954 წელს 75 წლისა) ამბობს: „ვისაც საღვინ ნათესავი გვყავდა, აღდგომას მაცხოვარზე მოდიოდა. ზოგჯერ თოვლიც იყო იმ დროს აქ, მაგრამ ნაძვის ტოტებს დავაფენდით მიწაზე, საკლავს ვკლავდით, ლუდი, არაყი და სხვა მოგვქონდა, მოვილხენდით, ბალდარანს (ახალკვირას) გორიჯვარს (სოფლის სასაფლაოსთან) განვაგრძობდით ლხინს“.

მაცხოვრის ტყეში აუარებელი ხმელი შეშაა. ხვწის მოსახლეობას შორიდან მოაქვს შეშა და აქედან ფიჩხსაც კი არავენ არ გაიტანს.

სოფლიდან მაცხოვრისაკენ ასასვლელ გზაზე ერთი დიდი ქვა ძევს, რომელსაც ოსები **ვაიგი ღურ-ს** (დევის ქვას) უწოდებენ.

ერთი ლეგენდის თანახმად, როდესაც მაცხოვრის ეკლესიას აშენებდნენ, ერთი ქვა ვერც ერთ ადამიანს ვერ აუწევია. სურგები-ათ კი მისი მშენებლობაში ჩატანება. ადამიანებს დაუჭერიათ დევი, აუღებინებიათ ქვა და უბრძანებიათ: მაცხოვრის მწვერვალზე აიტანეო. წაუღია დევს, მაგრამ გზაში შეუსვენებია, ქვა ძირს დაუდვია და ზე დამჯდარაო. ქვის შუა ნაწილი ჩაზნექილია და მას მარჯვნივ და მარცხნივ ღარისებრი კვალი ამჩნევია. პირველს დევის ნაჯდომსა და მეორეს ნამკლავებს უწოდებენ. შემდეგ დევი გაიქცა და ქვა აქვე დარჩაო.

ს. ხეწის ჩრდილოეთით მთაა, რომელზეც დიდი მუხა დგას. მუხის ადგილს ვაშილას უწოდებენ (ლიტ. — ვაცილა) და ზედა ხეწის (მულუთას, ოს. მუგუთი) სალოცავად ითვლებოდა; აქ აღდგომის შემდეგ კვირას (ახალკვირას) თითოეულ ოჯახს სამი ხაბიყინი (ხაბიზჯინი — ხაჭაპური) და ერთი ბოთლი არაყი მოჰქონდა.

ვაშილადან ჩრდილოეთით, უფრო მაღლა, ე. წ. რაღჯვარი — საკლავი ადგილია (სალოცავი). აქ დღეობაზე ქადაგი ვისაც რას ეტყოდა, მას ის უნდა მოეტანაო.

რამდენიმე საფლავი ს. ხეწის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანშიც არის. იქვე კოშკიც მდგარა. კოშკის ნანგრევები ხეწის დასავლეთ ნაწილში, მუგუთხევის ნაპირზეც ჩანს. სხვათა შორის, ვახუშტი ხეწეს აღნიშნავს მუგუთის ხევის ლიახვში (დასავლეთიდან, მარჯვენა შენაკადის) შესართავის ქვევით. ახლა ეს ნაწილი სოფლის ერთ-ერთი უბანთაგანია. ვახუშტი წერს აგრეთვე, რომ მუგუთის ხევის ლიახვში შერთვის ზევით „აღაშენა ციხე მაჩაბელმა, შეუშუსრეს ურუმთა (თურქთა — ი. მ.), რომელი იყო მაღალ კლდესა ზედა“ (გვ. 372), მაგრამ აქ ციხის ნანგრევებს ვერ ვხედავთ. შეიძლება, მან ციხე უწოდა კოშკს, რომლის ნანგრევები აქ მართლაც არის.

ს. ხეწეში მუგუთის ხევის (მუგუთდონის) მდ. ლიახვში შესართავის „ნახევარკუნძულზე“ სოფლის სასაფლაოა. საფლავის ქვათა წარწერებიდან ერთ-ერთი უფრო ძველთაგანი (პატარა ქვა) გვაუწყებს:

„ჩუობ-სა წელსა(,) მაისის ბ დღესა გარდა(-)

(ჯვარი)

იცვალა მონა ღვთისა
 ირინე სვიმონა თიბილაშვილის
 ასული(,) არის დ წლისა(,) ვინც ამას წა(-)
 იკითხოს(,) შენდობას უბრძანოს(,)“

(1872 წ.).

„სიმონა რამანას ძე თიბილაშვილი
 1902 წელს(,) გიორგობის თვის³¹ 5 დღესა“ აღსრულებულა.

1903 წ. დასაფლავებული ერთ-ერთი თიბილაშვილის შესახებ წერია: „მოიხსენიენ(,) უფალო(,)... წამკითხველს გვედრით(,) თითო პირი (შენდობა ბრძანოთ)!“

³¹ თვის, როგორც ბევრჯერ სხვაგან, ისე აქაც ცალკე სიტყვად წერია.

1904 წ. გარდაცვლილი ერთი ქალის ქვას აწერია:

„მაგდა გიორგი თიბილაშვილის მეუღლე, შობილგან 84 წლისა“.
მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

„ვასიკო მოშკას ძე თიბილაშვილი აღვისრულდი 1889 წ. აპრილს დღის 27“.

შემდეგ ქვაზე ირჩევა:

„ალექსი მიხას ძე თიბილაოვ. გარდაიცვალ(ა), 1890. წ. მარობისთვის 4“(.).

სასაფლაოს პირველი უბანი თიბილაშვილებს უჭერია, მეორე კი — ცხოვრებანშვილებს (ახლა — ცხოვრებოვებს) და ა. შ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, როგორც აქა-იქ, სხვაგანაც, ამ ხეობაშიც გვხვდება ქართული ასოებით შესრულებული ოსურა წარწერებიც. ერთ-ერთი ქვის სამხრეთ მხარეზე ვკითხულობთ:

„ხარებოვი ანადან ნაუდან აზამ, (ამა მინ შაჰარ ზალ რუხსაგ³²) ზალათ“.

— ხარებოვი ანადან ციური (უნაზესი) ადამიანი უნდა იყოს ნათელშიო (განათლოს; უთხარით, იცოცხოს).

ამავე ქვას(!) ზემოდან აწერია:

„1912 წელსა, მარტის 19-სა დღესა გარდაიცვალა 88 წლისა გავუ ქვაზადე“.

სხვა დიდ ქვაზე წარწერა ზემოდან აღარ იკითხება; სამხრეთ მხარეზე კარგად ჩანს:

„ხარებოვ ანადან ნაუდან აზამ/. ამა მინ შაჰარზათ რუხსაგ ზალათ“ — ხარებოვი ანადან, ნაზი ადამიანი, განათლოსო (უთხარით, იცოცხლოს).

საკვირველია, რომ ორივე წარწერაში ერთსა და იმავე პირზეა(!) ლაპარაკი, ოღონდ წარწერათა ტექსტებში ასოებითი განსხვავებაა და პირველის ზემოდან სხვა პიროვნება (გავუ ქვაზადე) იხსენიება, თანაც პირველი ქვა უფრო მხატვრულია, ვიდრე მეორე.

ერთ-ერთი შედარებით ძველი წარწერა ასე იკითხება:

(ზემოდან)

„გაუკითხველო სიკვდილო(,) წარიყვანა დაბა(-)
რებულსა(,) აღსრულებ შენსა ნებასა და
ღვთიზგან დ(ა)ვალეებულსა(,) ა(რ)ც კითხამს

32 რ უ ლ ს ა გ ი ყ ო მოსალოდნელი.

(სამხრეთიდან)

მდიდარს(.) არც ღარიბშეწუხებულსა(.) ვარ ნი(-)
კოლოზ ყავდინას ძე ხარებაშვილი კვ წლ(-)
ისა(.) აღსრულდა გიორგობის ივ-სა დღესა
ჩუპვ წელს(.)

(ჩრდილოეთიდან)

ვინც წაიკითხოს(.) შენდობა უბრძანოს“.

ე. ი. გარდაცვლილა 26 წლის 1886 წლის 16 ნოემბერს.

წარწერა ეთნოგრაფიულადაცაა საინტერესო: ოს. ყავდინ (ანუ კავდინ) ნიშნავს „ლეკს“. ბავშვი რომ „სიკვდილს არ წაელო“, არ-ქმევდნენ „ცუდ სახელსო“. გვხვდება სახელიც: ოს. სავქვეც — შავი ძაღლი, სავლაშე — შავი კაცი და ა. შ. სხვა ქვაზე ყავდინ (ანუ კავდინ) ჟავდინად წერია:

მომიხსენიე(.) უფალო(.) ლოდსა ამას ქვეშე
მდებარე რევას ჯავდინაძე ხარებაოვ. აღვ(-)
ისრულდი 1895 წ. კატატვის 5 დ. მხილველნო(.)
შენდობა მიბრძანეთ!“

ერთ-ერთი წარწერა, რომელიც გვაუწყებს მშრომელ ოსთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, შეიცავს რიგ ენობრივ შეცდომებს. ტექსტი ასე იკითხება:

„1901 წ. მაისის 22 დ³³. გარდაიცვალა მონა ხვთისი ვანო ქვაზას ძე ხარებოვი(.) შვილების გასაზრდელათ გავედი ქალაქს და ჩემი საუბედუროთ აღარ დამაცალა ღმერთმა. სიკვდილმა მისწრ.(.)³⁴ დამრჩა ობლები ასაზდელი(.) წამკითხველნო(.) გთხოვთ შენდობა მიბრძანოთ“.

ერთ-ერთ ქვაზე ხარებაშვილი ხარებაეევ-ად იხსენიება.

(ზემოდან)

„მომიხსენიე(.) უფალო(.) ლოდსა ამას ქვეშე

(სამხრეთიდან)

³³ დღესა.

³⁴ მომისწრო.

მდებარე როსება ლიჯას ძე ხარებაევ(.)

აღსრულები 1895 წელსა(,) გიორგობისთვის 8 დღეს.

წამკითხველნო(,) შენდობა მიბრძანეთ“.

1888 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა ალექსი ივანეს ძე ფარასტაშვილი, ჩივის „ვიყავ დასანიშნი... სიცოცხლემ არ მამცა პირი(,) თავზედ დამედგა გვირგვინი“ ისე „ახსრულდიო“.

ფარასტაშვილების (ახლა ფარასტაეების) რამდენიმე კომლი ცხოვრობს ხეწეში, მათ წინაპართა საფლავების ქვებზე გვხვდება სათანადო წარწერებიც.

ერთ მალალ ქვაზე წარწერა შემოაღნიშნულ ტექსტს ავითარებს, ოღონდ აბოლოებს სიტყვებით:

„ახსრულდი 1903 წ. ქრისტიშობის თვის 14-სა დ“.

„მიხეილ ბათრაჯას ძე ხარებაშვილი“.

საკუთარი სახელის ბათრაჯას ლიტერატურული ფორმაა ბათრაძ.

1898 წ. იანვრის 28 დ. გარდაცვლილა „თეიმურაზ ძე ხარებაევის“.. სახელი ოსურად არის ულა; დარეჯანის მაგიერ წერია დარეუა.

ხეწეში სოფლის ჩრდილო-დასავლეთით გორაკზე, კოლმეურნეობის კანტორის ზემოთ არის მეორე სასაფლაო, ფერდობზე. აქ ერთ ღვინისფერ საფლავის ქვას ზემოდან აწერია:

„ჩყოთ-ს წელსა(,) მარტის კ დღესა, გარდაიცვალა

მღევალი ღვთისა თალი სოსეს ასული მი წლისა

და ვინც წაიკითხოს(,) შენდობა უბრძანოს“.

(1879 წ. 20 მარტს 50 წლისა).

წარწერაში გვარი არ იხსენიება. თაჯი იგივე თაზია, რაც საკუთარ სახელად გვხვდება. ხეწეში ხარებოვის გვარისანს უწოდებენ მეტსახელად თაზით-ს (თაზიებს), ისევე როგორც ფარასტაეებს უწოდებენ მეტსახელად განათ-ს (განაებს). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ამ ფარასტაეების ერთ-ერთ წინაპარს განა რქმევია, ხოლო ხარებოეებისას — თაჯი ანუ თაჯი.

თაჯი სოსეს ასული კი შეიძლება თიბილაშვილი იყოს, რადგან იქვე, ამავე ხელით დაწერილ მეორე ქვაზე სწორედ ეს გვარი იხსენიება.

თაჯის წარწერა პალეოგრაფიულადაა საინტერესო. იგი თ-ს



ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალ მოხაზულობას მოგვავლენებს. „მღევალი“ წერია ნაცვლად „მხეველისა“ და კ-ს პატივი ახლავს. ში — 50 იწერებოდა ნ-თი, მაგრამ აქ ქართული წარმოთქმის მიხედვით — ომოც-და-ათი — მ-40+-ი-10 წერია.

თაჯის საფლავის ქვის ფერისა და კუბოსთავის (სახურავის) მსგავს ქვის ზედაპირზე, იმავე ხელით (და იმავე თარიღით) წერია:

„ჩყოთ-ს წელსა(.) მარტის კ დღესა, გარდაიცვალა
 მონა ღვთისა სოხე ყავდინას ძე თიბილა(-)
 (ქვის ზედაპირის მეორე ნახევარზე)

შვილი ა წლისა(.)
 ვინც წაიკითხოს(.) შენდობა
 უბრძანოს“ (ე.წ . გარდაცვლილა 60 წლისა).

საკითხავია, ეს სოხე ზემოხსენებული სახელი სოხე ხომ არაა?! ვინმე ხარებაშვილი ჩყაზ (1867) წელსაა გარდაცვლილი.

„საფლავისა ამასა ქვეშე მდებარე სოლომონ გიბილის ძე ხარებაშვილი“ — ჩყბ (1880 წ.) წელს გარდაცვლილა(გიბილი, შდრ. ოსური სახელი გგბი). „თეიმურაზ ფირის ძე ფარასტაშვილი“—ჩყოზ (1872 წ.) წლის ქრისტიშობისთვის კ (20) დღესა“ აღსრულებულა (ფირი, შდრ. ოსური სახელი ფრი), ხოლო „მონა ხვთისა მესტაწნის ძე ხარებაშვილი უფალმა მიიღო ჩყაგ (1863 წ.) წელსა(.) მარტის 2-ს (ასეა. — ი. მ.) დღესა“.

ხეწის თავზე (ისევ ლიახვის მარჯვენა ნაპირზე), კიმასის (ქიმა-სი) ლიახვში შესართავის პირდაპირ, გორაკზე პატარა ნიშისა და კოშკის ნანგრევებია. აქვე სასაფლაოა. ერთ-ერთ კარგად გათლილ საფლავის რუხ ქვაზე ლამაზი ხელით წერია:

(ზემოდან)

„სულ ამაო ყოფილა წუთი სოფლის ცხოვრება,
 მამიტაცა სიკვდილმა(.) აღარ მამცა დროება(.)

(სამხრეთიდან)

..... მომიხსენეთ
 არჩილა გაბრიელის ძე გათიკოშვილი(.)
 (ჩრდილოეთიდან)

ჩყბდ წელსა(.) მაისის ა დღესა(.) შობიღგან ვიყავი
 ოცი წლისა(.) დამრჩა ერთი ვაჟი“(.) (1884 წ. 1 მაისი).

ერთ ქვას ზემოდან აწერია.

„ამ წუთი სოფლისგან არ მეწა წილი(,)“

ზეცას იქნება ჩემი ქორწილი(.)

(ჩრდილოეთიდან)

ფარტასი ბუხიძე(!) ასული გათიკო(-)

შვილი გარდაიცვალა 1896 წ.

ერთი ვინმე ჩყ(?) (18??) წელს

გარდაიცვალა ფეთისაგან რელგურაძე...“

სხვა ქვაზე წერია:

„ჩუპე წელსა(,) მარიამობისთვის გ დღესა

გარდაიცვალა პავლე თოდის ძე გათიკაშვილი“. (1885 წ. 3 აგვისტო).

ჯავის ზევით მთაზე ტაძარია 12 მოციქულისა და მეორე მაირამის ეკლესიააო“, — აღნიშნავს 1871 წელს ვ. პუფაფი (გამოაქვეყნა 1872 წელს).

ს. ხეწის ჩანათას უბანში არსებული კოშკის შესახებ ფოლკლორულად საინტერესო ცნობა ჩავიწერეთ.

ამ კოშკიდან ერთი ქვა გადმოვარდა. ოთხმა ვაჟკაცმა ვერ დადვა იგი თავის ადგილზე. მოვიდა 160 წლის მოხუცი ფრი ფარასტაშვილი თავის 9 შვილითურთ და მამამ მათ უთხრა: ქვა ადგილზე დააბრუნეთ, თორემ ეს ცუდი ამბის ნიშანიაო. ძმებმა სცადეს, მაგრამ ქვა ვერ დასძრეს. ფრიმ თქვაო: წახდა დრო. მე ერთმა დავდე ჯელობაში მაგ ქვა იქ და თქვენ ცხრამ ვერ ასწიეთო!

იქვე მყოფმა ს. წალაგომელებმა ფრის დასცინეს: ცხრა შვილი ერთ მამად არ ღირებულა, თვით მამა კი 3 თხად აღარ ღირს და მაგ ციხეს როგორ ააშენებდაო.

ფრის ბზის ჯოხი ეჭირა ხელშიო, დაერია დამცინველ წალაგომელებს, სცემა მათ, ცხენები და ძროხები წაართვა და გარეკაო.

მოვიდნენ იმათი უხუცესები, ფრის პატიება სთხოვეს, მანაც აპატივა და ცხოველები დაუბრუნაო.

აქვე ჩვენთან ერთად იყვნენ ცხინვალის პედინსტიტუტის დოცენტები: აკაკი თოფურია და სერგი გუჩია, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი ნინო შვანგირაძე და სხვები. ისევ ამათი თანდასწრებით ხეწეშივე გვიამბეს თქმულება ეშმაკის შესახებ, რო-

მელიც პფაფს 1871 წელს გაუგონია. ამის მსგავსი თქმულება ა. შანიძესაც (ხევსურული ვარიანტები) აქვს გამოქვეყნებული.

გადმოცემით, მონადირეს ღამე გაუთევია ხვწის ტყეში. დილით ნაბიდან გამოუხედავს და დაუნახავს, რომ მის მახლობლად ცეცხლი ანთია და მოშორებით თვალბდაჭყეტილი ეშმაკი დგას.

მონადირე გამოძვრა ნაბიდან და ხეს მოეფარა. ეშმაკი ნაბაღში შეძვრა. მონადირემ მას თოფი ესროლა და მოკლა.

სხვა ვარიანტით, მონადირემ ეშმაკი შეიპყრო და იმსახურა.

დიგორის ს. მაჩხისკის უბნის ახსინძის მცხოვრები სეკინა სეკინაევი უყვება ვ. პფაფს: ოცი წლის წინათ მე ეშმაკი დავიჭირეო, და მოუთხრობს სწორედ ისეთ თქმულებას, როგორიც ხვწეში გავიგონეთ:

კაცი თიბავდა ხვწეში. წვიმა წამოვიდა. კაცი კარავში შევიდა და დაეძინა. გაახილა თვალი თუ არა, ეშმაკი დაინახა. წამოხტა კაცი, ხელი ცელს სტაცა. ეშმაკს ხის ცელი აღმოაჩნდა. ახლა ადამიანი და ავი სული პირისპირ დგანან. ადამიანმა თითქოს ცელვა დაიწყო. მას ეშმაკმაც მიჰბაძა, რასაც ეს კაცი შვრება, იმასვე იმეორებს ეშმაკიც...

კაცმა თავის თოკი დაგრიხა და ფეხები შეიკრა. ასევე მოიქცა ეშმაკიც. პირველმა ცელით თოკი გაჭრა, მეორემ ველარა და ის ადამიანმა შეიპყრო, სახლში წაიყვანა და იმსახურებდა (ვ. პფაფის ვარიანტით, ამ ეშმაკს თავი უნდა დაეპარსა მამაკაცებისათვის შაბათობით. თქმულება დიდიაო და არ დაასრულა).

ხვწური თქმულებით, ეშმაკს თმა მოსჭრეს და დაუმალეს. შემდეგ მაინც მიაგნო, მოიტაცა, ოჯახი დაწყევლა და გაიქცა³⁵.

ხევსურულ თქმულებაში თმის მაგიერ ფრჩხილებშია ეშმაკის ძალა³⁶.

ს. ხვწე არქეოლოგიურად მეტად საინტერესოა. აქ ე. პჩელინას აღმოუჩენია ახ. წ. I საუკუნის საფლავები და საინტერესო სამარხეული ინვენტარი.

35 ვ. პფაფის წერილი იხ.: Сборник свед. о Кавказе, т. II., Тб., 1872, с. 753.

36 შდრ. ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, № 547 და სათანადო შენიშვნები (გვ. 227 და 594) „წელაწლეული“, I—II, თბ., 1923—1924, გვ. 155—157.

ბ. კუფტინი მეღვრეკისში, ყორნისში, რუსთავსა და ხეწეში (სთირფაზი) ნაპოვნ კოლექციებს გვიან ბრინჯაოს ხანისად თვლის³⁷.

ხეწის სასოფლო საბჭოში შემავალ იმავე ს. სთირფაზში **Стыр фаз** — (დიდი ვაკე) არსებულ ბორცვ **ცარციათ კაძახზე** (ცარციათების კლდეზე) ნაპოვნ საგნებს არქეოლოგები აკუთვნებენ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანას და იბერიულ-კავკასიური შოდგმის ტომების ნივთებად მიიჩნევენ. სთირფაზის კერამიკისა და ბრინჯაოს ნაწარმოებს ბ. ტეხოვი პარალელებს უძებნის ნულის, ქვასათლის, მცხეთის, თრიალეთისა და სხვა სამარხოვანთა ინვენტარში.

სთირფაზის საფლავებში გვხვდება მსხვილ და წვრილფეხა საქონელთა ძვლები, რაც მოწმობს, რომ ძვ. წ. XIII—IX საუკუნეებში აქ მესაქონლეობა იყო განვითარებული³⁸.

კ რ მ შ ა

კროჟა, კროზა (ოსური კროზ) ხეწიდან 2,5 კმ დაშორებით მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირის ზეგანზე, კიძასის ხეობაში (მეორე კროჟა ცხინვალის რაიონის ხეთაგურის სასოფლო საბჭოშია).

აქ ტყეში ხილეულთაგან გვხვდება: ბალი, ტყემალი, მაჟალო, პანტა და სხვ. სოფელში ბევრი დიდი კაკლის ხე დგას. მათ თითოეულზე ზოგჯერ 5—10 ცალი კაკალია და ის ყურძნის მტევანს მოგვაგონებს. წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებს შორის, კროჟის ლამაზ მდებარეობაზე ზაფხულში ისმის ბავშვთა ყრიაძული. აქ ისინი ცხინვალისგან მოჰყავთ საზაფხულო პიონერთა ბანაკებში.

სოფელში 22 კომლი ცხოვრობს (1865 წ. 29 კომლი ყოფილა).

კროჟას სიძველეთაგან სოფელშივე ვხვდებით 4 კოშკისა და 1 ციხის ნანგრევებს. ილია (ილიშ) ყავდანის ძე თიბილოვი (1954 წ. 70 წლისა) ამბობს, რომ მას ციხის კედლები ახსოვს ახლანდელზე უფრო მაღლები.

ს. კროჟის საფლავის ერთ ქვაზე წერია:

³⁷ Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года..., Тб., 1949, с. 25—30.

³⁸ ბ. ტეხოვი, ასპირანტა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენცია 1955 წ. 25—29 აპრილს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიაში, თბ., 1955, გვ. 59—60.

„ჩუოზ წელსა(,) მარიაშობისთვის ი დღესა....
 (აღვეს)რულე მ(ო)ნა ღვთისა....
 თიბილაშვილი ნინა...“

(1877 წ. 10 აგვისტო).

იქვე, სხვა ქვაზე ვკითხულობთ:

ჩუამ წელსა მარტის ი დღესა გარდაიც(-)
 ვალა მონა ღვთისა საჩინო
 ბარძიმაზე ხარებოვი ი წლისა(,) ვინ
 ამას წაიკითხოს(,) შენდობას უბრძანოს“.(.)

(1868 წ. 10 მარტი).

ამ ქვაზე ისეთივე ჯვარია გამოსახული, როგორც ხეწის სასაფ-
 ლაოზე ბავშვის — ირინე თიბილაშვილის — საფლავის ქვაზე.

მეზობელი ქვის წარწერიდან ვტყობილობთ, რომ „ესტატე თი-
 ბილაშვილი მ წლისანი“ (8) გარდაცვლილა ჩუოთ (1879) წელს, და
 ითხოვს:

„ვინცა წაუკითხოს(,) შენდობა უბრძანოს“.

სხვა ქვაზე წერია:

„ჩუკვ წელსა მაისის 8 დღესა გარდაიცვალა
 მღვდელი მღვთისა მაშო
 ბარძიმა ქოქოშვილის ასული 16 წლისა
 და ვინც წაიკითხოს(,) შენდობა უბრძანოს“.

(1883 წ.)

საფლავის მალალ ქვას წინიდან აწერია:

„ვიყავ 18 წ. 50 p(,)
 დედაშვილი(,) მამა(,)
 ბაბაღე(,) გრიშ(,) მალხაზს
 სარა“

მეორე მხარე არ იკითხება, სამხრეთ მხარეზე კი ხატია ანგელო-
 ზი და 2 მტევანი ყურძენი.

მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

„ჩუმა წელსა(,) ენკენისთვის ი დღესა

გარდაიცვალა მონა ღვთისა
ესტატე ბიბოძე თიბილა(-)
შვილი ია წლისა და
ვინცა წაიკითხოს(,)
შენდობა უბრძანოს“.

(1861 წ. 10 სექტ., 11 წლის).



სურ. 65. კროფა. ძეგლი საფლავზე

სხვა წარწერების მიხედვით, ვიღაც ფირუ ჩუბგ-ს (1883 წ.) გარდაცვლილა; ნინო ფირანბას ასული ყოროშვილი, თედო თიბილაშვილის მეუღლე, აღსრულებულა 89 წლის 1889 წ. თებერვლის 25 დღესა.

აქვე ლათინიზებული ოსური ანბანით შესრულებული ეპიტაფიაცაა. ქართული ასოებით შესრულებულ ოსურ წარწერაში წინანდელი ქოქოშვილი 1888 წ. ქოქოვეად იხსენიება („მარო თათულას ასული ქოქოვეი, მალხაზა ხარებაშვილის მეუღლე...“). თვით მალხაზ გარდაიცვალა 65 წლისა 1907 წელს. **თადეოზ ფარნას ძე ხარებაშვილი ჩუობ (1872 წ.) 1 თებერვალს გარდაცვლილა.**

მხატვრულობით შესანიშნავი საფლავის მაღალი ქვის (აღმოსავლეთ მხარეზე გამოსახულია ერთი ქალი და ორი კაცი, ქვეშ — იგივე ორი კაცი ცხენებთან) წარწერა გვაუწყებს, რომ ფაფელო ხოდოვამ (60 წ) აქ დასაფლავა დედის — **ბაბაღე ჯაბიევას** — ერთადერთი (18 წ.) ვაჟი.

ერთ-ერთ ქვას აწერია:

(ზემოდან) „**თავჩე გიორგის მეუღლე ხარებოვის(.)**

(სამხრეთიდან) **60(?) წლის(,) 1892 წელს აპრილს 15“.**

თავჩე ოსებში გავრცელებული ქალის სახელია, წარმოთქვამენ — **თაუჩე**. რომელიღაც თაუჩეს შესახებ ხალხური სიმღერაც არსებობს. კროჟაში ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური ვარიანტის ტექსტი ასეთია:

„ჰოჲ, ვარაჲდა, თაუჩე!
თემბელ ძეჰქუ, თაუჩე!
ნარაგ ასთაუ, თაუჩე!
ჰოჲ, ვარაჲდა, თაუჩე!
ზილგა, ზილგა, თაუჩე!
ჰოჲ, ვარაჲდა, თაუჩე!
კაძთა-მაძთა რაცავეს!
ჰოჲ, ვარაჲდა, თაუჩე!“

თუ ამ ტექსტიდან მისამღერებლებს გამოვრიცხავთ, გვრჩება:

„თმახუჰუჰა თაუჩე,
წვრილწელა (ტანწერწეტა) თაუჩე,
ტრიალ-ტრიალით (ცეკვით)
მოდინარ (დაიარები), თაუჩე!“

ოსური ხალხური სიმღერა თაუჩე პატეფონის ფირზეცაა ჩაწერილი (მუსიკა თ. ქოქიათისა, სიტყვები — ყ. ყაზბეგოვისა, შესრუ-

ლებული ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ან-სამბლის მიერ თ. ქოქოითის ხელმძღვანელობით, გამოშვება მოსკო-ვის აპრილის ქარხნისა, 17219).

ფირის ტექსტი განსხვავდება იმისაგან, რომელიც დ. ტონსკის მიერ 1939 წ. მოსკოვში გამოცემულ ნოტებს ახლავს ოსურად და რუსულად. ტექსტის თარგმანი ასეთია:

1. Добрадушна Тауче,
Ой, уарайда, Тауче!
Как солнышко, Тауче,
Ой, уарайда, Тауче!
Белолица Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
Благодарна Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
2. Длиннокоса Тауче,
Ой, уарайда, Тауче!
Стан прекрасен у нее,
У красотки Тауче!
Черноброва Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
О, красотка Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
3. Лучезарна Тауче,
Ой, уарайда, Тауче!
Светлолица Тауче,
Ой, уарайда, Тауче!
Как прекрасна Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!
Наша гордость Тауче,
Ой, ри-ра-ри-ра, Тауче!

კროზელი დრიშ ლევანის ძე თიბილაშვილი (მოხუცები ასე აწარმოებენ თავიანთ გვარებს) გვარწმუნებს, რომ იგი 111 წლისაა (1954 წ.). დაბადებულია და ცხოვრობს ამ სოფელში იმ 5 წლის გა-მოკლებით, რომელიც მას ძველათ სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო ბაქოში გაუტარებია. ის იგონებს, რომ მას მიაღებინეს ფიცი, რომლის სიტყვები ასე იწყებოდა: «Присяга есть клятва...» დრიშ ბატონყმობასაც იგონებს.

აქ ორი-სამი ოჯახი ოსი ვცხოვრობდითო,—ამბობს ის,—ჩვენში ჯეჯი თიბილაშვილი სხვებზე ღონიერი იყო. „წავიდა ჯეჯი, მოკლა ირემი და მოიტანა. ჯეჯის ცოლმა გაიხედა და თავადი მაჩაბელი მო-

დის. ქმარს უთხრა: თავს ეუშველოთო! ჯეჯიმ ირემი დამალა, მაგრამ შემოვიდა მაჩაბელი და ირემი გამოატანინა. უთხრა: შენ ბალახი მოგეცი და არა ირემი, როგორ გაჰბედე, რომ მოჰკალიო და წაართვა. ჯეჯი კოშკზე ავიდა (მეორე სართულზე ჰქონდა კოშკს კარიო). მაჩაბელს იქიდან დაუძახა: მაჩაბელო, გამეცა, თუ არ გინდა ირემზე დაგაკლაო!...“

ღრიშის თქმით, ამ კოშკს ბაჭის კოშკს უწოდებდნენ. ამ კოშკის ნანგრევები სოფელშივეა, ზემოხსენებული სასაფლაოდან დასავლეთით. კოშკის წინ ერთი დიდი ჩაღრმავებული ქვაა. ღრიში ამბობს, რომ ამ ქვაში თოფის წამალს ვფქევდითო.

კოშკის ნანგრევებს შორის მრავალი ლოდია (ერთ-ერთი მათგანი 2 მ 70 სმ სიგრძისაა). ერთ სიმაღლით მდგარ ბრტყელ ქვაზე სამხატვრო ტექნიკუმის მოწაფე გერსამ ჯიოევს დაუხატავს დოქი, რქები, მელა და ს. კიმასის ის ოთხკუთხი კოშკი, რომელიც აქედან კარგად ჩანს (კროყას ჩრდილოეთით მდებარეობს, ხევს გაღმა).

ღრაში გვიამბობს: ბაჭის კოშკში ორმო ყოფილაო. მასში მდიდარი განძი ძევსო. ერთ დღეს დაიწყეს ამ ორმოს გათხრა, მაგრამ ვინც ბარი დაჰკრა, ყველას ხელი ასტკივდაო და თხრას თავი მიანებესო.

იმავე გადმოცემით, განძზე გველი წევს, ვინც მიწას გათხრის და იმ გველს პირველი შეხედავს, უეჭველად მოკვდებაო. ამიტომ გამთხრელმა ეს გველი პირველად კატას უნდა დაანახოს, კატა მოკვდება და კაცი გადარჩებაო.

აქაურ ოსებს სწამთ ფუძის გველი. ეს არაა საშიშოო. შხამიან გველს კი ძვირფასი ალმასი აქვს ჩაყლაპული და იკბინება, ძვირფასი თვალი არ წამართვანო. გველს რძე უყვარს და ძროხას გამოწოვსო.

სოფლის სამხრეთითაც ყოფილა ძველად სასაფლაო. ადგილს მუსთე უუარს — კალოს ჯვარს უწოდებენ. აქ ბებერი ცაცხვი, კაკლის ხე და ბზის ბუჩქებია.

ამ მუსთე ჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფერდობზე, რომელიც წიწვოვან-ფოთლოვანი (ნაძვი, ფიჭვი, ურთხელი, წიფელი, ქვემოთ — ძმერხლი და სხვ.) ხეებითაა დაბურული, ძველი ეკლესიის ნანგრევებია. ღრიშის თქმით, იგი დოდოთის ქვითაა აგებული. ქვა კი მართლაც დოდოთისას ჰგავს, მაგრამ აქედან დოდოთი ძველი დროისათვის შორსაა (20—25 კმ-ზე ძნელად მისასვლელ ხეობაში).

ამ ეკლესიას მიქელ-გაბრიელი (ოსური „მქალ-გაბგრ“ ან ეუ-

არ) ეწოდება. ერთ-ერთი ნაგებობა ეკლესიის სამხრეთითაც მდგარა. მისი დღეობა ივნისის ბოლო შაბათ-კვირაზე მოდიოდაო (ეს აღდგომამაზე იყო დამოკიდებული).

როგორც ზოგიერთი სხვა საკულტო ნაგებობა, ეს ეკლესიაც 1919 წლამდე გადახურული ყოფილა (თუმცა დანანგრევი იყო) და მიგ ზოგჯერ სწირავდნენ კიდევცო.

დღეში იგონებს, რომ ეკლესიის ნაგებობა მაღალი არ იყო, მაგამ კარგად იყო მოხარატებულიო (მოჩუქურთმებული).

ეკლესიის ნანგრევების ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (შვიგნიდან) ქვაზე თავისებური ჯვრის გამოსახულებაა.

ჩუქურთმიანი ქვა ნანგრევთა მახლობლად იყო, სხვები ჩვენ აღმოვაჩინეთ, ერთად დავაწყვეთ და ფოტოსურათი გადავიღეთ.

ერთ-ერთ ქვაზე, რომელიც სამხრეთი კარის მახლობლად აღმოჩნდა, წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული. ჯვრის ქვეშ შემდეგი ქართული ნუსხური ასოებია ამოკვეთილი: **ჩპე** — ეს წლებს უნდა აღნიშნავდეს, **უდრის** 1085-ს. იქვე ქვაზე ქორონიკონი — **ტე** ($305+780=1085$ წ.) ამოვიკითხეთ.

მაშასადამე, ამ ჯვრიან ქვაზე ასოები 1085 წელსაა დაწერილი და ეკლესიაც მაშინდელი შეიძლება იყოს.

აღნიშნული ქვა წარწერიანი პირით შენობის შიგნით უნდა ყოფილიყო, რადგან იგი არ გახუნებულია.

მეორე წარწერიანი ქვა კი, რომელიც თავიდანვე უფრო მუქი ჩანს პირველთან შედარებით, შენობის გარედან ყოფილა, რადგან იგი ძლიერ გახუნებულია. მასზე ქართული ნუსხური ასოებით წერია **ყსახრ**, ისე რომ **ყსა** ერთადაა და **სა-ს** აზის თავზე. **რ** კი ცალკე დგას.

ერთ ქვაზე ამობურცული, ბოლოებში ჩაჭრილი და გულში თითქოს დალურსმული ჯვარია გამოსახული, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, აგრეთვე XI ს უნდა იყოს.



სურ. 66. მხატვრული ქვები
ნანგრევებში.

ერთ-ერთ ქვაზე ნახაზებში მოცემული თავბოლოშექცევით მდგომი ორი ირემია წარმოდგენილი. ეს პირობითი ნიშანია მწყემსთათვის, თუ რომელი მიმართულებით არის გზა საძოვრებისაკენ. ეს ქვა კედლისაა, მაგრამ იგი ჩვენ ვნახეთ ტრაპეზის ქვაზე პირჩაღმა დადებული.

სხვა ორ ქვაზე ხაზებში ჩასმული ჯვრებია გამოსახული, მკლავებზე განშტოებებით და ერთზეც შუახაზის შემდეგაც ხაზებია დასმული, ისეთივე, როგორიც ზოგჯერ კროჟას მახლობელ კოშკთა კედლებზეც გვხვდება.

აღნიშნულ ქვათაგან უფრო საყურადღებონი იმ ქვის ყუთში (კუბო) ჩავაწყვეთ, რომელიც ეკლესიის სამხრეთი კარიდან 6 მ მანძილზე იყო თავის მხრიდან ღია. ამ ქვის ყუთში შევძვერით და, მიუხედავად იმისა, რომ შიგ მყოფმა კოლოებმა შავი დღე დაგვაცყენეს, სარკოფაგი მაინც გავსინჯეთ. შიგ რამდენიმე ძვლის მეტი არაფერი აღმოჩნდა. ქვის ყუთის სიგრძე 2 მ-მდეა, განი 75 სმ-მდე. ქვის ყუთის გვერდები შიგნიდან გათლილია. სარქველი სამი ქვისაგან ყოფილა შედგენილი. თავისაკენ პირველი აუცლიათ. ეს ქვის ყუთი (სამარხი) ნიქოზის სარკოფაგთან შედარებით პრიმიტიულია და უფრო ძველიც უნდა იყოს.

ეკლესიის ნანგრევების ქვებში წავაწყდით და მოგვკალით გველი. ზემოხსენებული მოხუცი დრიში და სხვები გაოცებულნი დარჩნენ, — გზა შეშლია ამ წყეულს, თორემ ასეთ წმინდა ადგილზე ავი სული არ იცის და არც შეიძლება იყოსო. ასეთ ადგილს ანგელოზები და წმინდანები იცავენ და ავმა სულმა რომ დაიბუღოს, უვნებელი ხდება, ძალა წაერთმევა ხოლმეო.

აქ გვიჩვენეს (ეს უკვე 1956 წლის 28 აგვისტოს) პირობის ორი ხელწერილი პირველი 1908 წლის 12 მარტობისთვის (აგვისტო) დაუწერიათ ქართულად რაზდენა თიბილაშვილი და მიშა ფარასტაშვილი შეთანხმებულან ერთ სადავო საკითხში.

მეორე ხელწერილიდან ჩანს, რომ კროჟაში 1912 წელს სახნავი მიწები ეკუთვნოდა თავად ციციშვილს, რომელიც მიწას ბევრით აძლევდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მოგვყავს ტექსტი:

Условие

1912 года сентября 21 дня Мы (,) ниже сего подписавшиеся (,) с одной стороны кн. Давид Цицианов, а с другой житель сел. Крожа Джавского общества крестьянин Кавдиш

Караманов(ич) Тибилашвили заключили между собою сие условие следующем:

1. Я (,) кн. Цицианов, даю собственно принадлежащую мне пахотную землю (,) находящуюся в селении Кроже (,) под названием «Двар бин хум», — в следующих границах, с Востока овраг, Западом Юга дороги и севера пахатная земля помещика Цицианова, которую распахивает Габо Тибилов[ич] Тибилашвили (.) Выше упомянутую землю распахивал до сих пор крестьянин этот Габо Тибилашвили, а сегодня отказывается от распашки.

2. Выше названную землю я (,) помещик Цицианов (,) даю жителю сел. Крожа крестьянину Кавдину Караманову[ичу] Тибилашвили для распашки, за каковую он (,) Тибилашвили (,) обязан платить помещику ежегодно 4-ю часть его урожая (.)

3. С. есть наше условие (,) в чем и подписываемся.

Кн. Давид Георгиевич Цицианов.

ბ. თარხანოვ პო ნეგრამოტნოსი ტოტი ტიბილოვა პო ლიჩნოი პროსბი რასპისალსა სიმონ ვალიშვილი(,) ყავდინი თიბილაშვილი.

Самоличности подписавшихся на сие бумаге удостоверил помещик Джавского старшины по селению Крожа (,) удостоверяю подписью моею и приложением казенной печати.

Тома Тибилов

(печать).

წ ი ა რ ა

წიარა ეკუთვნის არა ჯავის, არამედ ცხინვალის რაიონს ვანათის მხარეს, მაგრამ ჯავიდან უფრო მისადგომია და ახლოსაცაა. ახლა იგი გერის სასოფლო საბჭოში შედის, 1865 წელს გერი ჭვრივის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა. წიარა მაშინ მასში აღნიშნული არაა: ეგებ, სხვა სახელი ერქვა! ამ საზოგადოებაში მაშინ 302 კომლი ირიცხებოდა, ახლა ნაკლებია, რადგან ბევრი ოჯახი ბარში ჩასახლდა.

ჩვენ კროყიდან წიარაზე ავედით. კროყის სამხრეთ-აღმოსავლეთით სათიბებს ზევით, ტყეში, მთის თხემზე, საიდანაც შესანიშნავი ხეღია ცხინვალისაკენ, გვხვდება ქვის ნაგებობის ნანგრევები, რო-



მელსაც წიარას ჯვარს უწოდებენ. ეკლესიის სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები უფრო კარგადაა შემონახული, ვიდრე ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები. დასავლეთი კედელი სწორი ყოფილა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები მთავრდება საკურთხევლის მრგვალი კედლით ისე, რომ ნახევარწრისებრ მოხაზულობას წარმოგვიდგენს. ეკლესიის სამხრეთი კედლის მთელ სიგრძეზე ორგანოფილებიანი მინადგამი არსებულა. თვით საყდრის კუთხის, კარისა და სარკმელთა ქვები თლილია, სხვები — ყორექვისაა. გადახურული ყოფილა თხელი ფიქალებით. ნაგებობა შიგნიდან 5,5 მ, განი — 3 მ 30 სმ.

ამ ეკლესიის დღეობა ივნისის ერთ-ერთ შაბათს იმართებოდა. მოდიოდნენ კროყის, ვანათის, გერის, ზალდინის და სხვა მახლობელი სოფლების მწხოვრებნი, მოჰქონდათ შესაწირავი. ნაგებობა ძველი ჩანს, აქ წარწერებს ვერ ვპოულობთ, ფოლკლორულადაც ის მეორდება, რაც ჯავა-ხვწეში აღვნიშნეთ.

წინამდებარე ნაშრომის შემაჯამებელი აზრი ისაა, რომ დიდი ლიახვის მთელი ხეობა უფრო ძველ ფენებში ქართულია. შემდეგ თანდათან ჩნდება აქ ოსური მოსახლეობა. ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მონაცემების მიხედვითაც უდავოა, რომ აქაური და ჩრდილოელი ოსები ერთი ხალხია. მათი ეს ერთიანობა ყოფის (ეთნოგრაფიული), ენისა და ფოლკლორის მონაცემების მიხედვით კარგად არის დასაბუთებული ცნობილი ირანისტის — ვასილ აბაევის ნაშრომებში³⁹.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა სხვა წიგნებიც:⁴⁰

История Северо-Осетинской АССР (Москва, 1959).

ლიახვის ხეობის ოსების ცოცხალ სიძველეებს (ე. წ. Живая старина) უფრო მეტად, ვიდრე ჩრდილოელი ოსების ფოლკლორს, ატყვივა ქართული ზეპირსიტყვიერების კვალი.

³⁹В. И. Аб а е в, Осетинский язык и фольклор, Москва-Ленинград, 1949; В. И. Аб а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, Москва-Ленинград, 1958.

⁴⁰З. Н. В а н е е в, Исторические известия об аланах-осах, Сталинир, 1941; З. Н. В а н е е в, Народное предание о происхождении осетин, Сталинир, 1956, В. Н. Г а м р е к е л и, Двали и Двалетия в I—XV вв. н. э., Тბილისი, 1961; Г. С. А х в л е დ ი ა ნ ი, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тბილისი, 1960; გ. დ. თ. ო. გ. ო. შ. ვ. ი. ლ. ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი, 1958. და სხვა არაერთი ავტორის ნაშრომები.

თითქმის ყოველ სოფელში გაიგონებთ თქმულებებს დარეჯან-
თების (ნართების) და დარეჯანიანების (ქართული გზით), ამირანისა
და სხვათა შესახებ, აგრეთვე, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ისტო-
რიული პირების — ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფის, ერეკლესა
და სხვათა შესახებ. მეორე მხრივ, ქართველებთან ოსების უშუალო
და, აგრეთვე, უფრო ძველად კავკასიონის გადაღმიდან მეზობლობის
შედეგად ქართულ ფოლკლორშიც ჩანს ნართული ეპოსის სახელები
და სახეები⁴¹. ძველი კავშირების მაჩვენებელია, რომ „ქართლის
ცხოვრება“ ვახტანგ გორგასალის დროიდან ოსი მთავრების გამო-
ჩენილ გმირებს — მეომრებს ოს ბალათარებს უწოდებს.

პროფ. ვ. აბაევის მტკიცებით, სიტყვა **ბალათარ** (ბაყათარ)
ოსეთში თურქულ-მონღოლური მოდგმის ხალხებიდანაა შესული და
იქედანვეა რუსული სიტყვა „ბოგატირი“⁴².

ჩვენ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ამავე **ბალათარ** სიტყვის
სახეცვლილება (ღ-ყ, თ-ჩ) დასავლეთ საქართველოში ხმარებული
სიტყვა **ბაყაჩა** — მსუქანი, ზორბა ბავშვი, დიდი ფრინველი (განსა-
კუთრებით — დიდ დედალზე იტყვიან — ბაყაჩა დედალიაო). ბა-
ყაჩა ვაყის სახელადაც გვხვდება საქართველოში. (წინამდებარე
სტრიქონების ავტორის ძმას კო რ ნ ე ლ ის ბავშვობაში ბ ა ყ ა ჩ ა ს
ეძახდნენ). თუ ეს მონღოლების დროის სახელებიდან არ შემორჩე-
ნილა, მაშინ იგი ოსური ეპოსიდან არის ნასესხები.

ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო
კონკრეტული ფაქტი ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიგ
ოსთა საფლავის ქვებზე ოსური სიტყვები ქართული ასოებით წე-
რია. სამხრეთ ოსეთში ჩვეულებრივი იყო ამავე ასოებით მიმოწერა.
ივანე იალღუზიდის (1775—1830) მიერ ოსურად თარგმნილი სახა-
რების ქართული ნუსხური ასოებით გამოქვეყნებამდე⁴³ ხელნაწერი-
დანაც იკითხებოდა ასეთივე სალოცავები. კ. კეკელიძემ და გიორგი
ახვლედიანმა შეისწავლეს ივანე იალღუზიდის ცხოვრება-მოღვაწეო-
ბა, მისი თარგმანები ქართულიდან ოსურ ენაზე⁴⁴. ცნობილია, რომ
1802 წელს შედგა წიგნი რუსულად, ქართულად და ოსურად პატა-

⁴¹ Ш. В. Дзидзигури, Грузинские варианты нартского эпоса, Тби-
ლისი, 1971.

⁴² В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского язы-
ка, 1, Москва-Ленинград, 1958, с. 246.

⁴³ Г. С. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому
языку, Тб., 1960.

⁴⁴ ი ქ ვ ე.

რა ლიახვის ხეობის სფ. ვანათში მცხოვრებ და ქსნის ხეობის ოსთათვის⁴⁵. ამ წიგნშიც ოსური სიტყვები ქართული ასოებით წერია.

აკაკი შანიძემ დაახასიათა ქართულ-ოსური წიგნი, გამოცემული 1823 წელს, მიუთითა, რომ „ქართული ასოები იხმარა იმავე ი. იალღუზიძემ მის მიერ ოსურად ნათარგმნ საეკლესიო წიგნებში, რომლებიც დაიბეჭდა 1820—24 წლებში“⁴⁶. ავტორი აღგენს პარალელური (ქართულ-ოსურ) ტექსტის ფოტოსურათებსაც.

ა. შანიძე წერს: „ახლად მიგნებული ცალი ოსური სახარებისა, მართალია, მხედრულად არის ნაწერი, როგორც წინათ ცნობილი ორი ცალი, მაგრამ უეჭველია, იგი უნდა დაბეჭდილიყო, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული ასოებით, როგორც ეს მიღებული იყო საეკლესიო წიგნებისათვის“⁴⁷. სწორედ ასეა დაბეჭდილი თბილისში გამოცემული „საციკრონი ლოცვანი“⁴⁸. — მარცხნივ ქართული, ხოლო მარჯვნივ ოსური ტექსტები ძველი ქართული ასოებით. ასეთივეა ჩვენს ხელთ არსებული ამავე წესით მოსკოვში 1821 წელს დასტამბული „საღმრთო მსახურება“⁴⁹. — „ხვეჩაონ ლაგადქანგ“ (კონდაკი) (სათაური — ასომთავრულით, ტექსტი — ნუსხურიით). აქ ისაა განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ ეს წიგნები, როგორც ეს აკად. გ. ახვლედიანმა უკვე აღნიშნა, სამხრეთელი ოსების ასომოცდაათი წლის წინანდელ მეტყველებას ასახავენ, — სწორედ იმ ოსების მეტყველებას, რომელთა კულტურულ წარსულსაც ეხება წინამდებარე ჩვენი ნაშრომი.

ვ ა ნ ე ლ ი

ხეწიდან როკისაკენ პირველი სოფელი ვანელია. იგი მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მის სასოფლო საბჭოში შედიან სოფლები: ვანელი, ბაგიათა (ქართ. ბალიათა ან ბალიანთ კარი), ბა-

45 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, წერილი თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში, ტ. VI, თბილისი, 1926

46 ა. შ ა ნ ი ძ ე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა) — ჟურნ. „მაცნე“, 1964, № 1, გვ. 171.

47 ი ქ ვ ე, გვ. 174.

48 ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, თბილისი, 1941, გვ. 90—91, № 121.

49 ი ქ ვ ე, გვ. 91, შდრ. ი ვ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971, გვ. 86—88, იქვეა დასახელებული ძირითადი ლიტერატურა ივანე იალღუზიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ.

ჯიგათა, ზემო და ქვემო ბაგართა, კობი, ზემო და ქვემო კოშკა, ლიწი, თლია, სამხრეთი და ჩრდილო ჩიფრანი და წართა. აქაურების გვარებია: გოლოვევი, სოთიევი, მარგიევი, ხაბალოვი, კაჩლაევი, გაზაევი, ბაგიაევი (წარწერაში ბალაშვილადაა აღნიშნული), ძასოხოვი და სხვა.

ს. ვანელში ჯვრის ფორმის ქვის გუმბათიანი ე. წ. თუთირის (თუთირა) ეკლესია დგას (იხ. ედისი)⁵⁰. ირგვლივ არსებული საფლავის ქვების წარწერები (ზოგიერთს აქვს) ახლებია.

წინათ აქ თურმე უხუცესები წყვეტდნენ სადავო საკითხებს და მათი განაჩენი საბოლოო ყოფილა.

ვანელის დასავლეთით ციხეა. შიგნიდან — 18 მ სიგრძე და 12 მ (აღმ. კედელი) განი; კარის ჭრილში კედლის სისქე 1,50 მ-მდეა. სიმაღლე კედლისა 2-4 მ-მდეა გარედან. იქვე სახლთა ნანგრევებიცაა, რომლებიც წინათ გოლოვეების ყოფილა. ამ ციხეს ზევით მთაზე კოშკი და ნასაყდრაღიცაა. ერთ-ერთ მათგანს (სოფლიდან დასავლეთით 3-4 კმ-ზე მგქალ-გაბგრს უწოდებენ (დღეობა — 25 ივნისს).

ვანელიდან აღმოსავლეთით, ლიხვის მარცხენა ნაპირზე, კლდინი მთაა. კლდეს მოხუცები ქუძ-აფარანს (ქუძ-აფთარან) — ძალსაგდებს — უწოდებენ. ასეთი კლდიდან მოხუც ძალს გადააგდებდნენ ხოლმე და იღუპებოდაო; დასძენენ აგრეთვე, რომ დიდი დანაშაულის ჩამდენს, მაგ., მნიშვნელოვანი საიდუმლოს გამჟღავნებელს, გვარის გვარზე წამკიდებელს მისივე გვარი ასამართლებდა და ასეთს მოხუცთა საბჭო ძალღალ გამოაცხადებდა, ბრალდებულს ვაჟკაცები შეუკრავდნენ ხელებს და ხსენებული კლდიდან გადააგდებდნენ⁵¹.

ასეთსავე კლდეზე სამხრეთ ოსეთში სხვაგანაც მიუთითებენ და მას ხსენებულ გადმოცემასაც უყენებენ ხოლმე. მაგ., სოფ. ქუშითაშიც არის ამ სახელწოდების მთა.

უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლის გამოსყიდვა შეიძლებოდა ოსეთში მიწის ნაკვეთით, ნახირით, საარყე ქვაბითა და სხვა ღირებულებით. მაგ., ვისმეს ხანჯლით მკვლელს არ აცხადებდნენ „ძალღალ“.

⁵⁰ თუთირას სალოცავის შესახებ ზოგიერთი ცნობა იხ. ჩ ერ მ ე ნ ბ ე ჯ ი - ზ ა თ ი ს წ ი გ ნ შ ი „კოშკების მხარე“, თბ., 1971, გვ. 41—50.

⁵¹ უმკაცრეს სასჯელთა შორის, დამნაშავეს კლდიდან გადაგდება სკოლნათ ძველ რომშიც. ტარპეის კლდიდან გადაგდება იხ. გ. ს. ო ს ე ლ ი ა. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 189.

ვანელიდან გზა ბალიათაში (ბაგიათა ჯავიდან 16 კმ) შეივლის. აქ შესანიშნავი სამკურნალო მჟავე წყაროა ნარზანის ტიპისა (სახელწოდება მცხოვრებთა გვარიდან მიუღია), რომელიც უხდება კუჭ-ნაწლავითა და სიმსუქნით დაავადებულებს. ახლა აქ წყლის ჩამოსასხმელი ქარხანაა და ბოთლებით გამოაქვთ. ეს წყალი ცხინვალში და სხვაგანაც იყიდება.

ბალიათიდან ჯამურის ხეობაში ერთ სალოცავს სირხი-ძუარს უწოდებენ, რაც ქართულად წითელ ჯვარს ნიშნავს, და შენიშნავენ, რომ წითელი იმიტომ ჰქვიათ, რომ ოთხკუთხი საყდარი წითელსა ლოდებითაა აშენებულიო. ე. წ. წითელი ეკლესია ს. დგვრისსა და სხვაგანაც გვხვდება.

ეკლესია არაა, მაგრამ სალოცავი ს. ჩიფრანშიც (გამოთქვამენ ციფრანადაც) არსებულა. სამ ბომზე ზარი ჰკიდია და მასთან ლოცულობდნენო. იქვე 50-მდე პატარ-პატარა ზარი და სხვა ნივთებიც ეყარა 1924 წლის 21 ივნისშიო, — აღნიშნავს გ. ჩურსინი. ე. პჩე-ლინა აქვე და ხუსსარში IV-IX სს. საფლავებსაც ასახელებს.

ბ რ უ ტ ს ა ბ ძ ე ლ ა

ბალიათიდან როკამდე გზა სამ გვირაბში გადის. გზის ჩრდილოეთი მხრიდან ხეობით ბრუტსაბძელაზე აისვლება (ხეობის სამხრეთი მხარე ზღუბერ-ედის-ხომ-ზილდეს მიმართულგბაა).

აღნიშნულია, რომ ამ გზაზე, ს. სუაჩხურში, მრავალი მჟავე წყლის გარდა, ძველი საყდრის ნანგრევებში ფარი ვიპოვეთო, „რომელზედაც რალაც ეწერა, მგონი ხუცურად, მაგრამ ვერ გავარჩიეთ, რადგან ასოები აკლდაო“⁵². ჩვენ არ ვყოფილვართ ამ სოფელში, მაგრამ იქაურები ვნახეთ და გვითხრეს, ასეთი ფარი ახლა იქ არ არისო. ვერც წარწერიან სიძველეს ასახელებენ ამ ხეობაში.

ნასაყდრალებსა და საჯვარეებს (სალოცავებს), სუაჩხურის გარდა, სხვაგანაც ასახელებენ ბრუტსაბძელასაკენ.

ბრუტსაბძელა, ბრუტსაბძელი ან ბრუტსაბზელი (ოს. ბურსამზელი) მრავალი ადგილიდან მოჩანს დიდი ლიახვის ხეობაში. ლამაზია იგი ქ. ცხინვალიდანაც და საიდანაც არ უნდა დაინახოთ ეს მთა,

⁵² ვაზ. „დროება“, 1882 წ. № 77.

თქვენ წინ მშვენიერება დგას. მას **შვილთავიან** მთასაც უწოდებენ (შდრ. ბეთაუ — ხუთთავიანი), ზოგიც **გულდგორას** უწოდებს.

მის შესახებ სხვადასხვა შინაარსის მრავალი თქმულება არსებობს დიდი ლიხვის ხეობაში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებში.

ერთი ასეთთაგანი ჩვენ გავიგონეთ ს. კუსირეთში ფირუზ ბეთევისაგან (90 წლის, წ.-კ. არამცოდნე, 31. V. 1953 წელს) და ჩავიწერეთ (23. XII. 1953 წ.) მალხაზ ივანეს ძე თიგივეის (75 წლის, წ.-კ. არამცოდნე, ამავე სოფელში დაბადებული) სიტყვებით, ჩვენი სტუდენტების შოთა ედიშერაშვილისა და ბეჟან წვიმატიძის თანდასწრებით.

ამისივე მსგავსი თქმულება სფ. კარალეთშიც გავიგონეთ (იხ. კუსირეთი). ითქვა, რომ ამ საინტერესო თქმულებაში⁵³, ბიბლიური ნოეს კიდობანი ორი კამეჩითაა შეცვლილი. წარღვნის დროს, — ამბობს გადმოცემა, — აცურდა ორი კამეჩი. ერთს ვაჟი აჯდა ზურგზე და მეორეს — ქალი. წყალმა იმატა, ქვეყანა დაფარა, მაგრამ კამეჩი უბაღლო მცურავია და არ დაიღუპა. ჩნდა მხოლოდ ორი მწვერვალი. კამეჩები უახლოესს მიადგნენ. ეს მწვერვალი იყო ბრუტსაბძელა (ოს. ბურ-სამშელი — ყვითელი საბძელი), მაგრამ მწვერვალზე ისე მცირე მოედანი აღმოჩნდა, რომ მასზე მხოლოდ ერთი კამეჩი მოთავსდა. მეორემ იბრუნა პირი, არარატის მწვერვალამდე იცურა და მასზე შედგა...

კარალეთური თქმულებით, წარღვნის შემდეგ მხოლოდ დასახლებული ქალ-ვაჟი აღმოჩნდნენ ქვეყანაზე და მათი შეუღლებით გამრავლდნენ ადამიანები (შდრ.: თქმულება სოდომისა და გომორას შესახებ).

როგორც ზემოთ (იხ. კუსირეთი) უკვე ითქვა, გ. ფრეზერის მონოგრაფიაში⁵⁴ განხილულია დიდი წარღვნის შესახებ არსებული უამრავი ლეგენდა, მაგრამ ბრუტსაბძელასთან დაკავშირებული ორი

⁵³ გამოვიყენეთ ნაშრომებიც — ცხინვალის პედაგოგიკური სასწავლებლის სემინარიის სემინარის ოფისები, ცხინვალი, 1954, გვ. 54; სპეციალურად მასზე იხ. ჩვენი „დიდი წარღვნის ლეგენდის უცნობი ვარიანტი და თქმულებები ბრუტსაბძელას შესახებ“ დაიბეჭდა აკად ი. ორბელისადმი მიძღვნილ კრებულში „Исследования по истории культуры народов Востока“, მოსკოვი-ლენინგრადი, 1960, გვ. 108—111; იგი მაშინვე ფრანგულ ენაზეც ითარგმნა და დაიბეჭდა კრებულშიც „Bedi Kart-Iisa“, პარიზი, 1960, ტ. VIII—IX, № 34—35, გვ. 129—132.

⁵⁴ Г. Фрезер. Фольклор в Ветхом завете, моск.-ленинград., 1931 (თარგმანი ინგლისურად).

კამეჩის შესახებ არსებული თქმულების მსგავსი რამ არაა, და მაშასადამე, ეს ვარიანტი აქამდე უცნობი იყო.

სხვა თქმულებით, ლიახვის ხეობას რომ აპყვები, ბრუტსაბძელა გიწვევს. მწვერვალზე მცირე მოედანია, მასზე გაწყობილი მაგიდა და სკამი დგას, მაგრამ ადამიანი მწვერვალამდე ვერ აღწევს, რადგან იქედან ავი სულები ქვებს ესვრიან ასვლის მცდელობაზე.

კიდევ სხვა თქმულებით, ბრუტსაბძელას მწვერვალზე თამარ მეფის სასახლეა, რომელშიც ვითომც თვით თამარი ცხოვრობდა. ამავე მწვერვალთან დაკავშირებით გადმოცემებია ხალხში ცნობილი⁵⁵ შუქურ ვარსკვლავისა და თამარ მეფის ვაჟის შესახებ.

ბირველის მიხედვით, ქალწულ თამარ მეფეს შეეძინა ვაჟი და რომ არ დაეწყოთ მითქმა-მოთქმა თამარის ბიწიერებაზე, რომ თამარის სახელი არ შებღალულებო, ეს ბავშვი ტყეში გადააგდეს. მას იქ ირემი აწოვებდა ძუძუს, გადარჩა, მონადირემ იშვილა და სახელოვანი გმირი გახდა⁵⁶.

ეს თქმულება წინ უსწრებს იმ ხალხურს ლექსს, რომლითაც:

„ბატონიშვილს ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვია...“.

არაა ძნელი იმის შემჩნევა, რომ აქ უძველეს მითთან გვაქვს საქმე და თამარის სახელთან იგი შემდეგაა დაკავშირებული. ამიტომ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს ის მოსაზრება (პ. ინგოროყვა), რომლითაც ასეთ თქმულებას კავშირი აქვს ძველისძველ სვანურ მითთან ქეთუ-კამარის შესახებ. ადარებენ სახელებსაც ყამარ-კამარსა და თამარს (ნ. მარი).

კიდევ უფრო არსებითი ისაა, რომ თვით თქმულება ქეთუ-კამარის შესახებ და კერძოდ დალის შესახებ ამირანის სახელთანაა დაკავშირებული.

ოსური თქმულებები სწორედ ბურსაბზელას (ბრუტსაბძელას) თვლიან ამირანის (ამირანის) მიჯაჭვის ადგილად.

როგორც სვანეთში თვლიდნენ უშუალოდ მწვერვალს მიუკარებლად, ისე ლიახვის ხეობის მცხოვრებთ მიაჩნდათ ასეთად ბრუტსაბძელა.

⁵⁵ შდრ.: ვ. მილერი, ოსური ეტიუდები, III, გვ. 174—176; ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყვ. ისტ., I, გვ. 284—285, და ი. მეგრელიძე, ხალხური გადმოცემები რუსთაველის შესახებ, ცხინვალი, 1954 წ., გვ. 125—127 (სამივე რუსულად).

⁵⁶ იხ. ი. მეგრელიძე, ხალხ. გადმოც... გვ. 127.

ცნობილია, რომ მთებისა და კლდეების მწვერვალების თაყვანისცემა აიხსნება იმ ძველი ხალხური წარმოდგენით, რომლითაც ასეთ ადგილებზე ცხოვრობენ ღმერთები, ღვთაებანი და ავი სულე-ბიც კი.

ხალხური წარმოდგენაა ასახული აკაკი წერეთლის ამ სიტყვებში: „ნეტავ რა ხმაა ეს საზარელი? კუდიანებს ხომ არ ეძახიან ბრუტსაბძელზე“⁵⁷.

ეთნოგრაფი გ. ფ. ჩუბინი წერს, რომ 1924 წელს ბრუტსაბძელაზე ჩვენი სტუდენტები არ აუშვა ხალხმაო. იქ ამინდის (მეხის, სეტყვის, თოვლის, წვიმისა და ქარის) ღმერთი ცხოვრობსო და თქვენ გამო ჩვენც გვავენებსო⁵⁸. თანაც დასძინეს ადგილობრივებმაო, იქ დაკეტილი პატარა ეკლესიაა და ასვლა არ შეიძლებაო. 1872 წელს ამ ხეობაშივე მოგზაური ვ. პფაფის თქმითაც, პატარა იალბუხზე, რომელსაც ბურსაბზელი, ანუ ბრუტსაბძელი ეწოდება, უძველესი ეკლესიაა. მის შესახებ ხალხში ლეგენდები არსებობს და ამბობენ, იქ ვერავინ ავაო.

ერთ მონადირეს უნდოდა ასვლა, მაგრამ მას მიახლოებისთანავე დამბლამ დაჰკრა ფეხში და შეაჩერაო. ეკლესიიდან კი, საიდანაც გალობა უნდა ისმოდეს, ყვირილი მოისმოდაო.

მსგავსი ლეგენდის თანახმად, სახელგანთქმულ მონადირე ცუანონს, რომელიც ბრუტსაბძელზე ავიდა, ეკლესიასთან მისვლამდე ყვირილი მოესმა. მონადირე წავიდა იქეთ: გამოქვაბულში მიჯაჭვული გმირი ნახა, რომლის მკერდიდან ამოცლილ გულს არწივი ჰკორტნიდაო. მონადირემ დააპირა სულთანხანის (ალბათ სულკალმახის, ი. შ.) აღმასის ხმლის მოტანა, რათა ჯაჭვი გაეკვეთა, არწივი მოეკლა და გმირი გაეთავისუფლებინა, მაგრამ თვით მონადირე გადაჩეხა ვა ც ი ლ ა მ (ა მ ი ნ დ ი ს ღ მ ე რ თ მ ა) კლდიდან, გმირი ისევ მიჯაჭვული დარჩა და ვინც ამ მთასთან გაივლის, მას ისევ ესმის გმირის ყვირილი და ვაებაო⁵⁹.

ძველი ხალხური წარმოდგენით, ბრუტსაბძელაზე ამსვლელი

57 შდრ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 1143.
 58 Труды Закавказск. научн. ассоциацин. Серия I, Тб., 1925, с. 177—178.
 59 იხ. ვ. პფაფის ციტ. ნაშრომი, 1872, გვ. 154, შდრ. გაზ. „დროება“ № 77, 1883; მ. იხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბილისი, 1947 წ., გვ. 390—395; იქვე, გვ. 417—418; კრებული „Амран“, ვ. აბაევის წერილით, ნ. მარის წინასიტყვაობითა და რედაქციით (გამომცემლობა „აკადემია“, მოსკოვი-ლენინგრადი, 1932).

უეჭველად დაბრმავდებოდა ან ისეთ ბურუსს წააწყდებოდა იგი, რომ გზას ვერ გაიკვლევდა. ბრუტსაბძელაზე ასვლის საშიშროების, ახლა, რა თქმა უნდა, აღარ სჯერათ, რადგან ჩვენი ალპინისტები და უკვე მოხალისეებიც მასობრივ სვლებს აწყობენ ამ მთის მწვერვალზეც და გამარჯვებულნი ბრუნდებიან. მაგრამ სათანადო თქმულებების შეკრება და შესწავლა მაინც საჭიროა, საშური საქმეა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მთის ოსური სახელწოდება ბურ-სამშელი ყვითელ საბძლადაა ოსებში გააზრიანებული, მაგრამ იგი ქართული ბრუტ-საბძელას შეცვლილი ფორმაა⁶⁰. შესაძლებელია, თქმულებას ამ მთაზე ამსვლელის დაბრმავების შესახებ კავშირი ჰქონდეს თვით მთის სახელთანაც. ქართ. ბრუტიათი ნიშნავს ბრუციათს, ახლომხედველს, ელამსა, და ზოგჯერ, ბრმასაც.

ხალხი ამ ბრუტსაბძელას ხშირად ბრუც-საბძელსაც უწოდებს და სწორედ ასე ასახელებს მას ვახუშტი, რომელიც წერს: მთას ბრუც-საბძლისა „ბრუც-საბძელი ეწოდება“ და სახელს ააზრიანებს: „ვინაიდან არს მსგავსი საბძლისა და უქმი“⁶¹.

საბა ორბელიანს ის მრულ საბძელად აქვს წარმოადგენილი⁶².

როკაბ

ვანელიდან როკამდე (ოს. რუკ) 12 კმ-ია. როკის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლებია: ქვემო, შუა და ზემო როკა, დემეთა, ქვემო და ზემო ჯომალა, მალი, საგჯინკურფი, ქვემო, შუა და ზემო სბა, ქვემო და ზემო ზღუბირი, კაკათიყაუ და გუბათიყაუ.

ზემო როკის ლამაზი უღელტეხილით⁶³ მთავრდება აქ საქართველოს სს რესპუბლიკა. როკის ხეობას როკის წყალი ქმნის, რომელსაც ოსურად რუქლონს უწოდებენ. იგი დიდი ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

ქვემო როკაში ეკლესია დგას, რომელიც ფორმით ვანელის,

60 ბურ-სამშელი მოგვაგონებს ბურ-საქირს (დარიალში) სახელის პირველი კომპონენტით, მაგრამ სხვადასხვა წარმოშობის უნდა იყვნენ.


61 ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 115.

62 ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, იხ. მოკლუაების ქვეშ.

63 შტრ. Н. Дмитриев, Переход через Рокский и Мамисонский перевалы.—Сб. материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XX, с. 1—35; აგრეთვე—კ. ჰანის წერილი კრებულში „Aus dem Kaukasus...“ ლაიფციგე, 1892; არსებობს მარშრუტის აღწერაც: — «Через Рокский перевал» (ტურისტთათვის), მოსკოვი, 1956.

თლისა და ედისის ეკლესიებს ჰგავს. ამასაც ამბობენ, რომ ისინი ერთსა და იმავე დროსაა აგებულნიო, მაგრამ ვანელელი მოხუცები არ ეთანხმებიან ამის მთქმელებს, ჩვენი 200-ზე მეტი წლისაა და თქვენი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აშენდაო.

1872 წელს იყო როკაში (ალბათ ზემოში) ვ. პუტაფი და ეკლესია უკვე არსებულია. მოგზაური ასახელებს მამა (მღვდელს) გრიგოლს, რომელიც ქართველიაო, მაგრამ მშვენიერად იცის ოსური ენა უა ოსების ზნე-ჩვეულებანი, ჩემი ნაშრომი ეს წავაკითხე, შეასწორა და საერთოდაც, ისე კარგად მიმიღო, რომ მას ვერასოდეს ვერ დავივიწყებო⁶⁴.



სურ. 67. როკის ეკლესია

ეკლესიასთან ხეზე დიდი ზარია. ეს წინათ ზემო როკაში კიდებულია. ეკლესიის წინ, მდინარის გაღმა, აქედან ძნელად მისადგომი კედელჩამოშლილი კოშკი დგას მეტად თვალსაჩინო და როკაში შესასვლელების სათვალთვალოდ მალალო გორაკზე.

შუასა და ზემო როკაში რამდენიმე კოშკია და ყოველი მათგანი დაზიანებულია უმთავრესად დასავლეთი მხრით, რადგან აქედან ხვდება მათ ქარი და წვიმა.

განსაკუთრებით ლამაზია ზემო როკა (გვაგონებს ბახმაროს, შოვს). იგი როკის ხეობის მაღლობებში მთებიტაა შემოზღუდული და მისი დასავლეთი, ღია მხარე შესანიშნავ ზედს წარმოადგენს. ხეობა სრულდება ზაფხულშიც კი თოვლიანი ზეგებით და როკის აღმოსავლეთით აღმართული რეჟი ხოხით. უკანასკნელის შესახებ ხარიტონ ფლიევის ლექსია გამოქვეყნებული⁶⁵.

⁶⁴ ვ. პუტაფი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 155.

⁶⁵ „რესე ხოხ“, მედ. კახიძის ქართული თარგმანი — „რესის მთა“ იხ. ჟურნ. „მნათობი“ 1957, № 1, გვ. 20.

როკის უღელტეხილის (ოს. რუჰკ ავცაგ, ზღვის დონიდან 2291 მ) მთის ფერდობზე ნახავს კაცი, საიდან იწყება როკის წყალი (თოვლი დნება, ხევებში მოჩხრიალებს წყაროები და ქმნიან მდინარეს).

ამ უღელტეხილით მრავალი ტურისტი გადმოდის ზაფხულობით ჩრდილო ოსეთიდან ზრმაგ-ნარ-ზაყა-როკას გზით.

როკის სამხრეთ-აღმოსავლეთი მთა დიშიჯენ (ანუ დისიჯენ) არსებითად ორი ქედია ერთმანეთში შესული. მის მწვერვალს კოჯორი (შდრ. კოჯორი) ჰქვია. აღმოსავლეთი ფენი ხევებში თოვლიანია.

ამ მთის ჩრდილოეთ მხარეს გასდევს ქვის ზოლი, რომელიც შორიდან გზის შთაბეჭდილებას ტოვებს. მას ხალხი ვეშაპს უწოდებს. არსებობს თქმულება, რომ როკიდან ვეშაპი ს. დემეთისაკენ მიემართებოდა. მას წმინდა გიორგი დაუხვდა, შესძახა, სად მიდიხარ, ვეშაპო.

— დემეთელები უნდა ამოვადო, — უპასუხა ვეშაპმაო. წმიდა გიორგი აფრინდა, დაჰკრა მეხი და ვეშაპი გააქვავაო. დასძენენ, რომ ეს გრძელი, დასავლეთისაკენ გაწოლილი ქვა დასასრულს მოხრილია, თითქოს ვეშაპს თავი მოუბრუნებია და ეს ნაწილი კუდიან შედარებით უფრო ფართოა. მასზე ორი ისეთი ორმოა, რომ შიგ შეიძლება კაცი ჩაჯდესო. ამათ ვეშაპის თვალებს უწოდებენ.

ვეშაპად წოდებული ქეები და ვეშაპების შესახებ გადმოცემები ბლომად გვხვდება საქართველოსა და სომხეთში⁶⁶.

როკის ჩრდილო დასავლეთით ქედია რაღ-ყუარ. ოსთა წარმოდგენით, იქაა წმინდა გიორგი. როკიდან ჩრდილოეთით მთაა მასიგქომ (ციხის ხეობა) და საუ-ყათ, ანუ შაუ-ყად (უკანასკნელი ნიშნავს შავ ტყეს. ოს. შაუ—ქართ. შავი. აქ ნაძვნარია). შემდეგაა დენჯიზე — კაძახ-გამახსიათ (კლდე), ანუ გამახშევათ, და შემდეგ თვით როკის მთაა. როკა ამ მთებითაა გარსშემორტყმული, რომელთა ფენებზე წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეებია. აქაურ ხევებში თოვლი და ყინულებია, ხოლო მთათა უფრო მაღალ ფენებსა და მწვერვალებზე სუბალპური და ალპური საძოვრებია. ნამდვილ როკად ზემო როკას თვლიან. წინათ აქ მეტი (1865 წ. — 52 კომლი) ცხოვრობდა, ვიდრე ახლა (30).

⁶⁶ იხ. Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишاپы, Ленинград, 1931 (იგივე გამოცემულია ფრანგულადაც); პროფ. ლეონ მელიქსეთბეგი. მეგა-ლიური კულტურა საქართველოში, თბ., 1938.

აქ, თუმცა თოვლი დიდი იცის და ზამთარი გრძელია, მაგრამ ნაკლები სინესტეა და სიცივეს ზამთარში ნაკლებ ვგრძნობთ, ვიდრე ცხინვალშიო, — ამბობს აქ მცხოვრები განთქმული კოლმეურნე ქალი მართა ფლიევა (იხ. ქვემოთ).

მოდის მხოლოდ ქერი და კარტოფილი, მისდევენ მეცხოველეობას. ადგილობრივ მცხოვრებთა გვარებია: ფლიევი, თომაევი, კოზონოვი. როკაში, მდინარის მარჯვენა, ე. ი. სოფლის, მხარეზე 6 ციხე-კოშკია.

1. ფლიევის სახლთან, ფასადის განი 5,50 მ, ჩრდილ. მხარე — 5,10 მ.

2. თომაეების — ძირში კვადრატული (6,40 მ), ზევით ვიწროვდება, კარი მისადგამი კიბისათვის ჰქონია მეორე სართულზე აღმოსავლეთიდან. ეს ყველაზე მაღალი (12-14 მ) ოთხსართულიანი კოშკია.

მესამეს (4,40 კვ. მ) მახამათის ციხეს უწოდებენ (ესეც თომაეგთა გვარს ეკუთვნოდაო). ამ მახამათის შესახებ არსებობს თქმულება. ლალის გადაუხდელობის გამო მას თავადი მაჩაბლის მოურავი მიუვარდაო, მასპინძელი ამ ციხეში შევიდა და თავი დაიცვაო.

მეოთხე კოშკი ფლიეებისაა და ა. შ.

წინათ აქ ე. წ. ხისთ-ძუარის ეკლესიაც ჰქონიათ. საძიკვლის მიხედვით ჩანს, რომ მისი განი — 7,50 მ, ხოლო სიგანე (ჩრდილოეთიდან სამხრეთით) 12,50 მ ყოფილა.

ზემო როკაშივე ექვსი „ზაფაძი“, ანუ ზაპაძე⁶⁷ — ჩვეულებრივი ორსართულიანი აკლდამაა. თითოეული მათგანი მოზრდილ კლდეში გამოკვეთილ ოთახს წარმოადგენს. წინათ ასეთში შეჰქონდათ მიცვალებული და მას დებდნენ კედლის ტახტზე. შემდეგ, როდესაც სხვა მიცვალებულს შეიტანდნენ შიგ, წინანდელს იატაკზე ან ქვედა სართულში (სარდაფში) დებდნენ.

75 წლის ზაქრო თომაევი გვაუწყებს, რომ მისი პაპა 100 წლის იყო. ის იტყობდა, არც 80 წლის პაპაჩემს ასსოვდა, რომ რომელიმე მიცვალებული ზაპაძეში შეეტანათ, რადგან უკვე დამარხვის წესი იყო შემოსულიო (შდრ. ჩელიათი). ასეთ ზაპაძეებში ჩონჩხებსა და ტანსაცმლის ნაფლეთებს ვხვდებით. ერთ-ერთი მათგანის გვერდის

67 ოს. дз а п п а з — აკლდამა.

„კარის“ ქეა (ზოგს ხის კარი აქვს) გადავწიეთ, შეგედით შიგ და 10 ქალა დაეთვალეთ.

არსებობს ცნობაც, რომ ასეთ აკლდამებს 200—300 წლის წინათ იყენებდნენო. მსგავსი აკლდამები ჩრდილოეთ ოსეთში, სვანეთსა და აფხაზეთშიც გვხვდება. ისინი სპეციალურ შედარებით შესწავლას საჭიროებენ და ამიტომ თარიღის შესახებ ჩვენის მხრივ აღარაფერს ვამბობთ. შევნიშნავთ კი მხოლოდ, რომ, ცხადია, ქრისტიანული რელიგიის ყოფაში დამკვიდრების შემდეგ ასეთ აკლდამებს აღარ ააგებდნენ, რადგან ქრისტიანობა მიცვალებულის დამარხვის წესს ცნობს („მიწა ხარ, მიწად იქვეციო“, — ეუბნებოდნენ მიცვალებულს დამარხვისას). მაგრამ საქმე ისაა, რომ ქრისტიანობა ოსებში ძალიან გვიან დამკვიდრდა ყოფაში და ისიც წარმართობის აღათების შეზრდით.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცნობა ზაზაძეების შესახებ, რომელსაც შემდეგ (1869 წ.) პ. ნადეჟდინი ეყრდნობა: გადმოცემებზეა დამყარებული და არა მოქმედ ყოფითს წესზე.

პ. ნადეჟდინი იმეორებს ცნობის სიტყვებს: «В некоторых долинах Осетии,—пишет Г. Гаксгаузен, — покойника кладут в фамильный склеп, пока не истлеет, а потом кости его смешиваются с другими. В гробницах находят иногда куфские, сасанидские и грузинские монеты.

Осетины питают глубокое уважение к гробницам своих предков. Многие семейства имеют потомственные гробницы и общие склепы»⁶⁸.

აქვე შევნიშნავთ ცნობას, რომლის თანახმად, ძველად ოსები, ისევე როგორც დაღესტნელებიო, მიცვალებულის ცხენსა და ცოლს საფლავის ირგვლივ შემოატარებდნენ, მათ მარჯვენა ყურებს სჭრიდნენ და მიცვალებულს ატანდნენ, რათა მან ადვილად იცნოს ამ ყურების პატრონები საიქიოსაო. ახლა ასეთი რამ არ ჩანს გადმოცემებშიც კი. ყურის მაგიერ თმის გამოყენების ფაქტს, ე. ი. ცოლს რომ ცალ კავს და ცხენს (თავისი თუ არ ჰყავდა, ნათესავის ცხენს) ერთ მუჭა ფაფარს მიაჭრიდნენ და მიცვალებულს უდებდნენ საფლავში, ამის შესახებ თქმულებებს ახლაც გაიგონებთ.

ზოგიერთებს ახსოვთ, რომ მდიდრის დასაფლავების შემდეგ

⁶⁸ П. Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, С.-Петербург, 1869, с. 108.

სასაფლაოსთან ჯირითი იმართებოდა და გამარჯვებულს მიცვალებულის რომელიმე ნივთით (იარაღით, ტანსაცმლით) ასაჩუქრებდნენ. ასეთი შეჯიბრების მომსწრე დავით ბეგიზოვიცაა (იხ. ედისი).

ზაპაძეების თარიღის შესახებ ე. პჩელინას ასეთი მოსაზრება აქვს გამოთქმული: სანიბაში (სამება) ვხვდებით მრავალრიცხოვან «западз-ев, т. е. могильных башен полуподземных и подземных склепов, а так же могильников в грунте... (IV-XII вв. н. э. и позже» [XVI-XVIII вв.]⁶⁹.

როკაში ნაპოვნია ბრინჯაოს ნივთები⁷⁰.

* *

ჩვენ ვლაპარაკობთ სიძველეებზე, მაგრამ უნდა ვთქვათ თანამედროვე ადგილობრივ სახელოვან ადამიანებზეც.

ზემო როკაში ცხოვრობს ცნობილი ოსი კოლმეურნე ქალი მართა დოცყოს ასული ფლიევა (დაიბ. 1896 წ.).

მართას სახლის ერთი დიდი ოთახი თითქმის მუზეუმს წარმოადგენს. საიდან არ მიუღია მას წერილი, სურათი და სხვა!

აქვეა კლ. ვოროშილოვის წარწერით მისივე დიდი სურათი. მასზე ვკითხულობთ:

«Т. Плиевой М. Д.
Не забывайте Москву,
Мы Вас помним.

26. III. 36.

К. Ворошилов».

კ. ვოროშილოვის გარდა, მართას საბჭოთა მთავრობის ზოგიერთი სხვა წევრისა და არმიის გენერლის მადლობის წერილებიც აქვს. მას მადლობას უთვლიან იმისათვის, რომ მეორე სამამულო ომის ღროს თავდაცვის ფონდში 110 ათასი მანეთი შეიტანა პირადი დანაზოგებიდან; კოლმეურნეობას ასი ათასი მანეთის ობლიგაცია შეაძენინა და 50 ათასი მანეთის ღირებულების ნივთები გააგზავნინა ფრონტელებისათვის.

მ. ფლიევა სოციალისტური რევოლუციის პირველი წლებიდანვე ჯავის რაიონის სფ. როკაში სასოფლო საბჭოს ქალთა ორგანიზატორად მუშაობდა.

⁶⁹ Е. Пчелина, Крепость «Зильге Машиг». — Советская этнография, 1934, № 3. с. 98; შდრ. კრებ. „Нарты“, მოსკოვი, 1957, გვ. 396.

⁷⁰ Б. А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 24.

იგი 1928 წელს როკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიური მონაწილე გახდა; 1931 წლიდან საკოლმეურნეო ფერმის სამაგალითო მწველავი იყო და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15-წლის-თავთან დაკავშირებით შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს; 1939 წლიდან მართა ფლიევა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნეს. საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს; 1954 წელს პენსია დაიმსახურა. გარდაიცვალა 1971 წ. დაიბეჭდა ნეკროლოგი: გაზ. „კომუნისტი“ 30.V, „Заря Востока“, 29.V და „საბჭოთა ოსეთი“

ზ ლ უ ბ ი რ ი - ს ბ ა - ჩ ე ლ ი ა თ ი

როკიდან სბამდე 4-კომლიანი სოფელი ზღუბირია სბის წყლის ლიანვში შესართავთან. ეს ლამაზი ადგილია.

ზღუბირში, მეტად თვალსაჩინო ადგილზე, ჯვრის ფორმის ქვის თითქმის ისეთივე ეკლესიაა, როგორიც როკაში.



სურ. 68. ზღუბირი. ეკლესია

ერთ-ერთ აღმართულ საფლავის ქვას ორი მხრით აწერია რუსულად, რომ ერზერუმში 1917 წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა ალექსანდრე შავლოხოვი (ამბოზენ ტიფით), რომლის ნეშტი აქ დაუსაფლავებიათ. ოსები ჩვეულები-სამებრ მიცვალებულს სხვაგან არ ტოვებენ.

სხვა ქვების ქართული წარწერები უმნიშვნელოა. აქვე ტყის მსხლეების დიდი ხეებია.

აქედან ჩრდილოეთით სოფელი სბა სბის წყლის მარჯვენა ნაპირზეა. აკლდამები (ზაპად) აქ ერთი წყალს გამოღმაა და მეორე გაღმა. იქვე, მახლობლად, ნარზანის წყაროა.

სოფლის ჩრდილოეთ გორაკზე (ნასაყდრალზე) ფიცრებით აგებული ნიშია (სენაკი) ორბოძიან სამრეკლოთურთ. უკანასკნელზე ერთი მოზრდილი და ორი პატარა ზარია. ერთ პატარა რუსულ ზარს 1817 (წ.) აწერია. სენაკში მოგვძო ხისტარიანი დროშაა, რომელზეც ოცამდე პატარ-პატარა ზარი, ეყენები და ჯვრები ჰყილია. ერთ-ერთ ჯვარზე (სიმაღლე — 9 სმ, განი — 5 სმ) ქართული მხედრული წარწერაა:

„სიზღვრინ ძუარ“, რაც ოსურად ნიშნავს **ოქროს ჯვარს**, მაგრამ ესმით როგორც **ოქროს ანგელოზი**.⁷¹ სბის ეკლესიას სიზღვრინ ძუარ ერქვა თურმე. ამის დღეობას 20 მაისს იხდიდნენ.

ამ ნასაყდრალის ზემოთ, ე. წ. ხატის ტყეშიც ყოფილა ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც თამარ დედოფლის ჯვარს უწოდებენ. მოხუცები ამბობენ: ის ადგილი ისეთ წმინდანად მიგვაჩნდა, რომ იქ ქალი და ცოდვის ჩამდენი კაცი ვერ მიბედავდაო. რომ მისულიყო, ასეთს სოფელი დასჯიდაო და დასძენენ, რომ იმ ტყეში ნადირობა არ შეიძლებოდა და ხის არამც თუ მოჭრა, ხმელი ფიჩხიც კი არ გამოგვაქვს იქედანაო.

ამ მთის შესახებ ეთნოგრაფი გ. ფ. ჩურსინი წერს, რომ მასზე მდებარე საყდარს **ცარლ-ძუარ** ეწოდებო (ჩვენ მიერ დასახელებულ **ცვლ-ძუარს სიღზარინ-ჟუარს** უწოდებს და **ოქროს წმინდან** თარგმნის). მასზე მხოლოდ 2 მოხუცი ადის დღეობისას წელიწადში ერთხელ (ჩვენ გვიამბობენ, დეკანოზი და მის მიერ შერჩეული პირებიო, **ი. მ.**). მათ თან მიაქვთ სიღზარინ-ჟუარი, ტყვია და ლითონის ცხვრის ფიგურები, იქვე სპილენძის დიდი ქვაბიცაა და ხატს მსხვერპლს სწირავენო.

იგივე ავტორი ამავე სბაში სპარსეთის ჯვარსაც (თუ ეს ქემერტის სპარსეთას გამოძახილი არაა?!) და სოფლის პირისპირ „ძუარ-ძუარს“ ასახელებს⁷².

სბიდან ელისში მისვლამდე (ორ კილომეტრნახევარზე), პირდა-

71 Б. А. Калоев, Осетины, М., 1971, с. 278, აქვეა დასახელებული გ. ფ. ჩურსინის სათანადო ნაშრომი. ბ. ქალოევი ამ ჯვარს სიღზარინ ძუარ-ს უწოდებს. ამავე სბასა და საერთოდ როკის მხარეშიო, დასძენს ავტორი, სახელგანთქმულია „ცირდი ძუარ“-იო — მწვერვალის ჯვარი. ჩურსინს ისიც აქვს აღნიშნული, რომ ოსები ზღუბირის მწვერვალზე წელიწადში ერთხელ დღეობაზე გზავნიან მხოლოდ 2 მოხუცს, ჯვარს, ტყვიასა და ლითონის ცხვრის ფიგურებს სწირავენ, იქვე სპილენძის დიდი ქვაბებიც დგასო. ბ. ქალოევს იქვე საგვარეულო „ძუარებიც“ აქვს დასახელებული.

72 Труды Закавказск. научн. ассоц., Серия 1, Тб., 1925, с. 204.

პირი გზიდან მარცხნივ გადახვევით, თლისწყლის⁷³ (ზოგთა გამოთქმით — თლიდონ) ხეობაში სვ. ჩელიათია (ამ სახელწოდებას შდრ. დიდოეთში არსებული არქეოლოგიურად საყურადღებო⁷⁴ სოფლის სახელწოდება ჩალიახო, ჩალიახ)⁷⁵.

ჩელიათში კოშკია.

აქ, როკის ტიპის ერთ ზაპაძს გარდა, არის კიდევ მეორე, სრულიად თავისებური, მიწის ზევით აღმართული ორსართულიანი ოთხკუთხი ზაპაძი.

აკლდამის პირველ სართულში გოგონას (12-15 წლის) წითელტანსაცმლიანი ჩონჩხია. 15-20 წლის წინათ გარდაცვლილი გოგონა ზამთარში დიდი თოვლის გამო, ვერ დაუსაფლავებიათ და აქ შეუღვიათ, თორემ ამ გოგონას დროს ზაპაძებს უკვე აღარ იყენებდნენ.

აკლდამაში მრავალი დაშლილი ჩონჩხია, ნოხის მაგვარი ქსოვილის ნაგლეჯები და სხვა ჩერებიც.

აკლდამის მახლობლად, საფლავის მაღალ გათლილ ქვაზე (ოთხეუ მხრივ) ასეთი ქართულით გამოთქმული წარწერაა:

(1) “1904 წ.	სახსოვრად
თებრელ(-)	მიზევ გულშე(-)
ის 10 დღ(-)	და გაგის
ესა გარდ(-)	და წამკითხველნი(,)
აიცვალ(-)	თქვით წყალობა(!)
ა(- საფლა(-)	(‡) ჩრდ ⁷⁶ (.)
(2) ესა ში(-)	შენდობა
ნა მდებარ(-)	მიბრძანეთ
ე ვარ გარ(-)	და მადლობ(-)
სიერას	ას მოგახსენებთ“.
ძე... ქუა	

მეოთხე მხარეზე 3 სტრიქონი აღარ იკითხება. ჩანს, ტექსტი ოსის შეთხზულია და მის მიერვეა დაწერილი, თორემ ქართველი ორთოგრაფიულად შეასწორებდა.

⁷³ ს. თლიში ეკლესია და კოშკია.

⁷⁴ И. Мегрелидзе, Археологические находки в Дидо. — Советская археология, т. XV, 1951, с. 284.

⁷⁵ იხ. И. Мегрелидзе, Из дидойской диалектологии.—ცხინვალის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1955, გვ. 242.


⁷⁶ ჟნდა ჩ შ დ (1904 წ.); ი. შ.

იქვე 1895 წ. ჩამოსხმული რუსული დიდი ზარია.

თლის წყალი თლის მთიდან გამოდის. სოფლის მთას კოზორს (შდრ. კოჯორი) უწოდებენ, ხოლო სოფლის ჩრდილოეთ მხარეს — რალ-ძუარს. ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალ მთაზე, ეკლესიაა სანბა (ქართ. სამება) ერთი ოსი ამბობს: „ამ ძუარ დღეს ხუთ მაისს ვხეილობთ“ (ვიხდით დღესასწაულსო).

ე დ ი ს ი

ზოგიერთთა გამოთქმაში ისმის ეძისი. ედისს ქალაქსაც უწოდებენ. ქვემო როკადან ედისამდე 8 კმ-ია. სასოფლო საბჭოს, რომელიც ედისშია, ურსთვალის საბჭო ჰქვია. მასში შემავალი სოფლებია: ედისი (იგივე ე. წ. ქალაქი), ქვემო, შუა და ზემო ერმანი, ბრიტათა (ბრიტათათა), გალუათა, კაბუზთა, ხოჯა (ხოდ), ხუსსართა და ჩელიათა.



სურ. 69. სოფ. კაბუზთა

თვით ედისში ახლა 25 კომლია. 1865 წელს — 21. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობაა. აქაური ყველი ქებულია. აქეთ ნარზანის წყარო. ეს სოფელი არქეოლოგიურადაც საინტერესოა. სოფლის გორაკ ცარცათზე (ცარციათ ან შარშათ, შარშიათ), გაღმორცემით, ცხოვრობდნენ ცარცათები, ანუ ცარციათები (შარაშია-

თები), — გოლიათები, რომლებიც, შავმა ჭირმა ამოწყვიტა. გაუ-
კაცრიელებულ ადგილებზე მოვიდნენ ოსები და გამრავლდნენ⁷⁷.

ედისელები იმეორებენ გადმოცემას, დარეჯანთები და ნართები
არ ყოფილან ედისშიო, მაგრამ ცარციათები კი სხვაგანაც ყოფილან
ამ მთიანეთის სოფლებში. მაგ., სფ. ხეწეში, სფ. სტირფაზსა და სხვ.

თქმულება გოლიათების შავი ჭირით ამოწყვეტისა და მათ ნა-
მოსახლარებზე ახალი ტომების მოსვლისა და მათი მომრავლების
შესახებ, როგორც ვთქვით, გვაგონებს თქმულებებს ძველი საბერძ-
ნეთის პირვანდელი მოსახლეობის შესახებ. მეორე მხრივ, ეს თქმუ-
ლება კიდევ იმიტომაც საინტერესოა, რომ ჩრდილოეთიდან სამხრე-
თისაკენ ძველ ოსთა ლტოლვა ისტორიულად ცნობილი ფაქტია (რაც
ვ. აბაევმა ლინგვისტურადაც დაადასტურა) და ცხადია, რომ რაღაც
დიდი ფაქტი უნდა მომხდარიყო, რომ მოსახლეობა შეცვლილიყო.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცარციათებში ქართველთა ერთ-
ერთი ტომის ნაწილი იგულისხმება.

გ. ფ. ჩურსინი ეთნოგრაფიულ ნაშრომში ოსების შესახებ
წერს, რომ სფ. ედისში დიდი თეთრი ქვა იყო, რომელსაც თაყვანს
სცემდნენ⁷⁸. ერთხელ ამ ქვას მეხი დაეცა, გასტეხა და ხალხმა
თქვა, აუცილდე მოითხოვს, აქ სალოცავი ავაგოთო, და ააგესო, რო-
მელსაც მოსავლის დოვლათის მომტანად თვლიანო.

კლდეთა და ქვათა თაყვანისცემის გადმონაშთია, რომ ოსებს
ბედნიერების ქვა სწამთ („ციქურაი ფარდიგ“ — ნატვრის თვალი),
რომელსაც, როგორც კ. ხეთაგუროვი წერს, ოსი არაფრის გული-
სათვის არ გვიჩვენებს (1902 წ.).

ედისში ცხოვრობს ამ მხარეში საერთოდ პოპულარული დავით
ლევანის ძე ბეგიზოვი, რომელიც, მისივე სიტყვებითა და მეტრიკუ-
ლი ამონაწერის მიხედვითაც 1874 წელსა⁷⁹ დაბადებული, ე. ი.
1956 წელს 82 წლისაა და ისე კარგადაა შენახული, რომ ამ ტანად

77 შდრ. ბ. კუფტინი, ციტ. ნაშრომი, გვ. 41.

78 Труды Закавказ. научн. ассоц... Серия I, Тб., 1925, с. 179.

79 წიგნში „ოსური ზღაპრები და ლეგენდები, შეკრებილი დედ. ბეგიზო-
ვის მიერ, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ალ. დლონტისა“ (ცხინვალი
1957 წ.) დაბეჭდილია: დავით ბეგიზოვი 1956 წელს 102 წლისააო, ლე-
ვან ბეგიზოვი 146-ისა და ფეფე ბეგიზოვი 140 წლის ასაკამდე
იცხოვრესო (გვ. 5—6). ეს ცნობები ზუსტი არაა. შდრ. ზემოთ წარმოდგენილი
ჩვენი დოკუმენტური მონაცემები (ჩვენი რეც. ხსენებული წიგნის შესახებ იხ.
ქურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1958, № 1, გვ. 92—93).

კაცს შეხედულებით 65—70 წელზე მეტს არ მისცემთ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ დავითის მამა, ლევანს 101 წელი უცხოვრობია, ხოლო პაპას — ფეფე ბეგიზოვს, დავითის თქმით — 170, ხოლო საფლავის ქვის წარწერით, — 173 წელი. სოფლის ეკლესიის დასავლეთი მხრიდან საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

«Под этим камнем покоится прах покойного Пепе Хам (-) атов[ича] Бегизова, (ум)ерш (-) его 1895 г., 10 ноября (.) Прожил на этом мире 173 лет (.)⁸⁰ შენდობა ბრძანეთ (!).»

დავით ბეგიზოვი ამბობს: „ჯავის ერთკლასიან სასწავლებელში ვსწავლობდიო. ვავიგეთ, თბილისის სემინარიაში მოძრაობაა და მოსწავლეები იფიცებიან, აჯანყებები დაიწყოო. ცხინვალისგან მოვიდნენ ჩვენთან ჯავაში სიმონ, აბიკო და გიორგი კასრაძეები, შეყვარეს ხალხი და განაცხადესო:

„**ძირს ნიკოლოზ, ძირს მემამულეები!**.. მამასახლისს უარი უთხარით“ და ა. შ.

მე ასისტავად ამირჩიეს; გავიჩინე ათისთავები, დავიხმარეთ ხალხი, დავტრიალდით და ავკრძალეთ ქურდობა, ჩხუბი, ღალის მიცემა მემამულეზე. 1906 წ. რეაქცია დაიწყო; შეგვევიწროვეს. გ. კასრაძემ თბილისში წამიყვანა, გამაცნო საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი და სხვები. მომცეს პროკლამაციები, დამარიგეს და გამომიშვეს. დამაპატიმრეს გორში, 10 დღე მაწვალეს, მაგრამ გარედან დამეხმარნენ და გამიშვეს. ქრთამით ამიღეს დოკუმენტი „О благонадежности“, მიმიყვანეს საქართველოს ეგზარქოსთან, რომელსაც აეკრძალა სამხრეთ ოსეთში ქართველის მღვდლად ან მასწავლებლად გაგზავნა. ეგზარქოსმა სწრაფად მაკურთხა, დამლოცა, ჩამიწყვეს წიგნებში ფურცლები, რა წამეკითხა ჯვრის წერაზე, რა პანაშვიდზე და რა რომელ დღესასწაულზე... მქონდა ჯამაგირი, დრამის ფულს არ ვიღებდი, ეს გადასახადი ოსებმა არ იცოდნენ. მალე ედისის და ერმანის სკოლების გამგედაც დამნიშნეს. ჯავის ზევით მე ვიყავი პირველი ოსი მღვდლად და კიდევ იყო შემდეგ ორი ოსი, თორემ უწინ სულ ქართველები იყვნენ ჩვენში ამ სამსახურში“.

⁸⁰ ქვაზე ასე წერია, მაგრამ საეჭვოა, რადგან მისი შვილი ლევან 101 წლის გარდაცვლილა 1949 წელს; მაშასადამე ის 1848 წელს დაბადებული და ფეფე ამ დროს 126 წლის გამოდის, ამ ასაკში კი შვილს ვეღარ გააჩენდა.

„ჩემი შვილი ორჯონიკიძესთან იყო დაკავშირებული კავკავში; იარაღებიც ჩამოიტანა იქედან. ამის გამო ოჯახი დამიწვეს მენშევიკებმა 1918 წ., მაგრამ ქართველებზე გული არ ამიყრია, ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაში არ იყო, მე მაინც ქართველებთან ვმეგობრობ“...

დ. ბეგიზოვი შენიშნავს, წინათ ჩვენში მშვიდობით დამთავრებულ ქელესსაც კი არ თვლიდნენ ქელეხად, ახლა ქორწილებშიც აღარ ჩხუბობენ, მშვიდობაა. წინათ დღესასწაულებზე ყაბახი იმართებოდა, გამარჯვებულს ხარს ან ცხენს აძლევდნენ. ვმართავდით დოღსაცაო.

დ. ბეგიზოვი სიძველეების შესახებ ამბობს: თამარ დედოფალს ბევრ ადგილზე გაუკეთებია სალოცავი ოსეთში. მათ შორის — გალვათშიც, ეძისში (ე. ი. ედისში), სბაში, ბრითათეში (ასე წარმოთქვამს ის).

ედისის ეკლესიას, დ. ბეგიზოვის თქმით, ქ ა ლ ა ჩ ი-ძ უ ა რ ს, ე. ი. ქალაქის ჯვარს (საყდარს) უწოდებენ. აშენების დროის შესახებ ამბობს: „მამაჩემი ლევანი 1949 წელს გარდაიცვალა, 101 წლისა იყო. ის იტყოდა (ასე 10-11 წლის ვიყავი), როცა ეს ეკლესია ააგეს, და დაახლოებით იმავე დროისაა ზღუბირის, როკის, თლის, ვანელისა და შუა ჯავის საყდრებიც“. გამოდის, რომ ხსენებული ეკლესიები მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აუგიათ.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე სამხრეთ ოსეთში ეკლესიები არ ყოფილიყოს. მაგ., ჯავაში ძველი და ახალი ეკლესიაც იყო. ხეწეში და კროჟაში მე-11 საუკუნის ტაძრები არსებულა. ზღუბირშიც ხომ აღვნიშნეთ, რომ არის ახალი ნიში, მაგრამ ძველ ეკლესიას ტყეში თამარ დედოფალს მიაწერენ. ძველი უნდა იყოს ის სამებაც, რომელიც ჩელიათში დავასახელეთ.

ძველი საკულტო ადგილი ყოფილა ედისშიც, უაცილას წმინდა მთა საკულტო ტყეშია. ეკლესიასთან, საფლავის გათხრის დროს, უპოვიათ: სამაჯური (ფიგურებიანი), მძივები — ქარვისფერი, მოწითალო, შავი და სხვა ნივთებიც, რომლებიც დ. ბეგიზოვს ჰქონია 1918 წლამდე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ არქეოლოგიური ნივთები შემდეგაც უპოვიათ⁸¹.

⁸¹ ჭირითი ან ყაბალი აქაურ ოსებში მეცხრამეტე საუკუნის გასვლამდე და ზოგჯერ შემდეგაც იმართებოდა მიცვალებულის დაკრძალვის დღიდან ორმოცზე ან წლისთავზე. შეჯიბრში გამარჯვებულს ასაჩუქრებდნენ: მიცვალებულის „საგარეო“ (სასტუმრო) ტანსაცმლით, უნაგირით, მდიდრები —

ე. პჩელინას შენიშვნით, 1924 წლის 25 ივნისს ედისში ქვის კუბო აღმოჩენილა⁸².

დავით ბეგიზოვის თქმით, აქაური ოსები წინათაც ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ მონათვლით ედისში პირველი ზემოხსენებული ფეფე ბეგიზოვი მონათლულა (მამინ ის 30 წლის ყოფილა) და შემდეგ მირონცხებულან ფეფეს და-ძმა და მთელი სოფელი.

მარხვას კი მანამდეც იცავდნენ ოსები. დ. ბეგიზოვის თქმით, ავადყოფი და მომაკვდავიც კი არამც თუ ხორცს, არამედ რძესა და კვერცხსაც არ ჭამდა. „მარხვამჭამელი“ (მარხვის გამტეხი) ისეთი შერცხვენილი იყო, რომ არავინ პატივს არ სცემდა მას ჩვენშიო.

პირველი მღვდელი ედისში ოქროპირიძე ყოფილა, რომელიც წინააღმდეგი წასულა ადგილობრივი წესისა, ქალს რომ თავლაში (საჯინბოში) ან ბოსელში უნდა ემშობიარა, მაგრამ თვით ოქროპირიძის ცოლს რომ მუცელი ასტკივდა, სახლის პატრონმა სახლში აღარ გააჩერა და ქალმა საჯინბოში იმშობიარაო. ეს ის შვილი იყო, რომელიც შემდეგ ალექსანდრე ეპიზკოპოზადაა ცნობილიო.

ეთნოგრაფიულად საინტერესოა, რომ ედისში, და სხვაგანაც — სამხრეთ ოსეთში, მშობიარე ქალის დასახმარებლად სხვა ქალი ძაფის ყურჯებს ხსნიდა, — ასე ადვილად შობსო.

წვიმის მოსაყვანად ოსები მაგიურ მოქმედებას მიმართავდნენ. ძველ სასაფლაოზე ედისში (ცარციათი) თხრიდნენ მიცვალებულთა ძვლებს. ასველებდნენ წყლით, ღმერთს შესთხოვდნენ, წვიმა მოგვრყვანეო და ძვლებს ისევ მიწაში მარხავდნენ⁸³, ან ერთ ჯაჭვს, რომელიც თითქოს წვიმას მოჰყვა, წყალში ავლებდნენ და ისევ ამოიღებდნენ.

ედისში ერთი აკლდამა (ზაპად) ჩანს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც არის პატარა ეკლესია, რომელსაც ილია წინასწარმეტყველს უწოდებენ. შიგ, გარდა თეთრი დროშის, ვერცხლის ფულებისა და ჭურჭლისა, არაფერია.

დავით ბეგიზოვი სასარგებლო საქმიანობას ეწევა. მას პატარა

ცხენით ან ხართაც კი, იშვიათად ფულით. დოც. ა. ხ. ბიკაზიროვის ასეთი დოღი ჯავის რაიონში ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში უნახავს. პრესაში ეს წესი 1878 წელს არის ასახული და გამოყენებულია ახალ გამოცემებში. იხ. А. Х. Магомедов, Культура и быт осетинского народа, с. 380; Б. А. Калоев. Осетины, М., 1871, с. 278.

⁸² Труды Закавказ. научн. ассоц..., с. 246.

⁸³ შდრ. გ. ჩურსინი, ციტ. ნაშრომი, გვ. 206.

ეზოში, ზღვის დონიდან 2.000 მ-მდე სიმაღლეზე, დაურგავს და გაუხარებია მიჩურინის ჯიშის ვაშლი „წითელი მიჩურინული“, ქართლის სოფლებში გავრცელებული „ქართული სინაპი“; მათ უკვე მოუხსამთ ნაყოფი. მასვე აქვს აქ ბოსტანი, რომელშიც ნახავთ შავ მოცხარს, მწვანილს, მათ შორის: ტარხუნას, კომბოსტოს, სტაფილოს, სიმინდსაც კი და სხვა⁸⁴.

ამრავლებს კარგი ჯიშის პირუტყვს და ჰყავს ფუტკარიც.

სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ დ. ბეგიზოვის ოჯახშია გარეული თხის ნიამორის) წყვილი ყანწი. პირველი სიგრძით 98 სმ-ია, მეორე — 97, განი ზედაპირზე 7 სმ (უგრძესი), 4,5 სმ (უვიწროესი); რქები გათლილია და კორძები აღარ აქვს. ეს ყანწები ქელებებსა და ქორწილებში დააქვთ.



სურ. 70. ედისის მიდამოების ციკლოპური ზილდ-მასივის დეტალი სამხრეთ აღმოსავლეთიდან

⁸⁴ გაზ. „კომუნისტი“ № 207, 5.IX.1956.

დავით ბეგიზოვი ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა (1974 წ. ცნობა).

* *

ედისის მახლობელ სოფელ კაბუშთაში, 2 ციხე-კოშკი და ზაპაძია.

ს. ხოძშიც ორი კომლია დარჩენილი ამას წინანდელ 12 კომლიდან (1865 წ. 18 ყოფილა). სოფელში 5 კოშკი და 1 ვასთირჯი-ძუარი (ნიში), ზაპაძები და ნარზანის წყაროა. ნიშთან პატარა და დიდი ზარი კიდა. მეორეს აწერია „А. Н. Бурцев, Ростов н/Дону, 29¹/₄“.

ნიშში ვერცხლისა და სპილენძის მრავალი რუსულნი და საბჭოთა ფულია. მათ შორის⁸⁵ თურქული და ვერცხლის სხვა ფულიცაა (XIX ს).

ყველაზე საინტერესო და ძველია ედისიდან 4 კმ-ზე ყადლასანის უღელტეხილთან ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მდებარე უზარმაზარი ციკლოპური ნაგებობა **ზილდი-მასიგ** (ანუ **მაშიგ** ოს. ზილგა), რომელიც პირველად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა აღწერა 1924 წელს⁸⁶. შემდეგ — ე. გ. პჩელინამ⁸⁶ და პროფ. ბ. კუფტინმა⁸⁷. სახელს **ზილდ-მასიგს** წრის (ოს. **ზილდ**) **კოშკად** (ციხედ) თარგმნიან. მასვე **გალუათა-კოშკსაც** (გალუათი-მასიგ) უწოდებენ.

ზემოთდასახელებული ავტორები სწორად აღნიშნავენ, ზილდეს პლატო ძნელად მისადგომი ადგილიაო.

ჩვენ აქ 25. VII. 1956 წ. ვიმგზავრეთ ხოძიდან. ზილდეს აღმოსავლეთ ძირზე, სადაც დესირკახირ-დონი ერთვის მარცხნიდან ყადლასნის (ყადლასანი) წყალს, ნარზანის წყაროსაკენ, ლენინგორელი ქართველი მწყემსები იდგნენ; მათ არ გვიჩიეს ზილდზე ასვლა. მინც წავედით.



ავედით ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ანდეზიტ-დაციტის პირხორკლიან უზარმაზარი ლოდებიდან ლოდებზე ხტუნვით გადავ-

85 Л. М. Меликсет-Беков, К археологии и этнологии Туальской Осетии.—Тр. Зак. научн. асоц. при Зак. ЦИК-е. Сер. I, вып. I, Тб., 1925, და სხვა დაწვრილებით იხილე ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვეგმა-სურ. VIII.

86 Е. Г. Пчелина, Крепость «Зильде Машиг».—Советская этнография, № 3, 1934.

87 Б. А. Купфин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 38.

ლახეთ ზილდეს ფართობის წელი. თვით ციხე, რომელიც ლოდებით აგებულ გალავანს უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ციხეს, პლატოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეზეა. მას ერთადერთი კარი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან აქვს.



სურ. 71. ელასი. ზილდ-მასიგის გეგმა.

ზილდეს ციხე ქვათა უფრო სწორი გვერდების შერჩევით ისეა აგებული, რომ კედლები პირსწორია, მაგრამ გაუთლელი ქვების მშრალი წყობითაა აგებული. ფორმა მომრგვალოა. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთით უფრო გრძელია, დასავლეთი მხარე კი აქვს სწორი და უკედლო (ბუნებრივი კლდეა კედელსავით). კედლის სიმაღლე 2—3 მ-ია, კარის სიმაღლე 1,30 მ, განი — 1 მ; კედლის სისქე კარში 3 მ-მდეა. კარის სამხრეთი მხრის ერთი ქვა განით 1,67 მ-ია,

სიმაღლით 1,50 მ-მდე და ასეთი დიდი ლოდები სხვებიცაა ამ ნაგებობაში.

ე. პჩელინა სწორად შენიშნავს, რომ ამ ციხის აგება ვერ დაუსრულებიათ. იგი რაღაც სასწრაფო მდგომარეობის გამოა შექმნილი და შემდეგ მიუტოვებიათ, არც შეუკეთებიათო.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზილდე-მასიგისა და ზილდეს პლატოზე მდებარე ლოდები ყელის ტბაზე ამოხეთქილი ვულკანის გადმონასროლი და გაცივებული ლავის ნარჩენებია. ამავე ზეგანზე ხორისარისა და ნეფისკალოს გამქრალი ვულკანების მწვერვალებიცაა ცნობილი. მაღრან-დვალეთის სუბალპური ზონა საერთოდ ხასიათდება ასეთი უზარმაზარი ლოდებით.

თვით ზილდეს პლატო ყაღლასნის უღელტეხილის (ურსთვალთან) დასავლეთით მდებარეობს.

ნაგებობის მხრივ ზილდე-მასიგის თითქმის მსგავსად თვლის ე. პჩელინა ბობოთეს ციხეს (ხოძარას ციხე) ჩალიათის მახლობლად. ის შენიშნავს: სულ მოვიარე მაღრან-დვალეთი და ასეთი რაიმე არც მასში და არც სხვაგან მეტი არ მინახავსო, თუმცა აგების ასეთი მშრალი წესი გამოყენებულია კი საცხოვრებელ სახლებში ოსეთშიო (და კავკასიის მთიან ზონაშიც, ი.მ.).

ე. პჩელინა მართალია, რომ ზილდეს ციხე არ შეიძლებოდა მწყემსთა სადგომი ყოფილიყო, რადგან აქაურ აროხილ უბალახო და უწყლო პლატოზე ცხოველები არ ავიდოდნენ და ვერც იარსებებდნენ. მაგრამ ე. პჩელინა არაა მართალი, როდესაც ამ სტრატეგიულ ნაგებობას ოს სიღამონიძეების (XIV—XV ს.) გვარს უკავშირებს, რადგან ნაგებობა გაცილებით უფრო ძველია. აგრეთვე არ იყვნენ მართლები, რომლებმაც ზილდე-მასიგი თამარ მეფეს მიაწერეს. გადმოცემები მას ცარციათებს უკავშირებენ, ე. ი. იმ გოლიათებს, რომლებიც თამარს უსწრებდნენ ამ ადგილებში.

ლეგენდის მიხედვით, ზილდეს ციხე მაშინ აშენდა, როდესაც თითქოს ადამიანი უკვდავი იყო. იმ დროს მხოლოდ ქვები და მცენარეები კვდებოდნენო.

ამ ლეგენდის თანახმად, მაშინ ქვებს ესმოდათ ადამიანის სიტყვისა და თვით ქვები იცვლიდნენ ადგილს. აქ მცხოვრებთ სტუმრები ეწვივნენ, მასპინძლებმა ქვებს უბრძანეს დაძრულიყვნენ და რომელსაც საით მიუთითეს, იქ მოთავსდნენ, ქვა ქვასაც დააჯდა და კედელი აღიმართაო.

ე რ მ ა ნ ი

ერმანი ედისიდან 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს 2300 მ-ზე ზღვის დონიდან. იგი მაღალ სუბალპურ მდელოზე გაშლილი ლამაზი სოფელია.

1865 წ. ქვემო ერმანში 18 კომლი ცხოვრობდა (1940 წ. კი — 12, აქვთ 3 ზაპაძი გზის პირზე); შუა ერმანში — 28 კომლი (შემდეგ — 20) და ზემოში — 22 (შემდეგ — 13; ახლა აღარც ესაა; ზოგი ცხინვალისაკენ და ზოგნიც ჩრდილო ოსეთში გადასახლებულან).

შუა ერმანში ცხოვრობს წლოვანებით კარგად ცნობილი იაგორ ყოროშვილი. ჩვენ ის 24.VII.1956 წელს ვინახულებთ. მას სამი დღის წინ დაესაფლავებინა ცოლი — თამარ ხამისის ასული ბაიმატოვა, რომელიც 105 წლის იყო; თვით იაგორი 147 წლისაა. ის ამბობს, 150 წელზე მეტის ვარო, მაგრამ აღნიშნავს, რომ გენერალ ერმოლოვის მზარეთულის მაშველ (на побегушках — მოცვეთ) ბიჭად ვიყავიო. ის ერმოლოვსა და მის მზარეთულს ჰხლებია მოსკოვ-პეტერბურგსა და, თითქოს, საფრანგეთ-იტალიაშიც. ოსური და ქართული ენები კარგად იცის, ამტკრევს რუსულსაც. მოხუცობას მოუტეხია, — ყურსა და თვალს დაჰკლებია, მაგრამ ზოგ რაიმეს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დროისას, კარგად იხსენებს. იგი აღნიშნავს, რომ დიდი ხმაურობა გამოიწვია ჭილაშვილის დანიშვნამ ერმოლოვის დამხმარეთო. მაშინ მე ახალმისული, 15 წლის ბიჭი, ვიყავიო.

ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი დანიშნეს საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელად 1816 წლის 10 ოქტომბერს. ე. ჩილაევი (ჭილაშვილი) დანიშნეს მასთან პროკურორად 1822 წელს. თუ ამ დროს ი. ყოროევი 15 წლის იყო, მაშასადამე, იგი დაბადებულია 1809 წ., ე. ი. 1956 წ. ი. ყოროშვილი 147 წლის კაცია. და მაშასადამე, არაა ზუსტი, როდესაც ბეჭდავენ, რომ ახლა ეს იაგორი 155 თუ 156 წლისააო⁸⁸.

⁸⁸ ი. თ ე დ ი ა შ ვ ი ლ ი, 155 წლის მოხუცთან. — გაზ. „კომუნისტი“ № 234, 6.X.1954 წ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ (№ 109, 17. IX. 1956 წ.) ი. ყოროევის 156 წლისად თვლის; ასევე აცხადებს მას 1801 წელს დაბადებულად ერთ-ერთი სხვა გაზეთიც. 10.VI.1957 წ. საქართველოს რადიომაუწყებლობამ გადმოსცა უკანასკნელ ცნობებში: დღეს ს. ერმანში 1801 წელს დაბადებული იაგორ პიტ-

იაგორს უმსახურია მაჩაბელთან, ამილახვართან და ივან ანტონის ძე ურუსოვთან (თბილისში), მაგრამ მის წლოვანებას განსაზღვრავს სხვა ფაქტიც. იგი შენიშნავს: 1918 წ. მენშევიკებმა ჯავაში ჩემი მეტრიკა გასინჯეს და მითხრესო, შენ 109 წლის ყოფილხარ, წადი შინა და გამიშვესო.

იაგორის შევერცხლილ ხანჯალს ბოხჩის თავზე (ტარს ქვემოთ) აწერია:

„1899


იაგორ ყაროშვილი“⁸⁹.

იცვამს ჩოხას, ისწორებს გულის შევერცხლილ ქილებს. ზის საუფროსო სკამზე (სვან. საკურცხილ).

იაგორის სახლის წინ ოთხკუთხედის კოშკი და უკან ზაპაძია ისეთივე, როგორიც როკაში. ასეთები გვხვდება ქვემო და ზემო ერმანშიც.

ძალიან კარგად შენახული ზაპაძია ნიკ. ფარნას ძე ფარნიევის ეზოში, რომელსაც „კარის“ სახურავად, ქვის გარდა შიგ. გასაწევ-გამოსაწევი ხის ფიცარიც (კარი) აქვს. იქვე კოშკიც დგას.

სოფლის სამხრეთით გორაკზე ნიშია, რომელთანაც ბოძზე ზარი ჰკიდია. კედელში ირმის რქებია შეჩრილი, სანთლების ალით გარუჯული. შიგ ნიშში პატარა ზარი, მიწაზე დაყრილნი პატარა ყუთებში თავმოყრილი ვერცხლისა და სპილენძის რუსული ფულებია 1870, 1872-1883 (მათ შორის ყოველი წლის) და შემდეგი წლებისა.



სურ. 72. ერმანი. კოშკი

კეს ძე ყო რ თ ე ვ ი გარდაიცვალა. შდრ. გაზ. „Заря Востока“ № 136 (9940), 1957 წ.; ნამდვილად კი იგი, როგორც ვთქვით, 1809 წელს დაბადებულა.

⁸⁹ აგრე წერია.

შიგვე, კუთხეში $3\frac{1}{2}$ —ლიტრიანი ბოთლით არაყი იღვა. ვინაიდან ნიშში, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, არავინ არ შედის, ეს ყველაზე დაცულ ადგილად მიაჩნიათ და არაყი აქ შეუნახავს ვილაცას ხატობის დღეობისათვის (სხვა ნიშშიც შეგვხვედრია ასეთი რამ).

ნიშოდან სამხრეთითვე ტყეში, ტბასთან, ქვის ისევ პატარა ნიში ყოფილა, რომელსაც ცვრლ-ძუარს უწოდებენ და მას 31 ივლისს დღესასწაულობდნენ. ჯერ ცხინვალში გვითხრეს 1950 წელს და ახლა დ. ბეგიზოვმა უკვე ედისში დაადასტურა, რომ შუა ერმანში წარწერიანი ვერცხლის ჯვარია, რომელიც მათე ივანეს ძე ფარნიევთან ინახებაო. ჩვენს იქ ყოფნისას მათე შინ არ აღმოჩნდა და ჯვარი ვერ ვნახეთ. თბილისში ჩამოსვლისთანავე გავიგეთ, რომ როკა-ერმანში მიდის ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფი მელენტი სანებლიძე ჯგუფით. ჩვენ პირადად მას ვთხოვეთ, ჯვარი ენახა და აეწერა. მან ეს თავაზიანად შეასრულა და მაღლობით აღვნიშნავთ, რომ მის გამო ვიცით: ეს არის ვერცხლის თხელი ჯვარი, სიმაღლე — 20 სმ, განი (მკლავებზე) — 10 სმ, წონა — ნახევარი კილო, სინჯი („პრობი“) — 91 EB (1874 წ.).

ტარზე აქვს წარწერა:

**„კნ გიორგი რევაზის ძის
ერისთავისაგან 1875
წელს“.**


დ. ბეგიზოვის ცნობით, ეს 1874 წ. გაკეთებული ჯვარი ქსნის ერისთავმა⁹⁰ უბოძა მის ქვეშევრდომთ ედის-ერმანელებს 1875 წელს. იგი **დროშის ტარზე** იყო დაცმული და ედისის ეკლესიაში ინახებოდა, მაგრამ ამის დანგრევისა და არეულობის დროს ერმანში გავიზნეთო.

იავორ ყოროშვილის თქმით: „ეს ჯვარი კნიაზ ერისთავმა აჩუქა თავის ყოფილ გლეხებს (ყმებს) მაშინ, როცა კნიაზს სოფ. ალაიანი მისცეს და შუა ერმანი გაათავისუფლა“.

ასეთივე ცნობას აწვდის მ. სანებლიძეს ი. ყოროშვილი 12.VIII. 1956 წელს. უკანასკნელთან საუბარში ი. ყოროშვილს დაუმატებია: ჩემ დროს ქვევით (ალბათ პატარა ლიხვისა და ქსნის ხეობა აქვს მხედველობაში, ი. მ.) იყო ბატონი მამამზე ერისთავი; შუა ერმანე-

⁹⁰ მალრან-დეაღეთის 9 სოფელი მე-19 ს. დასაწყისში ქსნის საერისთავოში შემავლადაა აღნიშნული. იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს ურთიერთობა, თბ., 1955, გვ. 77.

ლები სახელმწიფო გლეხები ვიყავით, „უპრაველიაუში“ ურუსოვი
იყო, მაშინ მოგვცეს ეს ჯვარიო.



სურ. 73. ერმანი. ედისელების ვერცხლის ჯვარი

შუა ერმანთან (აღმოსავლეთის მხრივ) ზღვის დონიდან 2245 მ
სიმაღლეზე მდებარეობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამთო-სამ-

დელი სტაციონარი, რომელიც ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ნიკოლოზ ადოლფის ძე ბუშმა და მისმა მეუღლემ პროფ. ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა ბუშმა, ადგილმდებარეობის წინასწარ შესწავლის შემდეგ (1935 წ.), ამ ძალიან მხატვრულ ადგილზე დააარსეს 1936 წელს. ორივე ეს პირი ჩვენი ახლონაცნობები არიან ლენინგრადიდან (1931 წ. შემდეგ). მათთან გვიმოგზავრია კიდევ შორს და, როდესაც ნ. ა. ბუში დიდი სამამულო ომის დროის ლენინგრადიდან ევაკუაციის სიძნელეებს შეეწირა, ახლა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩვენთვის ელ. ბუშის ნახვა და ამ სტაციონარის დათვალიერება. ღირსეული ქმრისათვის მაღლიერ ცოლს გრანიტის მაღალ მონუმენტი აღუმართავს შემდეგი წარწერით:

«Член-корреспондент Академии
Наук СССР, доктор биологических наук, профессор
Николай Адольфович
Буш.

Родился 18. II. XI. 69 г. скончался
14. I. VIII. 41 г. при эвакуации
из Ленинграда.

Основатель Юго-Осетинского
Горно-Лугового
Стационара (1936 г.),

полвека посвятивший изучению Кавказа».

სტაციონარს სამი შენობა აქვს და რამდენიმე თანამშრომელი ჰყავს. პროფ. ელ. ალ. ბუშის ხელმძღვანელობითა და უშუალო ენერგული მონაწილეობით სტაციონარი აწარმოებს დაკვირვებებს მთელი წლის განმავლობაში ბუნების მოვლენებზე და ახდენს ბოსტნეულთა აკლიმატიზაციას, სწავლობს დენდროლოგიასაც. სუბალპურისა და ალპური საძოვრების საზღვარზე სწავლობს პროფ. ელ. ბუში მაღალმთიან მცენარეულობას. გარდა მოზრდილი საცდელი ნაკვეთისა, სტაციონარს 1938 წლიდან აქვს 15 სამდელოე უბანი. საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან და განსაკუთრებით მოსკოვ-ლენინგრადიდან და თბილისიდან მოდიან აქ მეცნიერი მუშაკები და ასპირანტები, რომელთაც ელ. ბუში უზიარებს თავის გამოცდილებას.

და ეხმარება სამეცნიერო მუშაობაში, თვით თავის სამეცნიერო შრომებს ბეჭდავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში. მას შესწავლილი აქვს 18 სახის მრავალწლიანი ბალახი ბიოლოგიურად, ეკოლოგიურად და მორფოლოგიურად.

საინტერესოა მისი დაკვირვებები ხორბლის, ქერის და ბოსტნეულის (კომბოსტო, პამიდორი...) ზრდაზე მაღალმთიან პირობებში. ელ. ბუშმა დაადგინა, რომ ზოგიერთი მრავალწლიანი ბალახი 40-50 ცენტნერ თივას იძლევა განუწყვეტლივ 10-12 წლის განმავლობაში. ელ. ბუშის მიერ შერჩეული და გაუმჯობესებული კარტოფილი ითვისება არა მარტო მთის ოსეთში, არამედ ბარისაშიც კი. პროფესორი აკვირდება ბუჩქნარ ნაყოფიან მცენარეებსაც. მაგ., ჟოლოს, შავ მოცხარსა და სხვას⁹¹. ელ. ბუშს უკანასკნელი ბარათი 1960 წლის შემოდგომაზე მიესწერეთ. დაგვიბრუნდა; ორი კვირაა, რაც ელენე გარდაიცვალა.

* * *

ბუშის სტაციონარიდან ყელის ტბამდე 17-18 კმ-ია. თვით ტბა 2920 მ-ზეა ზღვის დონიდან. ტბა აღწერილი აქვს კ. ჰანს 1903 წლის ზაფხულში⁹² და შემდეგ — ნ. კეცხოველმაც.

1872 წელს აქ ვ. გ. პვაფი ყოფილა, რომელიც ყელის მთას ერისთავის ჯოგთა საძოვრებად ასახელებს. აღნიშნავს ტბის მიუკარებლობას და მოგვითხრობს მისი მეგზური ბეგიზაშვილის გადმოცემას, რომ 50 წლის წინათ აქ ერისთავის 800 გლეხი და 1000 სული კახაკი ათევდა ღამეს, ამოიჭრა ქარბუქი, მან ჯარი გაყინულ ტბაზე გაყარა და დაღუპა. გაზაფხულზე ამოკრიფეს ტბიდან დაღუპულთა გვამები. დასძენს, ტბას სიგრძე 5-6 და განი 3-4 ვერსი აქვს⁹³.

ამ ტბის შესახებ ხალხში მრავალი გადმოცემაა შემონახული.

⁹¹ ერმანის სამთო-სამდელოე სტაციონარის შესახებ იხ. პროფ. ე. ბუშის წერილი, სამთო კერა ალპურ ზონაში. — გაზ. „კომუნისტი“, 1957, № 245; ი. თედი აშვილის წერილი, იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1956, № 234, 6. X.

⁹² Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXXV, тб., 1905 წ., გვ.: 225. შტრ. Н. Динник, Озеро Кели и его окрестности. — Сб. материалов для опис. местн. и племен Кавказа, тб., 1893, с. 44—72.

⁹³ ვ. პვაფი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 159.

ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ყელის ტბა ავი სულების სამყაროა; იქვე ამინდის ღვთაებაა და ტბას იგი არ აკარებს ადამიანს. ვინც იქ მისვლას დააპირებს, ღვთაება დაუშვებს ნისლს და მგზავრს გზას აუბნევსო ან ელვა-ჭექას ატეხს და მგზავრს წინ არ გაუშვებს ან თუ მან ტბამდე მაინც მიიღწია და მას შეხედა, ადამიანი დაბრმავდება⁹⁴.

ახლა ხშირად დადიან ყელის ტბაზე და გადმოცემისაც აღარავის სჯერა.

ყელის ტბის დასავლეთით, ფიდარ-ხოხის (მწვერვალი 3.300 მ სიმაღლე) ზეგანზეა ბუშის სტაციონარი. ეს მთა დიდ და პატარა ლიახვთა წყლების სათავეების გასაყარია. აქ დიდ ლიახვს **ერმანის წყალს** უწოდებენ, რომელიც ქვემოთ **ბრიათის წყალს** ერთვის. ნამდვილად ეს ორი ტოტი ქმნის მდ. დიდ ლიახვს. ზოგიერთები კი დიდი ლიახვის სათავედ მხოლოდ ბრიათის წყალს თვლიან, მაგრამ თუ ცალკე ავიღებთ, ასეთად უფრო **ერმანის წყალი** უნდა ჩაითვალოს.

ზოგიერთი დიდი ლიახვის სათავედ ყაღლასნის (ყაღლასანის) უღელტეხილს აღნიშნავს 3400-3600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ნამდვილად კი დიდი ლიახვი იწყება იმავე მთის 2500-3000 მ სიმაღლეებიდან⁹⁵.

საერთოდ ოსები მაღალმთიანი ბუნების მშვენიერებათა დიდი მოყვარულნი არიან, თორემ იმ სიძნელეებს, რომლებიც თან ახლავს ასეთ ადგილებში ზამთრის გატარებას, ისინი ვერ შეეგუებოდნენ. სოფლები ულამაზესსა და სასიამოვნო მინერალურ წყლიან მიდამოებშია მოთავსებული; ხალხი აქ ჯანმრთელია.

⁹⁴ შდრ. კ. ჰანი, ციტ. ნაშრომი, გვ. 225 და სხვა.

⁹⁵ ი. მეგრელიძე, წერილი ცხინვალის პედინსტიტუტის „შრომების“ ტ. I 11-ში, გვ. 230; ნ. ზ. ფირადაშვილი კი წერს, რომ ეს სათავე 3500—3600 მ-დან იწყებაო („Курорт Дзау“, ცხინვალი, 1954 წ., გვ. 11), რაც ზუსტია არ არის.

Р Е З Ю М Е

В настоящей книге обследованы надписи и другие древности ущелья Большой Лиахви на территориях Горийского района и Юго-Осетинской автономной области Грузинской ССР (исторической части Грузии Внутренней (Шида) Картли и Магран-Двелети). Область образована 20 апреля 1922 года.

В вводной части труда содержатся некоторые сведения об основном населении края — грузинах и осетинах, приведены факты исторической дружбы и их совместной борьбы против общих врагов.

Была высказана гипотеза о разном происхождении южных и северных осетин. В настоящем труде ей противопоставляется обоснованное мнение, согласно которому южные и северные осетины составляют единый народ с единым языком. Исследователи осетинской истории, языка и быта, сначала — Вс. Миллер, А. Шегрен, Г. Гюбшман, а затем — Г. Ахведиани, В. Абаев, Б. Калоев и другие, пришли к выводу, что предки осетин — народ скотоводов и кочевников — в доисторические времена отделились от народов иранской группы, пройдя путь между Уралом и Каспийским морем, пришли в Южную Россию и Северный Кавказ не менее 2000 лет назад. «Присутствие иранского элемента в Южной России в период с VII в. до н. э. по III в. н. э. можно считать в настоящее время прочно установленным»¹.

Основными факторами более массового передвижения

¹ Абаев В. И., Осетинский язык и фольклор, М.-Л., 1949; с. 36; История Северо-Осетинской АССР, М., 1959; Калоев Б. А., Осетины, М., 1971.

осетин с севера на юг считаются нашествие гуннов (IV в.) и притеснение осетин теми местными племенами, которые жили севернее от них.

С тех пор проживающих здесь осетин нельзя считать какими-то гостями Кавказа, и тем более ошибочен тот взгляд, по которому их, по языковому сходству, считают иранцами.

После поселения осетин на Кавказе прошло столь много времени, что акад. Н. Я. Марр говорит о кавказском субстрате осетинского народа и их языка, а далее выдающийся осетиновед проф. В. И. Абаев обосновывает, что «антропологический тип осетин характеризуется как весьма смешанный¹, в котором «мы имеем дело не только с кавказскими влияниями, но и с кавказским субстратом... В формировании осетинской этноязыковой культуры кавказский элемент участвовал не только как фактор внешний, чужеродный, но так же как фактор внутренний, органический». «Кавказский субстрат в значительной степени определил культурный тип осетин»².

Это мнение поддерживается и языковыми данными. «Кавказский элемент вошел в осетинский не просто как внешнее влияние,... а как самостоятельный структурный фактор, как своего рода вторая его природа». «По звуковому составу, — продолжает В. И. Абаев, — осетинский язык занимает промежуточное положение между индоевропейскими и кавказскими языками. Из последних он наиболее близок, по своей фонетике, к грузинскому»³.

Продвижение частей осетин с севера на юг происходило в разные времена и разными путями—через Сванети, Мтиулету и Хеви, — Мамисонский, Зекарский, Рокский перевалы и через ущелья Трусо и Дарьяла.

Из Эрмани, Рока, Джава, Кударо, как правильно заме-

¹ Абаев В. И., Цит. соч., с. 76; ср. Абаев В., Марр Н. Я. и осетиноведение. — Сб. «Язык и мышление», т. VIII, с. 201—207.

² Абаев В. И., Цит. соч., с. 80 (ср. Большую Советскую Энциклопедию).

³ Там же, с. 76.

чает В. И. Аб а е в, гонимые малоземельем и нищетою осетины переселились в низменности Картли.

В XVI — XVIII веках немного ослабевают политико-культурные связи Грузии с Северной Осетией, ее население более сближается с другими северокавказскими народами и в особенности с русским.

После присоединения Грузии к России произошло административное деление Грузии на губернии и уезды (1801 г.). В связи с отменой крепостного права — в период буржуазных реформ в Грузии — была проведена перепись населения, (1865 г.) и тогда ущелье р. Большой Лиахви в целом вошло в Горийский уезд. Часть этого ущелья, начиная с Джавы и кончая Рокским и Эрманским перевалами, называлась **Осетинским участком**, который состоял из 32 обществ (156 селений), с населением 3145 дымов крестьян. В 1939 г. в Юго-Осетии проживает 60350 душ осетин, а в 1981 г. — 97400 человек (территория 3800 кв. км.).

«В области 4 адм. р-на (Знаурский, Ленингорский, Цхинвальский, Джавский), 1 город областного подчинения (Цхинвали), 4 пос. гор. типа (Знаури, Квайси, Ленингори, Джава)».

Как правильно подметил Н. Я. Марр, накануне Великой Октябрьской революции культурная ориентация северных осетин была на русских, а южных осетин — на грузин.

Настоящая работа предлагает новые данные как о ранее изучавшихся, так и о вновь выявленных памятниках древностей по течению р. Большой Лиахви от г. Гори до Рокского перевала и Эрмани. Вместе с обзором литературы по этому вопросу приводятся надписи, исправляются некоторые ошибки и неточности в их прочтении, допущенные предыдущими исследователями, а также публикуются вновь найденные надписи с их расшифровкой и отмечаются и до сих пор малоизвестные этнографические и фольклорные материалы, воспоминания старожилков и т. п.

Изучение надписей и других древностей Лиахвского бассейна (ущелий рек Большой Лиахви, Малой Лиахви, Проны и Паца-Джеджори) ведется нами с 1948 года¹ и основные результаты предварительно опубликованы в 17 частях на грузинском языке с резюме на русском.

Таковы статьи, опубликованные под общим названием.

¹ Гаглойти Ю. С., Чиби́ров Л. А., Юго-Осетинский гос. пед. институт, Цхинвали, 1982, с. 76—77, 119—120.

«Надписи и другие древности Лиахвского ущелья».

- I. Гори — Эргнети. — Труды Цхинвальского гос. пединститута, т. III, Тбилиси—Цхинвали, 1956, с. 229—256.
- II. Древности Сталинири [Цхинвали] и Земо-Никози. — Названные «Труды», т. I, Цхинвали, 1952, с. 245—320 (в тексте 27 рисунков). Отдельное издание — Цхинвали, 1952, с. 1—80.
- III. Древности Кусирети и их надписи. — XV научная сессия Цхинвальского гос. пединститута, Цхинвали, 1954, с. 38—42.
- IV. Древности Сабацминда—Кемерти. — Труды Тбилисского гос. пединститута им. А. С. Пушкина, т. XI, Тбилиси, 1957, с. 81—93.
- V. Гори—Ванели—Рока — Едиси — Эрмани. — Труды Цхинвальского гос. пединститута, т. VII, Тбилиси—Цхинвали, 1959, с. 137—163.
- VI. Надписи и другие древности Паца и Джеджора. — Там же, где V, с. 164—180.
- VII. Згудери. — Труды Тбилисского гос. университета, т. 99, Тбилиси, 1962, с. 237 — 244.
- VIII. Надписи и другие древности Икорта. — «Мацне» («Вестник») отделения общественных наук Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1963, т. 3, с. 170—185.
- IX. Надписи и другие древности ущелья Малой Лиахви. — Там же, где VIII, 1963, т. 5, с. 202—218.
- X. Гори—Шиндиси. — «Мацне», 1966, № 3, с. 244—259.
- XI. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (дополнительные сведения о Земо Никози и Цхинвальских древностях, Тамарашени, Курта). — «Мацне», 1969, № 6, с. 119—132.
- XII. Кусирети. — «Грузинское источниковедение», III, — сборник, посвященный 75-летию со дня рождения проф. В. Д. Дондуа, Тб., 1971, с. 98—104.
- XIII. Тигва — Корниси — Рустави — Кехви. — «Мацне», 1971, № 4, с. 93 — 110.
- XIV. Гупта—Джриа — Нинна—Мсхлеби — Джава. — «Мацне», 1976, № 2, с. 58—73.
- XV. Выше Корниси, в Цорбиси (с рекомендационной заметкой акад. А. Г. Шанидзе. «Строительная надпись 880 года»). — Газ. «Комунисти» от 14 июля 1981 года № 138 (на грузинском языке).
- XVI. Хвие—Крожа—Циара—Залда.—«Мацне», 1982, № 2, с. 161—180.



Часть Залда, под заглавием «В селе Ялгузидзе», перепечатана в газ. «Литератури Сакартвело» от 21 августа 1981 г. № 34, с. 16 (на груз. яз.).

Из «Залда» же легенда «Одомашнение коз», см. газ. «Сабчота Осети» от 31 июля 1982 года № 146, с. 4.

XVII. Гомарта (предварительное сообщение о надписях и фресках развалин Гомартского храма в Знаурском районе). — Газ. «Сабчота Осети» от 12 января 1982 г. № 7, с. 4. Там же — некоторые сведения о Залде.

В предлагаемой книге повторяются основные данные из вышеперечисленных статей: I—V, VI, XI—XIV, в усовершенствованном и значительно дополненном виде.

Аналогичная работа о надписях и других древностях ущелий Малой Лиахви, Проны и Паца-Джеджоры подготовлена к печати.

პირთა საძიებელი*

- აბაევი ვ. 6, 7, 10, 11, 40, 43, 243, 270, 271.
- აბაშიძე პ., ს. 27, 270, 271, 277, 288.
- აბიათარი 185.
- აბულაძე რ. 110, 186.
- აბუსერიძე 156.
- ადუაშვილი კ. 38, 106, 108.
- ათონელი გ. 190.
- ალავერდელი ი. 40.
- ალბოროვი ვ. 244.
- ალენი უ. 13.
- ალექსანდრე II, III და IV 28, 123, 159.
- ალღუზიძე იხ. იალღუზიძე
- ამაზასპი 8.
- ამილახვარი გ., ე., ი., კ., ნ., თ., ს. 23-28, 62-65, 99, 121, 126, 179.
- ამილახორი 25.
- ამირანაშვილი შ. 12, 126.
- ამირიძე 98.
- ანა-ხანუმი 142.
- ანდრია მოციქული 85, 89.
- ანდლულაძე ნ. 19, 204, 206—213.
- ანტონ კათალიკოსი 10.
- ანჩაფაძე 200.
- არჩილ მეფე 10, 144, 153, 208.
- ასფაგური 8, 162, 163.
- აფაქიძე ა. 150.
- აღმაშენებელი დ. 4, 9, 20, 30, 36, 142.
- ახვლედიანი გ. 6, 8, 10, 15, 243, 270—272, 303.
- ბაბალიკაშვილი ნ. 198.
- ბაბაშვილი თ. 250.
- ბაბუციძე ე., ს. 63.
- ბაგაევი ბ., ნ. 19, 201.
- ბაგრატი IV 9, 140.
- ბაგრატიონი დ. 252.
- ბაგრატიონი იხ. ვახუშტი 40.
- ბაიმატოვა თ. 296.
- ბარათაშვილი შ. 49.
- ბარამიძე ა. 16.
- ბარდაველიძე ვ. 39, 40.
- ბარნაველი თ. 52, 57, 71.
- ბასიშვილი ბ., გ., დ., ე., მ., ს. 218, 219, 100, 229.
- ბაქარი 23, 24.
- ბაქრაძე დ., 28, 30, 59, 70, 121, 122, 144.
- ბალათარი 148, 149, 185, 198, 203, 207, 208, 211.
- ბეგთაბეგოვი 177.
- ბეგიაშვილი თ. 59.
- ბეგიზოვი დ., ლ., ფ. 239, 240, 283, 288, 289—293, 298—200.
- ბეზანოვი ბეჟანოვი ბ. 250.
- ბეზსონოვი ს. 59, 162—164, 191, 195, 200, 202, 205, 211, 217, 220, 226, 231, 241, 242, 251.
- ბეთევეი ა., ს., ფ. 192—193, 275.

* შეადგინა ე. კ. რ. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. მ. მოცულობის შეზღუდულობის გამო ტექსტში არაქართული ასოებით დაბეჭდილი გვარებიც აქ ქართულად ისტამბეზა და რამდენიმეც კი ერთად შავალითად: ამილახვარი გ., ე., ი., კ. და ა. შ.

- ბეთეშვილი ტ., ფ. 192.
 ბელანდუხტი 125.
 ბერიძე ვ. 157.
 ბერაკიძევილი ნ. 105, 112.
 ბეროშვილი ივ., ს. 220.
 ბეროშვილი ს. 220.
 ბერძენიშვილი ი., ნ. 18, 25, 28, 31, 163, 187.
 ბეჭითაზი დ., ჩ. 97, 273.
 ბიაზიროვი ა. 291.
 ბიბილაშვილი ე. 38.
 ბიჭუაშვილი 236.
 ბლიაძე 219, 225.
 ბოჭორიძე გ. 12.
 ბრეგაძე დ. 208.
 ბროსე მ. 24, 25, 28, 35, 57—59, 63, 68—71, 116, 121—123, 134, 135, 138, 141, 142, 146—149, 156, 163, 171, 189, 200—211, 221.
 ბუგაიანაშვილი ალ., ლ. 67.
 ბუხალაძე მ. 109.
 ბურდუხანი 9.
 ბურნაძე ვ. 79, 202, 207.
 ბუში ე., ნ. 300—301.
 ბუხნიკაშვილი გ. 19.
 ბაბარაევი, გაბარაითი ა., ბ., გ., დ., ე., ი., მ. 92, 96, 97.
 გაბარაშვილი ი., რ. 90, 91.
 გაგლოითი ი. 6, 13, 306.
 გაზაევი 273.
 გათიკაშვილი ჰ. 259.
 გათიკოშვილი ა., ფ. 258, 259.
 გაკაუხენი გ. 282.
 გალაევი ბ. 237.
 გამრეკელი ვ. 10, 270.
 გარსევანიშვილი დ., ნ., ს. 100, 102.
 გასიევი დ., ლ., ხ. 97, 249.
 გასიშვილი 234, 238.
 გასიტაშვილი-ხაჩირაშვილი მ. 102.
 გვრიტიშვილი გ., დ. 10, 19, 155, 156, 298.
 გაიშვილი ს. 179.
 გიორგი 23, 24, 26; I—9; II—9; X—57; XII—145.
 გიულდენშტედტი ი. 195, 200, 201, 221, 241.
 გიუნაშვილი ჯ. 232.
 გლურჯიძე ბ. 78.
 გობეჯიშვილი გ. 150, 162.
 გოგებაშვილი ა., ე., ი., მ., ს., შ. 4, 10, 11, 106—111, 172.
 გოგიძე 78, 182.
 გოგოხია ბ. 182.
 გოლოევი 273.
 გორგასალი ვ. 4, 8, 46, 119—121, 125, 136, 142, 145, 158, 271.
 გორგაძე ს. 144.
 გორდეცი დ. 12, 126, 153.
 გოჩაშვილი რ. 218.
 გოცირიძე გ., ნ. 181.
 გოცირიძე ს. 181.
 გუბაზი 4.
 ჰუმბანი იხ. გუმბანი გ.
 გულაბერიძე ნ. 85.
 გულბატი 33, 184.
 გუნდიშვილი ა. 80.
 გუნია ს. 259.
 გურგენიძე ი. 101.
 გურიელი კ., ს. 13, 53.
 ღადიანი დ., ლ., მ. 53, 57, 165, 176.
 დადიან-გურიელი ჯ. 13.
 დავიდოვი ი., ლ., 113, 133, 141.
 დავით IV 233, დ. სოსლანი 9.
 დავითაშვილი გ., ი., ხ., მ., ნ., შ. 119, 181, 182.
 დარეჯანი 25.
 დედანაშვილი ი. 46.
 დარგუაშვილი 48.
 დევიძე პ. 165.
 დემეტრე IX 9.
 დვალიშვილი გ. 48.
 დმიტრიევი ნ. 278.
 დობრაშვილი 48.
 დოიჯაშვილი ი., კ., მ., ს. 48, 49, 229.
 დმიტრიევი ნ. 278.
 დოიჯაშვილი ს. 48.
 დონდუა ვ. 306.
 დურგლისშვილი ი., ს. 172.

მდილოვი გ. 133.

ედისერაშვილი ნ., 46, 66, 275.

ელბაქიძე 216, 218.

ელიოზიძე გ., თ. 169.

ელიოზიშვილი ა., ზ., ე., 183, 185,
186.

ერეკლე II 10, 19, 24, 25, 90, 105,
106, 112, 116, 140, 165, 175, 177,
178, 186, 200, 209, 221, 232, 271.

ერემიანი ს. 50.

ერისთავი გ., დ. 298.

ერმალოვი, ერმოლოვი ა. 78, 296.

ეფესელი ნ. 184.

ჰადბოლსკი მ. 150.

ვალიშვილი ს. 269.

ვანევი ვ., ზ. 6, 8, 243, 270.

ვარძელაშვილი სტ. 117.

ვახტანგ V. 10, 23, 24, 53, 59, 68, 69,
70, 83, 84, 124—126, 144 165, 171,
178, 183, 207, 208.

ვახუშტი 10, 17—20, 33, 45, 46, 59,
79, 87, 121, 122, 130, 138, 141,
163, 168, 187, 195, 200, 203, 211,
230, 250, 251, 254, 278.

ველიჩკო ვ. 21.

ვოლპინი დ. 194.

ვოროშილოვი კ. 283.

ზანგალაძე ა., გ., ივ., ს. 211, 220,
223, 224.

ზარზმელი ს. 190.

ზასოხოვი ი. 90.

ზაქარია პ. 120.

ზედგინიძე 23.

ზოზიაშვილი ს. 214.

ზუბაშვილი ზ., ს., შ. 76, 77.

თაყაიშვილი რ., ს. 212.

თამარ მეფე 9, 20, 21, 28, 32—36,
106, 121, 145, 168, 193—195, 202,
225, 233—240, 271, 276, 285, 295,
295.

თართუაძე ი. 37.

თარხანოვი ნ. 269.

თაქთაქიძე, თაქთაქიშვილი 187, 193,
204, 206, 213.

თაყაიშვილი ე. 15, 25, 28, 120, 222,
223.

თბილელი ა. 127, 202, 203.

თედეშვილი გ., ლ. 250.

თედიაშვილი ი., თ., კ., გ. 34, 220,
296, 301.

თედიაშვილი-ზანგალაძე კ. 220.

თეიმურაზ I 144, 177.

თიბილშვილი გ., ე., თ., ი., მ., ნ., რ.,
ს., ყ., ჯ., 254—257 262, 264—269.

თიბილოვი ა., ი., ს. 255, 261, 267,
269.

თიგევი 193, 275.

თოგოშვილი გ. 2, 8—11, 16, 213, 270.

თომევი ზ. 281.

თოფურია ა., ვ. 19, 59, 190, 259.

თუთაევი აღ. 241.

თუხარელი 156.

იალღუშიძე (გაბარაშვილი) ი. 10, 90,
92, 239, 271, 272.

იარალასშვილი გ., ი. 164, 176.

იარალოვი 178.

ილია წინასწარმეტყველი 291.

იმნაიშვილი ივ. 155.

იმნაძე ნ. 170.

ინგოროყვა პ. 150, 276.

ინღუაშვილი ა. ზ. 30.

იოანე-ზოსიმე 128.

იოანე ნათლისმცემელი 158.

ირაკლი II იხ. ერეკლე II.

ირონ 245.

იოსელიანი ა., პ. 118, 162, 164, 168,
195.

იყალთოელი ა. 36.

ქაბადოციელი ნ. 85, 184.

კაბულაშვილი 98.

კავკაზავი ი. 2, 236, 246.

კავკასიძე ა. 30.

კაზბეგოვი კ. 264.
 კაკაბაძე ს. 12, 15, 20, 54, 118, 121, 153.
 კალანდაძე ა. 16, 150, 162, 174, 232.
 კალაშნიკოვი მ. 126.
 კალოევი ა. ბ. 11, 243, 285, 291, 303.
 კანდელაკი ბ. 54.
 კანიაშვილი 100.
 კაპანაძე ა., დ., ზ., ს. 48, 159, 160, 198, 212.
 კაყაევი ა. 233.
 კაყაშვილი 218.
 კასრაძე ა., გ., დ., ვ., ი., მ., ნ., ს., ტ., ფ., ჩ. 57, 82, 86, 104, 195, 237, 178, 237, 289, 195.
 კატაპარიაშვილი ქ. 28.
 კახასშვილი გ., მ. 47.
 კახნიაშვილი გ., ი., მ. 46—47, 224, 225.
 კახიძე მ. 279.
 კეკელიძე კ. 82—89, 124—128, 136, 185, 215, 271.
 კეკიშვილი გ. 75.
 კენჭაძე-მაჭარაშვილი ს. 46.
 კერესელიძე ვ., ზ., თ. 109, 110, 116.
 კეტხოველი ლ., ნ. 182, 289.
 კვეესი კ. 19.
 კვერენჩხილაძე რ. 59, 178.
 კიკნაძე ე. 198.
 კინოსოვი ა. 173.
 კირიონი III 123.
 კიროვა თ. 14.
 კობერიძე 118.
 კოდოევი 192
 კოდოშვილი გ., მ., ც. 98, 99, 192, 281.
 კოკაური 107.
 კოკოთი ტ. 264, 265.
 კოტაევი ა. 212, 215.
 კოშორიძე ე., ვ., მ. 01, 102.
 კოშრიშვილი გ. 102.
 კოჩიევი 199.
 კრაჩკოვსკაია ვ. 15.

კოლუმბეგოვი 87.
 კუფტინი ბ., ე. 14, 22, 46, 50, 162, 174, 175, 244, 260, 261, 283, 288, 293.

ლაზარაშვილი 31.
 ლაზარე 42
 ლევიტელი ე., ს. 184.
 ლენინი ვ. ი. 12.
 ლეონიძე გ. 15, 54, 103, 196.
 ლიხაჩევი ნ. 58, 251.
 ლომთათიძე ქ., გ. 42, 150.
 ლოლაშვილი ი. 2, 272.
 ლომაშვილი ქ. 232.
 ლომთაძე ა. 246.
 ლომიძე 107.
 ლომოური თ., ნ. 18, 187.
 ლომსაძე გ. 224.
 ლუარსაბ მეფე 49.
 ლუარსამიძე ი. 117.
 ლუკა მოციქული 184
 ლუნჩაჩისკი ა. 12!

მაგომეტოვი ა. 291.
 მაგქოევი ა. თ., ან., ვლ., კ. 231—236, 241.
 მაზნიშვილი გ., ლ. 115.
 მაისურაძე გ., ე., ი., კ., მ., ნ., ს., 80, 81, 181.
 მაკალათია ს. 20—23, 40, 79, 175, 202.
 მამალაძე თ. 100.
 მამიევი 192.
 მამიაშვილი ნ. 192.
 მამისთვალაშვილი მ. 197.
 მამიშვილი ბ. 192.
 მანჯგალაძე 219.
 მარგიევი 273.
 მარადაშვილი შ. 26.
 მარი ნ. 7, 11, 39, 43, 44, 101, 150, 276, 277, 280, 304, 305.
 მარტიროზიანი შ. 177.
 მარქარასშვილი გ. 176.
 მაქსიმილიანე 185.

მაღალაძე პ. 69.
 შაჩაბელი ა. ბ., გ., დ., ე., ზ., ი., მ.,
 ნ., რ., ს., შ. 37 62, 63, 71, 72, 143,
 182, 195—200, 209, 214, 219,
 216—219, 223.
 მახარაძე ფ. 12.
 მახატლიშვილი ბ. 213.
 მაჭავარიანი ალ. 181.
 მაჭავარიანი ნ., რ. 181, 182.
 მეგრელიშვილი ვ. 112.
 მეგრელიძე ი. 8, 14, 38, 41, 54, 68,
 69, 85, 95, 106, 144, 171, 174,
 194, 211, 212, 240, 246, 254, 258,
 276, 247, 285, 286, 295,
 მელანიშვილი 118, 219, 298, 302,
 308.
 მელითაური კ. 19.
 მელიქსეთ-ბეგი ლ. 3, 15, 18, 29,
 172, 209, 210, 280, 293.
 მელქოვი დ., ი. 56.
 მელქუაშვილები 44.
 მესხრიკაძე ნ. 198.
 მეტრეველი ე., ი., ნ. 78, 101, 212—
 215.
 მეფისაშვილი რ. 15, 19, 67—71, 133,
 211. 216.
 მეღვინეთუხუცესიშვილი დ. 28, 58,
 206.
 მეშვილიშვილი 186.
 მეშჩანიშვილი ი. 174.
 მთაწმინდელი ვ. 88.
 მილერი ვ. 6, 276, 303.
 მინაბაძე 159.
 მინდიაშვილი ი., რ. 106, 200.
 მირიან მეფე 88, 185.
 მირზაშვილი გ., დ., მ., თ.
 მისრაელაშვილი 108.
 მიქელ ეპისკოპოსი 134, 135.
 მიქელ 1, 11, 111 136.
 მიქოზელი ათ. 161.
 მიჩურინი 292.
 მიხაილოვი 27.
 მოღრეკილი მ. 136.
 მოსიაშვილი კ. 47.

მუჭაური თ. 117.
 მცხეთელი ე. 126, 127.
 ნაბიჭვიშვილი ლ. 115.
 ნადეჟდინი პ. 282.
 ნადიმაშვილი ს. 14, 22, 23, 50, 162.
 ნადირაშვილი გ. 47.
 ნაკაძე გ. 86.
 ნანა დედოფალი 88, 185.
 ნაცელიშვილი გ. 10.
 ნებეირიძე ი. 211.
 ნიკოლოზ 11 289.
 ნიკორიშვილი ა. 88.
 ნიკურაშვილი ა. 198.
 ნოღაიდელი ჯ. 41.
 ნუცუბიძე ლ. 162.
 ოდიშვილი თ. 77.
 ოვანოვი ნ., ს. 55, 56.
 ორბელი ი. 194, 275.
 ორბელიანი ს. 50, 232, 278.
 ოთინაშვილი ბ., პ., ტ. 82.
 ორმუხლი 125.
 ორჯონიკიძე 290.
 ოს-ბაღათარი 8.
 ოტიაშვილი 139, 202, 219.
 ოქროპირიძე კ., რ. 34, 291.
 ოპანოვი ი., ივ., ს. 55.
 პავლე მოციქული 190.
 პალადი 132, 141.
 პაპელაშვილი ვ. 85, 89.
 პატარაშვილი პ. 117.
 პეტრე ქართველი 88.
 პირადაშვილი 219.
 პიპილაშვილი 219.
 პიტიაშვილი ვ. 121.
 პუშკინი ა. 306.
 პუფატი ვ. 59, 259, 260, 277, 279, 301,
 302.
 პჩელინა ე. 162, 210, 243, 247, 260,
 274, 283, 291, 293, 295.
 შორდანი თ. 84 153, 213.

რაზმაძე გ. 199.
 რელგურაძე ფ. 259.
 რეხვიაშვილი ნ. 42, 161.
 რიტიშვილი გ. 155.
 რომანოვსკი ე. 240.
 რომელაშვილი ლ. 67, 69.
 როსტომ ბატონიშვილი 83, 208.
 როსტომ მეფე 19, 53, 57.
 როტინოვი 27.
 რუსთაველი შ. 4, 23, 33, 36, 239,
 240, 276.
 რუსიშვილი 219.
 რუსუდანი 9, 23, 24. *
 რჩეულიშვილი ლ. 19, 50, 124, 133,
 134, 135, 137, 202.
 რჩეულიშვილი ნ. 125.
 სააკაძე გ. 49.
 საბანაძე ბ. 115.
 საბანისძე ი. 127, 128.
 საბინინი მ. 125, 190.
 სანაყოშვილი ა., ბ., ლ., მ. 248, 249.
 სანებლიძე მ. 298.
 სარიევი 98.
 საძაგელოვი, საძაგლიშვილი გ., ვ.
 123, 124, 130—136, 141, 142, 145,
 152, 154, 158.
 საყვარელიძე ი. 154.
 სახოკია თ. 39.
 სევეროვი ნ. ს. 126, 157, 191.
 სეკინაევი ს. 260.
 სეხნიაშვილი დ. 103.
 სიღამონიძე ე., თ. 116.
 სიმონიშვილი ა., გ. 114.
 სინოსოვი ა. 173.
 სირდონი 239, 245.
 სიხარულიძე ქ. 43, 240.
 სპირნოვი ა. 162, 280.
 სნეგოროვი ი. 43.
 სოთიევი 273.
 სომხიევი ი. 37.
 სოსელია გ. 273.
 სოსიაშვილი დ., ე. 54.
 სოსლანი დ. 6, 96, 193, 239, 272.

სტეფანაშვილი ა., ი., დ. 109.
 სუბაშვილი 109.
 სულხან-ახმედ 111, 179.
 სულკალმახი 277.
 სულხანიშვილი ი. 132, 141.

ტაბიძე გ. 215.
 ტეხოვი ბ. 261.
 ტონსკი დ. 265.

უვაროვა ა. უვაროვი პ. 28, 59, 70,
 122, 123, 131, 203, 207, 211.
 უზმაშვილი ქ. 56.
 უზნაძე მ. 49.
 ურიშმაგი 239, 245.
 ურუსოვი ი. 297, 299
 ურჯუმელაშვილი 107.
 უფესელი ნ. 184.

ფავლენიშვილი, ფავლენოვი ე., ზ., ს.
 151, 132, 142, 143.
 ფარასტაევი, ფარასტაშვილი ა., თ.,
 მ., ფ. 257—259, 268.
 ფარნაევი მ., ნ. 297, 298.
 ფარნავაზი, ფარნაოზი 4, 7.
 ფარსმანი III 8.
 ფეიქრიშვილი გ., ვ. 34.
 ფილიშვილი თ. 235.
 ფირადაშვილი 17, 247, 302.
 ფლიევა მ. 281, 283, 284.
 ფლიევი ხ. 279.
 ფრეზერი ჯ. 41—43, 194, 275.
 ფოცხვერაშვილი თ., კ. 30.
 ფუტურბიძე ნ. 54.

ჭალოევი ბ. 6, 40, 285.
 ქართველიშვილი ი. 118.
 ქარსანიშვილი ფ. 239.
 ქარსანოვი გ. 238.
 ქასაბაევი, ქოსაბაშვილი 219.
 ქეზაძე ვ., პ. 47, 109.
 ქეთუ-კამარი 276.
 ქელეხსაევი ს. 250.
 ქვაზაძე გ. 255.

- ქენიფნეველი თ. 213.
ქობალავა ი. 246.
ქოთოლაშვილი, ქოთოლოვი გ. 237, 238.
ქოქოვეი მ 264.
ქოქოშვილი ბ., ვ., მ., ჯ. 193, 249, 262.
ქოჩიშვილი ბ. 199.
ქულიჩიშვილი ა., დ., თ., კ. 75, 72.
- ლონტი ა. 13, 59, 158, 239, 240, 288.
- შაუგასი 244, 245.
ყაულაშვილი 82.
ყაუხჩიშვილი თ., ს. 89, 17, 120, 121.
ყაზმაზაევი ს. 250.
ყოროვეი, ყოროშვილი ი. 266, 298.
ყოჩიაშვილი 218.
ყუბანეიშვილი ს. 125.
ყურდღელაშვილი ზ. 77.
- შელოხოვი ა. 284.
შანიძე ა. 76, 260, 272, 306.
შარაშენძე ზ. 41.
შარაშიძე გ. 50.
შახპარუნოვი ა. 164.
შაპ-აბასი 49.
შეგრენი ა. 6, 303.
შერაზადაშვილი 182.
შერვაშიძე ე., ნ. 13, 142, 143.
შერმადინი 100.
შერმაზანოვი გ., 171.
შეანგირაძე ნ. 182, 259.
შმერლინგი რ. 211.
შორენა 9.
შოშიაშვილი ნ., სტ. 31, 57.
შოშიევი ს., ს. 30.
- ჩაბაშვილი 246.
ჩაბიევი 199.
ჩეჩითი რ. 13.
ჩლაჩიძე 48, 49.
ჩიბიროვი ლ. 13, 95, 97, 306.
- ჩილაევი ე. 296.
ჩიტაია გ. 161.
ჩიქოვანი მ. 277.
ჩონჩალ-მურზა 147, 201.
ჩორჩანელი გ. 190.
ჩოჩიევი 246.
ჩრდილელი ე. 54.
ჩუბინაშვილი, ჩუბინოვი გ., დ., ტ. 15, 69, 99, 121, 126, 215, 221.
ჩუბსინი გ. 10, 13, 95, 274, 285, 288, 291.
ჩხარტიშვილი გ., მ. 143, 144.
ჩხეტია შ. 230.
- ცაბაძე ი. 219, 223.
ცაბაევი ვ. 244, 245, 246.
ცაგარელი ალ. 200.
ცინცაძე ვ. 15, 67, 71, 75, 133.
ცისკარიშვილი, ცისკაროვი 3, 53, 217.
ცოგოვეი 98.
ციციშვილი 268.
ცოგოვეი 98, 246.
ცოტნიაშვილი მ., შ. 56, 57, 88, 175, 178, 179, 183, 198.
ცქიფურიშვილი ნ. 164, 179.
ცხოვრებაევი ვ. 242.
ცხოვრებაშვილი დ., შ. 242, 250.
ცხოვრებოვი ი., ხ. 213, 251.
- ძამუკაშვილი ზ. 136, 140.
ძიძიგური შ. 16, 79, 271.
- წათე 4.
წერეთელი ა., ბ., ს. 4, 49, 144, 247.
წერტაშვილი 118.
წვიმატაძე ბ. 275.
წიქარიძე-ბიბილაშვილი ე. 38.
წულუკიძე ს. 289.
წურიევი დ. 118.
- ჰავკვაძე ი. 4, 106.
ჰელიძე ვ. 196.
ჰეჰელაშვილი კ., მ. 34.

ქოვლიძე კ. 78.
ქონჭაძე დ. 80.
ჭულუხიძე მ., ლ., ხ. 201.
ჭულუხიძე 215.

ხაბალოვი 92, 273.
ხაბარელი 219.
ხადური გ. 158, 160, 161.
ხამიცი 239, 245.
ხანთაძე შ. 23.
ხარებაევი თ., ნ., რ. 256, 257, 258,
262, 264.
ხარებოვი, ხარებაშვილი *ა., გ., ბ.,
დ., პ., ს. 255, 253, 256, 258,
264.
ხარიბეგიშვილი ა. 34.
ხარებაშვილი თ., მ. 257, 264.
ხაჩირაშვილი 100.
ხაჭაპურიძე 216, 218.
ხახანაშვილი, ხახანოვი, აღ. 21, 56,
180, 240, 276.
ხეთაგაშვილი ე., ს., შ. 89.
ხეთაგური ს. 199.
ხეთაგუროვი კ. 89, 288.
ხეთერელი 85, 89.
ხერხეულიძე ლ., ს. 49—57.
ხოდაშელი აღ. 63.
ხაზანაშვილი 107.
ხოდოვა ფ. 264.
ხომასურიძე მ. 18.
ხოსრუაშვილი პ. 104.

ხოჯასშვილი გ., ფ. 176.
ხუასრო ხოსრო, 126, 239.
ხუდდანი 9.
ხუროშვილი 104.
ხურსიძე ს. 26.
ხუსიტაშვილი 38.
ხუცინაშვილი ბ. 218.
ხუციშვილი მ. 23, 26.

ჯაბიევა ბ. 264.
ჯავახიშვილი ივ. 4, 8, 9, 39, 41, 42,
44, 53, 57, 69, 95, 99, 124, 156,
163, 175 195 202, 233.
ჯავახოვი ე. მ. 45.
ჯალალედინ ხვარაზმელი 195.
ჯანაშვილი მ. 21, 35, 36, 122.
ჯანაშია ს. 163.
ჯანელიძე დ. 99.
ჯატიევი გ., რ. 236.
ჯაფარიძე თ. 92, 175, 179.
ჯიოევი გ. დ., მ. 235, 236, 266.
ჯიოშვილი ა., გ., ს., ტ. 192, 218,
234, 236.
ჯირკველიშვილი 107.
ჯიქია ს. 179, 221.
ჯუანშერი 19.
ჯუსოითი ვ. 92.
ჯულაშვილი ს. 182.

ჰანი კ. 221, 278, 301, 302.
ჰუფშანი პ. 2, 6, 303.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
არქეოლოგიური გათხრები ცხინვალში	14

თ ა ვ ი I

მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირი (გორი-სვერი)

გორი	18
გორიჯვარი	27
კარალეთი	33
ნაპარმაგევი	35
ძვეერა	44
მელვრეკისი	45
ერგნეთი	47
ზღუდერი	50
საბაწმინდა	58
ჭალისუბანი	71
ძარწემი	78
სპარსეთა	78
ქემერტი	80
სვერი	86
ზალდა	90

თ ა ვ ი II

მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირი (გორი-ნიქოზი)

ოთარაშენი	98
თედოწმინდა	100
ახალდაბა	103
არაშენდა	103
ვარიანი	105
საქაშეთი	112
შინდისი	113
ნიქოზი	118

ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია	128
ზემო ნიქოზის ტაძარი	138
ზემო ნიქოზის ტაძრის სამრეკლო	154
ზემო ნიქოზის სხვა სიძველეები	158

თ ა ვ ი III

ისევ დიდი ლიახვის ხეობის მარჯვენა ნაპირი

ცხინვალი	162
დგერისი	180
კუსირეთი	187
თამარაშენი	195
აჩაბეთი	200
თირიას მონასტერი	203
ქურთა	216
კეხვი	219

თ ა ვ ი IV

დიდი ლიახვის ხეობის ზედა წელი
(გუფთა-ედისი)

გუფთა	230
ჯრია	235
ნინია	238
მსხლები	241
ჯავა	246
ხვწე	251
კროჟა	261
წიარა	269
ვანელი	272
ბაგიათა	274
ბრუტსაბძელა	274
როკა	278
ზღუბირი-სბა-ჩელიათი	284
ედისი	287
ერმანი	296
რეზიუმე (რუსულად)	303
სახელთა საძიებელი	309

რედაქტორი ი. ზაალიშვილი
მხატვარი ი. გუკიევა
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი მ. რამიშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 2328

გადაეცა წარმოებას 12.01.84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.6.84 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84¹/₁₆. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,6. პირ. საღ.-გატ. 18,83. სააღრ.-
საგამომც. თაბახი 16,28. უე 13095. ტირაჟი 2000. შეკვ. № 21.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის, თბილისის № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, II корп

Иосиф Варфоломеевич Мегрелидзе
ДРЕВНОСТИ В ЛИАХВСКОМ УЩЕЛЬЕ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1984

